საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№43 (86)
24 – 30 ნოემბერი, 2010
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

2 „ლოთის ალგორითმი“ და დიდი პოლიტიკა

ჰილარი კლინტონი:
„...აშშ-ის, ნატოს, ევროპისა და რუსეთის ურთიერთობას დღეს გაცილებით მტკიცე საფუძველი აქვს, რაც თითოეულის ინტერესებს პასუხობს“

დიმიტრი მედვედევი
...2008 წლის მოვლენების შეფასებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს... მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ საკითხებმა ჩვენს ურთიერთობას ხელი არ უნდა შეუშალოს...




3

# ერთხელ ლისაბონში

## ქუთაისი – НОВЫЕ ВАСЮКИ 8

რამაზ კლიმიაშვილი:
4 ლისაბონის სამიტი – სინამდვილე და პრეზიდენტ სააკაშვილის ცრუ მოლოდინი

გურამ ფირცხალავა:
ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საქართველომ, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, ახალი ფურცლიდან უნდა დაიწყოს 7 რუსეთთან ურთიერთობა

თამაზ წივწივაძე:
9 ვიდრე სააკაშვილი ტელეეკრანზე „პერანგის ამხანაგის“ გარეშე არ გამოჩნდება, იქამდე გიჟად არ ითვლება?!

ოპოზიციის 12 ახლა წამოწყებული «ბრძოლის» მიზანი მოსახლეობის მორიგი გაბითურებაა



ტარიელ გაგნიძე:
6 რა არის ნატო სინამდვილეში და გვჭირდება თუ არა ჩვენ ნატოში გაწევრება



იმედა ბუთხუზი:
ბაჩო ახალაია ასეთი სიტყვებით მომმართა: თქვე ნაძირლებო, რამდენი ერთი 14 დაგხოცოთ, ხომ ხედავთ, პასუხი არავინ მაგებინაო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გაფრაზებულნი



**ილია მეორე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

ადამიანი უძლურია, გააჩნია ცოდვები, ვნებები. ნათქვამია, — „არა არს კაცი, რომელიც სცოდებდეს და არა სცოდნოდეს“. ხშირია, როცა მძიმდება ეს ჯვარი და ადამიანი ეცემა. როცა აღარ გვაქვს ძალა წინსვლისა, მაშინ ვამბობთ – „დავიღალე, დავიღალე, მოდი ჩემთან უფალო“. და მართლაც უფალი მოდის ჩვენთან, აღგვადგენს დაცემისგან და გზას ვაგრძელებთ... ვისაც აქვს ღვთის რწმენა, სასოება და ჭეშმარიტი სიყვარული ღვთისადმი, ის აუცილებლად მივა ბოლომდე.

*„ინტერპრესნიუსი“*



**მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:**

ვაპირებ სათანადო წერილებით მივმართო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ეუთოს გენერალურ მდივანს და ევროპის კავშირის ხელმძღვანელობას, სადაც მკაფიოდ იქნება გაცხადებული, რომ ჩვენ არ გვინდა ძალის გამოყენება ჩვენი უკანონოდ გაყოფილი ქვეყნის გასაერთიანებლად, არც საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ, არც მათი მარიონეტების წინააღმდეგ, მაშინაც კი, როდესაც გაეროს წესდება შეიძლება გვაძლევდეს ამის უფლებას.

*prezident.gov.ge*



**ედუარდ შევარდნაძე, ექს-პრეზიდენტი:**

არ მინდა სააკაშვილთან კამათი, რადგან მასთან კამათს აზრი არა აქვს. ერთხელ ვთქვი, ვერ გავზარდე-მეთქი და გამეორებები არ მიყვარს... არ ვიცი, ცოცხალი ვიქნები თუ არა, მაგრამ მოვა დრო, ამ საქმის ექსპერტები და რაც მთავარია, ხალხი შეადარებს, რა იყო შევარდნაძის დროს და რა არის დღეს.

*„ასავალ-დასავალი“*



**ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:**

ვაფრთხილებ ხელისუფლებას: ღმერთი არ გაგიწყრეთ და საკუთარ ხალხზე, მშვიდობიან დემონსტრანტებზე, 25 ნოემბერს ხელი არ აღმართოთ! არანაირ პროვოკაციას ჩვენ არ ვაპირებთ და თუ ხელისუფლება გაბედავს ხალხზე ხელის აღმართვას, გარწმუნებთ, ბუმერანგივით შემოუტრიალდება ეს ყველაფერი ხელისუფლებას და ძალიან ცუდად დაამთავრებს! ვიმეორებ: ძალიან ცუდად!

*„ასავალ-დასავალი“*



**ირინა სარიშვილი, პოლიტიკური მოძრაობა „იმედის“ თავმჯდომარე:**

დანამდვილებით ვერ გეტყვით, დღესდღეობით რომელ ქვეყანას უფრო აწყობს სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე, მაგრამ დღესავით ნათელია, რომ ქართველ ხალხს მიშა არ სჭირდება!

*„ასავალ-დასავალი“*



**გურამ ლაკია, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი, პოლკოვნიკი:**

სამეგრელო იყო, არის და ყოველთვის იქნება ქართული სახელმწიფოებრიობის ხერხემალი და ბურჯი! ამიტომ სამეგრელოს სახელით მივმართავ სრულიად საქართველოს, მთელ ქართველ ერს: ნუ დავუტოვებთ საჯიჯგნად ჩვენს ქვეყანას ამ ერთ მუჭა არამზადებს!

*„ასავალ-დასავალი“*



**ალექსანდრე ელერდაშვილი, აღმოსავლეთმცოდნე:**

ჩვენ რომ ორასწლიანი ერი ვიყოთ, შესაძლოა, მივბაძოთ ფრანგის თუ იტალიელის გამოცდილებას, მაგრამ, როცა მასზე დიდი და, რაც მთავარია, მდიდარი ისტორია გაქვს, უპირველესად, საკუთარ ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა მიიღო გადაწყვეტილება. ეს ქართული ენის, ჩვენი მშობლიური ენის პრობლემებსაც ეხება.

*„ყველა სიახლე“*

# «ლოთის ალგორითმი» და დიდი პოლიტიკა

**„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქართულ პოლიტიკაში ერთი მარტივი ალგორითმი მოქმედებს: როდესაც ხელისუფლება მიიჩნევს, რომ საერთაშორისო არენაზე მისი მდგომარეობა სტაბილურია და აშშ-ის მხარდაჭერა აქვს, ის ქვეყნის შიგნით აიწყვეტს ხოლმე და მოუზომავ ნაბიჯებს დგამს. ეს კი, თავის მხრივ, ღრმა კრიზისითა და საერთაშორისო პოზიციების შერყევით სრულდება. შემდეგ ფარდობითი სიმშვიდისა და დასავლეთის ნდობის აღდგენის პერიოდი იწყება, რომლის ბოლოს ხელისუფლება ისევ თამამდება და ყველაფერი თავიდან იწყება. ამ თვალსაზრისით, ნატოს ლისაბონის სამიტი, რომლის შემდეგაც ხელისუფლებამ თავი საეჭვოდ თავდაჯერებულად იგრძნო, ქვეყნისთვის კარგს არაფერს მოასწავებს.**




## დაგვიანებული პაემანი ლისაბონში

ეს რაღაცით პათოლოგიური ლოთის ქცევას ჰგავს: დათვრება, გარეთ გამორბის, იგინება და ქვებს ისვრის; გაღიზიანებული უბნელები ცემას უპირებენ, ხოლო ოჯახის წევრები ყვირილით კუდში დასდევენ. ბოლოს, სირცხვილნაჭამი, სახლში ბრუნდება და გარკვეული დროის განმავლობაში არ ჩანს, მაგრამ თუ გარეთ გასვლა მოუწევს, თავჩაქინდრული დადის და უაღრესად ზრდილობიანად იქცევა. შემდეგ კი ისევ თვრება და ყველაფერი მეორდება. **საქართველოშიც მსგავსი რამ ხდება, ოღონდაც არყის როლს სააკაშვილის გუნდისთვის შეუზღუდავი ძალაუფლება და აშშ-ის მხარდაჭერა ასრულებს.**

**გამორიცხული არაა, რომ ამჟამად „ქვების სროლის“ მორიგ ეტაპს ვუახლოვდებით, რადგან ლისაბონის სამიტის შემდეგ ხელისუფლების განწყობა უაღრესად ოპტიმისტური გახდა. მიხეილ სააკაშვილის ოცნება ასრულდა, ბარაკ ობამამ მასთან შეხვედრა ინება.** ვერ ვიტყვით, რამდენად ჰგავდა მათი საუბარი ზემოაღწერილი ლოთისა და უბნის ინსპექტორის დიალოგს, რადგან ოფიციალური ინფორმაცია ძალზე მწირია. თუ თეთრი სახლის ორ რელიზს შევადარებთ, რომელთაგან პირველი აპრილში ობამა-სააკაშვილის სატელეფონო საუბრის შემდეგ გავრცელდა, ხოლო მეორე — ლისაბონში შეხვედრის შემდეგ, ვნახავთ, რომ ისინი იდენტურია იმ ნაწილში, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის საკითხს და ავღანურ ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობას ეხება, თუმცა შემდეგ მცირეოდენი განსხვავება ჩნდება: აპრილში **„ორმა პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სტაბილური და დემოკრატიული საქართველო გასაღებია რეგიონალური მშვიდობის, თანამშრომლობისა და წინსვლისთვის“.** მათ ისაუბრეს **„საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე“** და იმაზე, რომ **„ყველა მხარემ თავი უნდა შეიკავოს პროვოკაციული მოქმედებებისგან რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებისთვის“;** ნოემბერში კი **„ორმა ლიდერმა განიხილა საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა, რეფორმები გაატაროს პოლიტიკის, ეკონომიკისა და თავდაცვის სფეროში, აგრეთვე, განიხილეს საქართველოში დემოკრატიის, სტაბილურობის, კეთილდღეობის ის საკითხები, რომლებიც მხარეთა საერთო ინტერესის სფეროს მიეკუთვნება“.**

თუ ყოველივე ამას მიკროსკოპით მივუდგებით, შეგვიძლია აღმოვაჩინოთ, რომ აქცენტი რეგიონული სტაბილურობიდან საქართველოს საშინაო პრობლემებზე გადავიდა, რადგან, როგორც ჩანს, სწორედ ამ სფეროში შეიძლება წარმოიქმნას იმპულსი, რომელიც ესოდენ ნალოლიავებ სტაბილურობას ნაცარტუტად აქცევს.

**საეჭვო საკონსტიტუციო რეფორმა, ოპოზიციის ფაქტობრივი იგნორირება, მძიმე სოციალური ფონი და უკმაყოფილოთა რაოდენობის განუხრელი ზრდა, საქართველოში დესტაბილიზაციისა და უკონტროლო პროცესების დაწყების საშიშროებას მნიშვნელოვნად ზრდის. საფრთხე შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს და მის აღმოჩენას არც მიკროსკოპი, არც ჰაბლის ტელესკოპი არ სჭირდება.**

ვაშინგტონისთვის კი ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნება და ამას ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს. მართალია, თეთრი სახლის დღევანდელ გლობალურ სტრატეგიაში საქართველომ, როგორც რუსეთთან მწვავე დაპირისპირების პლაცდარმმა, მნიშვნელობა დაკარგა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აშშ აქ პოზიციების შენარჩუნებაზე უარს ამბობს.

საქართველო „დიდ თამაშში“ „სათადარიგოთა სკამზე“ ჯდება, ხოლო სათადარიგო მოთამაშეს ორი რამ მოეთხოვება: არ გამოვარდეს მოედანზე, როცა მოეხასიათება და მზად იყოს, თამაშში ნებისმიერ წუთს ჩაერთოს. ამასთანავე, **მორიგი დესტაბილიზაცია ამიერკავკასიაში რუსეთს შესაძლებლობას მისცემს, კიდევ უფრო წაიწიოს სამხრეთით, რაც ამერიკელებისთვის არასასურველია. მათთვის თანამედროვე ეტაპის არსი, როგორც ჩანს, საქართველოს არაფორმალურ „ფინლანდიზაციაშია“, როდესაც ის, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთის გაღიზიანებას არ გამოიწვევს, „სტრატეგიული მოთმინებით“ იხელმძღვანელებს და რეგიონის დესტაბილიზაციას ხელს არ შეუწყობს.** თუმცა სხვა სფეროებში (პოლიტიკური ინსტიტუტები, ეკონომიკური და ჰუმანიტარული კავშირები და ა.შ.) ნელ-ნელა დაუახლოვდება დასავლეთს, უპირველეს ყოვლისა, შეერთებულ შტატებს. ეს რაღაცნაირად ჰგავს „ცივი ომის“ პერიოდიდან შემორჩენილი აეროდრომების კონსერვაციას, იქ თვითმფრინავები აღარ არის, თუმცა ინფრასტრუქტურა შენარჩუნებულია, ნაწილობრივ უმჯობესდება კიდეც, საჭიროების შემთხვევაში ასეთი აეროდრომები ძველ ფუნქციას სწრაფად დაიბრუნებენ.

**ვაშინგტონს, სავარაუდოდ, არ სურს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ თავისი მოუქნელი და არაადეკვატური ქმედებებით მისი ეს სტრატეგია ჩაშალოს. დასახული მიზნების მიღწევისთვის თეთრ სახლს დასჭირდება საქართველოს შიდაპოლიტიკურ ასპარეზზე დესტაბილიზაციის კერების თანმიმდევრული აღმოფხვრა, რისთვისაც საუკეთესო საშუალებაა თანდათანობითი დემოკრატიზაცია (აქ, ცხადია, იგულისხმება არა კლასიკური დემოკრატია, არამედ თანამედროვე ლათინოამერიკული ვარიაციები ამ თემაზე), ომის განუახლებლობის გარანტიების გამყარება, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზაცია და თბილისელი პარტნიორების ზოგადი ადეკვატურობა შიდაპოლიტიკურ საქმეებში.** ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ კონტექსტში სააკაშვილის ხელისუფლების შენარჩუნება დღევანდელი სახით მოხერხდეს. განიცდის ის სწრაფ დემონტაჟს თუ ნელ სახეცვლილებას? პასუხი ამ კითხვაზე შეიძლება უფრო მალე მივიღოთ, ვიდრე წარმოგვიდგენია.

ნუ წარმოვიდგენთ, რომ ობამამ სააკაშვილს, უბრალოდ, უთხრა „წადი!“, მიუხედავად იმისა, რომ ეს ვერსია საქართველოში ფართოდ გავრცელდა. **თუ ვაშინგტონი გადაწყვეტს, რომ „დემოკრატიის მეჩირაღდნემ“ (თუ მეშუქურემ? მოკლედ, ვინც არის) სავარძელი სასწრაფო წესით უნდა დატოვოს, თავად სააკაშვილს ამის შესახებ, სავარაუდოდ, არაფერს ეტყვიან, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ მან მსგავსი შეთავაზება ადეკვატურად აღიქვას. ასე რომ, „რო რამე“, სააკაშვილი, ალბათ, უკანასკნელი იქნება, ვინც გაიგებს, რომ მისი ბენეფისი დასრულდა.** საინტერესოა, რომ მოჩვენებითი მხარდაჭერით (შეხვედრის ფაქტით) შეგულიანებულმა სააკაშვილმა საქართველოს შიგნით შეიძლება ისეთი მოუზომავი ნაბიჯები გადადგას, რომ ხელისუფლება კრახამდე მიიყვანოს. ზემოაღწერილ „ლოთის ალგორითმს“ მხედველობაში თუ მივიღებთ, შეგვიძლია ასეთი კონსპიროლოგიური ვერსიაც ჩამოვაყალიბოთ: ის, ვისაც ლოთისთვის ცუდი რამ სურს, მას გაუღიმებს და არყის ბოთლს მისცემს; ყოველივე დანარჩენს საკუთარ თავს ლოთი თავად დამართებს.

## რუსეთსა და ნატოს „თაფლობის თვე“ აქვთ

**ლისაბონის სამიტზე ბარაკ ობამამ დიმიტრი მედვედევთან შეხვედრის დროს „მოახდინა რუსეთის პრეზიდენტის ინფორმირება მიხეილ სააკაშვილთან გამართული შეხვედრის შესახებ“. ოფიციალურ ინფორმაციაში ამ ფაქტის ხაზგასმა, ალბათ, მიანიშნებდა იმაზე, რომ აშშ საქართველოსთან თანამშრომლობისას რუსეთის ინტერესებს ითვალისწინებს და „კარტებს მაგიდის ქვეშ არ მალავს“.**

აგრეთვე, გამორიცხული არაა, რომ ობამამ მოსთხოვა სააკაშვილს, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების გზაზე დაბრკოლებები მოხსნას. თუ ეს ვარაუდი სიმართლეს შეესაბამება, უახლოეს მომავალში ამ მიმართულებით ოფიციალური თბილისის გააქტიურებას უნდა ველოდოთ, რომელსაც ის, ალბათ, „კეთილი ნების ჟესტად“ გაასაღებს.

სამიტზე, როგორც ნავარაუდევი იყო, დადასტურდა 2008-ში ბუქარესტში მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით, თუმცა ვადებსა და სამოქმედო გეგმებზე არაფერი თქმულა. იყო საქართველოს მხარდამჭერი სხვა განცხადებებიც, თუმცა ისინი ერთობ მოაგონებდა ტკბილ კაფსულას მწარე წამლისთვის: **კრიზისი რუსეთისა და ნატოს ურთიერთობებში, რომელიც 2008 წლის ომს მოჰყვა, დასრულდა. მართალია, დაფიქსირდა, რომ მხარეებს საქართველოს საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ, მაგრამ ცხადი გახდა, რომ თანამშრომლობის გაღრმავებაზე ეს გავლენას ვეღარ მოახდენს. მარტივად რომ ვთქვათ, მოსკოვი-ბრიუსელის მატარებელი დაიძრა, ჩვენ კი ბაქანზე დავრჩით.**

საუბარმა ობასთან, როგორც ჩანს, ძლიერ იმოქმედა მიხეილ სააკაშვილზე და მან ლისაბონში გამეფებული ზოგადი სიამტკბილობის ატმოსფეროს შესაბამისი განცხადებები გააკეთა, **„ვაპირებ, რუსეთს ხელი გავუწოდო“, „მოლარაკეებები რუსეთთან გარდა-** ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ **უვალია“,** თუმცა კრემლი მას კვლავინდებურად დამნაშავედ თვლის და მასთან დიალოგის შესაძლებლობას გამორიცხავს.

ამასთანავე, მოსკოვში არაერთხელ გაკეთდა მინიშნებები (მათ შორის ვლადიმერ პუტინის მხრიდან), რომ, იმ შემთხვევაში, თუ ქართველები, აფხაზები და ოსები საერთო ენას გამონახავენ, გამორიცხული არაა, რომ მომავალში ისევ ერთ სახელმწიფოში (სავარაუდოდ, იგულისხმებოდა კონფედერაციული მოდელი) იცხოვრონ. თუმცა, ვიდრე ხელისუფლებაში სააკაშვილი რჩება, ნაკლებად სავარაუდოა, კრემლმა ამ მიმართულებით თუნდაც ერთი ნაბიჯი გადადგას. არადა, ამ პრობლემის მოგვარება მას ნამდვილად შეუძლია.

**ნატოს ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში ჩაიწერა, რომ ალიანსი არ წარმოადგენს არანაირ საფრთხეს რუსეთისთვის და მასთან პარტნიორობის გაღრმავებას აპირებს.** ალიანსისა და რუსეთის წარმომადგენელთა განცხადებებში განისაზღვრა თანამშრომლობის კონკრეტული სფეროები: ერთობლივი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა, თანამშრომლობა ავღანეთში (ტრანზიტი, რუსული ტექნიკა და ინსტრუქტორები ავღანური სამთავრობო ძალებისთვის და სხვ.), ბრძოლა ტერორიზმთან, ნარკობიზნესთან და ა.შ.

რუსეთისა და ნატოს სწრაფ დაახლოებას მხოლოდ ავღანეთში შექმნილი პრობლემები არ განაპირობებს; აქ, ალბათ, გლობალური კონტექსტი უნდა გავითვალისწინოთ. **დაპირისპირება ვაშინგტონსა და პეკინს შორის ღრმავდება და იმისთვის, რომ რუსეთ-ჩინეთის ალიანსი არ შედგეს, ვაშინგტონი ბევრ დათმობაზე წავა (ჯერ სად ვართ!).** მაგრამ რუსულ არწივს, როგორც ცნობილია, ორი თავი აქვს: ერთი დასავლეთს უყურებს, მეორე კი — აღმოსავლეთს. როგორც კი პრეზიდენტი მედვედევი ლისაბონიდან დაბრუნდა, პრემიერი პუტინი ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს — ვენ ძიბაოს შეხვდა; მხარეები სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ. აშშ-თან და ნატოსთან „თაფლობის თვის“ მიუხედავად, ნაკლებად სავარაუდოა, რუსეთმა თავის საგარეო პოლიტიკაში დისბალანსი დაუშვას, ის ორივე მხარესთან ითანამშრომლებს, რათა მაქსიმალური მოგება მიიღოს.

### აუსტერლიცის მზე და ვატერლოოს მთვარე

ეს გლობალური საკითხები, რა თქმა უნდა, საინტერესოა, თუმცა ისევ ჩვენს საქმეებს მივხედოთ. ხვალ, 25 ნოემბერს, თბილისში მასშტაბური საპროტესტო აქციის გამართვა იგეგმება. სიტუაციის სერიოზულობა ცხადი მას შემდეგ შეიქნა, რაც ცნობილი გახდა, რომ „ეროვნული ფორუმი“ „წარმომადგენლობით სახალხო კრებას“ უერთდება. როგორც ჩანს, გამართლდა პროგნოზი, რომელიც ივნისში გავაკეთეთ (ციტატა): **„ეროვნული ფორუმი“ და „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ დასახული მიზნისკენ ორი კოლონით სხვადასხვა გზებით მიდიან. ერთი კოლონა მიდის (გერმანელი მეგობრების თქმის არ იყოს, “Die erste Kolonne marschiert”) მარჯვნივ, მისი გზა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ბრძოლაზე გადის და, დიდი ალბათობით, ხელისუფლებისთვის ულტიმატუმის წაყენებითა და მოქმედების რადიკალიზაციით დასრულდება. “Die zweite Kolonne marschiert (უკაცრავად) — მეორე კოლონა, თავის მხრივ, მიდის მარცხნივ, „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ მოწვევის გზით და, როგორც ჩანს, საბოლოო ჯამში, ვადამდელი არჩევნების სასწრაფოდ დანიშვნას მოითხოვს. ნაკლებად სავარაუდოა, ხელისუფლებამ ამ ტაქტიკურ სხვაობებში, დაინახოს რაიმე სხვა, ესკალაციისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი საბაბის ძიების გარდა. მისთვის, მთავარი ინტრიგა, ალბათ, ისაა, ჩააღწევს თუ არა ოპოზიციის ორივე კოლონა უვნებლად დროისა და სივრცის იმ წერტილში, სადაც გადამწყვეტ მომენტში მათი პოტენციალი შეიძლება გაერთიანდეს.**

**იმავე მიმართულებით სხვა, მცირე რაზმები და პოლიტიკური მაროდიორების ბანდები მიემართებიან, თუმცა ამ შემთხვევაში მხოლოდ ზოგადი მონახაზი და გენერალ-ფელდმარშალი ჰელმუტ მოლტკე (უფროსი) ნაბახუსევზე რომ იტყოდა, „მთავარი ძალების შეუფერხებელი წინსვლის შესაძლებლობები“ გვაინტერესებს. ერთის მხრივ, ასეთი მანევრი ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების ფართო მობილიზაციის შესაძლებლობას იძლევა; ვისაც, მიზეზთა გამო ერთი ძალა არ მოსწონს, დანიშნულების ადგილამდე მეორეს გაჰყვება“** (ციტატის დასასრული).

მოლტკე-უფროსის სახელობის მანევრი, რომლის შესახებ ივნისის დასაწყისში ვწერდით, როგორც ჩანს, ნოემბრის ბოლოს წარმატებით დასრულდა, ორმა კოლონამ სხვადასხვა გზებით დანიშნულების ადგილამდე, პოლიტიკური ბრძოლის ველამდე, ჩააღწია, რომელიც (თუ უცაბედად რაიმე აბსოლუტურად მოულოდნელი არ მოხდა) ხვალ დაიწყება.

**გამარჯვება თუ მარცხი? აუსტერლიცის მზე თუ ვატერლოოს მთვარე? დიდების ბაირაღი თუ დალეჭილი ჰალსტუხი, მარტივად რომ ვთქვათ?**

ეს არავინ იცის, თუმცა ძალიან ბევრ რამეს აქციებში ჩართული პარტიების მიერ შემუშავებული გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი და მოქმედების კოორდინაცია გადაწყვეტს. წარმატების (ანუ სააკაშვილისა და მისი მთავრობის გადადგომისა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის) მიღწევის შანსი, ობიექტურად თუ შევხედავთ, ძალზე მცირეა, მაგრამ ის ნამდვილად არსებობს. დისპოზიცია, ალბათ, შემდეგი იქნება: აქციის „გული“, როგორც ჩანს, პარლამენტთან თავმოყრილი საზოგადოება, „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ დელეგატები იქნებიან, ხოლო მაგისტრალებისა და სამთავრობო შენობების შესაძლო პიკეტირებას შედარებით მცირე მობილური ჯგუფები განახორციელებენ. აქ მთავარ როლს, სავარაუდოდ, „ეროვნული ფორუმი“ და მისი მხარდამჭერები შეასრულებენ. თუმცა, რა აზრი აქვს მკითხაობას იმაზე, რასაც საკუთარი თვალით ხვალ ვიხილავთ.

**ერთის შეხედვით, ხელისუფლების რესურსი განუზომლად დიდია, თუმცა ყველაფერი რომ ფარდობითი სიდიდითა და სიმცირით იზომებოდეს, ალბათ, არ იარსებებდა ისეთი ცნება, როგორიცაა „სასწაულის სტრატეგია“ და მოულოდნელ გამარჯვებებს ისტორიაში ადგილი არ ექნებოდა.**

მიუხედავად იმისა, თუ როგორ წარიმართება მოვლენები, ხვალ, 25 ნოემბერს, ნებისმიერ შემთხვევაში, უაღრესად საინტერესო დღე იქნება, რომელიც ბევრ კითხვას გასცემს პასუხს; ვრცლად ამ თემაზე მომდევნო ნომერში ვისაუბრებთ.

**დიმიტრი მონიავა**

# ერთხელ ლისაბონში

**ობამამ ლისაბონში ხელი ჩამოართვაო მიხეილ სააკაშვილს! — ხარობს ნაციონალების ქვეყანა. „რევოლუციის“ მეშვიდე წლისთავზე მივიღეთ საჩუქრად, ისევე, როგორც წინათ — „ბუშის ბარკლები“ და იმაზე უწინ — რუზველტის კვერცხის გულების ყვითელი ფხვნილი. ბევრი გვინახავს ხელის ჩამორთმევა, მათ შორის, დიქტატორ სამოსასთვისაც, რომელიც კი იყო შობელძაღლი, მაგრამ მაინც ჩვენი იყოო, ამბობენ ამერიკელები. მოიხმარეს და გადააგდეს.**




შეხვდნენ აშშ-ისა და საქართველოს პრეზიდენტები ერთმანეთს, ისაუბრეს. რის თაობაზე, არ ღირს მარჩიელობად, რადგან უთხრეს მიშას, გეყოფა და გადადექიო, თუ — აბა, შენ იცი, ბოლომდე გაიტანეო, არავინ იცის. ვერც გავიგებთ, რადგან, ჯერ ერთი, ასეთი საუბრების კონფიდენციალობას ყოველთვის უპირობოდ იცავენ; მეორე, სააკაშვილი რასაც გვეტყვის, იმის დაჯერება რომ არ შეიძლება, ჩვენთან ბავშვმაც კი იცის, რომელსაც სკოლაში „მიშა! მიშას!“ სკანდირებას ინგლისურად ასწავლიან „ყივჩალი პედაგოგები“.

ფაქტია: **ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ლისაბონის სამიტი გამორჩეული იყო, უწინარეს ყოვლისა, რუსეთთან ნატოს თანამშრომლობის დალაგებით, რაკეტსაწინააღმდეგო ფარის ერთობლივად აგებისკენ რეალური ნაბიჯების გადადგმით. სტრატეგიული პარტნიორობა და არა კონფრონტაცია! და ამ მთავარ აქცენტს, ვალის მოხდასავით მიყოლებული, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სიტკბოში ამოვლებული მწარე აბივით — მოწოდება თუ სურვილი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოწესრიგების თაობაზე.**

კონფლიქტებიანი საქართველოსთვის ნატოს კარი ღიაა, მაგრამ საკუთარი კონფლიქტების მოგვარების შემდეგ, რაიც საქართველოზეა დამოკიდებულიო. ასეთ დებულებად ყალიბდება ლისაბონის სამიტის ფორმულირება ჩვენი ნატოური პერსპექტივის შესახებ. ხოლო საქართველოს, როგორც დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობის ერთგვარი გამღიზიანებლისა და გამწვავებლის მნიშვნელობა გაცვდა და დღის წესრიგიდან ამოღებულს დაემსგავსა, ყოველ შემთხვევაში, უკანა რიგებში გადაინაცვლა. არ გამოუვიდა მიხეილ სააკაშვილს იულიუს კეისრისეული „ვენი, ვიდი, ვიცი“. კი მივიდა, კი ნახა, მაგრამ... დამარცხდა.

გარეთ კი 23 ნოემბერია. წელი მეშვიდე. საკრალური რიცხვი შვიდი. სიმბოლური.

## არ გამოუვიდა მიხეილ სააკაშვილს იულიუს კეისრისეული „ვენი, ვიდი, ვიცი“. კი მივიდა, კი ნახა, მაგრამ... დამარცხდა.

**სიმბოლოების მოყვარულ მიხეილს, რომელსაც შეუძლია წაგებული ომი სიმბოლური გამარჯვების ზეიმით დააგვირგვინოს, ქუთაისში დიდების მემორიალის აფეთქებით და კიდევ სხვა წვრილ-წვრილი თარიღების დამთხვევით თავისი დიდებული აღმასვლის მიჯნების სიმბოლურად მონიშვნა ეხერხება, დაავიწყდა ვითომ „ვარდების რევოლუციის“, ასე ვთქვათ, საიუბილეო თარიღის გამორჩეულად აღნიშვნა?**

ჩაილურის წყალი დალია ჩვენმა იმედებმა და მოლოდინმა, ანუ კაკას ხიდი გაიარა და დაიკარგა.

ამათ არ ეზეიმებათ. ან რა შეიძლება ჰქონდეს საზეიმო და აღსანიშნავი, სატაშფანდურო და აქტივში ჩასაწერი ხელისუფლებას, რომელიც არაერთგზის ხელკეტებით, რეზინის ტყვიებით, ცრემლსადენი გაზითა და წყლის ჭავლით თავს დასხმია თავისი ქვეყნის მშვიდობიან დემონსტრანტებს, დაუსახიჩრებია და დაუინვალიდებია მომიტინგენი მასობრივად და პერსონალურად, რისი მწვერვალიც 2007 წლის 7 ნოემბერი იყო?

**ომი რომ დაუწყია და აგვისტოს ხუთ დღეში ისე დამარცხებულა, ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი რომ დაუკარგავს, ღმერთმა არ ქნას, საშვილიშვილოდ. მუხათგვერდის სასაფლაოზე რომ ჩაუწვენია მეომრები, სიცოცხლისთვის მოწოდებული ახალგაზრდები... ავღანეთში „სტაბილურობის დასამყარებლად“ რომ იმეტებს ქართველ ბიჭებს — „მამულის დასაცავად!“**

კონფლიქტური რეგიონებიდან აყრილი მოსახლეობის ერთ ნაწილს გეტოებში რომ ასახლებს, მეორეს კი ოთხივ კუთხით ამწესებს — ბალახიც გიძოვიათო!

**თბილისში გმირთა მოედანზე კი ფალოიმიტატორივით აღუმართავს მონუმენტი „დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად“... მკრეხელობა და ცინიზმი უკიდურესი და ცოდვა დიდი, რომელსაც გორში მიწაზე გართხმული ლიდერი ემალებოდა!**

ქუჩაში რომ ჩაუცხრილავს უდანაშაულო ბიჭები: სანდრო გირგვლიანი, ზურა ვაზაგაშვილი, ბუტა რობაქიძე, ვალერი ფხაკაძე, გიორგი გამცემლიძე და სხვები კიდევ.

რა უფლება აქვს ზეიმისა ხელისუფლებას, რომლის ზეობის დროსაც სამშობლოდან გადახვეწილ, ცნობილ ქველმოქმედსა და ბიზნესმენს — ბადრი პატარკაციშვილს და გამოჩენილ მეცნიერსა და მამულიშვილს გურამ შარაძეს გაურკვეველ ვითარებაში სიცოცხლეს უსწრაფებენ ნასყიდი თუ არანორმალური კაცისმკვლელები?

ხელისუფლებას, რომელსაც, ქვეყნის ეკონომიკის „მდგრადი“ განვითარების მიზნით, უცხოეთიდან ჩამოჰყავს ბარების მაგიდებზე მოცეკვავე კაბაწამოხდილი მეპურეები, პედერასტი ფლეთჩერი კი — ინგლისურის მასწავლებლად?

მნგრეველნი ეკლესიისანი გლდანში თუ ფერიას მთაზე, აჭარაში, ქრისტეს ფეხის მკვნეტელნი და მკრეხელნი, მსგავსი ფუთელი თეა თუთბერიძისა.

**ხელისუფლება, რომლის ამომრჩეველთა ერთი ნაწილი ასფალტდაგებული გზებისა და ბეტონის ტრასების კიდეებზე ჩამორიგებულ სანაგვე ყუთებში ყოველდღე იქექება, მეორე კი ამის პირზეა მისული, დავიჯეროთ, იმ ჭკუაზე დადგა, რომ მიხვდა — საზეიმო და სადღესასწაულო არაფერი აქვს?**

**გუშინ 23 ნოემბერი იყო, გიორგობა, და — დაივიწყეთ „ვარდების რევოლუციის“ მეშვიდე წლისთავი!**

მიუხედავად იმისა, რომ ნაცებმა ტრადიციას უღალატეს და ამ თარიღს არ ზეიმობენ, თავს უფლებას მივცემ და შვიდწლიანი დიდი „მიშიანობის“ ერთგვარ რეზიუმეს წარმოგიდგენთ. რაც გინდა იტრაბახონ ნაცტელეარხებმა, ლისაბონში სააკაშვილის ზეობის არნახული ისტორიული ფაქტის მომსწრენი გავხდითო, ამ სამიტის სულისკვეთება და შედეგები ნათლად გამოჩნდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ციტატებში:

**„...ჩვენ კვლავ შეშფოთებული ვართ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხით... თუმცა აშშ-ის, ნატოს, ევროპისა და რუსეთის ურთიერთობას დღეს გაცილებით მტკიცე საფუძველი აქვს, რაც თითოეულის ინტერესებს პასუხობს“ (ჰილარი კლინტონი).**

**„...2008 წლის მოვლენების შეფასებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს... მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ საკითხებმა ჩვენს ურთიერთობას ხელი არ უნდა შეუშალოს...“ (დიმიტრი მედვედევი).**

კომენტარი, როგორც იტყვიან, ზედმეტია, ხოლო მათ, ვისაც ჯიუტად არ სურს სიმართლის დანახვა — დასავლელი „პარტნიორების“ შეშფოთება ნუ მოუშალოს მამა და მარჩენალმა სააკაშვილმა...

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. «ტახტიდან გამოდიან ელვანი და ქუხილნი და ხმანი; და ტახტის წინ შვიდი ცეცხლოვანი ჩირაღდანი ინწვოდა»... (გამოცხადება იოანესი, 4, 5). არმაგედონ!**

24 — 30 ნოემბერი, 2010 წელი. №43 (86)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ლისაბონის სამიტი — სინამდვილე და პრეზიდენტ სააკაშვილის ცრუ მოლოდინი

**პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში დამთავრდა ნატოს ისტორიული სამიტი, რომელმაც შეაჯამა XXI საუკუნის პირველი ათწლეული და სრულიად ახალი სტრატეგიული კონცეფცია ჩამოაყალიბა, რომელიც საფუძვლიანად ცვლის ამ ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს. საქმე ისაა, რომ ის მიზნები, რაც ნატოს დაფუძნებისას, 1949 წელს, მნიშვნელოვანი იყო, ანუ საბჭოთა კავშირიდან სამხედრო საფრთხისთვის მზად ყოფნა და ცივი ომი დღეს აქტუალური აღარაა. თავისი დაარსებიდან 1990 წლამდე ნატო იყო კლასიკური კოლექტიური თავდაცვითი ორგანიზაცია. ნატომ მხოლოდ ერთხელ, 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მცირედ შეასწორა თავისი სტრატეგიული კონცეფცია, მაგრამ მაინც ცივი ომის ინსტრუმენტად დარჩა და არ მოინდომა თვითლიკვიდაცია.**



## რუსეთი ნატომ სტრატეგიულ პარტნიორად აღიარა

1991 წელს კოპენჰაგენის უმაღლესი დონის სამიტზე ნატოს ფუნქცია ასე ჩამოყალიბდა: ევროპის უსაფრთხოების სფეროში სტაბილურობის მიღწევა, დაფუძნებული დემოკრატიულ ინსტიტუტებზე. ასე რომ, კოლექტიური თავდაცვის კონცეფცია თანდათან მეორე პლანზე გადავიდა. ჯერ კიდევ 1995 წელს ალიანსის მაშინდელი გენერალური მდივანი ვილი კლაასი ნატოს მთავარ სამიზნედ ისლამურ ფუნდამენტალიზმს ასახელებს.

**ბოსნიაში სისხლისმღვრელ და სასტიკ ომს ნატო მოუმზადებელი შეხვდა. მაგრამ, როდესაც 1999 წელს მილოშევიჩმა თავის სეპარატისტულ ავტონომიაში – კოსოვოში ჯარები შეიყვანა, ნატომ ყალბი საბაბით — თითქოს სერბები ალბანელებს გენოციდს უწყობდნენ, სერბეთის მასიური დაბომბვა დაიწყო.**

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ნატოსთვის თითქოს ყველაფერი გარკვეული გახდა: მან გადაწყვიტა, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ავანგარდში ჩამდგარიყო და გაეროს ეგიდით ავღანეთში ჯარები გააგზავნა. ეს არასწორი ტაქტიკა აღმოჩნდა, ვინაიდან ალ ქაიდამ პაკისტანის მიუვალ მთებში გადაინაცვლა, ხოლო ამერიკელების ჯარებს მათივე შეიარაღებული თალიბები აღუდგნენ წინ. და თუ ალ ქაიდა პაკისტანიდანაც გააძევეს, მსოფლიოში მრავლადაა „არშემდგარი ქვეყნები“, რომლებიც ტერორიზმს კვებავენ. მაგალითად, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა ღიად არაერთხელ დაადანაშაულა სააკაშვილი ჩრდილოკავკასიელი ტერორისტების მფარველობაში.

**ლისაბონის სამიტზე მიღებული ახალი კონცეფცია ძირეულად ცვლის ამ ორგანიზაციას და მომავალი ათწლეულის გამოწვევებისადმი მზადყოფნას აცხადებს. ახალი კონცეფციით, რომელზეც მადლენ ოლბრაიტი თორმეტწევრიან საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფთან ერთად წელიწადზე მეტხანს მუშაობდა, ეს რეგიონალური თავდაცვითი ორგანიზაცია გარდაიქმნება გლობალურ აქტიურ მოთამაშედ.**

## მადლენ ოლბრაიტის მეთაურობით შემუშავებული ახალი კონცეფციით, ნატო რეგიონალური თავდაცვითი ორგანიზაციიდან გლობალურ აქტიურ მოთამაშედ გარდაიქმნება

მთავარი აქ ის არის, რომ ამ ახალი კონცეფციით ალიანსი უნდა იცავდეს ფასეულობებსა და ცხოვრების წესს (გასაგებია, თუ ვისას!).

პორტუგალიური „Jurnal de Noticias“-ი 18 ნოემბრის ნომერში წერს, რომ ეს ახალი კონცეფცია უნდა პასუხობდეს პრეზიდენტ ობამას მიერ წამოყენებულ პრობლემებს, რომლის ძირითადი იდეაა ამერიკული ჯარების გაყვანა ერაყიდან და ავღანეთიდან, რაც ქმნის ვაკუუმს და რის შევსებასაც, შესაძლოა, ირანი შეეცადოს. ახალი კონცეფციით კი, სწორედ ნატო უნდა გახდეს ალტერნატივა და ამერიკული არმიის ადგილი უნდა დაიკავოს.

ამიტომ **ამ სამიტზე მთავარი საკითხი მაინც ავღანეთის პრობლემა იყო და ამის გამო შეხვდა პრეზიდენტი ობამა სააკაშვილს, რათა გაერკვია, თუ კიდევ რა რაოდენობის კონტიგენტის გაგზავნა შეუძლია საქართველოს ავღანეთში, მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპის ქვეყნები ღიად ითრევენ ფეხს და არ უნდათ თავისი ბიჭების სასაკლაოზე გაგზავნა შორეულ ქვეყანაში, სადაც ისინი ოკუპანტის სტატუსით იქნებიან. ევროპელებს არავითარი სურვილი არ აქვთ, წავიდნენ ისეთივე რისკზე და ისეთივე ფასი გადაიხადონ, როგორც ამერიკელებმა.**

სხვათაშორის, აქამდე **ნატოს ჯარების ავღანეთში ყოფნა თვით ნატოს შიდა განაწესითაც კი უკანონო იყო.**

ამავე გაზეთის აზრით, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მსოფლიოში გაიზარდა ჩინეთისა და ინდოეთის როლი, რომლებიც ამავე დროს ბირთვული სახელმწიფოებია. ასეთ სიტუაციაში კი **ნატომ ახლებურად შეხედა რუსეთს, რომელსაც შეუძლია „გადამწყვეტი როლი შეასრულოს ავღანეთის, ერაყისა და ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით“.**

ნატოს მესვეურთა აზრით, ყოფილი მტრების ახალ მსოფლიო წესრიგში ჩართვას გადამწყვეტი როლი ექნება მშვიდობის გამტკიცებაში. მათი აზრით, პანევროპული წესრიგის ლოგიკური გადაწყვეტა იქნებოდა ამ ორგანიზაციაში რუსეთის შესვლა. **ნატოს რუსეთი სჭირდება, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული საშიშროების შესამცირებლად; საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის გარდა, ნარკოვაჭრობის გასაკონტროლებლად, მეკობრეების წინააღმდეგ საბრძოლველად და ავღანეთში სიტუაციის სტაბილიზაციისთვის.**

გარდა ამისა, იტალიური „Il Sole 24 Ore“-ს აზრით, ნატოში რუსეთის თანმიმდევრული ინტეგრაცია გააცოცხლებდა ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებს და ევროპას გახდიდა ამერიკის უფრო ძლიერ გეოპოლიტიკურ პარტნიორად. სწორედ ამ მიზნით იყო ამ სამიტზე მიწვეული რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი.

მაგრამ ჩვენთვის ძალიან საინტერესო მოსაზრება სწორედ ამ გაზეთმა გამოთქვა ჯერ კიდევ ივლისში. მისი აზრით, **მხოლოდ რუსეთის ნატოში გაწევრების შემდეგ იქნება შესაძლებელი საქართველოსა და უკრაინის, ასევე დსთ-ს სხვა ქვეყნების მომავალი გაწევრება, თუ ამისი სურვილი ექნებათ, და ისე, რომ რუსეთის გაღიზიანება არ გამოიწვიონ.**

მაგრამ ლისაბონის სამიტზე გადაწყდა, რომ მომდევნო ათწლეულში ეს ორგანიზაცია გაფართოვდება მხოლოდ სამი დასავლეთბალკანური ქვეყნის ხარჯზე, რომელთაც, კარგა ხანია, მიღებული აქვთ მაპი, ანუ გაწევრებისთვის აუცილებელი სამოქმედო პროგრამა. ხოლო საქართველოსთვის დატოვეს ბუქარესტის სამიტზე მიღებული არაფრისმთქმელი ფორმულა, რომ ოდესმე, გაურკვეველ მომავალში (ალბათ, რუსეთის შესაძლო გაწევრების შემთხვევაში), და საქართველოს მიერ ყველა ვალდებულებების შესრულების შემდეგ, ყოველ შემთხვევაში, არა 2020 წლამდე, შესაძლოა, დაიწყოს სერიოზული ლაპარაკი მაპის მიღებაზე.

**საქართველოს აქტიური მხარდამჭერი ქვეყნის — ლიტვის ჟურნალი „Geopolitika“ სტატიაში „ნამდვილად თუ არის ნატოს კარი საქართველოსთვის ღია?“ მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეს ასე არ არის. აქედან გამომდინარე, ლისაბონის ისტორიული სამიტი სააკაშვილის საგარეო პოლიტიკისთვის სრული კრახით დამთავრდა. და ეს იმის მიუხედავად, სახელისუფლო პოლიტიკოსები და „ჯიბის“ ექსპერტები „ჭკვიანური“ სახეებით რასაც არ უნდა ამბობდნენ ნაცების ტელეარხებიდან. რამდენიმე დღით ადრე კი იმავე ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე ვარშავაში მხოლოდ პოლონეთის სეიმის მარშალმა (სპიკერმა) გჟეგოჟ შჩეტინამ სესიაზე თქვა, რომ ალიანსის კარი ღია უნდა დარჩეს უკრაინისა და საქართველოსთვის. და ეს მაშინ, როდესაც უკრაინამ გასაგებად განაცხადა, რომ მას არ სურს ამ ორგანიზაციაში გაწევრება და, რაც სააკაშვილმაც აღიარა ობამასთან შეხვედრის შემდეგ. მაგრამ საქართველოს გაწევრების თეორიული შესაძლებლობა მხოლოდ უკრაინისთან ტანდემში განიხილებოდა.**

ლისაბონის სამიტზე მიღებული ახალი სტრატეგიით ეს ორგანიზაცია ორიენტირებული იქნება ახალი გამოწვევების წინააღმდეგ საბრძოლველად, ისეთებისა, როგორიცაა ტერორიზმი, ასევე ანტისარაკეტო ფარის დაყენება ევროპაში. **გერმანელებმა და ფრანგებმა ცოტა ხნის წინათ საფრანგეთის ელიტარულ კურორტ დოვილში თავიანთი ლიდერების მედვედევთან შეხვედრისას რუსეთს პირდაპირ უთხრეს — ჩვენ თქვენ გვჭირდებით. მათი აზრით, რუსეთი საჭიროა, რომ მოუაროს თავის** ▶

## მოკლედ

### რუსეთი დისკუსიისთვის მზადაა

**რუსეთი და ნატო 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შეფასებისთვის დისკუსიის დასაწყებად მზად არიან.** ამის თაობაზე განცხადება რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ლისაბონში გამართულ ნატოს სამიტის შედეგების შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე გააკეთა. მისი თქმით, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, რუსეთი დისკუსიის გასამართად მზად არის. „ჩვენი ურთიერთობები კარგად ვითარდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ შორის უთანხმოება არ რჩება. აზრთა სხვადასხვაობა 2008 წლის მოვლენების შეფასებისას გვაქვს. თუმცა ეს თემა განხეთქილების ვაშლად არ უნდა იქცეს. გვსურს, ამ საკითხზე დისკუსია ნაყოფიერი იყოს“, — აღნიშნა მედვედევმა და დასძინა, რომ რუსეთი-ნატოს ურთიერთობებში სხვა საკითხებიც არსებობს.

### ამერიკაში ინტერნეტს გააკონტროლებენ

**აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელმა რობერტ მიულერმა პოპულარული სოციალური ქსელების მომხმარებელზე თვალთვალის გაფართოება მოითხოვა.** ამგვარი წინადადებით მან მსოფლიოს უმსხვილეს ინტერნეტ კომპანიებს მიმართა, უფრო სწორად დაავალდებულა ისინი. მიულერს სურს, ინტერნეტ კომპანიები აიძულოს, რომ მათ თვალთვალის საკუთარი ტექნოლოგიები გამოიმუშაონ და „ამოღებული“ ინფორმაცია, ისევე, როგორც მონაცემთა მთელი ბაზის გაშიფვრა, გამოძიების ფედერალურ ბიუროს გადასცენ. ეს უწყება ჯერ კიდევ 1994 წლიდან მოითხოვდა ფედერალური კანონის გაფართოებას და, როგორც სატელეკომუნიკაციო, ასევე ინტერნეტ-კომპანიებისგან მომხმარებელთა საუბრების ჩანაწერების ხელში ჩაგდებას.

### ობამამ და მედვედევმა სააკაშვილზე ისაუბრეს

**„ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა ლისაბონში მეტად გულითადი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ყველა განსახილველი თემა სასიამოვნო არ ყოფილა“, — განაცხადა ობამას ადმინისტრაციის წევრმა.** მისი თქმით, ეს ინფორმაცია მან პირველწყაროსგან — პრეზიდენტ ობამასგან მოისმინა. ობამამ მედვედევს რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტიდან ორი წლის თავზე პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრის შესახებაც ესაუბრა. როგორც ობამას ადმინისტრაციის ანონიმური წყარო აცხადებს, ამერიკის პრეზიდენტის განმარტებით, სამიტი არა მხოლოდ თანამშრომლობისთვის მოლაპარაკებას გულისხმობს, არამედ — აზრთა სხვადასხვაობასაც. ამით ქვეყნებს შორის არსებული გაუგებრობა შესუსტდება და არასასურველი შედეგისგანაც დაზღვეული ვიქნებით.

### სამხედრო გადატრიალება მადაგასკარზე

**მადაგასკარზე პოლკოვნიკ ჩარლზ ანდრიანასოავინის მონაწილეობით სამხედრო გადატრიალება განხორციელდა.** მისი განცხადებით, ამიერიდან ძალაუფლება არა პრეზიდენტ ანდრი რაჟუელინს, არამედ მას და მაღალჩინოსან სამხედროებს ეკუთვნით. რაჟუელინის ადგილსამყოფელი უცნობია. გადატრიალება რეფერენდუმის დღეს მოხდა, რეფერენდუმი კი კონსტიტუციის იმ ცვლილებების თაობაზე უნდა ჩატარებულიყო, რომლებიც რაჟუელინს ხელისუფლებაში უვადოდ დარჩენის საშუალებას მისცემდა. რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადა ყველა ოპოზიციურმა პარტიამ. გადატრიალების ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ შეჩერებულია ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის საქმიანობა, ქვეყნის მართვას კი ნაციონალური კომიტეტი განახორციელებს.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ **მოკავშირე ირანს და არ დაეხმაროს ბირთვული პროგრამის განხორციელებაში, გააგზავნოს ჯარები ავღანეთში, ებრძოლოს ორგანიზებულ დამნაშავეობას და არა უკანასკნელ რიგში — ენერგომატარებლები მიაწოდოს ევროპას.** ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც სააკაშვილის ავანტიურიზმის გამო, პრაქტიკულად, ჩავარდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ნაბუკოს პროექტი, რომელსაც ალტერნატიული გზით უნდა მიეწოდებინა გაზი დასავლეთ ევროპისთვის.

**გერმანული „Sueddeutsche Zeitung“-ი წერდა, რომ ვინაიდან ჩინეთი, რომელიც სრულ იგნორირებას უკეთებს ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიას, ძალიან სწრაფად ძლიერდება, ევროკავშირი რაღაც მომენტში შეიძლება თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეს. სწორედ ამიტომაა საჭირო ევროპის გაძლიერება მასში რუსეთის ჩართვით.**

# ნატომ ახლებურად შეხედა რუსეთს, რომელსაც შეუძლია „გადამწყვეტი როლი შეასრულოს ავღანეთის, ერაყისა და ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით“

საინტერესო მოსაზრებები აქვს ესპანურ „El Pais“-ს, რომელთა გაანალიზება სრულიად ახალ სურათს გვაძლევს. მისი აზრით, **ამ სამიტით ცივი ომის აჩრდილი წარსულში დარჩა და რუსეთი გამოცხადდა პარტნიორად.** ალიანსი თავის ახალ ფორმატში უფრო მეტ აქცენტს გააკეთებს პოლიტიკასა და ეკონომიკაზე. ნაკლები ყურადღება ექცევა თავდაცვით საკითხებს, **მეტი ყურადღება კი უშიშროებისა და პოლიტიკურ პრობლემებზე გამახვილდება, რაც სააკაშვილის რეჟიმს ნატოსთვის სრულიად არამიმზიდველს გახდის.**

ნატოს ახალ პოტენციურ მოწინააღმდეგეებს შეუძლიათ შიგნიდან განახორციელონ დარტყმა ამ ალიანსის წევრ ქვეყნებზე (კიბერნეტიკული ომები) ან თვითმკვლელი ტერორისტების საშუალებით (ჯიჰადი). სხვათა შორის, **ალიანსმა ახალ საფრთხეებად და პოტენციურ რისკად მოიხსენია „არშემდგარი“ ქვეყნებიც; არადა, ცნობილია, რომ სააკაშვილისეული საქართველოც ამ ქვეყნების რიცხვშია.** პირველად კიდევ ერთ სერიოზულ საშიშროებად ალიანსი მიიჩნევს ბევრ ქვეყნებში გამეფებულ სიღარიბეს, რომელიც ასევე იწვევს მოსახლეობის მარგინალიზაციასა და ტერორიზმისკენ ლტოლვას. ასე რომ, ნატოს ახალი სტრატეგია, როგორც ზევით აღვნიშნე, ნაკლებ ყურადღებას უთმობს თავდაცვას და მეტი ყურადღება გადააქვს უშიშროებაზე.

ამ ახალი სტრატეგიით ნატო აძლიერებს თანამშრომლობას არამარტო ევროკავშირთან და რუსეთთან, არამედ „ხმელთაშუაზღვის დიალოგის“ ქვეყნებთანაც, როგორებიცაა ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, მაროკო, მავრიტანია და ტუნისი. სწორედ ამ ფორუმის დამსახურებაა, რომ მათ ჯარისკაცები საომრად გაგზავნეს ბალკანეთში, მიუხედავად იმისა, რომ ალიანსში არ შედიან. ამ ორგანიზაციასთან კავშირის გამტკიცების ინიციატივა ესპანეთს ეკუთვნის. გარდა ამისა, ნატომ სურვილი გამოსთქვა, უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს ავსტრალიასთან, ახალ ზელანდიასთან და იაპონიასთან, რათა მათ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ ავღანეთის ოპერაციაში.

# ალიანსმა ახალ საფრთხეებად და პოტენციურ რისკად მოიხსენია «არშემდგარი» ქვეყნებიც; არადა, ცნობილია, რომ სააკაშვილისეული საქართველოც ამ ქვეყნების რიცხვშია

საინტერესო აღმოჩნდა **იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის — ფრანკო ფრატინის** ინტერვიუ გაზეთ „L'Occidentale“-სთან. მან კიდევ ერთხელ ილაპარაკა რუსეთის შესაძლო როლზე ალიანსის ახალ სტრატეგიაში. **„უსაფრთხოება ევროპაში არასოდეს არ იქნება სრული ამ სისტემაში რუსეთის ჩართვის გარეშე“. „ნატოს გაფართოების შესახებ დიალოგის ცენტრში უნდა იყოს ურთიერთნდობის საკითხი და ურთიერთგამჭვირვალობა“. „იტალიას რუსეთთან, ისევე, როგორც მთლიანობაში ნატოს, ერთნაირი სტრატეგიული ინტერესები გვაქვს არა მარტო ევროპაში; ამიტომ ისეთ თამაშებს ნუ ვთამაშობთ, რომელთაც ნულოვანი შედეგი ექნებათ“. „ყველა უნდა შეეჩვიოს, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს განვიხილავთ როგორც შესაძლო სტრატეგიული უსაფრთხოების მექანიზმს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის“.**

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ახალი კონცეფციიდან — ალიანსი უნდა გახდეს მოქნილი და ეფექტური იმდენად, რომ სამხედრო ოპერაციების ჩატარება შეძლოს შორეულ ტერიტორიებზე. ეს კი მომავალში სადმე კიდევ ახალ „ავღანეთს“ გვპირდება.

**20 ნოემბერს, სამიტის დახურვის შემდეგ, გაიმართა ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომა. ეს საბჭო 2004 წელს შეიქმნა და 2008 წელს შეაჩერა მუშაობა. მისი ფუნქციონირება შარშან აღდგა და ამჯერად რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი შეხვდა ნატოს 28 ქვეყნის პირველ პირს. ამ შემთხვევაში ისტორიული სამიტი პოზიტიურ ნოტაზე დამთავრდა — რუსეთი ნატომ სტრატეგიულ პარტნიორად აღიარა.** უნდა გავითვალისწინოთ, რომ, თუ ორიოდე წლის წინათ რუსეთს მხარს მხოლოდ დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანა უჭერდა (გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ჰოლანდია და ესპანეთი), ამჟამად რუსეთის წინააღმდეგ განწყობილია მხოლოდ სამი ბალტიისპირა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა (ლიტვა, ლატვია და ესტონეთი), რომლებიც ლეხ კაჩინსკის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ ლიდერის გარეშე დარჩნენ. თუმცა მათ პირადად ამერიკის შეერთებული შტატების გარანტია მიიღეს, რომ რუსეთი არ დაჩაგრავდა.

საინტერესოა, რომ, **როგორც ბრიტანული „European Voice“ იუწყება ანალიტიკურ სტატიაში „პოსტნატო ეპოქა იწყება“, ობამას კონცეფციით, ნატოს არაწევრი ჩრდილოელი მდიდარი ქვეყნების — ფინეთისა და შვედეთის უსაფრთხოება უფრო მთავარია, ვიდრე ნატოს ყველა ევროპელი წევრისა ერთად აღებული.**

გაუგებარია, გაერკვა კი სააკაშვილი ახალ რეალობაში. ნატო თუ აღარ არის კოლექტიური თავდაცვითი ორგანიზაცია, მაშინ სად ხედავს იგი საქართველოს ადგილს? **თუ მარტო ქართველი ჯარისკაცების ავღანეთის სასაკლაოზე გასაგზავნად ვცდილობთ ნატოსთან დაახლოებას, ეს მხოლოდ სააკაშვილს უხანგრძლივებს ავტორიტარულ რეჟიმს, ქვეყანას კი არაფრად არგია.** მაგრამ მოსახლეობას სრული საინფორმაციო ვაკუუმი აქვს ნატოსთან დაკავშირებულ ყველა ასპექტთან და კვლავ გვესმის სახელისუფლო ტელეეკრანებიდან, თითქოს უახლოეს ხანში ჩვენ ნატოს წევრი გავხდებით და ეს ორგანიზაცია შემდეგ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დაგვიბრუნებს, თან რუსეთისგანაც დაგვიცავს. არადა, ეს მტკნარი სიცრუეა, რასაც რეალობასთან არავითარი კავშირი არ აქვს!

# თუ მარტო ქართველი ჯარისკაცების ავღანეთის სასაკლაოზე გასაგზავნად ვცდილობთ ნატოსთან დაახლოებას, ეს მხოლოდ სააკაშვილს უხანგრძლივებს ავტორიტარულ რეჟიმს, ქვეყანას კი არაფრად არგია

**რამაზ კლიმიაშვილი**



საავტორო სვეტი

# 450 ქარხანა და... 50 ფრანკი

**არ ვიცი, რატომ ვაგროვებ ამ ტექსტებს, შესაძლოა იმიტომ, რომ არც ერთ მწერალს არ შეუძლია რეალურისა და წარმოსახვითის, ლოგიკურისა და შიზოფრენიულის ზღვარზე მსგავსი ფრაზები შეაკოწიწოს.**
**მაგალითი: „ავამოქმედებთ ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას, სადაც აშენდება 450-მდე ქარხანა და დასაქმდება 20000 ადამიანი“ („ნაციონალური მოძრაობის“ 50-თვიანი პროგრამის ძირითადი მიმართულებები).**

ამას წინათ ფოთში ვიყავი, 450 ქარხანას ვეძებდი, შემდეგ დავიღალე და 45 ქარხნის ძებნა დავიწყე, ბოლოს კი — 4,5-ის. გზად „ნაციონალების“ პროგრამას ვკითხულობდი: **„ავამუშავებთ საშუალოდ სოფლის მეურნეობის 100 ახალ საწარმოს ყველა რეგიონში და დავასაქმებთ სოფელს“, „ვაპირებთ, რომ მომავალ წელს საპენსიო პაკეტი 100 დოლარი გახდეს“, „უფრო მეტად დავეხმარებით ფერმერებს ხვნა-თესვაში“.** ეს იდეა ნამდვილად მომეწონა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისთვის ხელის მოკიდება პროგრამის ავტორებს ნამდვილად არ აწყენდათ. „შრომა აკეთილშობილებს“, ძველად რომ იტყოდნენ, თუმცა ამ აზრის განვითარება ვერ მოვასწარი, რადგან გლობალური საკითხების ჩამონათვალი დაიწყო, მაგალითად, „გავამთლიანებთ საქართველოს“; ამის დაწერიდან **რამდენიმე თვეში ისე გაამთლიანეს, რომ ქვა ქვაზე არ დარჩა.**

**„საქართველოს დავაბრუნებთ ევროპულ ოჯახში, შევალთ ნატოში და ჩვენი საზღვრების ურღვეობას სადარაჯოზე დაუდგება მთელი ცივილიზებული სამყარო, ეს იქნება საქართველოს ოქროს ხანის დასაწყისი და უმუშევრობის პრობლემა საქართველოში სამუდამოდ დამთავრდება“.** ალბათ, იგულისხმებოდა, რომ ოქროს ხანა ნატოში გაწევრებიდან და საზღვრების დაცვიდან გამომდინარეობს, ხოლო უმუშევრობის დამთავრება, შესაბამისად, — ოქროს ხანიდან; ისე, გზად ფოთის 450 ქარხნისკენ, ვნახე მორღვეული საზღვრები და უამრავი უმუშევარი ადამიანი, რომლებიც ისეთ პირობებში ცხოვრობენ, ქვის ხანისთვისაც სათაკილო რომ იქნებოდა. **სადარაჯოზე მდგარი ცივილიზებული სამყარო არსად ჩანდა. ერთადერთი მითი, რომელთანაც დამშვიდობება ერთობ გაჭიანურდა, ნატოში გაწევრების იდეა იყო.** ამ მხრივ რეალობაში ჩვენს დაბრუნებას ხელს გასულ კვირას ნიკოლა სარკოზი უწყობდა: **„რაც შეეხება საქართველოს, რა თქმა უნდა, დახმარების გარეშე მასაც არ დავტოვებთ. მას აქვს შესაძლებლობა, გახდეს ნატოს წევრი, მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა ჯერ კიდევ არსებობს.**

შეგახსენებთ იმასაც, **რომ ჩვენ ნატოში იმ ქვეყნების მიღებას ვცდილობთ, რომელთაც საზღვრების პრობლემა მოგვარებული აქვთ.**

ჩვენ არ ვაპირებთ ნატოში პრობლემების იმპორტი მოვახდინოთ“, — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა.

ამ პასაჟს ძველი ფრანგული ლიტერატურისა და კინოს ენაზე თუ გადავთარგმნით, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ორი სილუეტი სადმე ბულონის ტყის პირას, რომელთაგან ერთ-ერთში კარგად ჩაცმული და თავდაჯერებული ბატონის ამოცნობა შეიძლება, მეორეში კი — ძონძებში გახვეული გოგონასი (ჩვენ მხოლოდ მის ფართოდ გახელილ თვალებს ვხედავთ). რეპლიკა: **„შენ, რა თქმა უნდა, კარგი გოგო ხარ და შენთან დაუვიწყარი დრო გავატარე, თუმცა არ ვიცი, საიდან მოიტანე, რომ ცოლად მოყვანას გპირებდი. ამოიგდე თავიდან ეს სისულელე და აჰა, 50 ფრანკი გამომართვი“.**

ეს, რა თქმა უნდა, ლირიკაა, თუმცა მწარე სიმართლე ყოველთვის სჯობს თავბრუდამხვევ სიცრუეს. ასე რომ, დიდი მადლობა მესიე ნიკოლას და გულითადი მოკითხვა მის მშვენიერ მეუღლეს — ქალბატონ კარლა ბრუნის. ამ განცხადებაზე კომენტარი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ გააკეთა. მასში ერთი უჩვეულოდ ადეკვატური ფრაზა ნამდვილად იყო: **„ამ ეტაპზე საქართველოსთვის თვითმიზანს არ წარმოადგენს ალიანსში გაწევრება, არამედ მთავარია, ქვეყნის დემოკრატიზაცია და განვითარების კურსის შენარჩუნება“.** საინტერესოა, რა საჭირო იყო მთელი ეს კორდებალეტი, ამდენი ცრუ იმედი, ამდენი ნგრევა და უბედურება, ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ მარტივი ჭეშმარიტება გაგვეაზრებინა: **საქართველოს ნატოში არავინ ელოდება, უახლოეს ათწლეულებში მისი ალიანსში გაწევრების პერსპექტივა ნულ მთელსა და ნულ მეათედს უდრის,** „ცივილიზებულ სამყაროს“ კი დღეს მხოლოდ ის შეუძლია, რამდენიმე დაჭმუჭნული კუპიურა უბეში ჩაგვიტენოს.

ოქროს ხანა კი, რომელზეც „50-თვიან პროგრამაში“ წერია, საქართველოში აუცილებლად დადგება, ოღონდ არა ნატოში შესვლის ან კიდევ 450 ვირტუალური ქარხნის აშენების შემდეგ, არამედ მაშინ, როდესაც სიცრუეს აღარ შევეგუებით და ახალი ცხოვრების დაწყებას გადავწყვეტთ.

**დიმიტრი მონიავა**

## მოკლედ

### რა გვიჯდება პარლამენტის გადატანა?

**ყველას აინტერესებს, მაგრამ მთავრობას ცოცხალი თავით არ სურს, გაგვიმხილოს, რა ჯდება ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობა.** ეს ინფორმაცია პარლამენტის რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე ოპოზიციონერმა დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმაც მოითხოვა ფინანსთა მინისტრ კახა ბაინდურაშვილისგან. „ჩვენ შესაბამის თანხას ქუთაისის მუნიციპალიტეტს ვურიცხავთ. მიმდინარე წელს ქუთაისს 30 მილიონი ლარი გადავეცით. დანამდვილებით ვერ გეტყვით, აქედან პარლამენტის, მოედნებისა თუ ასე შემდეგ ობიექტების მშენებლობას რამდენი მოხმარდა“, — ბრძანა მინისტრმა და დასძინა, ქუთაისის მუნიციპალურ ბიუჯეტს მოკითხეთო.

### სამი პუნქტი საქართველოსთვის

**ნატოს ლისაბონის სამიტის მიერ მიღებულ კომუნიკეში მე-20, 21-ე და 23-ე პუნქტები საქართველოს ეთმობა.** მე-20 პუნქტის მიხედვით, ნატოსთვის მნიშვნელოვანია რეგიონის უსაფრთხოება, ალიანსი ითვალისწინებს საქართველოსა და უკრაინის სურვილს, გაწევრდნენ ნატოში და აგრძელებს ამ ქვეყნებთან თანამშრომლობას. 21-ე პუნქტის მიხედვით, ალიანსი ძალაში ტოვებს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებას. ამ პუნქტში საუბარია საქართველოს მნიშვნელოვან როლზე ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში. 23-ე პუნქტში კი ნატო მხარდაჭერას გამოხატავს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი.

### „ჯეოსელი“ დააჯარიმეს

**კომუნიკაციების კომისიამ ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზრის უმსხვილესი მოთამაშე — „ჯეოსელი“ 90 ათასი ლარით დააჯარიმა.** კომპანიამ მარეგულირებლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებას არ შეასრულა და მომხმარებელს სატელეფონო საუბრის გადასახადი წამობრივი სიზუსტით არ დაუმრგვალა. კომისიის ინფორმაციით, საუბარია „ლაი-ლაის“ აბონენტებზე, რომლებთან მიმართებაშიც „ჯეოსელი“ განხორციელებული ზარების ღირებულებას 1 წამის სიზუსტის ნაცვლად კვლავ ძველებურად — 5 წამამდე ამრგვალებს. „ჯეოსელი“ ერთხელ უკვე გადაურჩა — 101 მილიონი ლარით დაჯარიმებას; მაშინ ფინანსთა სამინისტრომ კანონის დარღვევა არ დაადასტურა.

24 — 30 ნოემბერი, 2010 წელი. №43 (86)
www.geworld.net

გსურთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო



# რა არის ნატო სინამდვილეში და გვჭირდება თუ არა ჩვენ ნატოში გაწევრება

**გასულ პარასკევს და შაბათს პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში გაიმართა ნატოს სამიტი, რომელსაც ისტორიული უწოდეს და რომელზეც საქართველოს პრეზიდენტიც იყო მიწვეული. ამ სამიტზე მიიღეს უახლოესი ათი წლის მანძილზე ალიანსის სტრატეგიის განმსაზღვრელი დოქტრინა და, ალიანსის ისტორიაში პირველად, ამ დოკუმენტში ჩაიწერა, რომ ნატო არ წარმოადგენს საშიშროებას რუსეთისთვის და გამოაცხადეს რუსეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის კურსი. დოქტრინაში პირდაპირ ჩაიწერა, რომ (მიაქციეთ ამას ყურადღება!) ნატოსა და რუსეთის უსაფრთხოება მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ალიანსს სურს რეალური სტრატეგიული პარტნიორობა მასა და რუსეთს შორის და რომ იმოქმედებენ კიდეც შესაბამისად, მოელიან რა იმავე დამოკიდებულებას რუსეთისგან.**




ამას გარდა, დოქტრინაში აღნიშნულია, რომ ნატოს კარი ღიაა ახალი წევრებისთვის, მაგრამ ამავე დროს ითვალისწინებენ და ანგარიშს უწევენ რუსეთის უარყოფით დამოკიდებულებას ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოების მიმართ. წევრობის მსურველებს ახალი დოქტრინის პუნქტი გაფართოების შესახებ, საერთო მოთხოვნებთან ერთად, უყენებს ერთ კონკრეტულ კრიტერიუმსაც — წევრობის მსურველს არ უნდა ჰქონდეს ისეთი პრობლემები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის ალიანსის საერთო უსაფრთხოებას.

საქართველოს შესახებ კონცეფცია მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ დაადასტურა სურვილი ჩვენთან თანამშრომლობის შესახებ და ხაზი გაუსვა, რომ ჩვენთან თანამშრომლობა ეფუძნება 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებას (**რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველო დროთა განმავლობაში (!) შეიძლება გახდეს ნატოს წევრი!**).

სამიტის დაწყებამდე მოხდა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ერთი მოვლენა — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, როგორც იქნა, მცირე ხნით მიიღო მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ კონკრეტულად რაზე ისაუბრეს მხარეებმა, უფრო სწორად, რის სათქმელად მიიღო ობამამ სააკაშვილი, უცნობია. ამის თაობაზე თეთრი სახლის მიერ გავრცელებული ოფიციალური განცხადება შეიცავს მხოლოდ ზოგად დიპლომატიურ ფრაზებს, რომ ლიდერებმა ისაუბრეს ორმხრივი ურთიერთობის გაძლიერებისა და თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ და რომ ობამამ მადლობა გადაუხადა საქართველოს (და არა მის პრეზიდენტს!) ავღანეთის მისიაში მონაწილეობისა და მამაცი სამხედროების თავგანწირვისთვის (ამაში, ალბათ, დაღუპული ქართველი სამხედროები იგულისხმებოდა). მცირეოდენი მინიშნება საუბრის დეტალებზე იკითხება განცხადების შემდეგ ფრაზაში: **„...პრეზიდენტებმა ასევე იმსჯელეს საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და თავდაცვის რეფორმებზე...“**. გავიხსენოთ, რომ ერთადერთი რეფორმა, რაც საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელდა, არის საკონსტიტუციო ცვლილებები ხელისუფლების სტრუქტურისა და ფუნქციების სხვაგვარად განაწილებით. თუ რატომ გახდა ეს თემა ობამას ინტერესის საგანი, ამაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ.

**იმის ასახსნელად, თუ რას ნიშნავს ნატოს ლისაბონის სამიტზე ობამა-სააკაშვილის შეხვედრა და რა შედეგებს მოიტანს ეს ჩვენთვის, უნდა გავიხსენოთ ჯერ ერთი ის, რომ არჩევიდან ცოტა ხანში აშშ-ის პრეზიდენტს — ბარაკ ობამას მიანიჭეს ნობელის პრემია მშვიდობის დარგში და მეორე — ცოტა დაკვირვებით შევხედოთ, რას წარმოადგენს საკუთრივ ნატო** (უკვე რამდენი წელია, ჩვენში მუდმივად მიმდინარეობს ნატოში გაწევრების პროპაგანდა, მაგრამ რას წარმოადგენს ნატო, ამის განმარტება, მოკლე ოფიციალური შაბლონის გარდა, არსად მომისმენია).

ჯერ ვნახოთ ოფიციალური მხარე: ნატო არის აბრევიატურა, რომელიც შედგება ამ ორგანიზაციის ინგლისური დასახელების სიტყვების პირველი ასოებისგან და ქართულად მისი დასახელება ითარგმნება, როგორც ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია. ის არის საერთაშორისო პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში. მისი დამფუძნებლები იყვნენ 12 ჩრდილოამერიკული და დასავლეთევროპული ქვეყანა, ხოლო დღეისათვის მის რიგებში გაერთიანებულია 28 სახელმწიფო. მის მთავარ ამოცანად დეკლარირებულია წევრი სახელმწიფოების თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვა პოლიტიკური და სამხედრო მეთოდებით და იგი არის მოკავშირეთა საერთო ფასეულობების — დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და სხვ. (მიაქციეთ ამას ყურადღება!) დაცვის გარანტი.

წესდების თანახმად, ნატო ღიაა ახალი წევრების მისაღებად (აბა, ახალი რა გვითხრეს ლისაბონის სამიტზე?), მაგრამ ამ ახალ წევრებს უნდა შეეძლოთ განავითარონ ნატოს ხელშეკრულების პრინციპები, მათ შორის – იზიარებდნენ ალიანსის საერთო ღირებულებებს (!) და უნდა შეეძლოთ, თავიანთი წვლილი შეიტანონ კოლექტიური უსაფრთხოების საქმეში.

ნატოს უმაღლესი პოლიტიკური ორგანოა **ჩრდილოატლანტიკური საბჭო,** რომელიც შედგება ყველა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლისგან ელჩის რანგში. საბჭოს ხელმძღვანელია ნატოს გენერალური მდივანი.

ნატოს უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური ორგანოა **სამხედრო დაგეგმარების კომიტეტი,** რომელიც შედგება წევრი-ქვეყნების თავდაცვის მინისტრებისგან. კომიტეტი იკრიბება სესიებზე წელიწადში ორჯერ.

ნატოს უმაღლესი სამხედრო ორგანოა **სამხედრო კომიტეტი,** რომელიც შედგება წევრი ქვეყნების გენერალური შტაბების უფროსებისგან და ისლანდიის სამოქალაქო წარმომადგენლისგან (ისლანდიას არ აქვს შეიარაღებული ძალები). სამხედრო კომიტეტს ექვემდებარება ორი სამეთაურო ზონა: ევროპის ზონა და ატლანტიკის ზონა. ევროპის სამეთაურო ზონას ხელმძღვანელობს უმაღლესი მხედართმთავარი, რომელიც ყოველთვის არის ამერიკელი გენერალი. ევროპის ზონა, თავის მხრივ, დაყოფილია და მას ექვემდებარება სამი ევროპული სამხედრო მოქმედების თეატრი: ჩრდილოეთ-ევროპული, ცენტრალურ-ევროპული და სამხრეთ-ევროპული.

## ნატოს კარი ღიაა ახალი წევრებისთვის, მაგრამ ამავე დროს ითვალისწინებენ და ანგარიშს უწევენ რუსეთის უარყოფით დამოკიდებულებას ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოების მიმართ

ნატოს მთავარ ორგანოებში ცალკე ადგილი უკავია, აგრეთვე, ბირთვული დაგეგმარების ჯგუფს.

უკანასკნელ წლებში ნატო, ასევე, ახორციელებს რიგ პროგრამებს, მაგ. ხმელთაშუა ზღვის დიალოგი, პროგრამები ე.წ. დიდი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (მიაქციეთ ამას ყურადღება!) და ა. შ.

ლისაბონის სამიტამდე უკანასკნელი სტრატეგიის კონცეფცია ნატომ შეიმუშავა და მიიღო 1999 წლის აპრილში, რომლის მიხედვითაც ნატოს უპირველესი ამოცანებიდან ოთხი შემდეგნაირად იყო განსაზღვრული:

1. გამოსულიყო სტაბილურობის გარანტად ევროატლანტიკურ რეგიონში;
2. ნებისმიერი წევრი-სახელმწიფო დაეცვა მის წინააღმდეგ შესაძლო აგრესიის საფრთხისაგან;
3. ხელი შეეწყო კონფლიქტების ეფექტურად განეიტრალებისთვის და აქტიურად ჩართულიყო კრიზისების დარეგულირებაში;
4. ყოველმხრივ განევითარებინა პარტნიორობა, თანამშრომლობა და დიალოგი ევროატლანტიკური რეგიონის სხვა ქვეყნებთან.

თემას ცოტა გადავუხვევ და ვიტყვი, რომ ვერც ერთი ამ უპირველესად მიჩნეულ ამოცანათაგან ნატომ ვერ შეასრულა:

**ვერ უზრუნველყო სტაბილურობა ევროატლანტიკურ რეგიონში — ბალკანეთში, ევროპის შუაგულში, 90-იანი წლებიდან დაწყებული, შეიარაღებული დაპირისპირება კოსოვოში სერბებსა და ალბანელებს შორის დღემდე გრძელდება და ეს კონფლიქტი უმეტესწილად ნატოს ცალმხრივი მიდგომითა და ორმაგი სტანდარტების გამო გაჩაღდა;**

**ვითომდა ირანისგან მომავალი მასიური საფრთხის აღსაკვეთად ცდილობდა, პოლონეთსა და ჩეხეთში განეთავსებინა სარაკეტო შეიარაღება, რაც ვერ მიიყვანეს ბოლომდე და შემდეგ უარი თქვეს მასზე;**

**ვერ გაანეიტრალეს კონფლიქტები და ვერ ჩაერთნენ კრიზისების მართვაში, პირიქით — ამ კონცეფციის მიღების შემდეგ არ განეიტრალებულა კონფლიქტი კოსოვოში, ნატოს პარტნიორ ქვეყანაში — საქართველოში გაჩაღდა საომარი მოქმედებები, ხოლო თვითონ ნატომ წამოიწყო და წააგო ორი სამხედრო კამპანია ერაყსა და ავღანეთში, ორივე რეგიონში ააფეთქა ავად თუ კარგად არსებული სტაბილურობა და არც ერთგან სისხლისღვრის დასრულებას ბოლო არ უჩანს;**

**პარტნიორობის, დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარება ევროატლანტიკური რეგიონის სხვა ქვეყნებთან გამოიხატა იმაში, რომ შეეცადა, იზოლაციაში მოექცია და ე.წ. სანიტარული კორდონი შეექმნა რეგიონისა და დედამიწის ყველაზე დიდი სახელმწიფოს — რუსეთის აღმოსავლეთ-სამხრეთი საზღვრების გასწვრივ, რამაც უკიდურესად დაძაბა საერთაშორისო ვითარება, გამოიწვია რუსეთის საპასუხო პოლიტიკური და სამხედრო ზომები, რაც, საბოლოო ჯამში, იყო 2008 წლის აგვისტოში საქართველოში გაჩაღებული ომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.**

ეს რაც შეეხება ნატოს ფორმალურ მხარეს. ნათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ ნატოში კი არ შედიან, არამედ ნატოში ღებულობენ. და ღებულობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შენ სჭირდები მათი მიზნებისა და ამოცანებისთვის. ამ მიზნებისა და ამოცანების შესაბამის პირობებსაც გიყენებენ და ამ პირობების ჩარჩოებში ჩაგაყენებენ, თუკი მიგიღეს.

**ნატოში შესვლას თუ ესწრაფვი, კარგად უნდა გესმოდეს ამ ორგანიზაციის მიზნები, მეთოდები, რომლებითაც ამ მიზნებს აღწევენ, ის როლი, ის ფუნქცია, რომელსაც შენ დაგაკისრებენ მიღების შემთხვევაში და ის პირობები და ვითარება, რომელშიც აღმოჩნდები, ნატოში რომ შეხვალ.**

მოდით, გავერკვეთ კარგად ამ საკითხებში და მერე ვუპასუხოთ კითხვას: გვინდა და გვჭირდება თუ არა ქართველებს ნატოს წევრობა?

**ტარიელ გაგნიძე,**
არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე

გაგრძელება შემდეგ ნომერში

საქართველო

გსურთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გურამ ფირცხალავა: თუ ამ მომენტს ხელიდან გავუშვებთ, მერე ამ ხელისუფლების შეცვლა შეუძლებელი იქნება

**ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ და მომავალში საზოგადოებრივი პროცესების განვითარების გზებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მსახიობი გურამ ფირცხალავა.**



**— ბატონო გურამ, ბოლო დროს ოპოზიციურ სპექტრში ისეთი ცვლილებები მოხდა და მოვლენებიც ისე ელვისებურად ვითარდება, თავისთავად ჩნდება იმედი, რომ ხელისუფლების შესაცვლელად რაღაც გრანდიოზული უნდა მოხდეს. თქვენი აზრით, გამართლდება თუ არა ეს მოლოდინი და, საერთოდ, რამდენად არის დღეს ჩვენი საზოგადოება მზად გადამწყვეტი ბრძოლისთვის?**

— არ მინდა მოვლენებს გავუსწრო და ნაადრევი დასკვნები გამოვიტანო. მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ცხადია: მდგომარეობა, რომელშიც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, უკიდურესი და გაუსაძლისია. ასე დიდხანს გაგრძელება, უბრალოდ, შეუძლებელია. რაც შეეხება საზოგადოების მზაობას, ამ დღეებში **ჩვენ ვიმყოფებოდით რეგიონებში, მოვიარეთ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონი; ყველგან ხალხი პირდაპირ გვეუბნებოდა, უფრო სწორად, გვაფრთხილებდა, თუ ახლა რაღაცას დაიწყებთ და მერე ისევ უწინდელივით გვეტყვით, დაიშალეთ, წადით სახლებშიო, ხელისუფლებას კი არა, თქვენ დაგერევით, თავზედს გაწყევლინებთო.** რას ნიშნავს ეს? — ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება მისულია უკიდურეს მდგომარეობამდე და მას უკვე მეტის მოთმენა აღარ შეუძლია. ჩემი აზრით, ეს სწორედ ის ვითარებაა, როცა ხალხი ყველაფერზეა წამსვლელი, იმიტომ, რომ მას უკან დასახევი გზა აღარ აქვს. ამდენად, ლაპარაკი იმაზე, არის თუ არა მოსახლეობა მზად გადამწყვეტი ბრძოლისთვის, მე მგონი, საჭიროც აღარ არის, ვინაიდან მიმაჩნია, რომ დღევანდელ ვითარებაში, როცა წყდება ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ეს პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს და, საერთოდ, ასეთი კითხვაც არ უნდა ჩნდებოდეს...

**— ესე იგი ხალხი პირდაპირ გეუბნებათ, უკან თუ დაიხევთ, დაგერევითო? გამოდის, რომ სერიოზულ წნეხში ხართ.**

— სიმართლე გითხრათ, ძალიან მეშინია საზოგადოების რისხვის; ამიტომ ჩემს მეგობრებსა და თანამებრძოლებს ყოველთვის ვეუბნები, რომ ბრძოლა, რომელსაც ახლა ვიწყებთ, უნდა იყოს უკომპრომისო, რათა მივიღოთ კონკრეტული შედეგი და, რაც მთავარია, საზოგადოება არ დარჩეს იმედგაცრუებული. არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ: ოღონდ რამე მოძრაობა დაიწყოს, ოღონდ ხელისუფლების შეცვლის საკითხი სერიოზულად დადგეს და ჩემდათავად უკან დამხევს... მოკლედ, ყველამ, უპირველესად კი ოპოზიციამ, უნდა გააცნობიეროს, რომ ახლა დგება გადამწყვეტი მომენტი და, თუ ამ მომენტს ხელიდან გავუშვებთ, მერე ამ ხელისუფლების შეცვლა შეუძლებელი იქნება...

**— ბატონო გურამ, როცა ლაპარაკია ხელისუფლების შეცვლაზე, როგორ და რა ფორმით წარმოგიდგენიათ ეს პროცესი? თქვენი აზრით, „წადისა“ და „გადადექის“ ყვირილი საკმარისია ამისთვის?**

— არავითარი „წადი“ და „გადადექი“ არ გვჭირდება. უკვე შვიდი წელია, ამის მეტი არაფერი გვესმის და შედეგი არ გვაქვს. დღეს საჭიროა კონკრეტული, გადამწყვეტი მოქმედებები, რათა ბოლოს და ბოლოს ვაიძულოთ ეს ხელისუფლება, დაგვიბრუნოს ის, რაც მან დიდი ხნის წინათ მოტყუებითა და გაიძვერობით წაგვართვა, მიიტაცა. ეს არის ერთადერთი რეალური გამოსავალი და ამაში, ალბათ, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი დამეთანხმება...

**— სათქმელად ადვილია, მაგრამ როგორ უნდა აიძულოთ ხელისუფლება?**

— როგორ და, თუ მთელი საქართველო ფეხზე დადგება და მოითხოვს ვადამდელ არჩევნებს, ჩვენ გვექნება იმის უფლება და შესაძლებლობა, რომ სააკაშვილს გადადგომის ულტიმატუმი წავუყენოთ. ეს არ იქნება უბრალო მოთხოვნა, ეს იქნება „ხმა ერისა“ და ამის ფეხებზე დაკიდებას ხელისუფლება ვერ გაბედავს, თუ გაბედავს, მიიღებს საზოგადოების რისხვას და, რაც მერე მოუვა, საკუთარ თავს დააბრალოს...

**— და მაინც რა მოუვათ?**

— **კაცობრიობის ისტორიას არაერთი პირსისხლიანი დიქტატორი ახსოვს, რომლებმაც დიდხანს იბოგინეს და ბოლოს ხალხის მრისხანების მსხვერპლნი გახდნენ... რატომღაც მგონია, რომ მიხეილ სააკაშვილსაც ასეთი ბედი ეწევა**, იმიტომ, რომ ამ კაცს თავისი ნაბიჯებითა და არანორმალური მოქმედებებით სწორედ აქეთ მიჰყავს ყველაფერი. ისე, ყველაზე უკეთესი, რა თქმა უნდა, ის იქნება, რომ ამას თვითონაც დროზე მიხვდეს და გაგვეცალოს, თორემ ხალხი თუ აღსდგა, ისე მოუწევს აქედან გაქცევა, რომ მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება საქართველოსკენ გამოხედვაც აღარ მოუნდება, თუ, რა თქმა უნდა, საერთოდ ცოცხალი გაასწრებს ამ ქვეყნიდან...

**— ვაფასებ თქვენს ოპტიმიზმს, მაგრამ საზოგადოება, რომელიც, ამდენი ხანია, სამარისებურად დუმს, სიმართლე გითხრათ, არ მგონია, ერთბაშად აფეთქდეს.**

— ერთი პერიოდი მეც ასე მეგონა და ვამბობდი, არაფერი გვეშველება-მეთქი, მაგრამ დღეს ჩვენ უკვე არ გვაქვს იმის უფლება, რომ პესიმისტები ვიყოთ. მერწმუნეთ, საქართველო და ქართველი ხალხი არ არის საბოლოოდ დამარცხებული, ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, რომ გადავარჩინოთ ეს ქვეყანა. მხოლოდ საჭიროა ერთმანეთის თანადგომა, ერთიანობა და ბრძოლა გამარჯვებამდე, ანუ, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, საჭიროა ქუდზე კაცი და, თუ ამას შევძლებთ, ვერანაირი სპეცრაზმები თუ ზონდერბრიგადები ჩვენს ნება-სურვილს წინ ვერ აღუდგება...

**— გასაგებია, რომ ერთიანობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ თქვენი აზრით, რამდენად ისურვებს ხალხი იმ ორგანიზაციის (ვგულისხმობ „სახალხო კრებას“) გარშემო დარაზმვას, რომელშიც არაერთი, წარსულში „ნაცმოძრაობის“ ბურჯად ცნობილი, პოლიტიკოსია ლიდერად წარმოდგენილი?**

— მივხვდი, ვისაც გულისხმობთ, მაგრამ ახლა იმ ადამიანზე ლაპარაკს არ ვაპირებ. უბრალოდ, ვიტყვი იმას, რომ დღეს „გარჩევებისა“ და ძველი შეცდომების გახსენების დრო არ არის; ახლა მთავარია, მოვიშოროთ ეს უკანონო, არალეგიტიმური ხელისუფლება და მერე, როცა დაინიშნება არჩევნები, საზოგადოებამ თვითონ განსაჯოს, ვინ რისი ღირსია. დარწმუნებული ვარ, ხალხს არაფერი დავიწყებია...

**— იმედია. მოდით, ახლა იმ „დიდი რვიანის“ შესახებ ვისაუბროთ, რომელიც, საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესების მიზნით, ხელისუფლებას მოლაპარაკებათა მაგიდასთან მიუჯდა. რა აზრის ხართ ამ ნეტარმორწმუნე პარტიებზე და, საერთოდ, დიალოგზე ხელისუფლებასთან?**

— მიმაჩნია, რომ ეს არის სისულელე და არანაირი აზრი ამ ე. წ. დიალოგს არ აქვს. ეს იმ რვა პარტიამაც ძალიან კარგად იცის, მაგრამ მათ, როგორც ჩანს, სხვა მიზანი აქვთ... მოკლედ, **ყველა თავის თამაშს თამაშობს და ვერ გაიგებ, ვის რა უნდა, ერთი რამ კი ნამდვილად ცხადია, სანამ ხელისუფლებაში ესენი იქნებიან, ნამდვილ დემოკრატიულ არჩევნებზე ლაპარაკიც ზედმეტია.**

— თქვენ თქვით, რომ კონსულტაციებში მონაწილე რვა პარტიას სხვა მიზანი აქვს, რას გულისხმობდით?

— არ მინდა ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ვფიქრობ, ეს პარტიები ხელისუფლებამ მოისყიდა. სხვა ახსნა მათ საქციელს, უბრალოდ, არ აქვს; ვინაიდან, მაპატიეთ და, **იდიოტი უნდა იყო ადამიანი, გულწრფელად დაიჯერო, რომ დიალოგით ამ ხელისუფლების პირობებში, რამის მიღწევა შესაძლებელია. ჩემთვის ეს წარმოუდგენელია და, მე თუ ვხვდები ამას, რომელიც პოლიტიკაში აბსოლუტურად ბეცი ვარ, ვერ გამიგია, ამ ხალხს რამ დაუბნელა გონება, რა სჭირთ? არაფერიც; სინამდვილეში მათაც კარგად იციან, რომ ამ ე. წ. მოლაპარაკებებს აზრი არ აქვს, უბრალოდ, მიეყიდნენ ხელისუფლებას და ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებენ, შეთანხმებულია სააკაშვილთან. ეს არის და ეს, მეტი არაფერი.**

**— ისე, კაცმა რომ თქვას, შეიძლება სწორადაც იქცევიან, რადიკალური ზომებით ვერაფერს მიაღწიეს, სხვა რა გამოსავალი რჩებოდათ?**

— ვერ დაგეთანხმებით, გონიერი და ჭკვიანი პოლიტიკოსი გამოსავალს ყოველთვის მოძებნის, ხოლო ის, რასაც ისინი დღეს აკეთებენ, ნამდვილად არ არის გამოსავალი. პირიქით, სწორედ ახლა შედიან ჩიხში, ვინაიდან უკვე აღარავინ ენდობა, არ ენდობა იმიტომ, რომ მათ უღალატეს საზოგადოებას და, უპირველესად, — საკუთარ პრინციპებს, რითაც საბოლოოდ წითლად გადახაზეს თავიანთ პოლიტიკური მომავალი...

**— მოდით, ხელისუფლების შეცვლის საკითხს დავუბრუნდეთ, ბევრი ფიქრობს, რომ „ნაცების“ გასტუმრება გარეძალების ჩაურევლად შეუძლებელია. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— სხვათა შორის, ამას ხშირად მეკითხებიან და ყოველთვის ასე ვპასუხობ — მე არ მინდა, ჩემს ქვეყანას უცხო ძალის მიერ დასმული მარიონეტი მართავდეს; **მე მინდა, რომ საქართველო ეკუთვნოდეს ქართველს და აქ ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღებოდეს ქართველის მიერ. ამისთვის იბრძოდნენ და ღვრიდნენ სისხლს ჩვენი წინაპრები და სწორედ ეს წაგვართვა სააკაშვილმა, რომელსაც ჯერ იყო და მაილსი მართავდა, დარეტიანებული ინდაურივით რომ დასდევდა ამ გიჟს წინ და უკან, ახლა კიდევ ვიღაც ბლანჭეიანი ბასი მართავს, ტროცკის რომ ჰგავს... ეს უნდა დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ, უნდა აილაგმოს ამ ადამიანების თარეში საქართველოში; წინააღმდეგ შემთხვევაში, არანაირი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური პროცესების დაწყებას აზრი არ ექნება, იმიტომ, რომ, რასაც არ უნდა მივაღწიოთ და რამდენჯერაც არ უნდა შევცვალოთ ხელისუფლება, ყოველთვის გამოჩნდებიან ახალ-ახალი მაილსები, ბასები, ბრაიზები და სოროსები, რომლებიც თავიანთ ნება-სურვილზე, თავიანთი გეგმით ათამაშებენ ჩვენს ხელისუფალთ.** ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამას ბოლო უნდა მოეღოს და ამისთვის საჭიროა სრულიად ქართველი ერის ნება, ანუ პირდაპირ და ხმამაღლა თქმა, რომ ჩვენ არ გვჭირდება გარეძალები და მათი ჩარევა-დახმარება ჩვენი შიდაპრობლემების მოგვარებაში...

**— ბანალურ კითხვას დაგისვამთ: ვთქვათ და გადადგა სააკაშვილი, შეიცვალა ხელისუფლება, შემდეგ რა იქნება, როგორი წარმოგიდგენიათ ქვეყნის მომავალი?**

— მე პოლიტიკოსი არ ვარ და არ დავიწყებ იმაზე საუბარს, თუ კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს ქვეყნის გამოსაყვანად ამ მძიმე კრიზისული მდგომარეობიდან. მაგრამ ერთი რამის თქმა ნამდვილად შემიძლია — სანამ საქართველო კეთილმეზობლურ ურთიერთობას არ აღადგენს რუსეთთან, არანაირი პერსპექტივა და მომავალი ჩვენს ქვეყანას არ ექნება. ეს არის ის რეალობა, რომლის წინაშეც დღეს ჩვენ ვდგავართ; და სანამ ამ პრობლემას არ გადავჭრით, განვითარებაზე და რაიმე წარმატებაზე, გნებავთ, ეკონომიკაში, გნებავთ, პოლიტიკაში, ლაპარაკიც ზედმეტია.

**— ანუ თქვენ ამბობთ, რომ მომავალი ხელისუფლება აუცილებლად პრორუსული უნდა იყოს?**

— პრორუსული კი არა, პროქართული უნდა იყოს, რომ საკუთარი ერისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, შეძლოს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან დალაპარაკება. საერთოდ, მე მიმაჩნია, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საქართველომ, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, ახალი ფურცლიდან უნდა დაიწყოს რუსეთთან ურთიერთობა, რათა მოხდეს ჩვენი ხელახალი დაახლოება. მე მხედველობაში მაქვს დაახლოება პოლიტიკურ დონეზე, თორემ რუს და ქართველ ხალხებს ყოველთვის უყვარდათ და ეყვარებათ ერთმანეთი...

## ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საქართველომ, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, ახალი ფურცლიდან უნდა დაიწყოს რუსეთთან ურთიერთობა

**— კი მაგრამ, ვის ხედავთ რუსეთთან საერთო ენის გამომნახველს?**

— ეს უკვე ხალხის გადასაწყვეტია, მე კი ის ვიცი, რომ, სანამ ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილი იქნება, ეს ქვეყანა წელში ვერ გაიმართება. ამიტომ, არაერთხელ მითქვამს და ყველგან, სადაც კი ამის საშუალება მომეცემა, ვიტყვი, რომ, **თუ არ გვინდა, საქართველო საბოლოოდ მოისპოს და საერთოდ გაქრეს მსოფლიო რუკიდან, გავერთიანდეთ და ყველამ ერთად კიდევ ერთხელ ვუთხრათ სააკაშვილს „წა-დი!“, ოღონდ ეს არ უნდა იყოს ისეთი ნათქვამი, აქამდე რომ ვყვიროდით, და მერე ხელისუფლება პანჩურებს გვირტყამდა, არამედ ამით უნდა დამთავრდეს ყველაფერი, უპირველესად კი, — ის უმსგავსობა და ალვირახსნილობა, რომელიც ამათი წყალობით დღეს გამეფებულია ქვეყანაში.**

ესაუბრა
ჯაბა ჟვანია

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაფრაზებულნი



**რობერტ სტურუა,**
**რეჟისორი:**

გარე სამყარომ იცის, აქ რაც ხდება, მაგრამ, ალბათ, ისეთი პოლიტიკური თამაშები მიდის, რომლის საქმის კურსშიც ჩვენ არ გვაყენებენ, არ თვლიან საჭიროდ... ახლა ვუსმენდი სწორედ, ჩვენ გვგონია, რომ ვართ მსოფლიოს ჭიპი და გვგონია, რომ ყველა ჩვენ გვიყურებს. ამ დროს ვართ ერთი პატარა ქვეყანა ნიჭიერი ხალხით, მაგრამ ისე ვიქცევით, როგორც ფსიქიურად დაავადებულები... რა ვიცი, ფაქტია, რომ იმ თამაშში, რომელიც ვახსენე, ერთ-ერთი როლი რუსეთს აქვს და ვერაფრით გავიგე, როდესაც ისეთი მეზობელი გყავს, როგორიც რუსეთია, რატომ არ უნდა მოაწესრიგო მასთან ურთიერთობა...

*journalist.ge*



**ზურაბ ნოღაიდელი,**
**„სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი:**

მე ბრძოლის არ მეშინია, მაგრამ ბრძოლის იმიტაციაში, გითხარით, უკვე არ მივიღებ მონაწილეობას.. უშედეგო ყველა ნაბიჯს სააკაშვილის გაძლიერებამდე მივყავართ, ის კიდევ უფრო თავხედდება და მერე მისი თავხედობა კიდევ უფრო ანგრევს ყველაფერს და ახლა მისი ამ თავხედობის ზენიტში ვართ... ის ლაჩარი და უჭკუოა, მაგრამ ნიჭიერი ლაჩარია და ისევ გაწირავს ქვეყანას, ოღონდ თვითონ შეინარჩუნოს თავი... როგორც გააკეთა ეს 2008 წლის აგვისტოში, 2007 წლის ნოემბერში...

*journalist.ge*



**დავით უსუფაშვილი,**
**რესპუბლიკური პარტიის ლიდერი:**

„რესპუბლიკელების“ პოზიცია „სახალხო კრებასთან“ დაკავშირებით უცვლელია. ჩვენი მიზანია ხელისუფლების არჩევნების გზით, კანონიერად შეცვლა. თუ ვინმეს აქვს უფრო ადრე და სწრაფად ხელისუფლების კანონიერად შეცვლის გეგმა, ეს მისასალმებელია, მაგრამ ჩვენ ასეთი გეგმის შესახებ არ ვიცით და არ გვჯერა.

*„პირველი“*



**ზურაბ ხაჩიძე,**
**მომღერალი:**

ოპოზიციონერთა 90%-ს იმის უნარი არ აღმოაჩნდა, რომ წარმატებისთვის მიეღწია. მესმის, არათანაბარ პირობებში უწევდათ ბრძოლა, მაგრამ ის, რაც მოხდა, სამარცხვინოა. ბევრმა ოპოზიციონერმა პირადი კეთილდღეობა არჩია ქვეყნის კეთილდღეობას. ამიტომ, რაც უნდა მოხდეს, ქუჩაში მათ გვერდით აღარ დავდგები, მიტინგზე ჩემი ფეხი აღარ იქნება.

*„ყველა სიახლე“*



**ნუგზარ წიკლაური,**
**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:**

მოსწავლეებს არ უნდა ეშინოდეთ ამ გამოცდების. მაგრამ მიმაჩნია, რომ განათლების სამინისტროს უნდა გამოეჩინა მეტი აქტიურობა, მეტი კომუნიკაბელურობა, რათა სკოლებში ყველასთვის გაეცნო ამ გამოცდების ავ-კარგი. ეს რომ არ მოხდა, ამან გამოიწვია პროტესტი, რომლის გამოთქმის უფლებაც ნამდვილად ჰქონდათ ამ ბავშვებს.

*„ყველა სიახლე“*

# ქუთაისი — Новые Васюки



**მიხეილ სააკაშვილი:**
**უნდა გაკეთდეს აეროპორტი, ისე, რომ აქ მუდმივი რეისები დაინიშნოს, მათ შორის შესრულდეს რეისები ევროპიდან.**



**ოსტაპ ბენდერი:**
**Аэропорт Большие Васюки - регулярное отправление самолетов и дирижаблей во все концы света, включая Рио-де-Жанейро и Мельбурн!**

## სააკაშვილის მორიგი «კვაზი უნო ფანტაზია»

**16 ნოემბერს პრეზიდენტ სააკაშვილის დიდი გასეირნება ქალაქ ქუთაისში თბილი ამინდის, შეკრებილი აუდიტორიისა და მორიგი დაპირებების ფონზე წარიმართა. ერთი სიტყვით, გარემო ხელს უწყობდა ბატონ პრეზიდენტს, რომ თავი ერთი მსახიობის თეატრის დამსახურებულ არტისტად წარმოედგინა და ოცწუთიანი გამოსვლა დაუვიწყარ წარმოდგენად ექცია. ყოველ შემთხვევაში, მან იქ შეკრებილთა განწყობაზე იმდენად იმოქმედა, რომ წარუხოცველი შთაბეჭდილება დატოვა.**

ამ გამოსვლაში პრეზიდენტს ბევრი თავსატეხის თავისებურად გამართლებაც კი მოუწია: **„თქვენ გეგონათ, აქ მარტო პარლამენტი გადმოვიდოდა, მაგრამ ჯერ პარლამენტი შემოგაპარეთ, ახლა – მთავრობა და თანდათან ვანხორციელებთ ქუთაისის მეორე დედაქალაქად ქცევის პროექტს“.** თუმცა რეალურად რა სასიკეთო ცვლილებების მომტანი იქნება ქუთათურებისთვის შემოპარული ნახევარპარლამენტი თუ მთავრობა, ძნელი სათქმელია. მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ეჭვები გავფანტოთ და კვლავ სააკაშვილის მონაწილეობით შესრულებულ სპექტაკლს გულდასმით მოვუსმინოთ:

**„ახლა ნახეთ, რა სილამაზეა გარშემო! ნახეთ, როგორ გაკეთდა ცენტრი! ნახეთ, პარლამენტისა და მთავრობის როგორი შენობები შენდება აქ; როგორი კონტროლის პალატა აშენდა! პირი მაქვს დაღებული, ისეთი სილამაზეა. მსოფლიოში ყველაზე ლამაზი პარლამენტის შენობა გვექნება. მთავრობის სახლი ერთი წლის თავზე გაიხსნება, პარლამენტს კიდევ წელიწად-ნახევარი დასჭირდება... ასევე უნდა გაკეთდეს აეროპორტი, ისე, რომ აქ მუდმივი რეისები დაინიშნოს, მათ შორის შესრულდეს რეისები ევროპიდან“.**

ისე, მგონი, პრეზიდენტს დაავიწყდა, ნახევარი ქალაქი ოჯახების სარჩენად გახიზნული რომ არის ევროპაში. დიახ, გახიზნულია. აბა, სხვა რა შეიძლება უწოდო ქალაქში არსებულ რეალურ ვითარებას, რომელიც სააკაშვილის მიერ შექმნილი ილუზიისგან დიდად განსხვავდება.

### ქალაქში, სადაც არ არის დასაქმების შესაძლებლობა და ქუთაისში დარჩენილების ერთადერთ საარსებო წყაროს მხოლოდ ვაჭრობა წარმოადგენს, ამ ფონზე მორიგი გუმბათიანი, ლოკოკინის ნიჟარის ფორმის მქონე შენობების აგება (ისიც მხოლოდ ნახევარპარლამენტისთვის და მთავრობისთვის)

### სრულიად გაუმართლებელი და ლოგიკას მოკლებულია.

**„სულ ცოტა ხანში აქედან ევროპაში დღეში ექვსი რეისი იქნება,“** — ბრძანა სააკაშვილმა. მერედა, საინტერესოა, ვინ იმგზავრებს დანიშნული რეისებით, გადმოსული ნახევარმთავრობა თუ ხალხი, რომელთაც სამსახური და შემოსავალი არ აქვთ და, შესაბამისად, ბილეთებს რით შეიძენენ, ეს კიდევ საკითხავია. სპექტაკლი უფრო დამაჯერებელი, საინტერესო და ეფექტური რომ გამოსულიყო, პრეზიდენტმა მორიგი შთამბეჭდავი მაგალითის მოყვანა გადაწყვიტა:

**„ათი წლის წინ, როცა პირველი რეისი, კოპიტნარი-პარიზი შესრულდა, დიდი სენსაცია იყო. გუბერნატორს ეს ჰქონდა მთავარ სიამაყედ, რომ ჯაგლაგი „ტუ-154“ ერთხელ კოპიტნარიდან პარიზში გადააფრინეს. წაიღეს შემწვარი გოჭები და ქათმები და ეს იყო დიდი გარღვევა ევროპაში. დაიმახსოვრეთ, სულ ცოტა ხანში აქედან ევროპაში დღეში ექვსი რეისი შესრულდება და ეს იქნება ჩვეულებრივი მოვლენა თითოეული ჩვენგანისთვის“.**

როდესაც პრეზიდენტი ქუთაისის უნიკალური ტურისტული პოტენციალის განვითარების აუცილებლობაზე ლაპარაკს მორჩა, საუბრის თემა გველეშაპებზე გადაიტანა:

**„იმის გათვალისწინებით, რომ განვითარება ხდება ზღვისკენ, იმის გათვალისწინებით, რომ გველეშაპს კლანჭი აქვს ჩავლებული ჩვენს ყველაზე მნიშვნელოვან ტერიტორიაზე და ქართლის ნაწილში კიდევ თავზე დაგვყურებს თავისი სამხედროებით და იმის გათვალისწინებით, რომ თბილისს განტვირთვა, ამ რეგიონს კი განვითარება სჭირდება, ეს ძალიან სტრატეგიული გადაწყვეტილებაა“.**

ერთი სიტყვით, გვეშველა, ხალხო. დავუკრათ ტაში, ვაშა!

სააკაშვილის ამ გამოსვლამ გამახსენა ილფისა და პეტროვის „12 სკამი“; კერძოდ, ის ეპიზოდი, როცა თაღლითი ოსტაპ ბენდერი ცდილობს ხალხის (მოჭადრაკეების) მოტყუებას. გაუთავებლად საუბრობს ახალი ვასიუკის განვითარების გეგმაზე (ამ ქალაქში აშენდება აეროპორტები, სადაც დაინიშნება რეისები მსოფლიოს ყველა მიმართულებით და ა.შ). მსგავსი სიტუაციაა, **სააკაშვილი ჩვენი დროის ოსტაპ ბენდერია, მის მიერ შემოთავაზებული ქუთაისის განვითარების გეგმა კი ახალი ვასიუკის ანალოგია.** შესაბამისად, სააკაშვილის მორიგი გამოსვლა ქუთაისში მხოლოდ „კვაზი უნო ფანტაზიაა“ და მეტი არაფერი.

**ოთარ დალაქიშვილი**

## მოკლედ

### ქუთაისის მემორიალის ანალოგი მოსკოვში

**19 დეკემბერს მოსკოვში, პაკლონნაია გორაზე ქუთაისის „საბრძოლო დიდების“ მემორიალის ანალოგი დაიდგმება და მონუმენტს „ფაშიზმთან ბრძოლაში ჩვენ ერთად ვიყავით“ ერქმევა.** კვარცხლბეკზე გამარჯვების დროშით ხელში ერთად დგანან ეგოროვი და ქანთარია. კომპოზიციის ფონი კი კედელია, რომელიც ქუთაისში აფეთქების შედეგად დანგრეულ მემორიალს გამოხატავს. კვარცხლბეკზე ასევე, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში სამამულო ომის თემაზე შექმნილი ძეგლების 15 ბარელიეფს განალაგებენ. მონუმენტის ტერიტორია კეთილმოწყობილი იქნება. გაიხსნება დასვენების პარკი და მონუმენტს შთამბეჭდავი განათება ექნება. 14-მეტრიან მონუმენტს მთლიანად ბრინჯაოში ჩამოასხამენ. პროექტისთვის 40 მილიონი რუბლი ფონდმა „ისტორიული მემკვიდრეობა“ შეაგროვა.

### არაეფექტური ცვლილებები

**საერთაშორისო საკითხთა ექსპერტი გიორგი ვოლსკი განხორციელებულ საკადრო ცვლილებებში გარკვეულ ლოგიკას კი ხედავს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ვერც თემურ იაკობაშვილი, ვერც გიგა ბოკერია და ვერც ეკა ტყეშელაშვილი ახალ თანამდებობებზე ვერ გაამართლებენ.** მისი განცხადებით, თემურ იაკობაშვილის არაკონსტრუქციულმა პოლიტიკამ ბევრად განაპირობა 2008 წლის აგვისტოს და შემდგომი პროცესები, ამიტომ მისი ელჩად გაგზავნა ლოგიკურია. „დარწმუნებული ვარ, რომ ვერც იაკობაშვილი იქნება აშშ-ში საქართველოს ეფექტური ელჩი, ვერც ეკა ტყეშელაშვილი იქნება რეინტეგრაციის წარმატებული მინისტრი და ვერც გიგა ბოკერია იქნება უშიშროების საბჭოს ეფექტური ხელმძღვანელი,“ — განაცხადა ვოლსკიმ.

### პრეზიდენტო, გადააყენე შაშკინი!

**„განათლების სისტემაში ისეთი ადამიანის ყოფნა, როგორიც დიმიტრი შაშკინია, არ შეიძლება. იგი მიზანმიმართულად ანგრევს განათლების სისტემას,“** — ეს განცხადება ახლადშექმნილი „ქართული პარტიის“ პრესსამსახურმა გაავრცელა. მაგრამ განცხადებაზე რადიკალური პარტიის ის მოთხოვნებია, რომელთა თანახმადაც პრეზიდენტმა თანამდებობიდან უნდა გაათავისუფლოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი. „მოსწავლე-მასწავლებელთა ინტერესების დაცვის ნაცვლად, შაშკინმა სკოლებში ციხის აპრობირებული მეთოდები დანერგა და რეპრესიებს ახორციელებს მასწავლებლებისა და მოზარდების მიმართ, მანდატურების ინსტიტუტის შემოღებას კი პოლიტიკური დატვირთვა აქვს,“ — ნათქვამია განცხადებაში.

### ლომაიას იქიდანაც ხსნიან

**განათლების მინისტრობიდან გათავისუფლების შემდეგ ქართული საგანმანათლებლო რეფორმის მამამთავარი გაეროში საქართველოს ელჩად გაამწესეს, მაგრამ, როგორც ახლა კულუარებში საუბრობენ, იქიდანაც ხსნიან.** ამჟამად ლომაია საქართველოშია და პარლამენტსაც ეწვია, თუმცა, კონკრეტულად ვის ხვდებოდა, უცნობია. როგორც კულუარებში საუბრობენ, გაეროში მის შემცვლელს აქტიურად ეძებენ. სწორედ კახა ლომაიას სახელს უკავშირდება განათლების სამინისტროში გატარებული რეფორმები, რომელთა დიდი ნაწილი თავად ხელისუფლებამ ღიად თუ მინიშნებით რამდენჯერმე გააკრიტიკა. თუმცა ლომაიამ საზოგადოებას თავი დირექტორების ლოტოტრონის წესით დანიშვნის საქმეში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილით დაამახსოვრა.

## თამაზ წივწივაძე:

# ვიდრე სააკაშვილი ტელევიზორის ეკრანზე «პერანგის ამხანაგის» გარეშე არ გამოჩნდება, იქამდე გიჟად არ ითვლება?!

**ჯერ „ლოზუნგების ქვეყანა“, როგორც იტყვიან, „ააყირავა“ და თავგადაკლული კომუნისტებიც კი დაარწმუნა ცვლილებების აუცილებლობაში. ყველამ იგრძნო კრიტიკოსის მართალი სიტყვის სუსხი. შემდეგ „გრიშა ბიძია“ და მასთან ერთად სხვა „ბიძიებიც“ გამოიყვანა ძილბურანიდან... რიგითობა შეიძლება მეშლება, რადგან ეს იყო ორ ათეულზე მეტი წლის წინათ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობამდეც და მისი მოპოვების შემდეგაც თამაზ წივწივაძის სახელის გაგონებაზე მართალს მისი ბასრი კალმის „ნაჟური“ ახსენდება, უგვანს კი უსიამოვნო ჟრუანტელი უვლის გულ-გვამში.**



**გაზეთმა „ლიტერატურული საქართველო“, რომელმაც თამაზ წივწივაძის რედაქტორობით მხოლოდ გაზეთის კი არა, ერთ მუშტად შეკრული სიმართლის „ბეჭდური ვერსიის“ სახე მიიღო და დიდი გავლენაც ჰქონდა, „ვარდების რევოლუციად“ წოდებული „სასახლის კარის გადატრიალების“ შემდეგაც არ შეწყვიტა ხელისუფლების „ალიყურებით განებივრება“. ამიტომაც, ძალაუფლებით შეპყრობილთა ბოროტმა მეხსიერებამ „ლიტერატურულ საქართველოსაც“ და მწერალთა კავშირსაც, რომელსაც ბატონი თამაზი თავმჯდომარეობდა, „აუტოდაფე“ მოუწყო. ცნობილ კრიტიკოსთან და პუბლიცისტთან საუბარი შვიდი წლის წინანდელი „მოვლენის“ გახსენებით დავიწყე და რა გაგრძელება მოჰყვა, ამ ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**— ბატონო თამაზ, არცთუ საიუბილეო, მაგრამ მაინც ღირსახსოვარ თარიღს დაემთხვა ჩვენი საუბარი და, უპირველესად, მინდა გთხოვოთ, რომ ამ გადასახედიდან შევაფასოთ შვიდი წლის წინანდელი მოვლენები. ოღონდ კარგი იქნება, თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ, თქვენგან განსხვავებით, ხალხის დიდი ნაწილი აღტაცებით შეხვდა რევოლუციად წოდებულ ამ გადატრიალებას...**

— მართლაც უცნაური ხალხი ხართ ეს ჟურნალისტები, თორემ რა დროს შვიდი წლის წინანდელი მოვლენების შეფასებაა, როცა ქვეყანაში ხვალიდან ეროვნული დაუმორჩილებლობა იწყება და, შეიძლება ისეთი ამბები დატრიალდეს, დედა რომ შვილს ვერ აიყვანს ხელში!..

ჩემი აზრით, ახლა უფრო ის დროა, წიგნებს რომ ვაგროვებდეთ...

**— კი მაგრამ, ბატონო თამაზ, წიგნები რა შუაშია, ჩვენი უწიგნური ხელისუფლების განათლებაზე გინდათ, იზრუნოთ?!**

— არა, ეს უიმედო საქმე იქნება და, არა მგონია, ამისთვის დროის მოცდენა ღირდეს! მე აქ წიგნი იმიტომ ვახსენე, კომუნიზმის მშენებლობის პირველ ეტაპზე მოწინავე და დამკვრელი პოეტები რომ გვასწავლიდნენ:

**„წიგნი შრომის დროს**
**აგურია და**
**ბრძოლის დროს**
**ტყვიით სავსე ყუმბარა!..“**

ცხადია, ხვალიდან, ანუ ეროვნული დაუმორჩილებლობის დღის გამოცხადებიდან, ტყვიის სროლის უფლებას ჩვენ არავინ მოგვცემს. ამიტომ იმდენი მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ ყოველ ჩვენგანს ორი აგური მაინც ეჭიროს ხელში!..

**— მიგიხვდით, ბატონო თამაზ, ამ აგურებს მთავრობის სასახლის ფანჯრებს დავუშენთ, არა?**

— არა, ამ ორ აგურს დავიჭერთ ხელში და ერთ ადგილს მოვიჭეჭკავთ, რადგან ამ ხელისუფლებისგან დაჩმორებულ ქართველ მამაკაცებს, სულერთია, ეს ადგილი გინდ გვქონია და გინდა არა!..

სხვა მხრივ კი მართალი ბრძანდებით — ქვეყნის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი აღტაცებით შეხვდა რევოლუციად წოდებულ ამ გადატრიალებას!

თუმცა ეს იმ კატეგორიის ხალხია, როგორც მაშინ შეხვდნენ აღტაცებით ამ **„გადატრიალებას“,** ახლაც დიდი აღფრთოვანებით შეხვდებიან დღევანდელი ხელისუფლების ტახტიდან **„გადმოტრიალებას“...**

**— სხვათა შორის, არც ის უნდა დავივიწყოთ, ბატონო თამაზ, რომ იმხანად ინტელიგენციის ზოგიერთმა წარმომადგენელმაც უმღერა ოსანა ე. წ. რეფორმატორებს. ვიცი, რომ თქვენ მათ შორის არ იყავით. დღეს, როცა ერთმანეთს ხვდებით, რას ამბობენ, რით ამართლებენ „ამათ“ მხარდაჭერას?**

**და კიდევ: ხელისუფლება რომ საკუთარი „ინტელიგენციის“ შექმნას ცდილობს, ამ ფაქტს როგორ ახსნით?**

— სხვები ნამდვილად არ ვიცი, ერთმანეთს როგორ ხვდებიან, მე კი ასეთ დროს ყოველთვის იუმორი მშველის — ამ ტიპის „ინტელიგენტს“ თუ შევხვდები, მის გასაგონად წავიღიღინებ: „გადაბრუნდი, მანეთს მოგცემ, გადმობრუნდი ორ მანეთსა“!..

რასაკვირველია, ამ სახუმარო ტექსტიდან გამომდინარე, ამ ცრუინტელიგენტისთვის მეტი თანხა მე არასდროს შემიძლევია!..

ხოლო რაც შეეხება იმ ახალ სოციალურ ფენას, რომელსაც ხელისუფლება თავისთვის ქმნის და საახალწლოდ, „ჩამიჩისა და ლეღვის ჩირის“ გარდა, ინდაურსაც რომ უძღვნის, მე ამ ძღვენის გამო ასეთ ხალხს, ძღვენიჭამიებს ვეძახი!..

**— ხუმრობა ხუმრობად, ბატონო თამაზ, მაგრამ თავიანთ საიუბილეო დღეებში განათლების რეფორმა დამოკლეს მახვილივით დაეკიდა ხელისუფალთა თავზე, თუმცა იხტიბარს არ იტეხენ და იქეთ უტევენ ბავშვებს, — მერე რა, რომ არ გასწავლეთ, კეთილი ინებეთ და გამოცდები ჩააბარეთო. ანდა, აიღეთ ბარი და წერაქვი და ირჩინეთ თავიო...**

— ბონდო, ძვირფასო, არც იმით დაიქცევა ქვეყანა, თუ ქართველი ბავშვი ბარსა და წერაქვს აიღებს ხელში, ოღონდ, იმისგან კი ღმერთმა დაგვიფაროს, რასაც, ქართველი ბავშვებისგან განსხვავებით, ეს „უცხოელი მასწავლებლები“ ხელში იღებენ და პირში იჩრიან!..

ნეტა განახა, როცა ესენი უკანალს ათამაშებენ და პირში გამოჩრილი ფალოიმიტატორით იქცევენ თავს!..

**— ბატონო თამაზ, ყოველთვის ზუსტად აფასებდით პრეზიდენტ სააკაშვილის ქმედებებს და ახლაც მინდა, გთხოვოთ, „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს გაუზიაროთ თქვენი დაკვირვება: რა მდგომარეობაშია „პაციენტი“, ჯერ კიდევ „ექვემდებარება მკურნალობას“ თუ ხელი უნდა ჩავიქნიოთ?**

— ისე მორჩა ბაბუაჩემის ძროხა, როგორც ეს მორჩება აწი!..

არადა, გახსოვს, ალბათ, ამ რამდენიმე წლის წინათ სინანულით რომ ვწერდი: მაინც რა ვართ ეს ქართველი ხალხი. სანამ კაცი ჯოხის ცხენზე არ გადაჯდება და ქუჩაში „აჩუ-აჩუს“ ძახილს არ დაიწყებს, მანამდე გიჟად არ ვთვლით-მეთქი!..

არადა, გულწრფელად ვკითხულობ: ვიდრე სააკაშვილი ტელევიზორის ეკრანზე „პერანგის ამხანაგის“ გარეშე არ გამოჩნდება, იქამდე გიჟად არ ითვლება?!

**— კარგი, ბატონო თამაზ, თუ ჩვენი პრეზიდენტის საქმე აქამდეა მისული, დაქცეულა ქვეყანა და ესაა! ამიტომ, რაღაც იმედს რომ მოვეჭიდოთ, 25 ნოემბრის „წარმომადგენლობით სახალხო კრებაზეც“ გკითხავთ: ეს დღე რაღაც ახლის დასაწყისად გესახებათ თუ ეს „კინო“ უკვე ვნახეთ და შეგვიძლია „გადავახვიოთ?“**

— არა, ბონდო, აქამდე ჟურნალი იყო, კინო ახლა იწყება!..

ხოლო „ლენტას“ მაშინ **გადავახვევთ,** როცა იგი ჰააგის სასამართლოსკენ **გადაუხვევს!..**

**— კი მაგრამ, ბატონო თამაზ, პასუხისმგებლობა? რამდენჯერ შეიძლება გაუცრუვდეს იმედი ხალხს, რომლის ბედზეც ოპოზიციის ლიდერებიც ნაკლებად ზრუნავენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ხელისუფლებაზე?**

— ოპოზიციაში ყოფნა დღეს სამსახურში მოწყობას ნიშნავს, ოღონდ მცირედი განსხვავება განცხადების ტექსტში გამოსჭვივის!

მაგალითად, უმუშევარი ადამიანი წერს: გთხოვთ, მიმიღოთ სამსახურში...

ხოლო პოლიტიკოსი აცხადებს: ვქმნი ახალ პარტიას...

ამის შემდეგ კი, თუ ახლადგამომცხვარი ეს ჩვენი პოლიტიკოსი ქვეყნის სასარგებლოდ ვერაფერს გააკეთებს, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი იტყოდა: „იგი ამისთვის არა დაღონდეს!..“

**— ბატონო თამაზ, ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდება, მაგრამ არ გამოდის მონატრებულ რესპონდენტთან ასე ადვილად განშორება. „თამაზ წივწივაძემ ხმალი ქარქაშში ჩააგოო“, მტრები ხმებს გივრცელებენ; აღარც თქვენი კალმის ფხიანობა ჩანს. არადა, ყველას კარგად ახსოვს, რომ თქვენს მწვავე პუბლიკაციებს პოლიტიკურ პროცესებზეც კი მოუხდენია გავლენა...**

— მადლობა, ბონდო, ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის დადებით კონტექსტში მოხსენიებისთვის — ამასთან, ჩემი ოპონენტის გასაგონად მაქვს რამდენიმე შენიშვნა:

ჯერ ერთი, ის, რომ, თუ ჩემი ოპონენტები ხმას მართლა მივრცელებენ: თამაზ წივწივაძემ ხმალი ქარქაშში ჩააგოო, უნდა იცოდნენ მათ, რომ ეს საქმე ჩემგან არ გამოვა, რადგან სხვა დროსაც არაერთხელ მითქვამს — „სულ ლაშქარსა ვარ, რაც კია, ძუძუს მამსხლიტა დედამა!..“

რაც შეეხება იმას, „აღარც თქვენი კალმის ფხიანობა ჩანსო“, ამასაც, ალბათ, ოპონენტების ის ნაწილი იტყოდა, რომელთა ზურგ ზედაც, როგორც კრიტიკოსს, ჯერ მათრახი არ გადამიკრავს. ჰოდა, სხვისი ატკიებული გვერდები რაში ენაღვლებათ!..

თქვენი ამ კარგი სიტყვებისთვის კი — „ყველას კარგად ახსოვს, რომ თქვენს მწვავე პუბლიკაციებს პოლიტიკურ პროცესებზე კი მოუხდენია გავლენაო“, — ძვირფასო ბონდო, მადლობის თქმა მე არასოდეს დამავიწყდება!..

თქვენ კიდევ, ძვირფასო მკითხველო, ოღონდ „ვარდების რევოლუციას“ ნუ გამაგონებთ და გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს ათასჯერ მოგილოცავთ!..

ესაუბრა
**ბონდო მძინარაშვილი**

## გამოხმაურებები



**დავით სოკოლოვი,**
**ყოფილი ტელედიქტორი:**

ამერიკელებისთვის აბსოლუტურად სულერთია, რა მოუვა ქართველ ხალხს. მათთვის მთავარია, საკუთარი ინტერესების გამტარებელი ჰყავდეთ ხელისუფლების სათავეში და თუნდაც ერთ დღეს გავწყვეტილვართ.

*„ასავალ-დასავალი“*



**გიორგი გაჩეჩილაძე,**
**მწვანეთა პარტიის ლიდერი:**

გაეროს სასურსათო ორგანიზაციამ ოფიციალურად განაცხადა, 2011 წელს მსოფლიოში სასურსათო დეფიციტი კიდევ უფრო გაიზრდება და, შესაბამისად, სურსათზე ფასებიც აიწევსო! სააკაშვილის ხელისუფლება კი ყველაფერს აკეთებს, რომ ქვეყანა საბოლოოდ გაამათხოვროს! ამათ ხელში საქართველო უკვე შიმშილობს, 2011 წელს კი უარესი შიმშილობა გველის!

*„ასავალ-დასავალი“*



**დიმიტრი ომანაძე,**
**„დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის“ თანათავმჯდომარე:**

დარწმუნებული ვარ, სააკაშვილმა ყველაფერი იცის. უფრო მეტიც, მინისტრი სუბელიანი მის ბრძანებას ასრულებს! სააკაშვილს სძულს დევნილები, ისევე, როგორც მთლიანად ქართველი ერი. ამ ხელისუფლებისთვის დევნილები ვართ „მოუშორებელი ჭირი“, რაც უფრო შორს გადაგვისვრიან, მით უფრო მშვიდად იგრძნობენ თავს.

*„ასავალ-დასავალი“*



**ილია ჩაჩიბაია,**
**ჟურნალ „ღია ბოქლომის“ რედაქტორი, ჟურნალისტი:**

ეს ე. წ. პედაგოგი ინტერნეტში გამოქვეყნებულ ფოტოებზე ისეთ პოზებშია გამოსახული, რომ თქმაც კი მიჭირს... შაშკინი კი გამოდის და ამბობს, ეს საკითხი ჟურნალისტებმა გაამწვავეს, თორემ საგანგაშო არაფერია, ჟურნალისტებმა დაივიწყეს სტუმარმასპინძლობაო. ფლეთჩერის ორიენტაცია ვის აინტერესებს, მაგრამ, როცა მას ბავშვებთან აქვს ურთიერთობა, უთქმელობა დანაშაულის ტოლფასია.

*„ყველა სიახლე“*



**ლუკა კურტანიძე,**
**მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი:**

თუ ეს ხელისუფლება დარჩება, მაშინ ერი და ქვეყანა დაიღუპება. ნუ ვაფიქრებინებთ მომავალ თაობას, რომ, როდესაც მიშა ბატონობდა, ჩვენ ბუჩქებში ვიმალებოდით. გავრეკოთ ეს ჭირიანები და ვიცხოვროთ ღირსეულად!

*„ასავალ-დასავალი“*



**მანანა ნიკოლაიშვილი,**
**„განათლების ლიგის“ პრეზიდენტი:**

გახსოვთ, პრეზიდენტმა რომ ღიად განაცხადა, რა სოკოებივით მომრავლდა ეს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლებიო? საიდუმლოც კი ვერ დამალა და ყველაფერი თქვა. ავტორიზაციის იმდენად მკაცრი სტანდარტებია, რომ 200 უმაღლესი სასწავლებლიდან მისი მიღების შანსი ერთ პროცენტსაც არ აქვს. უმეტესობა ვერც პროფესიულ კოლეჯად გადაკეთდება და ვერც საზოგადოებრივ კოლეჯად და არსებობას დაასრულებს.

*„კვირის ქრონიკა“*



**ჟიული სიყმაშვილი,**
**პენსიონერი:**

საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესება აუცილებელია, მაგრამ არჩევნების გზით გამარჯვების მიღწევაც შეუძლებელია, ვინაიდან ხელისუფლება ასაქმებს და ხელფასს აძლევს იმდენ ადამიანს, რამდენი ხმაც სჭირდება გამარჯვებისათვის, მოსახლეობის მეორე ნახევარს კი ახრჩობს გადასახადებით, ჯარიმებით და... თუნდაც ამოწყვეტილან, არ ენაღვლებათ. საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობის „ახალი რეფორმა“ ხომ პენსიონერებისა და სხვა გაჭირვებულებისთვის გადასახადის გასამმაგების მიზნით მოხდა. კონტროლიორებმა ხალხს ყვითელი ფერი შეაზიზღეს!

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მინისტრი სუბელიანი დევნილებს მიქელ-გაბრიელივით ადგას თავზე

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების არაერთი მინისტრი ჰყოლია, მაგრამ არც ერთი მათგანის მოღვაწეობა არ ყოფილა ისეთი სისხლიანი, როგორიც კობა სუბელიანის. საქართველოს ხელისუფლება თავს იწონებს, რომ დევნილებზე ზრუნავს და აგვისტოს ომის შემდეგ, რამდენიმე თვეში, მათთვის ახალი დასახლებებიც კი მოაწყო, მაგრამ „საქართველო და მსოფლიომ“ შემოგთავაზათ მონიტორინგის დასკვნები, თუ რა პირობებში ცხოვრობენ ხელისუფლების მიერ კოტეჯური ტიპის დასახლებებში ჩასახლებული დევნილები. სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული კობა სუბელიანი საქართველოში ერთადერთი მინისტრია, რომლის გამოც ერთმა ქალბატონმა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შენობის წინ თავი დაიწვა.**



ქუთაისში, ყოფილ „ტურბაზა რიონის“ ხის კოტეჯებში, სადაც 15 დევნილი ოჯახი ცხოვრობს, ყოველდღე ელოდებიან შენობების თავზე დანგრევას

## დევნილები, რომლებსაც ორი წლის წინათ სახლებიდან ექსტრემალურ სიტუაციაში მოუხდათ გამოქცევა, საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებამ ზუსტად ორ წელიწადში იმავე მდგომარეობაში ჩააგდო

აფხაზეთიდან დევნილი ნანა ფიფია გასულ კვირას დამწვრობის ცენტრში გარდაიცვალა. მან სუბელიანის უწყებასთან თავი 27 ოქტომბერს დაიწვა. სხეულის 30-პროცენტიანი დამწვრობით ფიფია დამწვრობის ცენტრში მოათავსეს, გასულ კვირას კი რეანიმაციულ განყოფილებაში გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი გზების უკმარისობით გარდაიცვალა. ამ ფაქტიდან ერთი თვის შემდეგ ამავე სამინისტროსთან თავის დაწვა სცადა აფხაზეთიდან დევნილმა დავით კანდელაკმაც, რომელიც, უსახლკაროდ დარჩენილი, წლების მანძილზე ნათესავებთან ცხოვრობდა, ბოლო პერიოდში კი თავშესაფრის გარეშე აღმოჩნდა.

**პერმანენტულად მიმდინარეობს დევნილების აქციები სუბელიანის უწყებასთან. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2010 წლის იანვრის მონაცემებით, საქართველოში 249365 დევნილია (87962 ოჯახი). როგორ ექცევა ხელისუფლება მათ და რა მდგომარეობაში არიან ეს ადამიანები, რომლებიც დევნილები ხელისუფლების პოლიტიკის გამო გახდნენ? წლევანდელი ზაფხული ლტოლვილებისთვის მეტად მძიმე აღმოჩნდა და, ალბათ, არანაკლებ მძიმე, ვიდრე 2008 წლისა, ვინაიდან ისინი საკუთარი სახლებიდან ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გამოყარა ქუჩაში, რადგან იმ შენობების გაყიდვა მოესურვილათ, დევნილები რომ ცხოვრობდნენ.**

„საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ ფაქტებს, თუ როგორ ექცევიან დევნილებს ხელისუფლების წარმომადგენლები.

2007 წელს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ წერილობით აცნობა ეკონომიკის სამინისტროს, რომ **რამდენიმე დევნილი რეგისტრირებული იყო ქ. წამებულის №71-ში მდებარე გვარდიის საერთო საცხოვრებელში.** ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა, რომ, ობიექტის გასხვისების შემთხვევაში, გათვალისწინებული ყოფილიყო დევნილთა ინტერესები. ეკონომიკის სამინისტრომ პასუხად აცნობა, რომ ობიექტი უკვე პრივატიზებული იყო. **ამ მისამართზე მცხოვრები დევნილებისთვის დღემდე უცნობია, რა ტიპის ღონისძიებები იქნება გატარებული მათ მიმართ, დღემდე ელოდებიან ალტერნატიულ ფართს და საკმაოდ რთულ პირობებში უწევთ ცხოვრება.**

**თბილისში, გურამიშვილის №76-ში მდებარე „ალკოჰოლიანი სასმელების კვლევითი ცენტრის“ შენობა, რომელშიც დევნილები ცხოვრობდნენ, სამინისტროს მონაცემთა ბაზაში ფიქსირდება როგორც კოლექტიური ცენტრი, სადაც დევნილთა 19 ოჯახი კანონით დადგენილი წესით არის რეგისტრირებული.** მიუხედავად ამისა, შენობა 2008 წლის 29 ივლისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უპირობო აუქციონის წესით გაყიდა. **ობიექტი ისე გასხვისდა, რომ დევნილთა ინტერესები არ გაუთვალისწინებიათ და დევნილები დავას სასამართლოში განაგრძობენ.**



ნაჩქარევად აშენებული „წეროვანის გეტო“ დაიტბორა

**თვალჭრელიძის №2-ში კოლექტიური ჩასახლების ობიექტი, ამიერკავკასიის ჯარების სააფთიაქო სამმართველოდ წოდებული შენობა, 10 წლის მანძილზე წარმოადგენდა 38 დევნილი ოჯახის საცხოვრებელ ადგილს. მათ 2010 წლის 10 ივნისს პოლიციისგან შეიტყვეს, რომ შენობაში დარჩენის უფლება 14 ივნისამდე ჰქონიათ.** სამინისტრომ, რომელსაც დევნილების მდგომარეობაზე ზრუნვა ევალება, მათ საყვირის ქუჩაზე მდებარე ალტერნატიული ფართი შესთავაზა, თუმცა ეს შენობა ბევრად ჩამოუვარდებოდა საცხოვრებელი პირობებით მათ წინანდელ საცხოვრებელს. შესაბამისად, აღნიშნულ შენობაში გადასვლით მათი პირობები მკვეთრად გაუარესდა.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ ამ უკარფანჯრო შენობას სახურავიც დაზიანებული აქვს და წყალი ჩამოდის, ამასთან, სველი წერტილებიც არ არის დამონტაჟებული. **სარემონტო სამუშაოები კი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მას შემდეგ დაიწყო, რაც დევნილები ამ შენობაში გადაიყვანეს. სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ სამუშაოები ივნისის ბოლოსთვის დასრულდებოდა, თუმცა 26 ივნისს განმეორებითი მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები საერთოდ შეჩერებული იყო. თურმე სამინისტროს დევნილებისთვის უთქვამს, ის იკმარეთ, რომ საცხოვრებელი ფართით თბილისში დაგაკმაყოფილეთო.**

აგვისტოში სუბელიანის უწყებამ დევნილებისგან კიდევ რამდენიმე შენობა გამოათავისუფლა, მათ შორის იყო **ხმაურიანი გამოსახლების პროცესი გამომცემლობა „სამშობლოდან“ (26-28 ივლისი), თამარაშვილის ქ. №9-დან (10 აგვისტო), მაჩაბლის ქ. №8-დან (13 აგვისტო), მოსაშვილის ქ. №24-დან (18 აგვისტო), გეოლოგიის დეპარტამენტიდან, სანდრო ეულის ქ. №3-დან (19 აგვისტო).**

გამოსახლებულთა შორის იყვნენ ის დევნილები, რომლებსაც, კოტეჯის ნაცვლად, საკომპენსაციო თანხების მიღებაზე განცხადება ჰქონდათ დაწერილი და აღნიშნულ თანხას დღემდე ამაოდ ელოდებიან; ასევე, იყვნენ დევნილები, რომლებიც შენობებში თავად სამინისტროს ხელმძღვანელობის სიტყვიერი ნებართვით იმყოფებოდნენ. თუმცა სუბელიანი არათუ სიტყვას, კანონებსაც აღარაფრად აგდებს. **დევნილები, რომლებსაც ორი წლის წინათ სახლებიდან ექსტრემალურ სიტუაციაში მოუხდათ გამოქცევა, საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებამ ზუსტად ორ წელიწადში იმავე მდგომარეობაში ჩააგდო.** მათ გამოსახლების შესახებ 5 დღით ადრე აფრთხილებდნენ, შემდეგ კი პოლიციას უსევდნენ და ისე ყრიდნენ სახლებიდან, რომ საკუთარი ნივთების ჩალაგებისა და გამოტანის სა- ▶

## მოკლედ

### სამთავრობო კარუსელი

**მთავრობაში საკადრო ცვლილებებია. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, გიგა ბოკერია ეროვნული უშიშროების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწედ, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად დაინიშნა.** საქართველოს პრეზიდენტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე საქართველოს პარლამენტს თემურ იაკობაშვილის კანდიდატურა წარუდგინა. საქართველოს პრეზიდენტთან კონსულტაციის საფუძველზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრად ეკა ტყეშელაშვილი დაინიშნა და ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულებაც მასვე დაეკისრა.

### სააკაშვილი ისევ მზადაა

**საქართველოს პრეზიდენტმა ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისი უკვე ტრადიციული ფრაზა იმის თაობაზე, რომ მზადაა რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრისა და დიალოგისთვის.** ჟურნალისტის შეკითხვაზე, გამოიყენებდა თუ არა იგი შესაძლებლობას, ლისაბონის სამიტის ფარგლებში შეხვედროდა რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს, სააკაშვილმა უპასუხა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, დიალოგს ალტერნატივა არ აქვს და ის ამისთვის ნებისმიერ დროს მზად არის. „ისინი გვემალებიან, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, გვყავს ნახევარი მილიონი დევნილი და ამ ყველაფრის უკან რუსეთი დგას, ჩვენ დიალოგისთვის აბსოლუტურად გახსნილები ვართ“, – განაცხადა სააკაშვილმა.

### დეტალები ოფიციალურად

**თეთრი სახლის ადმინისტრაციამ ლისაბონში საქართველოსა და აშშ-ის პრეზიდენტების — მიხეილ სააკაშვილისა და ბარაკ ობამას შეხვედრის შესახებ ოფიციალურ განცხადება გაავრცელა.** თეთრი სახლის ცნობით, ბარაკ ობამამ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა გამოხატა და ხაზი გაუსვა ავღანეთის „ISAF“-ის მისიაში საქართველოს მიერ შეტანილ წვლილს. ორი ქვეყნის ლიდერმა პოლიტიკის, ეკონომიკისა და თავდაცვის სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ რეფორმებზეც ისაუბრეს. თეთრი სახლის ცნობით, შეხვედრაზე დადასტურდა, რომ აშშ დაინტერესებულია საქართველოს უსაფრთხოებით, სტაბილურობითა და დემოკრატიით.

### სააკაშვილი გადატვირთვის მომხრეა

**როგორც ლისაბონში, ნატოს სამიტზე ვიზიტისას განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტი ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დათბობის მომხრეა.** ჟურნალისტის კითხვაზე, წარმოადგენდა თუ არა საქართველოსთვის საფრთხეს ნატო-რუსეთის ურთიერთობების გადატვირთვა, მიხეილ სააკაშვილმა უპასუხა, რომ ის გადატვირთვის მომხრეა, რადგან დასავლეთსა და რუსეთს შორის დიალოგით, უფრო მეტი კონტაქტითა და ნაკლები დაპირისპირებით რუსეთი, შესაძლოა, საკუთარ მეზობლებთან ურთიერთობაში შედარებით ცივილიზებული გახდეს, რასაც, სააკაშვილის განცხადებით, საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. აღნიშნულ თემაზე საქართველოს პრეზიდენტმა „ბი-ბი-სი“-ს ეთერით ისაუბრა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სახლებიდან პოლიციის მიერ ცემა-ტყეპით გამოყრილმა დევნილებმა ისიც არ იცოდნენ, სად მიდიოდნენ და რას უპირებდნენ



◀შუალებასაც აღარ აძლევდნენ. **სახლებიდან პოლიციის მიერ ცემა-ტყეპით გამოყრილმა დევნილებმა ისიც არ იცოდნენ, სად მიდიოდნენ და რას უპირებდა მათ ხელისუფლება.**

აჭარის მასშტაბით ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ, საცხოვრებელი პირობების მხრივ, რეგიონში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა ეს იმ შენობებში, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა. **დასასვენებელ სახლ „ქობულეთში“ მცხოვრებ დევნილებს 3 თვის განმავლობაში არ მიეწოდებოდათ ელექტროენერგია და წყალი. შენობა იყო ძველი და საცხოვრებლად უვარგისი, თუმცა 2010 წლის ივნისში ისინი გარემონტებულ შენობებში გადაიყვანეს.**

**მძიმე მდგომარეობაა სამეგრელოში არსებულ კოლექტიური ჩასახლების ადგილებშიც. მოუწესრიგებელია დევნილების საცხოვრებელი ადგილების საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის სისტემები, უმეტეს ადგილას შენობათა სახურავები დაზიანებულია და წყალი ჩადის.** დევნილების უმრავლესობას არ აქვს ინდივიდუალური სამზარეულო და სველი წერტილები, რაც ქმნის ანტისანიტარიის საფრთხეს. **ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს შენობაში ჩასახლებული დევნილების მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ანტისანიტარია, რომლის გამოც ხშირად მოწამვლის შემთხვევებიც დაფიქსირებულა.** ასეთივე მძიმე მდგომარეობაა ფოთში, სასტუმრო „კოლხეთში“. სიძველის გამო ამორტიზირებულია ჭერი, იატაკი, კედლები ცუდ მდგომარეობაშია, სახურავიდან ჩამოდის წყალი. შენობა კერძო საკუთრებაშია და, შესაბამისად, რეაბილიტაციის იმედი დევნილებს არც უნდა ჰქონდეთ. **სენაკის სამხედრო დასახლებაში მცხოვრებ დევნილებს სამი თვის მანძილზე არ მიეწოდებათ ელექტროენერგია.**

**ქუთაისში, ხარებავას №52-ში, ყოფილი სამხედრო ლიცეუმის შენობაში, 72 დევნილი ოჯახი ბინადრობს, რომლებიც წუხან იმის გამო, რომ შენობის სარდაფი ივსება წყლით, არის ნაგავი და ანტისანიტარია.** იგივე პრობლემა აქვთ ჭავჭავაძის ქუჩაზე მცხოვრებ დევნილებსაც, მითუმეტეს, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე ნაგავსაყრელი მდებარეობს. უმძიმეს მდგომარეობაშია კოტეჯ №1-ში მცხოვრები 35 დევნილი ოჯახი. 1995 წელს აშენებულ კოტეჯებს ექსპლუატაციის ვადა, დიდი ხანია, გაუვიდა, სიძველის გამო კედლებში გაჩნდა ნაპრალები, არ არის სველი წერტილები, ისინი სიძველის გამო დაშლილი და დანგრეულია, ქარიან ამინდში კი კოტეჯების დანგრევის საშიშროებაც მაღალია. **განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ახალგაზრდობის №5-ში, ყოფილ „ტურბაზა რიონის“ ხის კოტეჯებში, სადაც 15 დევნილი ოჯახი ცხოვრობს. ისინი ყოველდღე ელოდებიან შენობების თავზე დანგრევას.** როდის მიხედავს მათ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, არავინ იცის.

**თბილისში დევნილების მდგომარეობა შედარებით უკეთესია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ, როცა ხელისუფლებას იმ შენობის ყიდვის მსურველი გამოუჩნდება, რომელშიც დევნილები ცხოვრობენ, უპიროზოდ ყრის მათ გარეთ.**

თუმცა თბილისშიც ბევრი დევნილი უჩივის საცხოვრებელ პირობებს. მაგალითად: ნუცუბიძის მე-4 მ/რ-ში, ყოფილი შპს „ავტოსადგომის“ ტერიტორიაზე მდებარე დევნილთა კოლექტიური ცენტრი ავიღოთ. №43 და №45 შენობები წვიმის დროს იტბორება, წყალი შედის ეზოებსა და სახლებში, რამაც დააზიანა ელექტროსადენები და ამის გამო ცენტრს კვირაზე მეტი არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია. შენობის სახურავიდან ჩადის წყალი, რის გამოც მეოთხე და მესამე სართულები მნიშვნელოვნად არის დაზიანებული.

ხოლო ნუცუბიძის პლატოზე მდებარე ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე დგება წყალი. დატბორვის მიზეზი კი სანიაღვრე სისტემის გაუმართაობაა.

**დატბორვა მთავარი პრობლემაა ხელისუფლების მიერ აშენებული კოტეჯური ტიპის დასახლებებშიც, სადაც ასევე მწყობრიდან არის გამოსული სველი წერტილები. ბევრ კოტეჯში მზიდი კედლები ერთმანეთისგან თვალშისაცემადაა დაცილებული. კოტეჯები მიწაზე დგას, იატაკი ადვილად სველდება და დეფორმირდება. წვიმის დროს წყალი სახლებში იატაკიდან შედის, აზიანებს კედლებს, იატაკს და იწვევს მომატებულ ტენიანობას...**

მოკლედ, მერაბიშვილის მეთვალყურეობით აშენებულ კოტეჯებში მცხოვრებთ არამარტო გაუსაძლისი ყოფითი პრობლემები აქვთ, საფრთხე ექმნება მათ ჯანმრთელობასაც. ეს ყველაფერი კი გამოწვეულია მშენებლობის სწრაფი ტემპითა და არქიტექტურული შეცდომებით, რომელზეც პასუხი არავის უგია.

**სოფო გელაშვილი**


38 დევნილი ოჯახი საყვირის ქუჩაზე ასეთ პირობებში შეასახლეს

## მოკლედ

### სააკაშვილი კმაყოფილია

**მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი, როგორც იქნა, პირისპირ შეხვდა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას და, შესაბამისად, ცალსახად კმაყოფილია.** მისთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ, თუ არ ჩავთვლით ავღანეთის პრეზიდენტთან, ჰამიდ ყარზაისთან და მასპინძლებთან შეხვედრებს, ობამა მის გარდა პირისპირ არავის შეხვედრია. მისი განცხადებით, ბარაკ ობამამ არა მხოლოდ მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, არამედ აღნიშნა, რომ ისინი ამ საკითხზე მუშაობენ. სააკაშვილის თქმით, საქართველოსთან მიმართებაში „ძველი ენა“ არა თუ შენარჩუნდა, გარკვეულწილად გაძლიერდა კიდეც.

### ფეხით ჩავალ... თბილისში

**„ეროვნული ფორუმის“ ქუთაისის წარმომადგენლობა 25 ნოემბრისთვის დაგეგმილ სახალხო კრებაში მონაწილეობის მისაღებად თბილისისკენ ფეხით მოდის.** იმერეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, კახა დვალიშვილის განცხადებით, იმერეთის 12-ვე რაიონის 50-მდე ფორუმელი 20 ნოემბერს, 12:15 საათზე, რიკოთის უღელტეხილიდან თბილისისკენ ფეხით დაიძრა. ღამეს ისინი კარვებში გაათევენ. გეგმის მიხედვით, ისინი თბილისში 24 ნოემბერს საღამოს იქნებიან და თბილისის შემოსასვლელთან „ეროვნული ფორუმის“ ლიდერები დახვდებათ, 25 ნოემბერს კი პარლამენტის წინ დაგეგმილ სახალხო კრებაში მიიღებენ მონაწილეობას.

### მოვაწყოთ შეთქმულება

**„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ კალათბურთის სასახლეში შეკრებილ ხალხს „დიდი ქართული შეთქმულების“ მოწყობისკენ მოუწოდა.** გუბაზ სანიკიძის თქმით, „ეროვნული ფორუმი“ 25 ნოემბერს პარლამენტის წინ დაგეგმილი შეკრების ორგანიზების საკითხებში ჩაერთო და კონსულტაციები დაიწყო „სახალხო კრებასთან“. სწორედ ამ შეხვედრაზე გახდა ცნობილი, რომ „ფორუმი“ „კრებას“ უერთდება. როგორც სანიკიძემ განაცხადა, ხალხმა თავისი ქვეყნის ისტორია უნდა იცოდეს და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების დროს ეს ისტორიაცა და წინაპრების გადაწყვეტილებებიც უნდა ახსოვდეს.

## გამოხმაურებანი



**გოგი თოფაძე,**
**პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველების“ ლიდერი:**

ახლა აღარც დახმარებების იმედი უნდა გვქონდეს, ბოლო ორი წლის განმავლობაში ძალიან სერიოზულად შეიცვალა ჩვენ მიმართ ყურადღება. ძალიან ბევრი კითხვა მაქვს... კაი, ბატონო, ამ მინისტრებს ნიშნავ, რომლებსაც გაურკვეველი წარმომავლობა და განათლება აქვთ, ათასობით ვითომ პედაგოგი სადღა ჩამოგყავს, როცა ისედაც უმუშევრობაა ქვეყანაში? შე, კაი კაცო, შენი ხალხი დაასაქმე, გაურკვეველი ტრადიციებისა და სქესის ადამიანები სად მოგყავს? რა ვიცი, მე ვინც ვნახე, ყველა „ბომჟი“ მგონია, ესენი რანაირი მასწავლებლები არიან? თუ გინდა, აქედან დავიწყოთ, დალაგებული ქვეყნიდან ვინ წამოვა აქ ახლა ნორმალური?

*„ალია“*



**ლაშა ამირეჯიბი,**
**„სახალხო წარმომადგენლობითი კრების“ საორგანიზაციო ჯგუფის აქტივისტი, ცნობილი ქართველი კლასიკოსის, ჭაბუა ამირეჯიბის ვაჟი:**

ვაზიანში უკვე 5 თვეა, რაც ავარჯიშებენ სამოქალაქო ფორმაში გადაცმულ ზონდერჯგუფებს. ხელისუფლებას ჰყავს მობილიზებული ახალგაზრდების ჯგუფები, რომლებიც ამას იკადრებენ. დიახ, ისინი შეეცდებიან, კრებაზე შემოიპარონ და, შესაძლოა, რაღაც პროვოკაციები მოაწყონ; შესაძლოა, ქვებით დაამტვრიონ შუშები, შესაძლოა, ვიღაცას შეურაცხყოფა მიაყენონ... რა თქმა უნდა, ეს იქნება იმის მიზეზი, რათა მერე მიშამ კრების დარბევა „გაიპრავოს“. მინდა გითხრათ, რომ ზონდერჯგუფებისა და მათი წევრების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციებს ვფლობთ, გვაქვს მათი ფოტოსურათები, ვიცნობთ ამ ბიჭებს, ვინც არიან და ჩვენი მხარდამჭერები შეეცდებიან, რომ მათ ვალში არ დარჩნენ.

*„ალია“*



**დავით გამყრელიძე,**
**„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი:**

მიშას რეზიდენცია რა ფულით აშენდა, არავინ იცის. იქნებ, ქურდების ფულით ააშენა ან ნარკოტრეფიკით ნაშოვნი თანხით, ან, იქნებ, ფული არაბმა შეიხებმა აჩუქეს პალმებივით. ქუთაისის პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ სანახევროდ აქ იყოს პარლამენტი, სანახევროდ — იქ, მთავრობა თბილისში მუშაობდეს და ხანდახან გასვლით სხდომებს მართავდეს ქუთაისში და ამისთვის შენობები ვაშენოთ, ეს არის მაიმუნობა და მეტი არაფერი, მით უფრო, რომ დღეს ქვეყანას ამის ფუფუნება არ აქვს.

*„ყველა სიახლე“*



**ირაკლი ალასანია,**
**„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი:**

სკეპტიციზმისა და უიმედობის საფუძველი გვაქვს, მაგრამ ასე ხომ 20 წელია ვართ? საქართველო თავისი პოლიტიკისა და ეკონომიკის გადასარჩენად იბრძვის და პოლიტიკოსების ვალია, ბრძოლა მინიმალური დანაკარგით... თუ ცვლილებები გვინდა, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში ქუჩის პოლიტიკა დასრულდა.

*„კვირის პალიტრა“*



**თემურ შაშიაშვილი,**
**პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი:**

მე არ მინდა, ჩემს შვილს ლაჩარი მამა ჰყავდეს, ამიტომაც ვიბრძვი და მზად ვარ, ამ ბრძოლას სიცოცხლეც შევწირო! ვისაც არ უნდა, მის შვილს ლაჩარი მამა ჰყავდეს, დროზე დაიბრუნოს ღირსება და იბრძოლოს ამ „ნაციონალური“ ჭირის მოსაშორებლად.

*„ასავალ-დასავალი“*



**ლადო პაპავა,**
**პროფესორი:**

ეს განვადებები დღეში ერთ ლარად, ნამდვილად დანაშაულია! ძალიან მინდა, რომ ყველას ჰქონდეს სახლში კომპიუტერი, მაგრამ ეს კრედიტები ემსახურება ერთ მიზანს — რაც შეიძლება მეტი ადამიანი იყოს ვალებში გაჭედილი. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიქმნება გადაუხდელი ვალდებულებების ახალი ქსელი!

*„ასავალ-დასავალი“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## მამუკა გიორგაძე:

# ოპოზიციის ახლა წამოწყებული «ბრძოლის» მიზანი მოსახლეობის მორიგი გაბითურებაა

**ოპოზიციის ნაწილი სახალხო კრებისთვის ემზადება, ნაწილი სარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის იბრძვის. ხელისუფლება კი, როგორც ყოველთვის, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს არ იმჩნევს. მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე სახალხო პარტიის ლიდერს — მამუკა გიორგაძეს ვესაუბრეთ.**



**— ბოლო დროს ოპოზიციური სპექტრის გააქტიურება შეიმჩნევა. აქტუალურია „სახალხო კრების“ თემაც; როგორ ფიქრობთ, აქვს დღეს ოპოზიციას ხელისუფლების შეცვლის შანსი?**

— ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ ოპოზიცია გააქტიურდა. გაზაფხულიდან დღემდე მათ ანგარიშზე მხოლოდ რამდენიმე შეკრებაა. დანარჩენი არის პოზირება ტელეკრანზე და პრესის ფურცლებზე. ამას კი აქტიურობას ნამდვილად ვერ დავარქმევთ. სამწუხაროდ, იმაზეც არ შეთანხმებულან, რა უნდა გააკეთონ. არ აქვთ ჩამოყალიბებული პრინციპები, ღირებულებები. საუბრობენ მხოლოდ საშუალებებზე — კრება ჯობია, არჩევნები ჯობია თუ აქციები და ა.შ. პრაქტიკულად კი არაფერზე შეთანხმებულან. აქედან გამომდინარე, ეს პროცესები შედეგზე ორიენტირებული არ არის. მხოლოდ უნდათ, საზოგადოებას დაანახონ, ვითომ როგორ აქტიურობენ, და ამით თავი მოაწონონ.

**— „სახალხო კრებას“ დიდი იმედი აქვს, რომ მიზანს მიაღწევს და ხელისუფლება დათმობაზე წავა.**

— პირველი და მთავარი, რასაც ითხოვენ ისაა, რომ დათმობაზე წამოვიდნენ? რაიმე მოთხოვნა მათი მხრიდან ჯერ ვერ მოვისმინე, გარდა იმისა, რომ წავიდეს სააკაშვილი. **სააკაშვილი რომ შეძახილით არ მიდის, ამის გამოცდილება ჩვენ გვაქვს. 300 ათასი კაცი იძახდა „მიშა წადიო“ და არ წავიდა და ახლა წავა?! აქედან გამომდინარე, მათი ბაქიბუქი არის ბრძოლის იმიტაცია, ოღონდ ამ შემთხვევაში, — უფრო გაფორმებული. ეს არ არის რეალური ბრძოლა. ადრე ინსტიტუტებში იყო საგნის ჩათვლა, მოისმინა, დაესწრო, ჩაეთვალა. ამათთანაც ეგრეა, შეიკრიბებიან, იყვირებენ, შეაგინებენ, რაც შეიძლება ხმამაღლა, და ჩაეთვლებათ. „დაგამტვრევ ხელებს!“, „გაგყრით კომბლებით!“, „ჩაგსვამ ციხეში!“ — რამდენჯერ უნდა მოვისმინოთ ეს?**

**— ესე იგი ხალხი რჩება მოტყუებული და იმედგაცრუებული?**

— სანამ ხალხი არ გააცნობიერებს და არ ისწავლის ბრძოლის იმიტაციასა და ნამდვილ ბრძოლას შორის განსხვავებას, მანამდე იქნება მოტყუებული, რადგან ეს **„ბრძოლა“, რაც ახლა ოპოზიციამ წამოიწყო, მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არ მიმდინარეობს. ამ ბრძოლის მიზანი არის საქართველოს მოსახლეობის კიდევ ერთხელ გაბითურება, ისე, როგორც გაბითურდა ქართველი ხალხი 2003 წელს, როცა გულწრფელად სჯეროდა ცვლილებების.**

**და რა მიიღო? მდგომარეობის გაუარესება.** დღესაც, პრაქტიკულად, ასეთი ქმედებები ხორციელდება და ქუჩაში გამოდის ხელისუფლებაზე გამწარებული მოსახლეობა, რომლისთვისაც სულერთია, ვის შეკრებაზე მივა, ოღონდ ამ ხელისუფლების ლანძღვა მოისმინოს. ასეთი აქციები კი ყოველთვის ჩიხში შედის.

როცა მოსახლეობა მათგან მოითხოვს, მაჩვენე შენ რით ხარ ამათზე უკეთესი და გავხდები შენი მხარდამჭერი, ქუჩაში გამოვალ არა იმიტომ, რომ მიშა მძულს, არამედ იმიტომ, რომ შენი მჯერაო, საქართველოს საქმე უკეთესობისკენ მაშინ წავა. დღეს კი ხალხს ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ერთნაირად იყენებს.

ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერი კარგად გრძნობს თავს; არც ერთ მათგანს, თუ არ ჩავთვლით აგარაკის ჩამორთმევის თითო-ოროლა ფაქტს, ბუზი არ აფრენიათ. მებრძოლი ხალხი კი დაკავებულია; აქციის მონაწილე ადამიანებიდან ბევრი დაჭერილია სხვადასხვა, თითიდან გამოწოვილი, მიზეზის გამო; ან სამსახურიდანაა დათხოვნილი, ან სოციალური დახმარებები აქვთ მოხსნილი... რომელი ერთი ჩამოვთვალო.

## შეიკრიბებიან, იყვირებენ, შეაგინებენ, რაც შეიძლება ხმამაღლა, და ჩაეთვლებათ...

ლიდერები კი ამ ადამიანების წინაშე პასუხისმგებლობას არ გრძნობენ. უფრო მეტიც, ისინი მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავენ.

ქართველმა ხალხმა უნდა მოითხოვოს, რომ, თუ ხარ პოლიტიკური პარტია, დადე, ბატონო, შენი ღირებულებათა სისტემა, დაიცავი იგი, შექმენი სტრუქტურები, ჩამოაყალიბე ბრძოლისუნარიანი რაზმი და კი, ბატონო, გამოგყვები. დღეს ხალხი ყველანაირი სიტყვის მოსასმენად მიდის მიტინგზე და შედეგი ამიტომაც არაა.

**— ეთანხმებით გამოთქმას: „როგორი ოპოზიციაც გვყავს, ისეთივეა ხელისუფლებაც“?**

— რა თქმა უნდა, ვეთანხმები. როცა ვსაუბრობთ ოპოზიციის უუნარობაზე, მე არ ვგულისხმობ, რომ ხელისუფლება გვყავს მაგარი. პირიქით, თქვენ ვერ მეტყვით, ვინ არის სახელმწიფოში მეორე კაცი; ვერ მეტყვით, რა ღირებულებების მატარებელია საერთოდ „ნაცმოძრაობა“, რა პარტიული სტრუქტურა გააჩნია. როგორც თავის დროზე „მოქალაქეთა კავშირი“, „ნაცმოძრაობაც“ შერწყმულია სახელმწიფო სტრუქტურებთან. სახელმწიფო სტუქტურა და პარტია არის ერთი და იგივე, რაც ნორმალურ ქვეყანაში დაუშვებელია. ერთია, რომ ქვეყანაში ძლიერი, ქმედითუნარიანი პარტიების დეფიციტია; და მეორე, თუ გინდა, რომ თანაფარდობა დაიცვა, სასწორზე ორივე მხარეს უნდა იდოს შესაბამისი წონის ფიგურები. როდესაც ერთ მხარეს არის გადახრილი უპირატესობა და მეორე მხარეს არაფერი არ დევს, მაშინ უპირატესი მხარე ყველაფერს თავისი სურვილის მიხედვით აკეთებს. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მისი პირადი ზნეობის იმედზე ვართ დარჩენილი. სააკაშვილის ზნეობის იმედზე კი ჩვენი მტერი იყოს დამოკიდებული. ამიტომაც ვართ ამ მდგომარეობაში. სააკაშვილს დღეს პოლიტიკურად გამწონასწორებელი, ფაქტობრივად, არ ჰყავს. თუ გვინდა, რომ ხელისუფლება ვაიძულოთ, შეცვალოს კურსი, ამისთვის საჭიროა გამაწონასწორებელი ძალა.

მიშა სააკაშვილის პიროვნული მოწინააღმდეგე კი არ უნდა ვიყოთ ჩვენ, არამედ — მომხრე იმ იდეისა, რომლითაც გვინდა, საქართველოს ნათელი მომავალი ავაშენოთ, და რადგან სააკაშვილი ამაში ხელს გვიშლის, ეს კაცი, ყველაზე ცოტა, ხელისუფლებიდან უნდა გააძევონ და დააპატიმრონ კიდეც.

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

## ვლადიმერ ვორონინი:

# საქართველოს პრეზიდენტთან სალაპარაკო არაფერი მაქვს!

**მოლდოვის ყოფილმა პრეზიდენტმა ვლადიმერ ვორონინმა კიშინიოვში მყოფი საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის წინადადებას შეხვედრის თაობაზე უარით უპასუხა. „ეს საქართველოსა და ქართველ ხალხთან მიმართებაში დემარში არაა“, — განაცხადა მოლდოველმა პოლიტიკოსმა. მან აღნიშნა, რომ სათუთი დამოკიდებულება აქვს ყველაფრისადმი, რაც ხალხებსა და კულტურებს დააახლოებს, მაგრამ უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში ქართული რეჟიმი „სერიოზულად დეფორმირდა“.**



**„გახმიანებული კეთილშობილური მიზნები — ქვეყნის დემოკრატიზაცია, საქართველოს მიერ ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი მიღწევა თავად სააკაშვილის მმართველობითაა დისკრედიტირებული. საქართველოში პერსონალური ძალაუფლების რეჟიმი ჩამოყალიბდა და ის ოპოზიციისა თუ თავისუფალი მედიის რეპრესიებს ეფუძნება. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალოვანი დამორჩილების მცდელობამ კი ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საშიში საერთაშორისო პრეცენდენტი შექმნა“,** — ხაზი გაუსვა მოლდოვის ექს-პრეზიდენტმა და დაამატა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბიოგრაფიაში მუდმივად დარჩება შავ ლაქად ქუთაისში დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის აფეთქება.

ამასთანავე, ვლადიმერ ვორონინს გაუჩნდა კითხვები, თუ რა მიზნით სტუმრობს სააკაშვილი მის ქვეყანას: **„ფილატის, ლუპუსა და გიმპუს მმართველი ალიანსის მხარდასაჭერად? მათ დასარწმუნებლად, ბოლომდე იარონ კანონის, დემოკრატიული ნორმებისა და კონსტიტუციის გადაბიჯებით? ისევე, როგორც ეს თავად სააკაშვილმა გააკეთა თავისი მეორე წინასაარჩევნო კამპანიისას? ან, იქნებ, სააკაშვილი ტერიტორიული კონფლიქტების გადაწყვეტის მხრივ თავისი გამოცდილების გაზიარებას აპირებს? ან თავისი აქ ყოფნით გააბრწყინებს მოლდოვის გათავისუფლებისთვის დაცემული საბჭოთა მებრძოლების ხსოვნის უკვდავსაყოფად აღმართული ყველა ძეგლის დანგრევას?“**

ამ ყველაფერთან დაკავშირებით, ექს-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას საქართველოს ხელმძღვანელთან სალაპარაკო აღარაფერი აქვს: **„მეორეს მხრივ, ეჭვი არ მეპარება, რომ მოლდოვის ახლანდელ ლიდერებს შორის საქართველოს პრეზიდენტი მადლიერ მსმენელებსა და მოსწავლეებს იპოვის. მაგრამ, რაც უნდა იყოს, მოლდოვის მოქალაქეთა უმეტესობისთვის სააკაშვილი, დიდი ხანია, აღარც რევოლუციაა და აღარც დემოკრატია. ის არის ომი, ვანდალიზმი და ავტორიტარული რეჟიმი.“**

# რუსეთმა სააკაშვილს დიალოგზე უარი უთხრა: «საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებასთან სალაპარაკო არაფერია»




მოსკოვში საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, იგი მზადაა, რუსეთს ხელი გაუწოდოს, სკეპტიკურად უყურებენ. სააგენტო „ინტერფაქსის“ ცნობით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ **„საქართველოს პრეზიდენტთან სალაპარაკო არაფერი აქვთ“.** სააგენტოს წყაროს განცხადებით, საქართველოს მხრიდან რუსეთში არანაირი ოფიციალური მოთხოვნა აღნიშნულთან დაკავშირებით არ მიუღიათ.

როგორც ცნობილია, მიხეილ სააკაშვილმა „ფიგაროსთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ აპირებს, „რუსეთს ხელი გაუწოდოს“ და ყოველგვარი წინაპირობის გარეშე აწარმოოს დიალოგი ნებისმიერ საკითხზე.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ხელისუფლებამ პირად კომფორტზე წლეულს ათობით მილიონით მეტი დახარჯა, ვიდრე შარშან

**საქართველოს კონტროლის პალატამ 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს მთავრობის მოხსენებასთან დაკავშირებით, ანალიზი წარმოადგინა. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის როლის გაძლიერებაზე საუბრობს და ამ სურვილით შეპყრობილმა კონსტიტუციაც შეგვიცვალა, თუმცა თავისი პრეზიდენტობის ჟამს, რა თქმა უნდა, ეს არ სურს და არათუ ერთპიროვნულ მმართველობაზეა ორიენტირებული, პარლამენტისთვის ანგარიშის წარდგენის ვალდებულება მთავრობასაც მოუხსნა.**





## რა დარღვევებზე მიუთითებს კონტროლის პალატა საქართველოს მთავრობას?

კონტროლის პალატის დასკვნაში ნათქვამია:

**„საქართველოს „საბიუჯეტო კოდექსის“ თანახმად (რომელშიც მნიშვნელოვანი რესურსი გაიხარჯა და რეალურად წარმოადგენდა მანამდე არსებული კანონმდებლობის კომპილაციის მცდელობას), რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან და რომელშიც წლის დასაწყისიდან 4 ცვლილება შევიდა, საქართველოს მთავრობას აღარ აქვს ვალდებულება, საქართველოს პარლამენტში წარადგინოს ანგარიში მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ:**

პარლამენტში წარმოდგენილია მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვა, რომელიც მხოლოდ მომავალი წლის ბიუჯეტის თანდართული მასალაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კონტროლის პალატის წინამდებარე მოხსენებაში ასახულია ჩვენი მოსაზრებები „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ ყოველგვარი კონკრეტული ფაქტებისა თუ მხარჯავი დაწესებულებების მონაცემების განხილვის გარეშე“.

მოკლედ ხელისუფლება მაკონტროლებლებს ებრძვის, მხოლოდ საკუთარი ხარჯვის, თორემ საქართველოში, როგორც არასდროს, მაკონტროლებლები ისეთი მონდომებით შეესივნენ წვრილ თუ მსხვილ ბიზნესს. ალბათ, სწორედ ეს უნდა მიანიშნებდეს იმაზე, რომ, კონტროლის პალატის მონაცემებით, შარშანდელთან შედარებით, შემოსავლების მოცულობა 298 მილიონით გაიზარდა, თუმცა ამას კონტროლის პალატა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებით ხსნის.

**საინტერესოა, რომ ეკონომიკურ აღმავლობას მხოლოდ ხელისუფლება გრძნობს, ხოლო ის მოსახლეობისთვის ესოდენ შეუმჩნეველია.** კონტროლის პალატა საუბრობს ბიუჯეტის საეჭვო გარემოებებზეც. მოხსენებაში ნათქვამია: **„იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გასულ 6 თვეში თვეების მიხედვით მიღებული შემოსავლების საშუალო მოცულობა 419,5 მილიონი ლარია, წლიური გეგმით გათვალისწინებული საპროგნოზო მოცულობის (5412,9 მილიონი ლარი) შესრულებისთვის აუცილებელია დარჩენილ ნახევარ წელიწადში 2895,6 მილიონი ლარის მიღება, ანუ საშუალო თვიურმა დონემ დარჩენილ პეროდში უნდა შეადგინოს 482,6 მილიონი ლარი, რაც 63,1 მილონი ლარით მეტია იანვარ-ივნისის მობილიზების საშუალო თვიურ მაჩვენებელზე. აღნიშნული გარემოება საეჭვოს ხდის წლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პარამეტრების შესრულებას და რეალურს ხდის გასულ წლებში არსებული პრაქტიკის განმეორებას, როდესაც ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პარამეტრების კორექტირება ხდებოდა ფისკალური წლის დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე.**

ამ ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ ივლის-აგვისტოში მიღებული შემოსავლების ოდენობამ მხოლოდ 913,3 მილიონი, ანუ საშუალოდ 456,6 მილიონი ლარი შეადგინა“.

კონტროლის პალატა აღნიშნავს, რომ საგადასახადო შემოსავლებში დიდი ხვედრითი წილი აქვს არაპირდაპირი გადასახადებიდან (დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, საბაჟო გადასახადი) მობილიზებულ თანხებს და მთავრობას ურჩევს, ძირითადი აქცენტები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე გადაიტანოს. **ხელისუფლებას აქცენტი მართლაც აქვს გადატანილი ბიზნესის ამ ნაწილზე, ოღონდ არა მისი განვითარების მიზნით, არამედ მცირე და საშუალო მეწარმეებისგან თანხებს ჯარიმებითა და გირაოს შეფარდებით იღებს. ამის ნათელი მაგალითია სავაჭრო ცენტრში ჩატარებული სპეცოპერაცია, როცა ასეულობით ადამიანი ღამით სახლებიდან და დღისით საკუთარი მაღაზიებიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გამოიყვანეს და დააპატიმრეს.** მათ დიდ ნაწილს, ჯარიმის თანხასთან ერთად, თავისუფლების სანაცვლოდ ათასობით ლარი გადაახდევინეს გირაოს სახით. **მოვაჭრეების გარდა, ხელისუფლება ე. წ. მაკლერებსაც დაერია. ეს ინფორმაცია ჯერ არ გახმაურებულა, მაგრამ აყვანილია რამდენიმე მაკლერი, რომლებსაც სამართალდამცავები ბინების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავებით მიღებული მოგების გადასახადის გადაუხდელობას ედავებიან.**

როგორც აღმოჩნდა, თვით კონტროლის პალატისთვისაც კი პრობლემას წარმოადგენს საჯარიმო სანქციებისა და საურავების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ის ნაწილი კი, რომელიც კონტროლის პალატამ მოიპოვა, ასე გამოიყურება: **2010 წლის ექვსი თვის მონაცემებით, ჯარიმები და საურავები საგადასახადო სამართალდარღვევების გამო 12,8 მილიონი ლარია, ჯარიმები და საურავები საბაჟო სამართალდარღვევების გამო — 3,6 მილიონი ლარი. მიმდინარე წლის 6 თვეში 151,5 მლნ ლარია მიღებული უცხოეთიდან მიღებული ფულადი გრანტების სახით (გასულ წელს 85 მლნ ლარი იყო), ექვსი თვის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით დაუფინანსებელი ხარჯების მოცულობა შეადგენს 140 მლნ ლარს და გეგმის შეუსრულებლობა საერთო ჯამში 89 მლნ ლარია,** რაც იმაზე მიუთითებს, რომ საბიუჯეტო დაგეგმვაში ხარვეზები არსებობს, რასაც კონტროლის პალატა არაერთხელ აღნიშნავს თავის მოხსენებებში.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, **7,8 მილიონი ლარით არის გაზრდილი შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება.** არადა, საგულისხმოა, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში თითქმის ყველა სახელმწიფო უწყებიდან შტატგარეშე (ხელშეკრულებით მომუშავე) თანამშრომლები გაათავისუფლეს. **მივლინებებში, გასული წლის ექვს თვესთან შედარებით, 9,7 მილიონი ლარით მეტი დაუხარჯავს ხელისუფლებას; ოფისის ხარჯებში კი — 10,2 მილიონით მეტი; სხვა საქონელსა და მომსახურებაში — 17,8 მლნ ლარით მეტი.** ეს მუხლიც, ისევე, როგორც ოფისის ხარჯები, ჩინოვნიკთა ფუფუნებას ხმარდება. ასე რომ, **ხელისუფლებას მივლინებებსა და პირად კომფორტში წლეულს ათობით მილიონზე მეტი დაუხარჯავს, ვიდრე გასულ წელს.** აღსანიშნავია, რომ ეს მხოლოდ ექვსი თვის მონაცემებია და, სულ მცირე, ერთი ამდენს კიდევ დახარჯავს წლის ბოლომდე. პრემიები, კვების ხარჯები, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები შემცირებულია.

საინტერესოა, რით იკვებებოდა აქამდე საქრთველოს ხელისუფლება, რომ მიმდინარე წელს ამ ხარჯის 14.9 მილიონი ლარით შემცირება მოხერხდა. კონტროლის პალატა აღნიშნავს: **„სამწუხაროა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მიმოხილვაში ისევ არ არის მოცემული მხარჯავ დაწესებულებაში დასაქმებულ მუშაკთა ფაქტობრივი რიცხოვნობა, რის გამოც ვერ დგინდება წლიური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ მუშაკთა რიცხოვნობის ზღვრული ოდენობის ლიმიტის დაცვის მდგომარეობა, ერთ მუშაკზე გაანგარიშებული შრომის ანაზღაურების ხარჯების საშუალო ფაქტობრივი მაჩვენებელი და ადმინისტრაციული ხარჯების მართვის მდგომარეობა“.** სწორედ ამის გამოც არ ამჟღავნებს დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობას საქართველოს მთავრობა. მოხსენებაში ნათქვამია ისიც, რომ ბიუჯეტის ასიგნებებში შეტანილია 114-ზე მეტი ცვლილება, რაც, კონტროლის პალატის დასკვნით, იმაზე მიუთითებს, რომ მხარჯავი დაწესებულებების მიერ ბიუჯეტის დაგეგმვაში ხარვეზებია და გამოსწორება საჭიროებს.

მიმდინარე წელს, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა“ და „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 2009 წლის 4 დეკემბრის კანონის შესაბამისად, პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდების მოცულობა 25-25 მილიონი ლარით განისაზღვრა, ხოლო რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდისა კი — 80 მილიონი ლარით. 18 ივნისსა და 2 ივლისს მათი მოცულობა 55 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების მოცულობა 194 მილიონი ლარით განისაზღვრა (ანუ 2.4-ჯერ გაიზარდა).

კონტროლის პალატის მასალების მიხედვით, **პრეზიდენტის განკარგულებით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 25.928.000,** ხოლო გაწეულმა ხარჯმა — 24.050.000 ლარი. საქართველოს პრეზიდენტს 11.651.900 ლარი ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატისთვის გადაურიცხავს. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 32,2 მილიონი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ — 26,8 მილიონი ლარი, 18 ივნისამდე, მისი მოცულობის გაზრდამდე კი — 29,6 (კანონით განსაზღვრულზე 1,4 მილიონით მეტი). **2010 წლის რვა თვეში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ უკვე 47,2 მილიონი ლარი შეადგინა.** თუ რაში დაიხარჯა სარეზერვო ფონდებიდან თანხები, ამაზე გასულ ნომრებში „საქართველო და მსოფლიომ“ ვრცელი ინფორმაცია შემოგთავაზათ.

რაც შეეხება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს, კონტროლის პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე განთავსებული მთავრობის განკარგულებების შესაბამისად, **ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა მთავრობის ანგარიშში მოყვანილს 20,8 მილიონით აღემატება.** ანგარიშის თანახმად, 2010 წლის 18 ივნისამდე გამოცემული დადგენილებების შესაბამისად, **ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა 92,3 მილიონი ლარია, რაც კანონით განსაზღვრულზე 1,3 მილიონი ლარით მეტია.** ასევე, თითქმის ამოწურულია აღნიშნული ფონდის წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობა (194 მილიონი ლარი), ვინაიდან მიმდინარე წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, ამ ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 172,8 მილიონი ლარი შეადგინა.

**კონტროლის პალატა აღნიშნავს, რომ კვლავ დღის წესრიგშია ბიუჯეტში სხვადასხვა სახის ფონდებისა და მათი გამოყენების წესის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების საკითხი. ამის თაობაზე, ეს უწყება წინა წლებშიც მიუთითებდა მთავრობას, თუმცა კონტროლის პალატის მოკრძალებული შენიშვნების გათვალისწინებას ხელისუფლება არ აპირებს; მეტიც, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, პალატა თანდათან კარგავს ფუნქციას და დასკვნები, რომლებიც ხელისუფლებას უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა, მხოლოდ ანალიზისა და ზოგადი შეფასებების სახეს იღებს, ვინაიდან მთავრობა კონტროლის პალატას ინფორმაციას აღარ აწვდის.**

**სოფო გელაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# იმედა ბუთხუზი: ბაჩო ახალაიამ ასეთი სიტყვებით მომმართა: თქვე ნაძირლებო, რამდენი ერთი დაგხოცოთ, ხომ ხედავთ, პასუხი არავინ მაგებინაო

**„ვეცდები აგიხსნათ და ჩამოგიყალიბოთ ის უკანონობები და ცხოველური მოპყრობა, რაც ხდებოდა, ხდება და, თუ დროზე არ აღიკვეთა, უფრო მძიმე შედეგებს მივიღებთ, — ასე იწყებს წერილს რამდენიმე წლის წინათ დაპატიმრებული იმედა ბუთხუზი, რომლის მოლოდინიც შეიძლება ითქვას, გამართლდა, — ახლა კი, კერძოდ, თუ რაზე ვსაუბრობ: მინდა დავიწყო ორთაჭალის მეხუთე საპყრობილიდან, სადაც მომათავსეს ივნისში №103 საკანში, სადაც 20-ადგილიან საკანში 124 კაცი იყო და ეს ვიცი თანამშრომლების დათვლით, რადგან მთელი საკანი გარეთ გავყავდით და საკანში სათითაოდ შევყავდით.**





**იმედა ბუთხუზს კბილები ჩაუმტვრიეს. სერიოზული დაზიანებები აქვს რუდიკ ოვაკიმიანს. მას ნეკნი ჰქონდა გატეხილი და დღესაც ეტყობა ეს დაზიანება, ასევე თავი ჰქონდა გატეხილი. ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა ვაჟა გეგენავაც**

ეს კიდევ არაფერი, დღეში რამდენიმე კაცი ხდებოდა ცუდად, რომელსაც ჩვენ თვითონ ვუწევდით დახმარებას. არანაირი ჰიგიენა არ იყო, პირიქით — ტუალეტს არ ჰქონდა კარი, ხოლო საპირფარეშოს გვერდით იყო ნიჟარა — ონკანი, სადაც ყოველთვის იდგა წყლის გუბე. **ყველაფრის შექძენა გვიხდებოდა ჩვენ — პატიმრებს: ონკანით დაწყებული, ნათურით დამთავრებული. ხოლო ამას ვახერხებდით რომა ჯანიაშვილის შემოტანილი ტელეფონით, რომელსაც ტელეფონის კარტებს ვაძლევდით. ტელეფონში გადავუხადეთ 850 ლარი.**

ეს გრძელდებოდა და ჩვენს პატიმრებში უშუალოდ მე ვცდილობდი, თავი გადამერჩინა ათასი დაავადებისგან, რაც მძინვარებდა საკანში — სოკოვანი დაავადებები, მუნი, ტილი, ბაღლინჯო, ტარაკნები და ამ ყველაფრის მკურნალობა ჩვენივე ხარჯებით გვიხდებოდა. ექიმები და საერთოდ სამედიცინო მომსახურება არ არსებობდა. ვიყავი უყურადღებოდ. ასევე **ბანაობა იყო კვირაში ერთხელ და გაჰყავდათ 25 კაცი მხოლოდ, ისიც, ზუსტად მახსოვს, 5 წუთით, რადგან საპნის ჩამობანასაც ვერ ვასწრებდით.**

ასევე არ იყო ვენტილაცია და ფანჯრებზე მიმაგრებული იყო გისოსები და ჟალუზები, რომლებიც უცხოელების შემოსვლის შემდგომ ჩამოჭრეს. ასე ვიყავი ერთი წლის და რამდენიმე თვის განმავლობაში (სტილი დაცულია)".

ეს მხოლოდ ნაწყვეტია პატიმარ იმედა ბუთხუზის წერილიდან და ეს არ არის ყველაზე უარესი, რაც ბუთხუზს პატიმრობისას გადახდა. მისი წამება დღემდე გრძელდება.

**პატიმრებმა — ვაჟა გეგენავამ, იმედა ბუთხუზმა და რუდიკ ოვაკიმიანმა, რომელთა განცხადებითაც ციხეში არსებულ არაადამიანურ პირობებს ბაჩო ახალაიასა და მისი თანამშრომლების მხრიდან არა ერთხელ თან ახლდა პერმანენტული ფიზიკური ანგარიშსწორება, ევროსასამართლოს მიმართეს.** სარჩელი აღნიშნული პატიმრების ინტერესების დამცველმა, „ადამიანის უფლებათა ცენტრის" იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელმა ნინო ანდრიაშვილმა გააგზავნა, თუმცა მას შემდეგ, რაც **ციხის ადმინისტრაციამ ამის შესახებ შეიტყო, პატიმრებზე ზეწოლის ახალი ტალღა დაიწყო. ისინი მათ სტრასბურგის სასამართლოდან საჩივრის გამოტანას აიძულებდნენ,** ამიტომ უკვე გაგზავნილ საქმეს ეს ფაქტებიც ახალი გარემოებების სახით დაემატა და მას სტრასბურგის სასამართლოში მალე განიხილავენ.

**ნინო ანდრიაშვილი, „ადამიანის უფლებათა ცენტრის" იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელი, ვაჟა გეგენავას, იმედა ბუთხუზისა და რუდიკ ოვაკიმიანის ინტერესების დამცველი:**

— მონიტორინგის განხორციელების დროს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მოინახულეს ეს პატიმრები, რომლებიც იმყოფებოდნენ საკანში, ფაქტობრივად, შიშვლები, მათი ტანსაცმელი კი მიმოფანტული იყო დერეფანში და ეს ხდებოდა ზამთარში, სიცივეში. ამავე დროს კარცერის ფანჯარა იყო ჩამტვრეული. პატიმრების თქმით, ეს განზრახ, დასჯის მიზნით, გააკეთეს. მათ რამდენიმე დღე დაჰყვეს კარცერში. ამის შემდეგ კი გამუდმებით ხორციელდებოდა მათზე ზეწოლა. ხვდებოდნენ კარცერში ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე და აყენებდნენ როგორც სიტყვიერ, ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას.

ასეთივე მოპყრობა ხორციელდებოდა სხვა პატიმრებზეც, მაგრამ ეს სამი ადამიანი შეეცადა, მათთვის წინააღმდეგობა გაეწია, რაც გამოიხატა მათი მხრიდან საჩივრების წერაში, სახალხო დამცველთან დაკავშირებაში. ყოველი ზეწოლის შემდეგ ისინი მიმართავდნენ სახალხო დამცველის აპარატს, სთხოვდნენ, შესულიყვნენ მათთან და დაეფიქსირებინათ ოქმებით ფიზიკური ზეწოლის ფაქტები. **იმედა ბუთხუზს კბილები ჩაუმტვრიეს. სერიოზული დაზიანებები აქვს რუდიკ ოვაკიმიანს. მას ნეკნი ჰქონდა გატეხილი და დღესაც ეტყობა ეს დაზიანება, ასევე თავი ჰქონდა გატეხილი. ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა ვაჟა გეგენავაც.** მათზე ნაწილობრივ იზრუნა სახელმწიფომ. მაგალითად, იმედა ბუთხუზს კბილები ჩაუსვა.

აღნიშნული ზეწოლა მათზე წელსაც განხორციელდა, როდესაც ისინი მეექვსე დაწესებულებიდან მეორეში გადმოიყვანეს. 2006 წლიდან მათზე თითქმის ყოველდღე ხორციელდებოდა ზეწოლა. არც საწერკალმებს აძლევდნენ, უმალავდნენ რვეულებს, ჟურნალებს, რომ ვერ დაეწერათ საჩივრები. არ ვიცი, როგორ ახერხებდნენ ეს ადამიანები სახალხო დამცველთან ტელეფონით დაკავშირებას და მისთვის დარღვევებზე რეაგირების თხოვნას, — უთხრა „საქართველო და მსოფლიოს" ნინო ანდრიაშვილმა.

იმედა ბუთხუზის წერილში ვკითხულობთ:

**„შემოვიდა ლევან პაჭკორია, რომელსაც არაერთხელ ვყავვარ ნაცემი და განმიცხადა, რომ სად-ის თავმჯდომარეს, ბაჩო ახალიას სურდა შეხვედრა და გასაუბრება. გამიყვანეს ადმინისტრაციაში, დირექტორის მისაღებში შემხვდა და მითხრა: შენ ხარ იმედა ბუთხუზი? რაზეც ჩემი დადებითი პასუხი მიიღო. მე მიჩივი, ბიჭო? და წავიდა. ამის შემდეგ დამაბრუნეს საკანში. ამის შემდეგ საკანში მეწვია ქალბატონი თეა თუთბერიძე, რომელმაც ზეწოლა განახორციელა ჩემზე, თან დამემუქრა შემდეგი სიტყვებით: ჩვენ მთავრობა ვართ და ჩვენთან საერთო ენა გამონახეო და მე შუამავალი ვიქნებიო.** რაზეც ვუპასუხე: ან აზრზე არ იყო, რას საუბრობდა, ან გამოაგზავნეს, ანუ „მოგზავნილი ხარ-მეთქი" და წამოვედი.

**დაახლოებით იგივე უთხრა ჩემს წინა საკანში მოთავსებულ პატიმრებს — ვაჟა გეგენავას და რუდიკ ოვაკიმიანს.**

ეს ამბავი მოხდა, ზუსტად მახსოვს, ოქტომბრის დასაწყისში. მეოთხე დღეს, მისი წასვლიდან, უცებ ე.წ. გახსნილ ზონაში შემოცვივდნენ კამერებით და სპეცტაპით გადამიყვანეს რუსთავის №1 ზონაში, სადაც ჩასვლის მეორე დღეს, დილიდან დაიწყო სად-ის თავმჯდომარის მიერ ჩემზე ზეწოლები ათასნაირი მუქარით, რათა გამომეტანა საჩივარი და თან კამერის წინ მეთქვა, რომ ტანსაცმელი კი არ გამხადეს, არამედ ცხელოდა და მე თვითონ გავიხადე. ეს თქვი და, რაც გინდა, მთხოვეო. ამაზეც რომ უარი მიიღო, წავიდა და **მეორე დღეს მოვიდა ნასვამ მდგომარეობაში. თან ახლდა მეგი ქარდავა, რომელსაც ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი. სად-ის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია მემუქრებოდა ჩემი და ჩემი ოჯახის ლიკვიდაციით. მე ვარ კანონიც და კიდეც დავამტკიცე, ამდენი ხალხი დავხოცე და პასუხი არავინ მაგებინაო** („ბუნტს" ციხეში გულისხმობდა, თვითონ დააყოლა ეს სიტყვები).

მეოთხე დღეს შემოსულმა სად-ის თავმჯდომარემ ასეთი სიტყვებით მომმართა: თქვე ნაძირლებო, რამდენი ერთი დაგხოცოთ, ხომ ხედავთ, პასუხი არავინ მაგებინაო. ამის შემდგომ, რამდენიმე დღეში, ისევ მოვიდა და საპროცესო გარიგება შემომთავაზა, რაზეც ჩემგან უარი მიიღო".



**საკანში მეწვია ქალბატონი თეა თუთბერიძე, რომელმაც ზეწოლა განახორციელა ჩემზე, თან დამემუქრა შემდეგი სიტყვებით: ჩვენ მთავრობა ვართ და ჩვენთან საერთო ენა გამონახეო და მე შუამავალი ვიქნებიო. დაახლოებით იგივე უთხრა ჩემს წინა საკანში მოთავსებულ პატიმრებს — ვაჟა გეგენავას და რუდიკ ოვაკიმიანს**

დღეს ბაჩო ახალაია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე აღარ არის, მაგრამ პატიმრებზე ზეწოლა, როგორც აღვნიშნეთ, გრძელდება. სწორედ ეს განაპირობებს სტრასბურგში პატიმრების მიერ სარჩელების გახშირებულ გაგზავნას. **რა წარმოდგენა აქვს საქართველოში ადამიანის უფლებებზე ევროპულ მართლმსაჯულებას, ეს ცალკე საკითხია, მეორე კი ის არის, რომ კონკრეტული ჩინოვნიკები, გარდა იმისა, რომ საკუთარი ქვეყნის რეპუტაციას ლახავენ, ბიუჯეტსაც აზარალებენ.**

**სოფო გელაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდი არს მიშას მონობა

**საზოგადოებაში, სადაც გამეფებულია ტოტალური შიში, რომ, თუ რამეს იტყვი, ეს შეიძლება შენი ან შენი ნათესავის პირად ცხოვრებაზე აისახოს, სოლიდარობაზე საუბარი ზედმეტია. დღეს ძალიან ჭირს ტოტალიტარულ და ავტორიტარულ სისტემაში ვილაპარაკოთ რამე სოლიდარობაზე. სოლიდარობა ნორმალური და ჯანმრთელი პროცესია ისეთ საზოგადოებაში, სადაც არ არსებობს შიში, სადაც არსებობს კანონის უზენაესობა და გარანტია ყველა მოქალაქისთვის თანაბრად, რომ ეს კანონი ხელმისაწვდომი იქნება მისთვის.**



## «მე დამნაშავე ვარ, მხოლოდ არ ვიცი, რაში. გამასამართლეთ!»

დღეს საქართველოში საკმარისია, კამერა ან დიქტოფონი გამოაჩინო, ხალხი უკანმოუხედავად გარბის. შედარებით გაბედულები კი საკუთარ პრობლემაზე გაგესაუბრებიან, გასაჭირს გაგიზიარებენ, მაგრამ ვინაობას არ გაგიმხელენ. მათი საუბრის ღიად ჩაწერა თითქმის შეუძლებელია.

**ეშინია ყველას: დიდს, პატარას, ქალს, კაცს... ეშინია, რადგან იცის, რომ, ხმას თუ ამოიღებს, სახლში პოლიცია მიუკაკუნებს, ან ძმის, ან ოჯახის რომელიმე წევრის დაკავების, თანამდებობიდან მოხსნის შესახებ აცნობებს ვინმე. დღეს სიტყვის თავისუფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან აქ ყველამ ერთიანად ჩაიგუბა პირში წყალი და დუმს მთელი საქართველო!**

ძნელია იმის აღიარება, რომ ქვეყანაში, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს სამართლიანად ითვლებოდა მსოფლიოში თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის ერთ-ერთ ყველაზე მედგრად მებრძოლ ქვეყნად, ქვეყანაში, სადაც გმირობებსა და ვაჟკაცობაზე ათასობით წიგნი დაიწერა, საყოველთაო შიშია გამეფებული. **ადამიანები ერთმანეთს თამამად თვალებშიც ველარ უყურებენ იმის შიშით, ის თანამოსაუბრე მოგზავნილი არ იყოს და თან რცხვენიათ, მათ თვალებში ჩაბუდებული შიში არ შეამჩნიონ.** ასე იბუზება, საკუთარ ნაჭუჭში იკეტება ყველა. ოღონდ სკამიდან არ გადმოაგდონ და, ჯანდაბას, მონურ მორჩილებასაც იტანს!

როგორ მოვედით აქამდე ან როდის დაიწყო ეს ყოველივე? ერთი რამ კარგად მახსოვს: **„ვარდების რევოლუციის" დროს ქუჩაში პროტესტის გამოსახატავად გამოსული ხალხის თვალებში (რომელმაც, საბოლოოდ, როგორც აღმოჩნდა, თვითონ გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი) ეს ნაცრისფერი შიში არ იდგა. მაგრამ, საუბედუროდ, ერთი ცნობილი ანდაზისა არ იყოს, „ვაის გავეყარეთ და უის შევეყარეთ".**

მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე პატარ-პატარა ნაბიჯებით დაიწყო ის პროცესი, რამაც საბოლოო ჯამში დღევანდელობამდე მოგვიყვანა. მოსვლისთანავე მედიის, კერძოდ კი ტელევიზიების, სრული უზურპაცია მოახდინა. თანაც ისე, რომ ხალხის მართვის მთავარი მექანიზმი, ტელევიზიები, პრეზიდენტის ხელში უბრძოლველად და „უმტკივნეულოდ" გადავიდა.

ახლა არ მითხრათ, რომ ვცდები. არ მითხრათ, რომ „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიით" — „პირველი არხით", „იმედით", არ ისმენთ ყოველდღე, რომ პირველ ადგილზე ვართ რეფორმების მხრივ; რომ აქ ბიზნესი ყვავის; რომ ხალხში პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი გუნდი ყველაზე დიდი სიმპათიით სარგებლობს... ტყუილმა და ძალადობამ მაგრად ჩაჰკიდეს ხელი ერთმანეთს და დაიწყეს აქტიურად შრომა!

**ამ ქვეყანაში ყველაზე მაღალი ხელფასი პატრულსა და შსს-ს სხვა თანამშრომლებს აქვთ. შესაბამისად, ეს ხალხი მზადაა, თვალები დასთხაროს ყველას. მთავარია, ბრძანება ზემოდან!**

**მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ სამსახურისა და კარგი ხელფასის დაკარგვის შიშით ყველა უმსგავსობაზე ხელის მოწერა ულირსი საქციელია. ეს ის შემთხვევაა, როცა „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა", ცუდი არს მიშას მონობა! აქ „სიკვდილში" მორალური თვითმკვლელობა იგულისხმება, მონობა კი შეუძლიათ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგონ!**

რა აზრი აქვს შენს სიმართლეს, მაინც ვერსად დაამტკიცებ. მოსამართლეებიც მოსყიდული ან დაშინებული არიან და „ნაცების" დაკრულზე ცეკვავენ. შევარდნაძის დროსაც კი არ მახსენდება, რომ დამნაშავეს ფული გადაეხადოს და ამით გამხდარიყოს „უდანაშაულო" და თავისუფალი.

საქართველოში შიში და დიქტატურა მძვინვარებს! ვინც არ მეთანხმება, ვთხოვ, ერთი სახელმწიფო ორგანო მაინც დამისახელოს, რომელიც სააკაშვილის გავლენის ქვეშ არაა და თან, იქნებ, ის ინსტიტუციებიც მითხრას, რომელშიც პრეზიდენტ სააკაშვილს რაიმე წინააღმდეგობა შეჰქმნია ამ 7 წლის მანძილზე და თავისი მიზნებისთვის ვერ მიუღწევია; ან მისი კანონპროექტი თუ ჩავარდნილა, თუნდაც დროებით; ან საკონსტიტუციო სასამართლოს თუ მიუღია რაიმე ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც პრეზიდენტის საწინააღმდეგო იყო.

**ჩვენი ქვეყნის გარდა, პოსტსაბჭოური სივრცის არც ერთ სახელმწიფოში** (სადაც სასტიკი ავტორიტარული რეჟიმები სულაც არ წარმოადგენს იშვიათობას) **წაგებული ომი გამარჯვებად არ გამოუცხადებიათ; ხელისუფლების მზარდად აგრესიული, ტოტალურად დამთრგუნველი და ცინიკური მმართველობისთვის „დემოკრატიის მეორე, მესამე და ა.შ. ტალღა" არ უწოდებიათ; სახელმწიფო მოხელეთა უმეცრება არ გაუფეტიშებიათ.**

ერთ რამედ ღირს თუნდაც „ვარდების ხელისუფლების" ზეობისას ჩვენში ტელეფონების ტოტალური მოსმენისა და პოლიციური თვალთვალის სამარცხვინო პრაქტიკა.

საკმაოდ ბევრი სჯა-ბაასია გამართული იმის თაობაზე, თუ რა ტიპის რეჟიმი ჩამოყალიბდა საქართველოში მიხეილ სააკაშვილის შვიდწლიანი მმართველობის მიწურულს. **ჯორჯ ბუშ-უმცროსის პოლიტიკურ მოუსავლეთში გამგზავრების შემდეგ, დემოკრატიის არსებობაზე საქართველოში, მგონი, ჩვენი ხელისუფლებაც კი აღარ აცხადებს მაინც და მაინც დიდ პრეტენზიას.** ამასთან ერთად, ხშირად გვესმის (ძირითადად, ოპოზიციური წრეებიდან) ასეთი ტიპის გამონათქვამები — **„საქართველოში ავტორიტარიზმი, ავტოკრატია, ტირანიაა გამეფებული და, თუ ასე გაგრძელდა, დიქტატურამდეც მივალთ".**

თუ ქვეყანაში არ არის დემოკრატია, იქ მხოლოდ დიქტატურა შეიძლება იყოს! ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, როგორ მივალთ საქართველოში ოდესმე დიქტატურამდე, როდესაც, კარგა ხანია, ისედაც დიქტატურის პირობებში ვცხოვრობთ!

სანამ გონს არ მოვეგებით და სერიოზულად არ დავფიქრდებით იმაზე, თუ როგორ უნდა ავაშენოთ დასავლური ტიპის, ჭეშმარიტი წარმომადგენლობითი დემოკრატია, უნდა შევეგუოთ იმას, რომ კვლავ და კვლავ მოგვიწევს ამაზრზენ ტოტალიტარულ საზოგადოებაში ცხოვრება, რასაც ზედმიწევნით მიესადაგება შესაბამისი სლოგანები: **სიმართლე უსასრულო ტყუილია! დემოკრატია ტოტალიტარული დიქტატურაა! პატიოსნება უზნეობა და ურწმუნოებაა!**

**თეო ტაბატაძე**

**P.S. რატომღაც ბასა ჯანიკაშვილის პიესა „დიქტატურიდან" ერთი ნაწყვეტი მახსენდება: „ჩემში შიშმა დაისადგურა. მინდა აგიხსნათ, თუ მომისმენთ. იცით, მე კანონმორჩილი მოქალაქე ვარ. პატიოსანი, წესიერი, ჩემს ცხოვრებაში ბუზი არ მომიკლავს. მაგრამ ამ ბოლო დროს ისეთი განცდა მეუფლება, რომ დამიჭერენ. ეს შიში მუდამ ჩემთანაა და ტელეფონი რეკავს, თუ სტუმრადაა ვინმე მოსული, ეს აზრი არ მასვენებს. ბოლოს დავფიქრდი, იქნებ, მართლაც დამნაშავე ვარ და არ ვიცი? გადავწყვიტე, გამოცდილ ადამიანთან მივიდე და აზრი ვკითხო. იქნებ, მე რომ მიმაჩნია, წესიერი ვარო, არ ვარ მთლად სამაგალითო? იქნებ, რაღაცას ვაშავებ და არ ვიცი? იქნებ, ფუნთუშების მოპარვით დავიწყებ და ბოლოს სახელმწიფო გადატრიალებით დავამთავრებ? იქნებ, ჩემი შვილები არასწორად აღვზარდე და ჩემი მეუღლე ტერორისტია? რა ვიცი?! ჰოდა, მოვედი, რომ თავი დავიზღვიო და ხმამაღლა განვაცხადო: მე დამნაშავე ვარ, მხოლოდ არ ვიცი, რაში. გამასამართლეთ".**

ალბათ, ამისგანაც არ ვართ ძალიან შორს....

## მოკლედ

### ნატო თანამშრომლობას გვთავაზობს

**ნატოს ახალი კონცეფცია, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების 28 ლიდერმა ლისაბონში მიიღო, საქართველოსა და უკრაინისთვის თანამშრომლობის შემოთავაზებას მოიცავს.** „ჩვენ ორიენტირებული ვართ უკრაინასთან და საქართველოსთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარების გაგრძელებაზე, ნატო-უკრაინისა და ნატო-საქართველოს კომისიების ფორმატში, რომელიც 2008 წლის ბუქარესტის ნატოს სამიტის გადაწყვეტილებების საფუძველზე შეიქმნა. აღნიშნული გადაწყვეტილებები მიღებულია იმის გამო, რომ ამ ქვეყნებმა არჩევანი ჩრდილოატლანტიკურ ორიენტაციასა და მისკენ სწრაფვაზე გააკეთეს", — წერია დოკუმენტში, რომლის მიხედვითაც ბალკანეთის ქვეყნებს „ჩრდილოატლანტიკური ორიენტაცია" გაუადვილდებათ.

### სააკაშვილის ყველაზე ნაყოფიერი კვირა

**„რაც პრეზიდენტის თანამდებობაზე ვიმყოფები, ასეთი ნაყოფიერი კვირა არ მქონია", — ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა ლისაბონში აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან შეხვედრის შემდეგ.** მართალია, სააკაშვილს არასდროს უთქვამს, რომ გვრიყავდნენ, მაგრამ ახლა გამოტყდა, რომ „ყველა მცდელობა, რომ ფარული და ღია რესურსებით საქართველოს გარიყვა მომხდარიყო, საპირისპიროდ შემობრუნდა". ეს კვირა, მართლაც ნაყოფიერი ყოფილა, მუდამ სულსწრაფი სააკაშვილი მოთმინებაზე ალაპარაკდა: „სიმართლე გითხრათ, XXI საუკუნეში ოკუპანტის სახელს დიდხანს ვერავინ ატარებს, ამიტომ პრობლემის გადაჭრისთვის მოთმინება, ერთობა და მუხლჩაუხრელი შრომა გვჭირდება," — აღნიშნა მან.

### პროკურატურას გამოძიებას სთხოვენ

**„თავისუფალი აზრის სახლმა" აფხაზეთიდან დევნილ ნანა ფიფიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების თხოვნით მთავარ პროკურატურას მიმართა.** როგორც „თავისუფალი აზრის სახლში" აცხადებენ, ტრაგიკულ შემთხვევას შესაბამისი სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს, ცოტა ხანში კი მომხდარის შესახებ საზოგადოების სახელით პასუხს საქართველოს იუსტიციის მინისტრისგან მოითხოვენ. შეგახსენებთ, 2010 წლის 27 ოქტომბერს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ეზოში, სამინისტროს მაღალჩინოსნებთან შეხვედრის შემდეგ, აფხაზეთიდან დევნილმა ნანა ფიფიამ ბენზინი გადაისხა და თავის დაწვა სცადა. დამწვრობის ცენტრში 22-დღიანმა მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო, ქალი 18 ნოემბერს გარდაიცვალა.

### მადლობა ობამას

**ობამა და სააკაშვილი „მოუთმენლად ელოდებიან" ურთიერთობის გაღრმავებას საქართველო-აშშ სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ეგიდით, რომელიც ოთხ ფართო სფეროს მოიცავს.** ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნა და იქვე განმარტა, რომ ქარტია დემოკრატიულ რეფორმას, სამხედრო და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობას, ეკონომიკის დარგში თანამშრომლობასა და ხალხთა შორის კავშირს მოიცავს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ქართველი ხალხის სახელით მადლიერება გამოხატა ობამას ადმინისტრაციის, აშშ-ის კონგრესისა და ამერიკელი ხალხის მიმართ, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარების პაკეტის გამოყოფისა და რეფორმების მხარდაჭერისთვის.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაჟურნაზებულნი



**ვალერი გელბახიანი,**
**პოლიტდევნილი:**

სააკაშვილის ხელისუფლების შენარჩუნების გზა არის ახალი ომის წამოწყება. ეკონომიკურად ის ვერ ინარჩუნებს მდგომარეობას, პოლიტიკურადაც წარმოუდგენელია შეინარჩუნოს ხელისუფლება, რადგან ის ხალხს აღარ უნდა, საგარეო ურთიერთობებში შერყეული აქვს ავტორიტეტი, ის დამნაშავედ არის მონათლული, მისი რესურსი ამოწურულია და ის მაინც უნდა წავიდეს, უნდა ეს მას თუ არა. რომ დარჩეს და გაიხანგრძლივოს ხელისუფლება, მისი ერთადერთი გამოსავალი არჩევნები კი არა, არის ომი.

*„კვირის ქრონიკა"*



**კობა არაბული,**
**მწერალი:**

თხემით ტერფამდე ეზიზღება ხალხს ეს ხელისუფლება, საძულველი ხელისუფლება გვყავს, ამათი მოშთობის მეტი სხვა მოლოდინი არ გაგვაჩნია. ისტორიამ უნდა იბრძოლოს, არ შეიძლება, ქართველთა სახსენებელი მოისპოს. ჩვენ მართლა ზღვიდან ზღვამდე ვიყავით გადაჭიმული და აქ დაირწა ცივილიზაციის აკვანი. აქ არის ის ენერგია, რასაც მსოფლიო ესწრაფვის.

*„ასავალ-დასავალი"*



**გიორგი თარგამაძე,**
**„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისა" და საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი:**

ჩვენ არასოდეს ვუქმნიდით საზოგადოებას ილუზიას, პოლიტიკური ბრძოლის ველზე არასოდეს შევვარდნილვართ გავეშებული ლომებივით და შემდეგ ჩასვრილი კურდღლებივით არ გავპარულვართ ზოგიერთივით. ზედმეტი ბაქიბუქი — აქეთ გორას წილხსა ვკრავ, იქით გორას ძვრას ვუზამო, ყელში ამოვიდა. თუკი ვინმეს რამის თავი აქვს, მშვიდობიანად გააკეთოს.

*„კვირის პალიტრა"*



**გია მურღულია,**
**თბილისის №24 საჯარო სკოლის დირექტორი:**

პედაგოგს უკეთ მუშაობისთვის სჭირდება როგორც მატერიალური, ისე მორალური კომპენსაცია. მასწავლებლის პროფესია სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული უნდა იყოს, ისინი მასმედიის ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ. ჩვენში კი, ხშირად, მესამეხარისხოვან პოლიტიკოსებს უკეთ იცნობს საზოგადოება, ვიდრე საუკეთესო პედაგოგებს.

*„ყველა სიახლე"*



**ია მეტრეველი,**
**პატრულის მიერ მოკლული ამირან (ბუტა) რობაქიძის დედა:**

ჩემი საშველი არც ისეა და აღარც ასე, მაგრამ ბოლო იმედი, რაც დამრჩენია, ის არის, რომ სხვა ბავშვები მაინც გადავარჩინოთ დახვრეტას, სხვისი შვილები მაინც გადავარჩინოთ გაუბედურებას. სხვა გზა აღარც მაქვს დარჩენილი და ბოლომდე ვიბრძოლებ ამ ზონდერბრიგადებისა და ამ კაცისმკვლელი ხელისუფლების მოსაშორებლად!

*„ასავალ-დასავალი"*



**ეროსი კიწმარიშვილი,**
**„ქართული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი:**

სააკაშვილი ათეულობით მილიონს ხარჯავს საგარეო პიარზე, რითაც ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობს. შეკვეთილი სტატიებითა და სხვა პიარტექნოლოგიებით სურს, ავტორიტარიზმი დემოკრატიის ყალბ მანტიაში გაახვიოს. დიდ ფულს უხდის უცხოურ ლობისტურ კომპანიებს...

*„კვირის პალიტრა"*



**გელა ნიკოლაიშვილი,**
**უფლებადამცველი:**

მიხეილ სააკაშვილი აწყობს ყველა ქვეყანას, საქართველოს გარდა!

*„ასავალ-დასავალი"*

# «დინამოს» ჩოგბურთის კორტები ჩინოვნიკების ინტერესებს ეწირება

## ხელისუფლებამ ბაღებსა და პარკებს შეუტია

**მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე „დინამოს" საჩოგბურთო კორტები რომ იყიდება, ახალი ამბავი არაა. ამის თაობაზე ეკონომიკის სამინისტრომ ნოემბრის დასაწყისში გვამცნო. სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტებით, ტერიტორიიდან გასვლის პროცესის უმტკივნეულოდ განსახორციელებლად უკვე მიმართეს ჩოგბურთის ფედერაციას. საჩოგბურთო კლუბ „დინამოს" წარმომადგენლები და ვეტერანი ჩოგბურთელები კორტების გაყიდვის ფაქტს აპროტესტებენ. გასული კვირის მიწურულს „დინამოს" კორტებზე კორტების გადასარჩენი აქცია გაიმართა. აქციაზე მწვრთნელებთან და ვეტერან ჩოგბურთელებთან ერთად ყველა ის ადამიანი მივიდა, ვისაც ეს ფაქტი, უბრალოდ, ხელისუფლების მხრიდან მომდევნო გაუაზრებელ და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ნაბიჯად მიაჩნია.**



## თეა მუჩაიძე: საზღვარგარეთიდანაც ჩამოდიან და აქ ტურნირებს ატარებენ, საუკეთესო ადგილად ითვლება და რატომ ანგრევენ, არ ვიცი. ბავშვებს ყოველდღიურად აქვთ აქ ვარჯიში და შეიძლება ამ გადასვლა-გადმოსვლამ შეაფერხოს მათი მომზადება.

**ლაშა ჩხარტიშვილი „კონსერვატიული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი:**

— აქციის ორგანიზატორები ვართ ბატონი ზაზა ბოკერია და მე. სპეციალური კომიტეტია შექმნილი, რომელსაც „კორტების გადარჩენის კომიტეტი" დაერქვა. ესაა საზოგადოების ინიციატივა, რომელსაც ორი ხელით ვუჭერთ მხარს. თბილისში არა თუ კორტები არ უნდა ინგრეოდეს და ხეები არ უნდა იჩეხებოდეს, არამედ ახალი უნდა გაშენდეს, რადგან დედაქალაქს დასასვენებლი ადგილები ისედაც არ ჰყოფნის. **იმის მაგივრად, რომ შევარდნაძის დროს დაწყებული მწვანე ნარგავების განადგურება დასრულებულიყო და პირიქით, მათ დარგვაზე ეზრუნა, ხელისუფლებამ ბაღებსა და პარკებზე უფრო მასობრივი შეტევა დაიწყო.**

როგორც ცნობილია, იგეგმება კორტების ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობის დაწყება ხელისუფლების კორუფციული ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ქრთამის სანაცვლოდ მიუგდებენ ვიღაცას სამშენებლო მოედნად და ამის შედეგად განადგურდება ჩოგბურთის კორტები, რომელსაც 70 წლის ისტორია აქვს, ასევე ბაღი, რომელიც კორტების ტერიტორიაზეა გაშენებული. ეს ყველაფერი ხელისუფლების მხრიდან უკვე განწირულია. **თუ ჩვენ არ მოვინდომებთ და წინააღმდეგობას არ გავუწევთ, ცოტა ხანში შეიძლება დასრულდეს ამ უნიკალური ადგილის ისტორია.** ჩვენ ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, რომ არ ვაპირებთ დათმობას. თუ ბევრი ადამიანი დადგება ჩვენ გვერდით, ხელისუფლება ამის გაკეთებას ვერ გაბედავს.

**ვიქტორ ცაავა, კორტების გადარჩენის საზოგადოების წარმომადგენელი:**

— ჩოგბურთის კორტები საქართველოს ისტორიაა, ჩვენი ქვეყნის სახეა. ასეთი უნიკალური კორტები საქართველოში სხვაგან არ გვაქვს. თანაც უნიკალურ ადგილასაა. დაახლოებით სამასამდე ხეა ეზოში, 100-წლიანი და 50-წლიანი ხეები. ჩვენ იმიტომ ვაპროტესტებთ, რომ გული შეგვტკივა. არ უნდა მივცეთ არავის ამის დანგრევის უფლება. **ჩვენ გვქონდა ასეთივე ბაზა ამ კორტების გვერდით, ჩოგბურთის მოედანი, სანიჩბოსნო ბაზა, რომელიც დაანგრიეს და, უკვე სამი წელია, სანაცვლოდ არავის არაფერი გაუკეთებია. ანალოგიური ბედი ელის ამასაც, თუ ჩვენ ამის უფლებას მივცემთ.** ამბობენ, რომ ახალ კორტებს ააშენებენო. ჯერ ერთი, ასეთ კორტებს ვერანაირად ვერ გააკეთებენ, იმიტომ, რომ აქ ყველანაირი სტანდარტია დაცული და ყველანაირი პირობაა შექმნილი სპორტსმენებისთვის. მეორეც, გაუგებარია, რატომ უნდა დაანგრიონ ის, რაც უკვე არის და რა საჭიროა ახლის აშენება?! ააშენონ, კი ბატონო, სხვაც, მაგრამ ამას თავი დაანებონ.

**მოვითხოვთ, კორტები დაუტოვონ სპორტსმენებს. უამრავი ბავშვი ვარჯიშობს ამ კორტებზე და განა ეს არ არის საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ არ დაანგრიონ?** საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ასეთი რამ განაცხადა, მატერიალურად თუ გამიჭირდა, ჩემს კორტებს გავყიდიო. მოგეხსენებათ, მას საკუთარი კორტები მარჯანიშვილზე აქვს. **ადამიანს, რომელიც ამბობს, რომ, ფული თუ შემოაკლდა, კორტებს გაყიდის, ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არაფერი ესაქმება!** მოთმინებასაც აქვს საზღვარი და ეს საზღვარი, დღეს თუ არა ხვალ, სადღაც ამოხეთქავს. ფრთხილად იყვნენ, როცა ეხებიან ერის ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და მომავალი თაობის აღზრდას.

**თეა მუჩაიძე, მწვრთნელი:**

— ეს კორტები ყველაზე საუკეთესო ადგილია ჩოგბურთისთვის და არსად ვაპირებთ წასვლას. ბოლომდე ვიბრძოლებთ. სხვაგან რომ გადავიდეთ, ბავშვები დაიფანტებიან. შეგვპირდნენ, დაახლოებით 9 თვეში მზად იქნებაო, მაგრამ არ მჯერა. არ დავთმობთ, მშობლებიც, ბავშვებიც გვერდში გვიდგანან. დაახლოებით 150 ბავშვი ვარჯიშობს ჩვენთან, ოთხი მწვრთნელი ვართ და, კორტები რომ დაიხუროს, ფაქტობრივად, ყველა უმუშევარი ვრჩებით. ყველანი სპორტის დამსახურებული მწვრთნელები ვართ, უმაღლეს დონეზე გვყავს ბავშვები მომზადებული და ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი ვარჯიშისათვის. **საზღვარგარეთიდანაც ჩამოდიან და აქ ტურნირებს ატარებენ, საუკეთესო ადგილად ითვლება და რატომ ანგრევენ, არ ვიცი. ბავშვებს ყოველდღიურად აქვთ აქ ვარჯიში და შეიძლება ამ გადასვლა-გადმოსვლამ შეაფერხოს მათი მომზადება.** თანაც როცა გვეუბნებიან, სხვაგან გადაგიყვანთო, ყველა დარბაზი დაკავებულია და რა რაოდენობის საათებიც ჩვენ გვჭირდება, იქ არავინ მოგვცემს. სხვა ბაზაზე რომ წავიდეთ, იქაურ მწვრთნელს ხომ არ გავაგდებთ? ზამთრისთვის საათები უკვე განაწილებული გვაქვს. მხოლოდ იმას მოვითხოვთ, რომ აქ დაგვტოვონ.

## ვიქტორ ცაავა: ჩვენ გვქონდა ასეთივე ბაზა ამ კორტების გვერდით, ჩოგბურთის მოედანი, სანიჩბოსნო ბაზა, რომელიც დაანგრიეს და, უკვე სამი წელია, სანაცვლოდ არავის არაფერი გაუკეთებია

**ლილი მიროტაძე,**
**თეო ტაბატაძე**

# დაუდევრობა თუ დივერსია?

## მოსახლეობა ეჭვობს, რომ ტყეებში ხანძარს მიზანმიმართულად აჩაღებენ

**საქართველოს ტყეებში მეტად უჩვეულო ხანძრები მძვინვარებს, რომელთა შედეგად 430 ჰექტრამდე ტყის მასივი განადგურდა. სატყეო სექტორში შექმნილ საერთო მდგომარეობას კი ექსპერტები „საგანგაშოს“ უწოდებენ. სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, აჭარის, კახეთის მრავალ ადგილას ტყე გადაშენების პირასაა მისული და მისმა დეგრადაციამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო.**







**გიორგი ხაჩიძე ამ ჩაუქრობელი ხანძრების გამო თუ არა, იმ კორუმპირებული თანამშრომლების გამო მაინც უნდა გადადგეს, ბოლო დროს რომ მოუმრავლდა სამინისტროში**

**ბოლო მონაცემებით, საქართველოს რამდენიმე რეგიონში ხანძრის კერები ისევ რჩება. ბარისახოდან ხანძარი თიანეთის სატყეო ზონაშიც გადავიდა. მთაში ცეცხლი დაახლოებით 3-5 ჰექტარზეა მოდებული, გომბორის ტერიტორიაზე კი — 10 ჰექტარზე. ყველაზე რთული მდგომარეობა ყვარლის რაიონის სოფელ შილდასთან მდებარე ტყის მასივსა და ბაღდათის რაიონის ზეკარის უღელტეხილზეა. იმერეთში ცეცხლის ჩასაქრობად ვერტმფრენებიც გამოიძახეს. ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოები გრძელდება.**

**სტიქია მძვინვარებს, ასევე, სამეგრელოს რეგიონში. ჩხოროწყუს რაიონში ცეცხლი სათიბ ტერიტორიაზე გაჩნდა. არის საშიშროება, რომ ცეცხლი ტყის მასივზეც გადავა. მოხალისე ჯგუფები სამაშველო სამსახურთან ერთად ცდილობენ ცეცხლის ლოკალიზებას. სამუშაოებს ისიც ართულებს, რომ ცეცხლის კერა მიუვალ ადგილასაა და იგი, ძირითადად, ფოთლებს უკიდია.**

ხანძრის გამომწვევი მიზეზი კი ჯერჯერობით ისევ დაუდგენელია. ამ დროისთვის არც ის არის ცნობილი, რა რაოდენობის ფართობზეა ცეცხლი მოდებული. **ზეკარის ტყეში ხანძრის შედეგად დაახლოებით 17-18 ჰექტარი ფართობი დაიწვა. თელავის სატყეო უბანზე კი დამწვარია 20 ჰექტრამდე ტყის ფართობი.** რთული რელიეფური პირობების გამო, ხანძრის ლიკვიდაცია ძნელდება. ხანძარია ფასანაურისა და ბარისახოს სატყეო უბნებზეც, ზემო სვანეთში, აიფარის სატყეო უბანზე. სატყეო სააგენტოში ჯერ ვერ აკონკრეტებენ, რამ გამოიწვია რეგიონებში ხანძრები.

გარდა ზემოჩამოთვლილი ტყეებისა, **ხანძარი გაჩნდა ცხვარიჭამიაშიც, სადაც დაახლოებით 10 ჰექტარი ტყის ფართობი დაიწვა. თიანეთის რაიონის სოფელ თეთრახევში გაჩენილი ხანძარი კი ერთბაშად 25-30 ჰექტარზე გავრცელდა. რთული რელიეფისა და მიუვალი ადგილების გამო ხანძრის ჩაქრობა მანქანებით ვერ ხერხდება. ცეცხლს მოსახლეობა სპეციალურ სამსახურებთან ერთად ებრძვის.**

ხანძრის კერები კახეთშიც გაჩნდა. ცეცხლი ახმეტის ხეობაში ტყის მასივს მოეკიდა. როგორც თელავის რაიონის სოფელ ართანას გამგებელმა რამინ კომშიაშვილმა განაცხადა, რომ ცეცხლი 30 ჰექტარი ფოთლოვანი ტყის მასივზეა მოდებული. საქართველოს ტყეებში გაჩენილი ხანძრების მიზეზების დასადგენად გამოძიება მიმდინარეობს. სპეციალისტები ხანძრის გამომწვევ მიზეზებს ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებენ. ასევე უცნობია მიყენებული ზარალი, რომლის დათვლაც ამ ეტაპზე არ დაწყებულა, რადგან ტყეებში ხანძრებს ისევ ებრძვიან.

საქართველოს ტერიტორიის საერთო ფართობი 6.95 მლნ. ჰექტარს შეადგენს. აქედან სახელმწიფო ტყის ფონდის მიერ დაკავებული ფართობი 3005.3 ათასი ჰექტარია. ტყით დაფარული ფართობი 2772.45 ათას ჰექტარს შეადგენს, რაც მთლიანი ფართობის 40%-ია.

საქართველოს ტყეებში ცეცხლის ჩაქრობის სამუშაოები, ერთ კვირაზე მეტია, მიმდინარეობს. წელიწადის ამ დროს ტყეში ხანძრის თვითნებური გაჩენა ეჭვს ბადებს, რადგან დაბალი ტემპერატურისა და ნესტის გამო ცეცხლის სპეციალურად დანთებაც კი ჭირს. აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ ტყეებში ხანძრები ვიღაცამ სპეციალურად გააჩინა, რათა შემდგომ ეს ტყეები გაჩეხონ. მითუმეტეს, რომ არც ერთ სამთავრობო უწყებაში ხანძრის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით კონკრეტული პასუხი არ აქვთ. **ხანძარი იმდენად მასშტაბური გახდა, მოსახლეობა უკვე იმასაც შიშობს, რომ ცეცხლი ტყის ახლოს მდებარე სახლებზეც არ გადავიდეს.**

ხანძრების სალიკვიდაციო სამუშაოებში გარემოს დაცვის სამინისტროსთან, საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტთან, რეგიონულ სამაშველო ძალებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ავიაციაც ჩაერთო.

**ხაჩიძე ამ ჩაუქრობელი ხანძრების გამო თუ არა, იმ კორუმპირებული თანამშრომლების გამო მაინც უნდა გადადგეს, ბოლო დროს რომ მოუმრავლდა სამინისტროში.**

წინა კვირას საქართველოს მთავარმა პროკურატურამ და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მაღალჩინოსნები დააკავეს. გამოძიების შედეგად, დაკავებული არიან ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: **საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსის ყოფილი პირველი მოადგილე ხვიჩა პირველი, ტყის მართვის დეპარტამენტის უფროსი გოჩა ზეინკლიშვილი, ამავე სამინისტროს თანამშრომლები: ელგუჯა ქუტიძე, ვლადიმერ მინდიაშვილი, დავით ურთმელიძე და დანაშაულის ერთ-ერთი ორგანიზატორი ლაშა კლდიაშვილი.**

აღნიშნულმა პირებმა, თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით, ხელში ჩაიგდეს საქართველოში არსებული ინერტული მასალების კარიერების დიდი ნაწილი. კარიერები გააფორმეს მათი ახლობლების სახელზე და სხვადასხვა შენიღბული ოპერაციებით მიიღეს დაახლოებით 7 მილიონამდე ლარის უკანონო შემოსავალი.

**საკითხავია: სამინისტროს მაღალჩინოსნებს რომ პანტაპუნტით იჭერენ, მინისტრს თუნდაც მორალური პასუხისმგებლობა არ ეკისრება? აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სანამ ის ბუზებს ყლაპავს, მის ცხვირწინ მილიონებს აკეთებენ.** ხანძარმა ამ ტემპით თუ გააგრძელა გააქტიურება, ადვილი შესაძლებელია ტყეები წარსულის ლამაზ მოგონებად და მომავლის ოცნებად გვექცეს! სად ჩამოვლენ მერე კეტებიანი ინგლისელი ტურისტები?

**შეიძლება „მიშა მაგარია“-ს ავტორს რაღაცას „უჩალიჩებენ“.** ოფიციალურად კი მონადირეების დაუდევრობას აბრალებენ აღნიშნულ ხანძრებს. ცნობილია, რომ საქართველოს კანონმდებლობით, ნადირობა მხოლოდ გადამფრენ ფრინველებზეა ნებადართული, სხვა ფრინველებისა და ნადირის მიზანში ამოღება კი მხოლოდ სანადირო მეურნეობებშია შესაძლებელი. **სადაც ახლა ტყე იწვის, არც გადამფრენი ფრინველი ბინადრობს და არც რამე სანადირო მეურნეობაა. შესაბამისად, საქმე გვაქვს არა დაუდევარ მონადირეებთან, არამედ გათავხედებულ და თავის ნებაზე მიშვებულ ბრაკონიერებთან.** რაც შეეხება იმას, რომ გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომელთა სიმცირის გამო ბრაკონიერთა კონტროლი შეუძლებელია, ეგეც აბსურდია. ნებისმიერ სოფელში ყველამ მშვენივრად იცის, ვინ სად ნადირობს.

ტყე დედამიწის ეკოლოგიურ სისტემათა მთლიანი კომპლექსისთვის გლობალური და სასიცოცხლო ფაქტორია. **ბიოსფეროში ჟანგბადის 60%-ზე მეტს გამოყოფს ხმელეთის მცენარეულობა და მისი მთავარი კომპონენტი — ტყე. 1 ჰა შერეული ტყე წელიწადში 13-17 ტონა ნახშირორჟანგს შთანთქავს და 10-15 ტონა ჟანგბადს გამოყოფს. ის მრავალრიცხოვანი რესურსის (მერქნის, ქერქის, ტოტების, ფოთლის, ნაყოფის, თესლის, სოკოს...) უმდიდრესი წყაროა.**

**„თუ ეს ვითარება სასწრაფოდ და კარდინალურად არ შეიცვალა, ახალ თაობას უტყეო ქვეყანაში მოუწევს ცხოვრება. გარწმუნებთ, ეს არაა მუქ ფერებში დახატული მომავალი. ადამიანის დაუფიქრებელი მოქმედების გამო, ტყე არაერთ ქვეყანაში განადგურდა. ამ მხრივ საქართველოც არ წარმოადგენს გამონაკლისს — ისტორიულ წარსულში მთლიანად განადგურდა ტყეები ჯავახეთის ზეგანზე“,** — ამბობენ სპეციალისტები.

**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ

### სისხლისმსმელი ნატო

**„ნატოს საპარლამენტო ასამბლეა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობათა ფიზიკური განადგურებისკენ მოუწოდებს“, — განაცხადა აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის წევრმა გურამ გუმბამ.** მან 2010 წლის 16 ნოემბრის დოკუმენტს, რომლებშიც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებად მოიხსენიება, „ცუდი ჰოლივუდური ფილმის ცუდი სცენარი“ უწოდა. რეზოლუციას დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროც დაუყოვნებლივ გამოეხმაურა: „აფხაზური მხარე კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ნატო პროქართული ორგანიზაციაა და მას კონფლიქტის მხარედ მიიჩნევს. ამ ორგანიზაციას არ შეუძლია, პოზიტიური როლი ითამაშოს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში, ის რეგიონში დაძაბულობის შემომტანი ფაქტორია“.

### ბრიტანეთის დაზვერვა გადარჩა

**თანხა, რომელსაც ბრიტანეთის მთავრობა გუანტანამოს ამერიკული ციხის 16 ყოფილ ტუსაღს გადაუხდის, საიდუმლოდ დარჩება.** ამის თაობაზე გაერთიანებული სამეფოს იუსტიციის მინისტრმა კენეტ კლარკმა განაცხადა. მან თქვა, რომ ამ სარჩელების სასამართლო განხილვა 3-5 წელიწადს გაგრძელდებოდა და ბრიტანეთს 30-50 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაუჯდებოდა. არადა, სარჩელში ეწერა, რომ ბრიტანეთში გუანტანამოს ციხის პატიმართა მიმართ წამების გამოყენების შესახებ იცოდნენ, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ რაიმე ზომები მიეღოთ, სპეცსამსახურები წამების შედეგად მიღებულ ინფორმაციას იყენებდნენ. ახლა სასარჩელო განცხადებებში თავად ბრიტანეთის დაზვერვის საწინააღმდეგო ინფორმაციასაც გრიფი „საიდუმლო“ დაიცავს.

### ავღანეთის ახალი ფაზა

**ლისაბონის სამიტის ფარგლებში ISAF-ის პროგრამაში ჩართული ქვეყნების ლიდერების შეხვედრა ალიანსის გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა გახსნა და ავღანეთის ოპერაციაში მონაწილე არაწევრი ქვეყნების ლიდერებს მათი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.** „ამიერიდან ავღანეთში უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მთავარ როლს უკვე ქვეყნის მთავრობა შეასრულებს... ეჭვი ნურავის შეეპარება, რომ ჩვენი ვალდებულებების შესრულებას გავაგრძელებთ. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას სტრატეგიული და გლობალური მნიშვნელობა აქვს. თუ ავღანეთის მტრები ელოდებიან, როდის დავტოვებთ ქვეყანას, მინდა, ვუთხრა, რომ ჩვენ ავღანეთში იმდენ ხანს დავრჩებით, რამდენი დროც ჩვენი მუშაობის დასრულებას დასჭირდება“, — განაცხადა რასმუსენმა.

### ბაროზოს ციტატა შეულამაზეს

**მიუხედავად იმისა, რომ ქართული მედია ევროკომისიის კომისრის — ჟოზე მანუელ ბაროზოს მხრიდან საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრების შემოთავაზებაზე იუწყებოდა, ეს ინფორმაცია არ დადასტურდა.** „ლაპარაკი საქართველოს ევროკავშირში გაწევრებაზე არ ყოფილა, განიხილებოდა მხოლოდ ასოცირებისა და თავისუფალი სავაჭრო ზოლის შექმნის საკითხი“, — ნათქვამია ევროკომისიის პრესსამსახურის განცხადებაში. „მოვუწოდებ საქართველოს, ოფიციალურად გააკეთოს განაცხადი ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით“, — გავრცელდა ბაროზუს ციტატა ქართულ მედიაში, სინამდვილეში კი ევროკომისიის პრეზიდენტი საქართველოს მოუწოდებდა, ოფიციალური განაცხადი ენერგოგაერთიანების წევრობისთვის გაეკეთებინა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ვენესუელა რუსულ რაკეტებს მიიღებს



**„Infodefensa“-ს ცნობით, ვენესუელა გაისად რუსულ სახმელეთო ხომალდსაწინააღმდეგო კომპლექსებს — „Club-M“-ებს მიიღებს.** ეს მობილური სარაკეტო კომპლექსები აღიჭურვება ფრთოსანი რაკეტებით: „3М-14КЭ“ ან „3М-54КЭ“, რომელთა მოქმედების სიშორე 300 კილომეტრს აღწევს. ბოლო წლების განმავლობაში ვენესუელამ რუსეთისგან 5 მილიარდი დოლარის შეირაღება შეიძინა. უახლოეს მომავალში, „Club-M“ კომპლექსების გარდა, იგეგმება 92 „T-72“-ისა და რამდენიმე ათეული „Смерч“-ის შესყიდვა.

# სნაიპერი შეუმჩნეველი არ დარჩება



**ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ „სასწრაფო ოპერატიული საჭიროების გამო“ კომპანია „Raytheon“-ს საველე გამოცდებისთვის გასროლის დეტექციის სისტემები — „Boomerang Warrior-X“ შეუკვეთა.** მოწყობილობა 311 გრამს იწონის, ის ტყვიის ზებგერით ტალღაზე რეაგირებს და, პრაქტიკულად, მომენტალურად, 95%-იანი სიზუსტით ადგენს, თუ რა მიმართულებიდან და რა სიმაღლიდან მოხდა გასროლა. ნავარაუდევია, რომ უახლოეს მომავალში ამ დეტექტორით ავღანეთში მყოფი ყველა ბრიტანელი ჯარისკაცი აღიჭურვება.

# ამერიკელებმა ახალი კამუფლიაჟი შექმნეს



**კომპანია „ArmorWorks“-მა ჯავშანტექნიკისთვის ახალი სამგანზომილებიანი კამუფლიაჟი „TactiCam“-ი შექმნა. ის სხვადასხვა ინტენსივობის ერთი და იმავე ფერის კვადრატებისგან შედგება, რომელთა ფართობი 3-დან 930 კვადრატულ სანტიმეტრამდე მერყეობს.** ნახატი მსუბუქ ფირპიტებზეა დატანილი, რომლებიც ჯავშნის ზედაპირისგან განსხვავებულ მანძილზე მაგრდება. ეს მოწინააღმდეგეს მანძილის განსაზღვრასა და დამიზნებას გაურთულებს. შემთხვევითი რიცხვების გენერატორის დახმარებით ტექნიკის თითოეული ერთეულისთვის „TactiCam“-ის უნიკალური ნახატი შეიქმნება.

# იაპონია წყალქვეშა ფლოტს გაზრდის



**იაპონიის თავდაცვის უწყება აპირებს, მომავალი 5 წლის განმავლობაში წყალქვეშა ნავების რაოდენობა 16-დან 22-მდე გაზარდოს; საბოლოო გადაწყვეტილებას ქვეყნის მთავრობა დეკემბერში მიიღებს.** სააგენტო „კიოდოს“ ცნობით, ეს ნაბიჯი ჩინეთის შეკავებისკენაა მიმართული, რომელმაც გააფართოვა თავისი ფლოტის მოქმედების ზონა და იაპონიის კონტროლქვეშ მყოფი და სადავო კუნძულების სიახლოვეს აქტიურ პატრულირებას ახორციელებს. ჩინეთის ფლოტში 55 დიზელისა და 9 ატომური სუბმარინაა.

# «РПГ-7» — ლეგენდადქცეული ყუმბარმტყორცნი



**ავღანეთიდან მოსულ ინფორმაციებში ძალზე ხშირად ჩვენი ძველი ნაცნობი „РПГ-7“ ფიგურირებს. ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ამ ლეგენდარული ყუმბარმტყორცნით საბჭოთა არმია აღიჭურვა, რომელიც კვლავინდებურად დიდი პოპულარობით სარგებლობს.**

წამყვანი დასავლური ფირმები სატრანსპორტო საშუალებების დაცვის რთულ და ძალზე ძვირადღირებულ სისტემებს (მაგალითად, ერთი „Humvee“-ს მომზადება ექსპლუატაციისთვის ავღანეთში 100 ათასამდე დოლარი ღირს) იმისთვის ქმნის, რომ გაანეიტრალოს იმ იარაღის მოქმედება, რომელიც საშუალო ნოუთბუქზე ნაკლები ღირს.

უცნობია, თუ რამდენი „РПГ-7“-ია მიმოფანტული მთელ მსოფლიოში, თუმცა საუბარი, ნებისმიერ შემთხვევაში, მილიონობით ერთეულს ეხება. ამ იარაღმა ერთ-ერთ კონფლიქტში გადამწყვეტი როლი შეასრულა და, შეიძლება ითქვას, ისტორია შეცვალა. **გადამწყვეტი როლი ამერიკელთა მარცხში სომალის დედაქალაქ მოგადიშოში გამართულ ბრძოლაში „РПГ-7“-ის მეშვეობით მათი ორი ვერტმფრენის ჩამოგდებამ შეასრულა.** ამ მარცხის შემდეგ ამერიკელები იძულებული გახდნენ, სომალი დაეტოვებინათ.

„РПГ-7“, რასაკვირველია, ვერტმფრენებთან (და არც ქვეითებთან) ბრძოლისთვის არ შექმნილა, ის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნად მოიაზრებოდა, თუმცა გამოყენების პრაქტიკამ ის უნივერსალურ იარაღად აქცია.

შეირაღებული კონფლიქტების დროს სუსტი მხარე ხშირად იყენებს ტაქტიკას, რომელსაც ვიეტნამელები „ქამარში ხელის ჩავლებას“ უწოდებდნენ. ის ცდილობს, ბრძოლა რთული რელიეფის პირობებში (მთები, ტყეები, დასახლებული პუნქტები) ახლო დისტანციებზე აწარმოოს, ამ დროს მოწინააღმდეგე მოკლებულია შესაძლებლობას, თავისი მთავარი კოზირი არტილერია და ავიაცია გამოიყენოს, ასეთ სიტუაციებში, „РПГ-7“-მა საკუთარი პლიუსები არაერთგზის გამოავლინა.

**როდესაც საბჭოთა კონტინგენტი ავღანეთში შედიოდა, ვიღაცამ გენშტაბში მარტივად გადაწყვიტა, რომ მოჯაჰედებს ჯავშანტექნიკა არ ჰყავთ და, შესაბამისად, სპეცდანიშნულების რაზმებს (ანუ მათ, ვინც ყველაზე ხშირად მონაწილეობდა ინტენსიურ ბრძ-** ▶



# ტანკები თაობიდან თაობამდე

**სხვადასხვა პუბლიკაციებში ხშირად ვხვდებით გამოთქმას „ახალი თაობის შეიარაღება“. მას იმდენად ხშირად ხმარობენ, რომ ის ყოველივე ნოვატორულის სინონიმად იქცა; თუმცა ხშირად „ახალი თაობის“ ხსენება არამართებულია. ვნახოთ, რას ნიშნავს ცნება „თაობა“ ტანკებთან მიმართებაში.**

მართალია, ერთიანი, საყოველთაოდ აღიარებული კლასიფიკაცია არ არსებობს, მაგრამ საკმაოდ გავრცელებულია თეორია, რომელიც ტანკების „თაობების“ ათვლას მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან იწყებს. თავად ეს ომი, მიუხედავად იმისა, რომ მის დროს უამრავი ახალი ტანკი შეიქმნა, ერთგვარ „პრეისტორიულ ხანად“, ათვლის წერტილად ითვლება. ცნება „თაობა“ იმდროინდელ ტანკებთან მიმართებაში არ გამოიყენება.

**ტანკების პირველი თაობა გასული საუკუნის 50-60-იან წლებში იქმნება.** ეს ტანკები, ტექნიკური თვალსაზრისით, ძალიან ჰგავდა II მსოფლიო ომისდროინდელ საუკეთესო ტანკებს „T-34-85“-სა და „PzKpfw V Panther“-ს. ამ თაობის ტანკები საკუთარ თავში ომის დროს შექმნილი ნიმუშების საუკეთესო თვისებებს აერთიანებენ. კომპურების კონსტრუქციაში მთელ მსოფლიოში საბჭოთა სკოლის გავლენა იგრძნობა, ცეცხლის მართვის სისტემებში ამერიკელებისა და ა.შ. **ამ თაობას მიეკუთვნებიან ამერიკული „M47“, „M48A1“ და „M48A2“, ბრიტანული „Centurion“-ი, საბჭოთა „T-54“ და „T-55“, იაპონური „Type 61“.**

**ტანკების მეორე თაობა ასპარეზზე 60-იან წლებში გამოდის.** მათთვის დამახასიათებელია ძირითადი შეირაღების სტაბილიზაციის სისტემების ფართო დანერგვა, ბალისტიკური გამოთვლებისთვის მექანიკური ხელსაწყოების გამოყენება, ახალი სისტემების შექმნა, რაც რთულ პირობებში ბრძოლას უზრუნველყოფდა (ღამის ხედვის ხელსაწყო და სხვ.), მასობრივი განადგურების იარაღისგან დაცვის უზრუნველყოფა, ქვემეხის კალიბრის გაზრდა (105-115 მმ.). **ამ თაობას მიეკუთვნებიან საბჭოთა „T-62“, ფრანგული „AMX-30“, გერმანული „Leopard“-ი (A1, A2 და A3), ამერიკული „M60“, „M60A1“, ბრიტანული „Chieftain“-ი და „Vickers Mk.1“, შვეიცარიული „Pz61“, შვედური „Strv-103“** (ამ უკანასკნელს რიგი ორიგინალური თავისებურებები გააჩნდა; ამ, გარკვეული თვალსაზრისით, უნიკალურ ტანკს მომავალში ცალკე პუბლიკაციას მივუძღვნით).

**შემდეგ გარდამავალი ეტაპი — მეორე თაობის ტანკების სრულყოფა დაიწყო.** ტანკებმა მიიღეს ცეცხლის მართვის უფრო სრულყოფილი სისტემები, იხვეწებოდა ჯავშანი, გაჩნდა პასიური დაკვირვების სისტემები; იყო რიგი ნოვატორული გადაწყვეტილებები, მაგალითად, იაპონური „Type 74“-ის რეგულირებადი ჰიდროპნევმატური დაკიდება; **ამ გარდამავალი გენერაციის წარმომადგენლები არიან გერმანული „Leopard-1014“, საბჭოთა „T-64“ და „T-72“, ამერიკული „M60A2“ და „M60A3“, ბრიტანული „Vickers Mk.3“, იტალიური „OF-40“, შვეიცარიული „Pz68“, იაპონური „Type 74“ და ისრაელის „Merkava Mk1“.** ▶



◀ ოლებში) „РПГ-7“ და „РПГ-16“ არ სჭირდებათ. ამავე დროს, **მოჯაჰედების ათკაციან რაზმში მინიმუმ ერთი „РПГ-7“ იყო, 1987 წლისთვის მათი რაოდენობა ორამდე გაიზარდა, ხოლო სპეციდანიშნულებისა და ტანკსაწინააღმდეგო რაზმებში ამ ყუმბარმტყორცნებით პირადი შემადგენლობის 50-80% იყო შეიარაღებული.**

საბჭოთა სპეცრაზმელები „РПГ-7“-ისა და „РПГ-16“-ის არქონის კომპენსირებას „РПГ-А Шмель“-ით, „РПГ-18“-ითა და „РПГ-22“-ით ცდილობდნენ, თუმცა „Шмель“-ი მეტისმეტად მძიმეა და მოუხერხებელია მთიან რეგიონში ავტონომიურად მოქმედი სპეცრაზმისთვის, ხოლო „Муха“ და „Нетто“ ერთჯერადებია. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ სპეცრაზმელები იყენებდნენ იმ „РПГ-7“-ებს, რომლებიც ხელთ ნადავლის სახით ჩაიგდეს, მათ შორის ჩინური და არაბული წარმოების ნიმუშებს.

„РПГ-7“-ის ეფექტური გამოყენება ქვეითების წინააღმდეგ უამრავ ბრძოლაში მოხდა, თუმცა, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება მის ყუმბარმტყორცნის „პირდაპირ დანიშნულებასაც“ შევეხოთ და ვნახოთ, როგორ იყენებდნენ მას ჯავშანტექნიკის წინააღმდეგ. **სწორედ ავღანეთის ომში დაიხვეწა „РПГ-7“-ის ცეცხლის მასირების ტაქტიკა (2-3 ყუმბარმტყორცნი ერთი ტანკის წინააღმდეგ ახლო დისტანციებიდან). ამ მხრივ, საგულისხმოა, ნაკლებად ცნობილი ბრძოლა ტაჯიკეთში, სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ოპოზიციის რაზმებმა „სახალხო ფრონტის“ ჯავშანტექნიკა, კერძოდ კი დინამიური დაცვით აღჭურვილი რამდენიმე „Т-72“ გაანადგურეს.** ყუმბარმტყორცნებით შეიარაღებული მებრძოლები წყვილებად მოქმედებდნენ, პირველი გასროლა დინამიური დაცვის ელემენტის ჩამოგდებაზე იყო ორიენტირებული. ამის შემდეგ მეორე მებრძოლი ცდილობდა იმავე ადგილისთვის, უკვე დაუცველი ადგილისთვის, მეორე ყუმბარა ესროლა. ამავე დროს, კიდევ ერთი წყვილი ტანკის წინა მხარეს უტევდა, იმისთვის, რომ ოპტიკური ხელსაწყოები მწყობრიდან გამოეყვანა და ეკიპაჟი „დაებრმავებინა“. ამ ტაქტიკამ ნაყოფი გამოიღო, „სახალხო ფრონტის“ ტანკების უმეტესობა გადასაყრელი თუ არა სერიოზულად სარემონტო გახდა. ამავე ბრძოლაში (კურგან-ტიუბე-პიანჯის ტრასის დებლოკირება) ოპოზიციის რაზმები აქტიურად იყენებდნენ „РПГ-7“-ებს ცოცხალი ძალის წინააღმდეგ, მათ თითოეულ ოცეულში ათამდე ასეთი ყუმბარმტყორცნი იყო.

მართალია, ძველი ყუმბარები „РПГ-7“-ისთვის, მაგალითად, „АГ-7В“ თანამედროვე ტანკების წინააღმდეგ არაეფექტურია, ხოლო **ყუმბარები ტანდემური საბრძოლო ნაწილით, ისეთი, როგორიცაა „АГ-7ВР“, აგრეთვე, თერმობარული „ТБГ-7В“, დღეს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული არ არის, თუმცა, ალბათ, ადრე თუ გვიან, ისინი კონფლიქტურ რეგიონებში ისევე უხვად იქნებიან წარმოდგენილნი, როგორც „ПГ-7В“ და „ПГ-7ВМ“ — დღეს. რაც მთავარია, „РПГ-7“ მწყობრში, აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა, რჩება და, ექსპერტების ვარაუდით, პოზიციებს საკმაო დროის განმავლობაში არ დათმობს.**







◀ **მესამე თაობის ტანკები ასპარეზზე „ცივი ომის“ დასრულებისთვის გამოჩნდა.** მათი დამახასიათებელი ნიშნებია: ცეცხლის მართვის ინტეგრირებული სისტემები, გაზრდილი კალიბრი (120-125 მმ.), სავალი ნაწილის გაუმჯობესება, რომელიც მოტრიალებას ნებისმიერი რადიუსით უზრუნველყოფს, ჰიდროპნევმატური დაკიდების ფართო გამოყენება, ალტერნატიული, გაზოტურბინული ძრავები „M1 Abrams“-სა და „Т-80“-ზე. **ამ თაობის წარმომადგენლებია იაპონური „Type 90“, ჩინური „Type 88“, ბრიტანული „Challenger“-ი, საბჭოთა „Т-80“ რამდენიმე მოდიფიკაციაში, ამერიკული „M1 Abrams“-ი და მისი მოდიფიკაცია „A1“, გერმანული „Leopard-1ბ4“, ისრაელის „Merkava Mk3“ და იტალიური „C1 Ariete“.**

შემდეგ ისევ **გარდამავალი ეტაპი** დაიწყო, რაც ორმა გარემოებამ განაპირობა.



**მესამე თაობის ტანკები ძვირი იყო და, ამასთანავე, არმიების შეიარაღებაში მეორე თაობის უამრავი ტანკი რჩებოდა. მთავარი აქცენტი მათ მოდერნიზაციაზე გაკეთდა. ამ (თანამედროვე) პერიოდისთვის დამახასიათებელია ძველი ტანკების ადაპტირება ელექტრონიკის ეპოქისთვის და მათი დაცვის გაძლიერება და ახალი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების შექმნიდან გამომდინარე, მათი დაცვის გაძლიერება.**

**მეოთხე თაობის ტანკების შექმნა, თეორიულად უკვე შესაძლებელია, თუმცა აქ წინა პლანზე ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები გამოდის, რადგან ახალი თაობის ტანკებზე გადაიარაღება უკავშირდება არა მხოლოდ ტექნიკური პროგრესის ახალ საფეხურზე ასვლას, არამედ უზარმაზარ ხარჯებს და საფუძვლიან ცვლილებებს ტანკების გამოყენების კონცეფციასა და ტაქტიკაში. მესამე და მეორე თაობის მოდერნიზებული ტანკები კი ჯერჯერობით დღევანდელი გამოწვევების ადეკვატურია.**

ამ შემთხვევაში, გარკვეული პარალელების გატარება II მსოფლიო ომის დასკვნით პერიოდთან შეიძლება: ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით „ИС-3“ „Т-34“-ს სჯობდა, თუმცა ეს უკანასკნელი ამოცანების აბსოლუტური უმრავლესობის გადაწყვეტისთვის საკმარისი იყო, ხოლო იქ, სადაც „Т-34“ „ИС-3“-ს აშკარად ჩამოუვარდებოდა, გამოიყენებოდა არაერთგზის აპრობირებული კომპენსაციის ხერხები. ჯარის გადაიარაღება „ИС-3“-ზე ომით დაზარალებულ საბჭოთა ეკონომიკას მძიმე ტვირთად აწვებოდა. ასეა დღესაც, **დღევანდელ, კრიზისით გათანგულ მსოფლიოში, მეოთხე თაობის ტანკების სწრაფ გამოჩენას არ უნდა ველოდოთ, თუ, რა თქმა უნდა, მთავრობები არ ჩათვლიან, რომ ფართომასშტაბიანი ომების საშიშროება დიდი სახელმწიფოებისა და კოლიციების მონაწილეობით გაიზარდა.** დღესდღეობით ითვლება, რომ მსგავსი ომების დაწყების ალბათობა ძალზე მცირეა.

მოამზადა
**გიორგი გიგიბერიამ**



## გაჟღერებული



**კირილი,**
**რუსეთის პატრიარქი:**

რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლის მონაწილეობა საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში, ასევე ქართველი მღვდლების რუსულ საეკლესიო ცხოვრებაში ჩართვა არა მხოლოდ საეკლესიო ურთიერთობების მხარდაჭერას, არამედ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დარეგულირების რეალურ პერსპექტივას წარმოადგენს.

*„ინტერფაქსი“*



**დიმიტრი მედვედევი,**
**რფ-ის პრეზიდენტი:**

ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა 2008 წლის მოვლენების შეფასებასთან დაკავშირებით არსებობს, მაგრამ ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ჩვენს ურთიერთობებში ეს თემა დამაბრკოლებელი არ უნდა გახდეს. ჩვენ გავაგრძელებთ დისკუსიას ამ საკითხთან დაკავშირებით. გვსურს, განხილვები პროდუქტიულად წარიმართოს. მზად ვართ, ჩვენ შორის დისკუსია გაგრძელდეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჩვენს პოზიციაზე ვრჩებით, ნატოს წევრი ქვეყნები კი — თავისაზე.

*„პირველი“*



**მახმუდ ახმადინეჯადი,**
**ირანის პრეზიდენტი:**

ნატოს პრობლემა ის არის, რომ ამ ორგანიზაციას არ ესმის, — კაცობრიობა შეიცვალა, ხალხმა გაიღვიძა და ისინი პატივისცემას და სამართლიანობას ითხოვენ... ნატოს ქმედებებს ირანისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ბლოკს არ შეუძლია, მსოფლიოში მომავალ ცვლილებებში როლი ითამაშოს. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ნატოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები სწორი არ იყო. ჩვენ ვთვლით, რომ მათი გადაწყვეტილებები ჩამორჩენილია და არანაირი ფასეულობა არ გააჩნია.

*telegraf.by*



**დიმიტრი როგოზინი,**
**ნატოში რფ-ის მუდმივი წარმომადგენელი:**

საქართველოსთან კონფლიქტი რუსეთ-ნატოს ურთიერთობების ტესტად იქცა, რომელიც ორივე მხარემ ღირსეულად ჩააბარა... ჩვენ ვაჩვენეთ, რომ საკუთარ ინტერესებს პრინციპულად ვიცავთ, რითაც ნატოს პატივისცემა დავიმსახურეთ, ისინი ხომ მარტო ძლიერებს სცემენ პატივს. 2010 წელს რუსეთ-ნატოს დისკუსიები ხარისხობრივად გაიზარდა.

*rosbalt.ru*



**ჰილარი კლინტონი,**
**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი:**

რუსეთთან სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეთანხმების რატიფიცირებისთვის ყველაფერი მზად არის და ეს იანვრამდე უნდა გავაკეთოთ. ეს აუცილებელია რიგითი ამერიკელებისთვის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნის დასაცავად. ჩვენგან ამას რიგითი ამერიკელები ელოდებიან.

*news.ru.msn.com*



**ანდერს ფოგ რასმუსენი,**
**ნატოს გენერალური მდივანი:**

ეს დღე ავღანეთში ჩვენი მისიის ახალი ფაზის დასაწყისია. ჩვენ ვიწყებთ პროცესს, რომლის დროსაც ავღანეთის ხელისუფლება საკუთარ თავზე აიღებს ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ავღანეთის მტრები ფიქრობენ, რომ მათ მხოლოდ ჩვენს წასვლამდე მოცდა სჭირდებათ, მაგრამ ცდებიან. ჩვენ ავღანეთში იქამდე დავრჩებით, სანამ ჩვენი საქმის დასრულებისთვის იქნება საჭირო.

*rus.ruvr.ru*



**ნიკოლა სარკოზი,**
**საფრანგეთის პრეზიდენტი:**

საფრანგეთი უარს განაცხადებდა რაკეტსაწინააღმდეგო ფარის პროექტზე, თუ ის ზედმეტად ძვირადღირებული და რეალობასთან შეუსაბამო იქნებოდა. უარს იტყოდა პროექტზე, რომელიც რუსეთისა და საფრანგეთის ბირთვული შეკავების სისტემასთან მიმართებაში მტრული იქნებოდა.

*itar-tass.com*

გსურთ, გამოხატოთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ჯაბა ჯიშკარიანი: საზოგადოებაში ბრძოლის მოლოდინია, სააკაშვილის გასტუმრების ერთადერთი საშუალება კი ქუჩის აქციებია

**ხელისუფლების შეცვლის გზებსა და ოპოზიციურ სპექტრში ბოლო დროს მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია მოძრაობა „7 ნოემბრის“ ერთ-ერთი ლიდერი ჯაბა ჯიშკარიანი.**

**— ჯაბა, უპირველესად, თქვენი მოძრაობის შესახებ მინდა გკითხოთ. კარგა ხანია, არ ჩანხართ და რას დავაბრალოთ თქვენი, იმედია, დროებითი გაუჩინარება პოლიტიკური ასპარეზიდან?**

— გეთანხმები, ბოლო დროს მართლაც ნაკლებად ვჩანვართ და ამის გამო ბევრს, ალბათ, ჰგონია, რომ საბოლოოდ გავეცალეთ აქტიურ პოლიტიკურ ასპარეზს. მაგრამ ყველას, ვინც ფიქრობს, რომ მოძრაობა „7 ნოემბერი“ შეეგუა დღესდღეობით ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას, მინდა, ვუთხრა, რომ ჩვენ არასოდეს დავნებდებით უსამართლობას; უბრალოდ, ამ ეტაპზე დაკავებული ვართ შიდა ორგანიზაციული სამუშაოებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი კამპანია და სამომავლო გეგმები ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.

აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ გავხსენით სპეციალური ცხელი შტაბი, სადაც ხდება 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევის დროს დაზარალებულთა აღრიცხვა. თითოეულ დაზარალებულს მომზადებული აქვს სარჩელი, რომელიც შეგვაქვს სახალხო სასამართლოში, ხოლო სახალხო სასამართლოს შემდეგ ასევე ვაპირებთ ყველა ეს სარჩელი გავგზავნოთ სტრასბურგში. ეს არის მოძრაობა „7 ნოემბრის“ ერთ-ერთი კამპანია.

რაც შეეხება გეგმის დანარჩენ ნაწილს, **ჩვენ კარგად გვესმის, რომ დღეს საზოგადოებაში არის ბრძოლის მოლოდინი, ამიტომ ვაწარმოებთ აქტიურ მოლაპარაკებებს სხვადასხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ვცდილობთ, რაც შეიძლება მცირე დროში შევქმნათ ის ძალა, რომელიც შეძლებს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას;** ოღონდ ეს ბრძოლა უნდა იყოს კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებული და, რაც მთავარია, შედეგიანი. ამისთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, საზოგადოების აქტიურობა და ერთიანობაა...

**— თქვენ ბრძოლის მოლოდინი ახსენეთ და, სიმართლე გითხრა, ვერ ვატყობ საზოგადოებას ამისთვის მზადყოფნას...**

— ის, რომ ხალხი ქუჩაში არ გამოდის და ხელისუფლებას გადადგომის ულტიმატუმებს არ უყენებს, არ ნიშნავს, რომ მოსახლეობა კმაყოფილია არსებული მდგომარეობით. დღემდე ხალხმა იწვნია არაერთი მწარე იმედგაცრუება ოპოზიციის მხრიდან, ეს იყო იგივე 2007 წლის 7 ნოემბრის შემდგომ განვითარებული მოვლენები, 2009 წლის ოთხთვიანი აქციები და ბოლოს 30 მაისის ადგილობრივი არჩევნები, რომელმაც საბოლოოდ წელში გადატეხა ოპოზიციური მუხტი. ამ ყველაფრის გამო დღეს უკვე საზოგადოებას აღარ აქვს მოტივაცია იმისთვის, რომ ხელისუფლებას დაუფიქსიროს საკუთარი პროტესტი.

თავის მხრივ, ხელისუფლება ბრწყინვალედ იყენებს ამ მდგომარეობას და მოქმედებს პრინციპით „გათიშე და იბატონე“. ეს იმას ნიშნავს, რომ **მიხეილ სააკაშვილი და მთელი მისი გარემოცვა დაინტერესებულია საზოგადოების გახლეჩვით, დაქსაქსვით და მეტიც, ისინი ძალღონეს არ იშურებენ, რომ მოსახლეობაში სოლიდარობის ხარისხი რაც შეიძლება დაბალი იყოს,** ვინაიდან მათ კარგად იციან ერთი რამ — რაც უფრო მეტად იქნებიან ადამიანები ერთმანეთისგან გათიშული, რაც უფრო მეტად იქნება ხალხი, მთლიანად ერი გახლეჩილი და გათითოკაცებული, მით უფრო ადვილად შეძლებენ მის მართვასა და დამორჩილებას. ამიტომ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, რომ თუ გვინდა შევცვალოთ ეს ხელისუფლება, თუ გვინდა თავი დავაღწიოთ ამ რეჟიმს და ვიცხოვროთ ნორმალურ ქვეყანაში, ამისთვის ერთადერთი საშუალება ისევ და ისევ სოლიდარობა და ერთიანობაა. სხვანაირად არაფერი გამოვა იმიტომ, რომ ერთიანობისა და ერთიანი ძალებით ბრძოლის გარეშე, პირდაპირ ვაცხადებ, მიხეილ სააკაშვილის დამარცხება შეუძლებელია...

**— დღევანდელი მდგომარეობით, რამდენად შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებამ აჯობა ოპოზიციას?**

— არა მარტო ოპოზიციას, მიხეილ სააკაშვილმა და მისმა კრიმინალურმა გარემოცვამ დაამონა და, როგორც იტყვიან, „დააჩმორა“ მთლიანად ქართული საზოგადოება. ადამიანებს შიში ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი და ეს იგრძნობა ყველგან, ქუჩაში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში და ა.შ. ერთი სიტყვით, **ტერორი, რომელიც „ნაცმოძრაობამ“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე დათესა და მეტასტაზებივით მოსდო მოსახლეობას, თავის ფუნქციას ჯერჯერობით პირნათლად ასრულებს.**

რაც შეეხება კითხვას, შეიძლება თუ არა ითქვას, რომ სააკაშვილმა აჯობა ოპოზიციას, ჩემი აზრით, ეს მიდგომა არ არის მთლად ლოგიკური, იმიტომ, რომ სააკაშვილმა კი არ აჯობა ოპოზიციას, არამედ ოპოზიციაა თვითონ სუსტი და სწორედ ეს არის ხელისუფლების ძალაც. ამიტომ, როცა ვამბობ, მთავარია ერთიანობა-მეთქი, მარტო საზოგადოების ერთიანობას არ ვგულისხმობ, არამედ ვგულისხმობ ოპოზიციის ერთიანობასაც; ოღონდ ამ ერთიანობაში, რა თქმა უნდა, არ მოვიაზრებ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ვითომ საარჩევნო კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ხელისუფლებასთან კონსულტაციებს მართავენ და ამით მიხეილ სააკაშვილს ნებით თუ უნებლიეთ, უხანგრძლივებენ ხელისუფლებაში ყოფნას...



**ოპოზიციაში დღესაც არიან ასეთი ძალები, ცალკეული პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთი მოქმედებებით, ნებით თუ უნებლიეთ, წყალს ხელისუფლების წისქვილზე ასხამენ.**

**— როცა ამბობთ, რომ ოპოზიცია უნდა გახდეს ერთიანი, როგორ ფიქრობთ, თუ ეს მოხდება, რას მივიღებთ შედეგად — ხელისუფლების შეცვლას თუ მხოლოდ ერთ მთლიან ოპოზიციურ სუბიექტს, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ „თავისით“ დაიშლება? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ყველას გვახსოვს, თუ როგორ გაერთიანდა ოპოზიცია 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ და როგორ დაიშალა 2008 წლის 5 იანვრის არჩევნების დასრულებისთანავე...**

— მაშინ გაერთიანების ბოლომდე შენარჩუნება ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ შიგნით, ოპოზიციურ სპექტრში, იყვნენ ძალები, რომლებიც იმთავითვე ეწინააღმდეგებოდნენ ერთიანობის იდეას. არჩევნებამდე ისინი ამის ღიად დაფიქსირებას, მიზეზთა და მიზეზთა გამო თავს არიდებდნენ, მაგრამ დამთავრდა თუ არა არჩევნები, მაშინვე აყვირდნენ, ჩვენი ხედვები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება და უმჯობესია დავიშალოთო... დაკონკრეტება არ მინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, **ოპოზიციაში დღესაც არიან ასეთი ძალები, ცალკეული პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთი მოქმედებებით, ნებით თუ უნებლიეთ, წყალს ხელისუფლების წისქვილზე ასხამენ. ეს ადამიანები პრობლემას ხან საარჩევნო კოდექსის გაუმართაობაში ხედავენ, ხან თავიანთ წარუმატებლობას საზოგადოების პასიურობით ხსნიან, ხან რაღაც რადიკალური ნაბიჯებით იმუქრებიან და ხან კიდევ ხელისუფლებასთან უპირობო დიალოგზე მიდიან.** მოკლედ, მათ თვითონაც არ იციან, რა უნდა აკეთონ და, საერთოდ, რა უნდათ პოლიტიკაში. მაგრამ ერთი რამ ნამდვილად კარგად გამოსდით — მიხეილ სააკაშვილს ხელისუფლებაში ყოფნას მაქსიმალურად უხანგრძლივებენ...

**სანამ ქვეყნის სათავეში მიხეილ სააკაშვილი და მისი კრიმინალური გარემოცვაა, ხელისუფლების შეცვლაზე, არჩევნების გზით, ლაპარაკიც ზედმეტია.**

**— როგორ ფიქრობთ, დღევანდელ საარჩევნო გარემოს პირობებში, რამდენად შესაძლებელია ამის მიღწევა არჩევნების გზით?**

— ამაზე ხშირად მიწევს ხოლმე საუბარი და ყოველთვის ხაზგასმით ვამბობ, რომ პრობლემა საარჩევნო გარემოში კი არ არის, არამედ ხელისუფლებაშია. ამიტომ, რომც შეიცვალოს საარჩევნო კოდექსი, დაიხვეწოს იგი და გაუმჯობესდეს, **სანამ ქვეყნის სათავეში მიხეილ სააკაშვილი და მისი კრიმინალური გარემოცვაა, ხელისუფლების შეცვლაზე, არჩევნების გზით, ლაპარაკიც ზედმეტია.** ეს თეორიულადაც ასეა და პრაქტიკულადაც. ასე რომ, ჩემი აზრით, ერთადერთი გზა, რომლითაც ამის მიღწევა შესაძლებელია, ქუჩის აქციებია, ხოლო ის პოლიტიკური პარტიები, ძალები, რომლებიც ამას არ ეთანხმებიან და ამბობენ, რომ პრობლემების გადაჭრა არ უნდა ხდებოდეს ქვეყანაში, ვიმეორებ, ემსახურებიან მიხეილ სააკაშვილის რაც შეიძლება დიდხანს დარჩენას ხელისუფლებაში.

**— კი მაგრამ, რა სარგებელს ხედავენ ამაში?**

— არ ვიცი, შეიძლება ფულს იღებენ, ან რამე სხვა სახის პოლიტიკურ დივიდენდს... ის კი ნამდვილად ცხადია, რომ ამ ხელისუფლებასთან რამე მოლაპარაკებას და დიალოგს აზრი არ აქვს.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ პირადად თქვენ როგორ წარმოგიდგენია ხელისუფლების შეცვლის პროცესი?**

— უპირველესად, უნდა მოხდეს ეროვნული ძალების, ყველა იმ პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური სუბიექტის კონსოლიდირება, რომელიც მზადაა გადამწყვეტი, უკომპრომისო ბრძოლისთვის. ამავე სუბიექტების მიერ უნდა დაინიშნოს საყოველთაო სახალხო ყრილობა, სადაც თითოეულმა მოქალაქემ საჯაროდ უნდა განაცხადოს, რომ არ სურს ქვეყნის სათავეში „ნაცმოძრაობა“. ამის შემდეგ კი მიხეილ სააკაშვილს უნდა მიეცეს კონკრეტული ვადა (რაც შეიძლება მცირე) იმისთვის, რომ გადადგეს და საერთოდ დატოვოს ეს ქვეყანა...

**— თუ ამას არ იზამს?**

— თუ არ იზამს, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, გვრჩება ერთადერთი გამოსავალი — უნდა მოხდეს უკანონოდ, უზურპაციით მიტაცებული შენობების, თანამდებობების, სკამების ჩამორთმევა ამ ადამიანებისთვის, რევოლუციის გზით. ვიმეორებ, **სამწუხაროა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში ძალადობის დამარცხება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ძალადობით.**

**— და როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი უსისხლოდ ჩაივლის?**

— ჩაივლის თუ არ ჩაივლის, დღეს ჩვენ ვდგავართ ასეთი არჩევანის წინაშე — ან უნდა დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ ეს ქაოსი და განუკითხაობა, ან უნდა შევეგუოთ არსებულ მდგომარეობას. მესამე გზა, სამწუხაროდ, არ არსებობს, ვინაიდან საქმე გვაქვს ავტორიტარულ რეჟიმთან, რომელიც დიალოგითა და მოლაპარაკებებით არანაირ კომპრომისზე წამსვლელი არ არის. ახლა დანარჩენი ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ — ხალხმა... მე პირადად ყველაფრისთვის მზად ვარ და უკან არაფერზე დავიხევ, ოღონდ სააკაშვილი და მისი ბანდიტური ხროვა მოშორდეს ამ ქვეყანას.

**— რატომღაც მეჩვენება, რომ ცოტა არ იყოს მარტივად უყურებთ ამ საკითხს.**

— თეორიულად რთული აქ არც არაფერია. როგორც გითხარით, ორი არჩევანი გვაქვს, ან თვალი უნდა დავხუჭოთ ყველა იმ უსამართლობაზე, რომელსაც სააკაშვილი სჩადის, ან უნდა გავისტუმროთ ეს ხელისუფლება და ერთხელ და საბოლოოდ ნათელი მოვფინოთ მის ბნელ საქმეებს. ჰო, მართლა, **ბნელ საქმეებზე გამახსენდა, ჯერ არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ თბილისის აბსოლუტურად ყველა უბანში მოქმედებს „ნაცმოძრაობის“ სპეციალური შტაბები, ოფისები, სადაც იკრიბებიან უბნელი ბიჭები და კაცმა არ იცის, იქ რას აკეთებენ.**

თითოეულ ოფისში იმავე უბნელი ბიჭებისგან შექმნილია რაღაც არაოფიციალური ამხანაგობები თუ გაერთიანებები, რომელთა საქმიანობაც, როგორც გითხარით, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. **პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ადამიანებს იქ იარაღიც ექნებათ.** ყოველ შემთხვევაში „ნაცმოძრაობა“ რომ ამ გაერთიანებებს კეთილი მიზნებისთვის არ შექმნიდა, ეს ყველასთვის ცხადია, ვინაიდან მიხეილ სააკაშვილმა კარგად იცის, რომ ადრე თუ გვიან, საზოგადოება დაიწყებს გადამწყვეტ ბრძოლას, რომელიც ან ჩვენი დამარცხებით დასრულდება, ან მისი და მისი გარემოცვის გასტუმრებით პოლიტიკურ მოუსავლეთში.

**— თქვენი აზრით, ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში, სააკაშვილი პასუხისგებაში უნდა მიეცეს თუ ბოლომდე ხელშეუხებელი უნდა დარჩეს, როგორც მისი წინამორბედი?**

— არავითარ შემთხვევაში ის არ უნდა დარჩეს დაუსჯელი, იმიტომ, რომ კრიმინალია და ჩადენილი აქვს უამრავი დანაშაული. გარდა ამისა, ეს აუცილებელია იმისთვის, რომ მომდევნო ხელისუფლებამ იცოდეს, რა ბედი ეწევა იმ შემთხვევაში, თუკი „ნაცმოძრაობის“ კვალს გაჰყვება და თავის პირად ახირებებს შესწირავს ქვეყნის მომავალსა და საზოგადოების ინტერესებს.

მთელი საზოგადოების, ქართველი ხალხის გარდა სხვა ვერავინ, ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ვერ შეძლებს ხელისუფლების გადაყენებას და მით უფრო, გასამართლებას. ამიტომ არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, რომ, **თუ საზოგადოება გონს არ მოეგება და ამ ფაშისტების ხროვას ბოლომდე დასცალდება თავისი ჩანაფიქრის განხორციელება, საქართველო, როგორც სახელმწიფო და საერთოდ, ცნება ქართველი, მოისპობა, სამუდამოდ გაქრება!**

**თბილისის აბსოლუტურად ყველა უბანში მოქმედებს „ნაცმოძრაობის“ სპეციალური შტაბები, ოფისები, სადაც უბნელი ბიჭები იკრიბებიან. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ადამიანებს იქ იარაღიც ექნებათ.**

ესაუბრა
**ჯაბა ქვანია**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# შუშის სახელმწიფო

# თანამედროვე ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ქვეყანა.

არა, კი არ იყო, უბრალოდ, არსებობდა, თორემ იმ ყოფნას ყოფნა ნამდვილად არ ერქვა.

ამ ქვეყანას ერთი განსაკუთრებული რამ სჭირდა. სწორედ ეს განასხვავებდა მას სხვა ქვეყნებისგან — ეს ქვეყანა ყველაფერს ჭამდა.

დიახ, სწორად წაიკითხეთ — ჭამდა ყველას და ყველაფერს. შავი ხვრელივით იყო, მზის სხივიც კი ქრებოდა მის სიახლოვეს მოხვედრისას. მისი მცხოვრებნიც, სრულ სიბნელეში გაზრდილნი, ბრმები იყვნენ და ყველასა და ყველაფერს ერთნაირად აღიქვამდნენ. თხუნელებივით იყვნენ — ვერაფერს ხედავდნენ, მხოლოდ შავი ფერი უყვარდათ (მეტს ვერ არჩევდნენ) და თან თავი მოჰქონდათ: ჩვენ მიწათმოქმედი ერი ვართ, აბა, ნახეთ, რა კარგად ვუთხრით მიწას ერთმანეთს ფეხქვეშო.

დროც ისე გადიოდა, თითქოს, ზაზუნასი კი არა, თხუნელას დღე იყო — ყოველდღე ერთი და იგივე ხდებოდა. მიტინგებიც იყო, კონცერტებიც ეწყობოდა, ერთი და იგივე სიმღერები იყო — ყველაფერი ისე ჰგავდა ერთმანეთს, რომ ტელევიზიებიც კი ერთსა და იმავეს აცხადებდნენ ყოველდღიურ საინფორმაციო გადაცემებში.

როცა რომელიმე ამქვეყნელი მზეს ან სინათლეს, ან რამე სხვას დაინახავდა ხოლმე, ცდილობდა, ამის შესახებ თანამემამულეებისთვის არაფერი ეთქვა. რა აზრი ჰქონდა? მაინც არ დაუჯერებდნენ, შემდეგ შეშურდებოდათ და ბოლოს მოკლავდნენ.

განა ეს მათი ბრალი იყო? რა ექნათ, ვერაფერს ხედავდნენ!

არა, მუტანტები არ იყვნენ, უბრალოდ, არ სჭირდებოდათ სიბნელეში თვალები და ამიტომ აღარ იყენებდნენ.

ასე გრძელდებოდა თითქმის საუკუნეების განმავლობაში. მხოლოდ ერთხელ იყო, როცა ამ ქვეყანაში მზის სხივმა შემოაღწია და მისმა მცხოვრებლებმა ერთმანეთი დაინახეს.

ამბობენ, ისე მოეწონათ ერთმანეთი და ყველაფერი, რაც დაინახეს, რომ სიამოვნებისგან მოახლოებული მტერი გამოეპარათ და ქვეყანა ისევ წყვდიადმა მოიცვაო.

იმის მერე ყველა ცდილობდა ამ ქვეყნის განათებას.

ერთხელაც ამ ქვეყანაში გამოჩნდა კაცი, რომელიც ამბობდა, მივხვდი, რაშიცაა ჩვენი უბედურება და, თუ გინდათ, რომ სინათლეზე გაგიყვანოთ, მომყევით და ხმა მომეცითო.

რას ლაპარაკობ, მაგაზე როგორ გაწყენინებთო, — უთხრეს მზებნელებმა (ასე ეძახდნენ ერთმანეთს მოფერებით ამ ქვეყნის მოქალაქეები), რა მნიშვნელობა აქვს, შენ მოგცემთ თუ სხვასო. ჩვენ მაინც სიბნელეში ვართ და, თუ გაანათებ, ხომ კარგი, თუ არა და, რას ვიზამთო.

მისცეს ხმა, გაიმარჯვა არჩევნებში ამ კაცმა და დაიწყო ზრუნვა (იმ ქვეყნის ენაზე, — ჩალიჩი) განათებაზე.

ელექტროენერგიის შეყვანას აზრი რომ არ ჰქონდა, ეგ, დიდი ხანია, იცოდა ყველა მზებნელმა (სხივებს ყლაპავდა ქვეყანა-მეთქი, ხომ გითხარით).

ამიტომ სხვა რაღაც მოიფიქრა. იმ ქვეყნის ყველა შენობა დაანგრია და მის მაგიერ შუშის შენობები აღმართა.

შუშა, მოგეხსენებათ, სხივებს კარგად ატარებს, ამიტომ ცოტათი შეაღწია სხივებმა ქვეყანაში. ბინდის დონეზე მაინც განათდა ქვეყანა. ხალხმა ისევ დაინახა ერთმანეთი, გაიხარეს, გადაეხვივნენ ერთმანეთს. კაცი კი განაგრძობდა შუშის შენობების შენებას.

შუამდე რომ მიიყვანა, მერე უფრო დიდი იდეა დაებადა — გადაწყვიტა, მთელი ქვეყანა შუშის კარკასში ჩაესვა, თანაც ისე, რომ ამ კარკასს საერთო შემაკავშირებელი შუშა ჰქონოდა ყველა შენობასთან, ანუ მთელი ქვეყნის არქიტექტურა უნდა ყოფილიყო ერთი მთლიანი შუშის კონსტრუქცია.

ამ პროექტის განხორციელების შემდეგ ქვეყანას უნდა შეცვლოდა სახელი, უნდა გამხდარიყო სახელმწიფო და არა ქვეყანა, სახელად დარქმეოდა „შუშაბანდია“ (საერთაშორისო ენაზე „Windows“) და ამის მერე სამუშაო შესრულებულად ჩაითვლებოდა.

ეს რომ ხალხმა გაიგო, ქვეყანაში 30-დღიანი (უკვე დღე არსებობდა) ზეიმი დაიწყო. ქეიფ-ქეიფში ააშენეს დიდი შუშის კარკასი და დანარჩენ შენობებთან შეაერთეს.

ციხიდან, რომელიც, ასევე, შუშისა იყო, ხმამაღალი სიმღერა ისმოდა, რომელიც უკვე სულ სხვანაირად ჟღერდა შუშის სახელმწიფოში: „ციხეს რად უნდა რკინის კარები? მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდებიო“, — მღეროდნენ გახარებული პატიმრები და იმედოვნებდნენ, რომ ამ სიმღერას მალე სახელმწიფო ჰიმნის სტატუსი მიენიჭებოდა.

30 დღეს ზეიმობდა ყოფილ მზებნელთა ერი შუქის შემოსვლას მათ სახლებში. განსაკუთრებული ზეიმი და ხალხმრავლობა მაინც ქალების აბანოსთან შეინიშნებოდა, რა თქმა უნდა, ისიც შუშისა იყო. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენდებს ლექციები პირდაპირ სამშობიაროსა და საავადმყოფოს კედლებთან უტარდებოდათ.

ერთი სიტყვით, სრული ბედნიერება სუფევდა შუშის სახელმწიფოში. გენეტიკოსები ისხდნენ შუშის ლაბორატორიაში და ყველას თვალწინ მუშაობდნენ ადამიანის ახალი, გამჭვირვალე სახეობის გამოყვანაზე, რაც სინათლის დანაკარგის მაქსიმალურად შემცირების საშუალებას მისცემდათ.

მაგრამ, როგორც ამბობენ, ეშმაკს არ ეძინა ან იმ სინათლესა და ჟრიამულში რა ეშმაკი დააძინებდა და შედეგმაც არ დაახანა:

ამ ზეიმსა და დროსტარებაში (რომელიც არც სიბნელეში აკლდათ) რომელიღაც შუშის ცათამბჯენის სახურავზე, სადაც ასევე სუფრა იყო გაშლილი, ვიღაცამ დაუდევრად გახსნა შამპანურის ბოთლი.

საცობი აღმატებული ზესწრაფვით აიჭრა ჰაერში, მოქეიფეებს თავზე გადაუფრინა და... შუშის ჭერს შეასკდა.

ზკრტცხნ... — საშინელი ხმაურით გაიბზარა ჭერი და სუფრის წევრები გაოგნებულები მიაჩერდნენ უჩვეულო სანახაობას.

თურმე ნუ იტყვით და, ამ პროექტის ავტორსაც, შემსრულებლებსაც და საერთოდ, ყველა შუშის სახელმწიფოელს ამდენ ზეიმში, როგორც წესი, გამორჩათ ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი — შუშის სიმყიფისა და სხვა თვისებების გათვალისწინება.

ზრიალით გაიზარდა ბზარი შუშაზე და ელვის სისწრაფით გაუყვა მასთან მიერთებულ შენობებს. ერთიმეორის მიყოლებით იმსხვრეოდა ქალაქები, სოფლები, რატუშები, სკოლები, აბანოები, ბორდელები და ა. შ.

გამოფხიზლებაც ვერ მოასწრეს მზებნელებმა, რომ თავიანთი საამაყო შუშის სახელმწიფო თავზე დაემხოთ, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

იდგნენ ნაბახუსევ-ნაგრიალები მზებნელები შუშის ნამსხვრევებში, უყურებდნენ ერთმანეთს და ვერ ხვდებოდნენ, რა დააშავეს ასეთი, რომ ასეთი უიღბლოები იყვნენ და არაფერში უმართლებდათ.

ჭირიც, ლხინიც, ქატოცა და ფქვილიც შუშის სახელმწიფოს მოსახლეობას გავუგზავნე ჰუმანიტარული დახმარების სახით, ამიტომ სხვანაირად დავამთავრებ და გეტყვით:

ელასა-მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსაც და გამგონებელსაც
შუშის კარკასი ყველასა!
დროებით!

**ლექსო ლეკიაშვილი**
**kalmasoba.ge**



## გაჟღერებული



**ნინო ბურჯანაძე,**
**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერი:**

„ქართული პარტიის“ დამფუძნებლებმა შემომთავაზეს, მათი პარტიის თავმჯდომარე და საპრეზიდენტო კანდიდატი ვყოფილიყავი. მათ წინადადებას ვაფასებ, მაგრამ ჩვენ ბევრ საკითხზე განსხვავებული ხედვა გვაქვს. გარდა ამისა, უკვე ვარ ერთი პარტიის თავმჯდომარე და მყავს გუნდი, რომელთანაც იდეური თანხვედრა მაქვს. მათ უარი ვუთხარი კოალიციაზეც. .

*„კვირის პალიტრა“*



**თემურ იაკობაშვილი,**
**აშშ-ში საქართველოს ელჩობის კანდიდატი:**

კიდევ ერთხელ მინდა დაგარწმუნოთ იმაში, რომ თუ ჩვენი მიმართულებით რაიმე წინსვლა იყო, ეს ჩვენი ყველას დამსახურებაა და იმედი მაქვს, რომ ასეთივე თანამშრომლობა გაგრძელდება ჩემს ახალ ინკარნაციაში, თუ პარლამენტი დაამტკიცებს ამას და ყველას გელოდებით ამერიკაში, ოღონდ ყველა ერთად არ ჩამოხვიდეთ.

*„ინტერპრესნიუსი“*



**ზურაბ აბაშიძე,**
**ექსპერტი:**

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას თუ წაიკითხავთ, რეკომენდაციები მხოლოდ რუსეთის მიმართ არ გამოთქმულა. რამდენიმე ფრიად საყურადღებო რჩევა საქართველოს მიმართაც არის და ვფიქრობ, ამაზე ყურადღება უნდა გავამახვილოთ — მხედველობაში მაქვს პუნქტები, სადაც ლაპარაკია დემოკრატიის განვითარებასა და სხვა საკითხებზე.

*„კვირის პალიტრა“*



**შალვა ხაჭაპურიძე,**
**პარტია „ჩვენი საქართველოს“ თავმჯდომარე, ადვოკატი:**

ყველა თანხმდება ერთ რაღაცაში — რომ სააკაშვილმა ამოწურა თავისი რესურსი. ზოგი პარტია, მათ შორის ჩემი პარტიაცა და „სახალხო კრებაში“ გაერთიანებული პარტიები მიიჩნევენ, რომ სააკაშვილი დამნაშავეა. მან ულალატა პრეზიდენტობის პრინციპს, ქვეყნის მართვის პრინციპს. ამიტომ ჩვენ მივიჩნევთ, რომ მასთან მოლაპარაკება არ შეიძლება.

*„ახალი თაობა“*



**გუბაზ სანიკიძე,**
**„ეროვნული ფორუმის“ ლიდერი:**

25-ში რაღაც თუ გამოვიდა, მერე ამ ქვეყანაში ხანგრძლივად აღარაფერი შეიცვლება. რაღაც რომ ჩაფლავდეს, ჩავარდეს და არ გამოვიდეს, ამ პასუხისმგებლობას ფორუმი თავის თავზე ვერ აიღებს. ამიტომ ეს 25 ნოემბერი უნდა გამოვიდეს. შევხედოთ, მეც გულწრფელად მაინტერესებს, რა განწყობაა ქართველ ხალხში. იყო შეკვეთა ერთობაზე? აჰა, ერთობა — დაკვეთა შესრულებულია.

*„ვერსია“*



**ლევან ვეფხვაძე,**
**„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი:**

რეფორმა შედეგისთვის ხორციელდება და ის შეიძლება, როგორც წარმატებული, ისე წარუმატებელი იყოს. განათლების სისტემაში სამი, ჯანდაცვაში კი „ენ“ რაოდენობის რეფორმა გატარდა, თუმცა მათ პოზიტიური ცვლილებები არ მოჰყოლია, რადგან თავად შედეგი წინასწარ არ იყო გათვლილი.

*„პირველი“*



**ლადო ვარძელაშვილი,**
**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი:**

ვაპირებთ უმაღლეს სასწავლებლებში მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ხელშეწყობას, მათ გაძლიერებას. მომავალი წლიდან ჩვენ მხიარულთა და საზრიანთა ეროვნული ფედერაციის დაფინანსებას და საქართველოს მასშტაბით თამაშების ჩატარებას ვგეგმავთ.

*„პირველი“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## გაფორმაზებულნი



**ნონა გაფრინდაშვილი,**
**„სახალხო კრების“ საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი:**

ხალხის უფლებაა, ებრძოლოს მართვის იმ სტილს, რომელიც აგებულია სიცრუესა და ძალადობაზე და რომელიც ანგრევს ჩვენს ერს სულიერად და ფიზიკურად. ქვეყნიდან ქართველების გადინების უწყვეტი პროცესი მიმდინარეობს, პარალელურად უცხო ტომების ჩამოსახლებას გეგმავენ. იყიდება ყველაფერი და უცხო ტომ-გვარის წარმომადგენელთა ხელში ხვდება. მალე ამ ქვეყანაში ყველაზე უუფლებო ქართველი იქნება.

*„ყველა სიახლე“*



**რამაზ იოსელიანი,**
**მსახიობი:**

წარმოიდგინეთ, ერთი თვე ბიძინა ივანიშვილმა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს ხელფასი რომ არ მისცეს, აი, მაშინ იქნება ნამდვილად რევოლუცია. მე, მაგალითად, 480 ლარს ვიღებ ხელფასს ბიძინა ივანიშვილისგან, მართალია, ეს ფული მთლიანად ბინის ქირაში მიდის, მაგრამ არ დავეძებ, ქუჩაში მაინც არ ვარ. ზოგიერთს 2 ათასი, 3 ათასი აქვთ ხელფასი. წარმოიდგინეთ, ამ კაცმა ერთ მშვენიერ დღეს ჩაალაგოს ჩემოდნები და წავიდეს აქედან, თქვას, — წადით, თქვენი დედაც ვატირეო. რა ეშველება ამდენ ხალხს?

*„კვირის ქრონიკა“*



**ნანა დევდარიანი,**
**ყოფილი ომბუდსმენი:**

შანსი ყველას აქვს. გააჩნია, ვინ როგორ გამოიყენებს! მაგალითად, შევარდნაძემ ეს შანსი გამოიყენა! შევარდნაძეს კონსტიტუციურადაც კი ევალებოდა ხელისუფლების დაცვა, მაგრამ მან აწონ-დაწონა ყველაფერი, მიხვდა, რომ არ ღირდა, სკამისთვის სისხლი დაეღვარა და წავიდა! ამიტომ დღეს შევარდნაძის მიმართ ხალხს აგრესია თითქმის აღარ აქვს!

ამდენად, სააკაშვილს აქვს უნიკალური შანსი, გადადგეს და დადებითად შევიდეს საქართველოს ისტორიაში!

*„ასავალ-დასავალი“*



**ვანო მერაბიშვილი,**
**შსს მინისტრი:**

მინდა გითხრათ, რომ მინისტრებს დღეს დასაწუწუნებელი არ აქვთ, იმიტომ, რომ 80 პროცენტის შემთხვევაში მინისტრს არავითარი ხარჯები არა აქვს სახლში... რაც უწევს მას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, უცხოეთში წასვლა, რესტორანში ყოფნა, მოგზაურობა, გადაადგილება, მობილურით საუბარი... ასე რომ, დასაწუწუნებელი არაფერი არ არის. მე ჩემი ხელფასის დიდ ნაწილს ვინახავ...

*ტელეკომპანია „იმედი“*



**ზვიად ძიძიგური,**
**კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარე:**

ხელისუფლებას ყველა ფრონტზე ტოტალური ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. ოპოზიციის მიერ სასამართლო დარბაზების მიტოვება იმ მოტივით, რომ ის ხელისუფლების ნების აღმსრულებელია, არასწორი გადაწყვეტილებაა. ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა საბჭოთა სასამართლოს პირობებშიც იბრძოდნენ და დიდ დისკომფორტსაც უქმნიდნენ იმ რეჟიმს. ჩვენს ხელთ არსებული პოლიტიკური არსენალის არც ერთ იარაღზე უარი არ უნდა ვთქვათ — ქუჩის აქციები იქნება, დიალოგი თუ სხვა...

*„ყველა სიახლე“*



**ელიზბარ ჯაველიძე,**
**აკადემიკოსი:**

უცხოური სესხებით გზებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობა არის ქვეყნის დაკაბალებისა და ფულის გათეთრების საუკეთესო საშუალება! ეს არის მსოფლიოში აპრობირებული კორუფციული სქემა, რომლითაც განვითარებად ქვეყნებს ვალებში ახრჩობენ! სააკაშვილი რომ საერთაშორისო გლობალისტური ძალების ყურმოჭრილი მონაა, ამას საქართველოში დიდი მტკიცება უკვე აღარ სჭირდება!

*„ასავალ-დასავალი“*

# «მიშა ჯადოქარი» ანუ მრავალსახეობა სააკაშვილისა ჟურნალის «The National Interest» მიხედვით

**— ვაო! — შესძახა რამდენიმე დღით თბილისში ხელახლა ჩამოსულმა და „ცხოვრების ახალი რეალობით განსაკუთრებული ძალით შეძრულმა“ კარნეგის ფონდის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების ექსპერტმა თომას დე ვაალმა. ჯერ შუბლზე ხელი შემოირტყა, შემდეგ კეფა მოიფხანა და ხელები გაშალა: „ზღაპარია თუ ნამდვილი?!“**



„ორი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც 2008 წლის ომში დამარცხდა (დამარცხდაო, მიხეილ!). მაშინ მისი თანამდებობიდან წასვლამდე ყველა დღეებს ითვლიდა. ახლა კი ძველებურად საქართველოს უდავო ლიდერია. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიხედვით, ვერავინ გაუტოლდება სააკაშვილის პოპულარობას(!), ხოლო ოპოზიციის ლიდერები (თვითმარქვია?) მან უკან, მტვერში, მოიტოვა“.

მიკვირს და გამკვირვებიაო განწირულობის ფერფლიდან სააკაშვილის ფენიქსებრი აღდგენა.

რა უკვირს ამ მიშას ცოდვით სავსეს?

ყველა დარწმუნებული იყო — ან დღეს წავა, ან ხვალეო. წავა და წყალსაც წაუღიაო. ისე შევეჩვიეთ ასეთი პერსპექტივის გარდუვალობას, რომ აღარც გვაინტერესებდა — სად იყო და იყო თუ არა საერთოდ. დაგვავიწყდა: ვეღარ ვამჩნევდით ჩვენს თვალში ჩავარდნილ ამ დირეს.

დავიწყებითაა გადარჩენილი ეს ფენიქსი.

გამოკითხვით რომ პირველიაო? თანაც — უდავო?

რეიტინგის პრობლემა, ბატონო თომას დე ვაალ, ბიბლიური ითხოვდე და მოგეცემას ნაცბოლური ვარიანტითაა ჩვენთან დამკვიდრებული: იყიდე და მოგეცემაო!

„მტვერში მოტოვებული“ ოპოზიცია?

**„უდავოდ პირველმა“ პიარის ისეთი ბუქი დააყენა, ტყუილის ისეთი ბუღი და სამუმი დაატრიალა, რომ ჩვენი, ისედაც გაცრეცილი, ოპოზიცია კი არა, შიშველი მეფის გარდა, დე ვაალის მიერ „ყველაზე იმედისმომცემ პოლიტიკოსად“ მიჩნეული ირაკლი ალასანიაც კი არ ჩანდა ჩვენს ნაციონალურ ცისფერ სივრცეში, ანუ მასმედიის პრივატიზებულ ტელეეკრანებზე.**

ტელევიზია — საზოგადოებრივი მარაზმის შიდსი და ტვინების გრიპი!

ასე პირში თქმა და უკანდასახევი ყველა ხიდის აფეთქება გვღუპავს ქართველებს — ხასიათის ნაციონალური თავისებურება გვჭირს ასეთი.

გულის მოოხება! თუმცა კარგად გვესმის, რომ უძილობის ძილით მკურნალობას ჰგავს ამგვარად თავის გამოდება.

აი, ბატონმა თომას დე ვაალმა კი სააკაშვილის პირად წარმატებაზე საუბრისას ისეთი ეზოპური ორაზროვნება ჩაახვევია, რომ შენი მოწონებული, ამხანაგო ნაცო და მოძრაობავ:

**„ყველა სხვა პოლიტიკოსზე მეტად სააკაშვილს ვუწოდებდი ჯადოქარს (!), ისეთს, რომელსაც შეუძლია ყველასთვის იყოს ყველაფერი. ის ხან ათათურქია (სახელმწიფოს აღმშენებელი), ხან ჯორჯ ბუში (ნეოკონი), ხან ზვიად გამსახურდია (ნაციონალისტი) და ხან ვლადიმერ პუტინი (უმოწყალო ცენტრალიზატორი). იგი ბილ კლინტონსაც მაგონებს — ბუნებრივ კომუნიკატორს და ბორის ელცინსაც, რომელიც ისე აწესრიგებდა პოლიტიკურ წრეებს, როგორც სხვა ვერასდროს ახერხებდა“.**

ხომ აქებს ამდენი ღირსებით შემკულ პიროვნებას?

აქებს.

მაგრამ, ამავე დროს, მიწაში დებს, ისე დასცინის: **სხვათა მრავალმხრივობაში თავად ეს პიროვნება არ ჩანს. ყველა და ყველაფერია, მაგრამ არა საკუთარი თავი. ადამიანი აპლიკაცია, რომელიც ჩამოთვლილ სიკეთეებთან ერთად „ახერხებს... იყოს სენატორ ჯონ მაკკეინისა და ბელარუსი ლიდერის, ალექსანდრე ლუკაშენკოს მეგობარი“.**

თვითონ სად ვეძებოთ ეს ლიდერთა კონგლომერატი და ზურაბ წერეთლის მოზაიკური პანო პლეხანოვზე, რომელსაც „სეროჟას სიზმარი“ შეარქვეს თბილისელმა ენაკვიმატებმა?!

ასეთი ხოტბის შესხმას ერთი დაშხოშიანი ალიყური სჯობია, სინდისს გეფიცებით. მაგრამ უშველის ვითომ ეს საქმეს?

თანაც, როცა მეორე ლოყის მიმშვერი არავინაა!

აქ მთავრდება დე ვაალის ფლირტი და რევერანსი და იგი უბოდიშოდ იწყებს ლაპარაკს, ანუ საგნებსა და მოვლენებს თავ-თავიანთ სახელებს არქმევს.

შეუთავსებლის შეთავსების მცდელობაა, მისი შეფასებით, სააკაშვილის ალქიმიური პოლიტიკის თავი და თავი მიზეზი. **„ეს ის კაცია,** — წერს ავტორი, — **ვინც ამაყობს მსოფლიო ბანკის რეიტინგში („ბიზნესის იოლად წარმართვა“) მისი ვარსკვლავური შედეგების გამო, მაგრამ ამავე დროს ხელმძღვანელობს ეკონომიკას(!), რომელშიც მონოპოლიებს მტკიცედ აქვს გადგმული ფესვი“.**

გახსნა კარტები დე ვაალმა და მიგვიპატიჟა ულრან ტყეში, სადაც, რუსული ანდაზისა არ იყოს, რაც უფრო ღრმად შედიხარ, უფრო მეტი შეშაა. ფიჩხიც თავზესაყრელადაა, ცეცხლს თუ წაუკიდებ, უკეთ გამოჩნდება ჩვენი პრობლემები.

მაგრამ შეიძლება თავის დაღწევა გაგვიჭირდეს, თუ ნაპერწკლიდან ალი ავარდება.

გავყვეთ მაინც, რადგან იმაზე უარესი რაღა უნდა დაგვემართოს, რა ცეცხლშიც ვიწვით ამ ხელისუფლების გულმხურვალების რკალში მოქცეული საქართველოს მოქალაქენი.

მე არ მითქვამს, დე ვაალი ამბობს: წაიკითხეთ და მიაქციეთ ყურადღება ამ უცხოელის მიერ აქცენტირებულ კონტრასტებს.

უკომენტაროდ:

**„ეს ის კაცია, რომელიც ლაპარაკობს „სინგაპურის ელემენტების მქონე შვეიცარიის“ აშენებაზე... მაგრამ ამავე დროს ცდილობს, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას მიაღწიოს“.**

**„ერთი და იგივე ლიდერი ნაციონალურ ღირებულებებზე და ქართული კულტურის დაცვაზე ლაპარაკობს და, ამავე დროს, არის ავტორი (ავტორიაო, მიხეილ!) ახალი ბრჭყვიალა შუშის ხიდისა, რომელიც უფრო ჯორჯიას ატლანტას მოუხდებოდა და რომელმაც დაასახიჩრა (SIC!) თბილისის ძველი უბანი“.**

**„ყველა პოლიტიკურ კამათში, იქნება ეს ეკონომიკა, აფხაზეთი თუ სამხრეთ ოსეთი, ურთიერთობა ევროკავშირთან თუ სოციალური საკითხები, ის დისკუსიის ორივე მხარეზე ყოფნას ახერხებს“.**

იმიტომაც კარგად მიდის ჩვენი საქმე!

გრძნობს და ხედავს ამას ანალიტიკოსი და ჟურნალისტი დე ვაალი და ასკვნის, რომ ბოლოს და ბოლოს ეს ყველაფერი უნდა დასრულდესო.

მაგრამ: **„საქართველომ დღემდე არ იცის, როგორ მოახერხოს ეს“.**

იქნებ, 25 ნოემბერი, დღე ხვალინდელი, წარმოგვიდგება „მომენტად ჭეშმარიტების“?

**„ქართველებს უყვართ იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველოს პირველი ორი პრეზიდენტიდან არც ერთს თანამდებობა არჩევნების მეშვეობით არ დაუტოვებია,** — დასასრულისკენ მიდის ბატონი თომასი, — **ზვიად გამსახურდია ძალის გამოყენებით დაამხეს, ედუარდ შევარდნაძე — მშვიდობიანი „ვარდების რევოლუციით“. სააკაშვილის ყველაზე საუკეთესო მემკვიდრეობა ის იქნებოდა, თანამდებობა მშვიდობიანად დაეთმო და კონსტიტუციურად გადაეცა ვინმესთვის, ვინც თვითონ ის არ არის“.**

შესანიშნავადაა თქმული: **„ვინც თვითონ ის არ არის“.**

მაგრამ ვინ არის იგი და არის კი საერთოდ, გაცხადდება ვითომ 25 ნოემბერს, ანუ ხვალ?

რა მოგახსენოთ!

არც თომას დე ვაალი ამბობს რამეს, თუმცა შენიშნავს, რომ უკვე საჭირო ხდება განსხვავებული ხელმძღვანელობა, **„შედარებით ნაკლები უზარმაზარი დაპირებებით და ისეთი შეულამაზებელი რეალიზმით, რაშიც ჯადოქარი მიშა ძლიერი ვერ არის“.**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. „მაშ ასე, ჩვენ ვიწყებთ!“ — ამთავრებს პროლოგს შეყვარებული კანიო და აიხდება ფარდა.**

**„ჯამბაზების“?**

**ალაჰმა უწყის!**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მოვარდნილი სიმღერის მეფე



**წარმოუდგენელი ტკივილია თანატოლის, სამეგობროს სიამაყის, გამორჩეულთა შორის მრავალმხრივ გამორჩეულის და უდიდესი პიროვნების გარდაცვალების გათავისება, არადა, უკვე ერთი წელი გასულა... ლამაზ სიმღერასავით ჩათავდა გურამ თამაზაშვილის ცხოვრება, ჩათავდა და არ გათავდა, რადგან აქ არაფერი მთავრდება, აქ ყველაფერი იწყება მხოლოდ.**

ახლა იმაზე ვფიქრობ, შენი დონის კაცი, შენი მეგობარი რომ წასულიყო, თვითონ როგორ გამოხატავდი წუხილს და ტკივილს. მინდა, ცოტა შენ დაგემსგავსო, ისე გითხრა, როგორც შენ შეგეძლო, როგორც შენ შეგეფერება, როგორც გაგიხარდებოდა, მაგრამ სხვათა დანახვისა და აღიარების დიდოსტატს, ნაცნობ-უცნობის დღესასწაულების მომწყობს, როგორ გინდა, გაეჯიბრო, ალბათ, ვერ შევძლებ!.. გამიჭირდება იმის თქმაც, თუ რას განვიცდი, მაგრამ, რადგანაც შენ თვითონ იმ ადამიანთა რიცხვში მთვლიდი, რომელთაც იმთავითვე ჭეშმარიტად სჯეროდა შენი ნიჭის წარმატებისა, ჩემი ამოცანა გაადვილებულია. რამდენადაც დასანანია შენი ხორციელად წასვლა, იმდენად ნუგეშის მომცემია ფიქრი იმაზე, რომ შენისთანა ადამიანები ქვეყანას არასოდეს უკვდება. ახალი სიმღერა დაიწყო უფლის სასუფეველში...

ღირსეული ადამიანის სიკვდილი მახსოვრობაში მხოლოდ კეთილ მოგონებებს გვიტოვებს და შეუძლებელია გადმოსცე ის სიხარული, რომელიც გურამის გახსენებას შემოაქვს თითოეული ჩვენგანის გულში... ვის გაიხსენებ მასზე ალალს, ასე მიამიტს, მუსიკის, სიმღერის შინაგანი წვდომის შეუდარებელ ოსტატს.

გურამმა სიცოცხლე სიმღერასა და სტუმარმასპინძლობას ანაცვალა.

მისი სახელი განსაკუთრებით ძვირფასია მათთვის, ვისაც აქვს უნარი, ჭეშმარიტი ტალანტი, ღვთით კურთხეული ნიჭი-ნაკეთები, შეკოწიწებული ნიჭისაგან განასხვავოს.

გურამი პოეტურად აზროვნებდა სიმღერაში. აზროვნების ცენტრი სიტყვიდან ბგერაზე იყო გადატანილი. მისი ბგერით ვხვდებოდი, რა ღრმა იყო იგი, როგორც მომღერალი-გურამი ამდიდრებდა მსმენელს თავისი ბგერის სიღრმით, ავსებდა დაცარიელებულ სულს შინაარსით!...

ქართული ხალხური სიმღერა მარადიული სვლაა ღმერთისკენო, — ასე სწამდა მას და ამბობდა, თუ ადამიანის დაბადებას მარტო ერთი აზრი და მიზანი აქვს, მაშინ ჩემი ცხოვრების აზრი ქართული სიმღერა ყოფილა... ამიტომაც მის სიმღერაში ქართველის სული იხატებოდა.

ცოტა რამ თუ გამოხატავს ქართულ სულიერებას ისე, როგორც ქართული სიმღერა და ცეკვა. მას ორივე კარგად გამოსდიოდა.

მაოცებდა მისი გამჭრიახობა, როცა რომელიმე ანსამბლს ან მომღერალს ახასიათებდა. როგორ ზუსტად ხატავდა მის ხასიათს შესრულების მანერის, ბგერის მიხედვით...

ყოველ ნამდვილ შემოქმედს აქვს განუმეორებლობის თვისება. გურამის შემთხვევაშიც ასე იყო, განუმეორებელი იყო მუსიკალურობა, ხმის ტემბრი და შესრულების მანერა. სიმღერაში მიმალული მისი ცხოვრება ზღაპარს ჰგავდა. **„ქართული სიმღერა მთელი ჩემი სიცოცხლეა და, მისი მატერიალიზება რომ შესაძლებელი იყოს, მას ჩემი გულის ფორმა ექნებოდაო; გულისა, რომელზე გავლითაც არაერთი ქართული მელოდია გავატარეო“.**

**„დიდი ტალანტის წინაშე ქედს ვიხრი, დიდი გულის წინაშე შემიძლია დავიჩოქო“,** — გოეთეს ეს სიტყვები შენ მართლაც დაიმსახურე, ეს სიტყვები გამოხატავენ ყველაზე დიდ აღიარებას, რაც კი ადამიანმა შეიძლება დაიმსახუროს. ეს ადამიანის არსებობის გამართლებაა. ასე განვლილი ხანმოკლე ცხოვრებაც ბევრად უფრო ლამაზია და სიკეთის კვალის დამჩნევი, ვიდრე ხანგრძლივი, თუნდაც დაუსრულებელი სიცოცხლე, უფრო სწორად, ფიზიკური არსებობა ზოგიერთისა.

გურამის საოცარი გულიდან იწყებოდა მისი სიცოცხლის ტრაგედიაც. იგი ყველასგან ასევე კეთილ გულს მოითხოვდა და, ალბათ, აქ ცდებოდა ყველაზე მეტად.

გურამი რწმენის ადამიანად დაიბადა, მისი რწმენა კეთილშობილება იყო, რაინდული კეთილშობილება. ბევრი კარგი თვისების ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ მას კიდევ ერთი ყველაზე მთავარი, თანდაყოლილი ღირსება ჰქონდა, რომელიც ყველა დანარჩენს გადასწონიდა და გვირგვინს ადგამდა, ეს იყო კაცობა და მამულიშვილობა!

იცლიდა ყველასთვის, ვერ იცლიდა მხოლოდ საკუთარი თავისა და საკუთარი საქმისთვის. იყო ულმობელი საკუთარი თავის მიმართ, ქუდბედიანი და ბედისწერისგან ატანილი ერთდროულად. ის ყველაფერს გასცემდა, რაც ებადა: სიტყვას, სიყვარულს, რჩევას, საკუთარ გამოცდილებას, საჩუქრებს, ხშირად ფულსაც, მაშინაც კი, როცა მატერიალურად სხვაზე უკეთ არასდროს უცხოვრია. არასოდეს არაფერი უნანია, გულუხვი, უშურველი იყო.

ვერ ვასწრებ ამქვეყნად სიცოცხლეს, ვერ ვასწრებთ ერთმანეთის სიყვარულს. ცოტა დრო მომცა ღმერთმა სიცოცხლისთვის და დიდი ხანი კი დამჭირდა მის შესაცნობად. ალბათ, იმქვეყნად მხოლოდ ერთი სინანული გაჰყვა, რომ ვიღაცას მისებურად ვერ მოეფერა და ვერ მოესიყვარულა. თუმცა იმასაც ამბობენ, გულნატკენი და მოუფერებელი არავინ დაუტოვებიაო.

**„ცოტას ჩემთვის
მოვიხერხებ,
მეტს კი სხვისთვის
გადავდებ“.**

რა დიდებულად მიესადაგა, ჩვენი მეგობრის, მასზე ცოტა ხნით ადრე გარდაცვლილი პოეტისა და პუბლიცისტის, ნუგზარ ჯაფარიძის, ეს სტროფი მისი ცხოვრების სტილს. როგორ ულამაზებდი დღეებს შენს დიდ სამეგობროს, როგორ გვავსებდი სიცოცხლისა და სიყვარულის სურვილით, გზადაგზა ფანტავდი მარცვალ-მარცვალ ასხმულ იმედებს.

ეს შენი მადლი და შენი მისია იყო ცხოვრებაში.

ასე იზარდა, ასე იცოცხლა, იარა და გადავიდა შეუცნობელში, — ასე უყვარდა თქმა.

**„მეგობრობაში ადამიანისთვის მიუწვდომელი მშვენიერებაა დამალულიო“,** — უთქვამს ბრძენ კაცს. ეს მიუწვდომელი მშვენიერება კი ჩემი და შენი მეგობრობაა, რომელიც 35 წელს ითვლის. ჭეშმარიტი მეგობრობა ხომ ახალგაზრდობიდან იწყება, მეგობრობის განცდასაც ხომ თავისებური ნიჭი სჭირდება, რომლითაც ღმერთი მხოლოდ რჩეულებს აჯილდოებს. ჭეშმარიტ მეგობრობას ვერც დრო, ვერც ცხოვრებისეული პრობლემები თრგუნავს და ვერც სიკვდილი აშორებს!

ჩემსა და შენს მეგობრობას არასოდეს ბზარი არ გასჩენია, საყვედურიც კი არ გვითქვამს ერთმანეთისთვის, თუმცა ერთი შემთხვევა მახსენდება, როცა შენ 50 წელი შეგისრულდა, ვფიქრობდით, ეს თარიღი ღირსეულად აღგვენიშნა, მაგრამ შენ სასტიკი და შეუვალი უარი თქვი. შემდეგ 5 წელი გამზადებდი იმისთვის, რომ 55 წელი გვეზეიმა, მაინც არაფერი გამოვიდა, ვერ დაგიყოლიეთ. მე ჯერ არაფერი გამიკეთებია ისეთი, რომ ჩემი იუბილე გადავიხადოოო. მეტი რა უნდა გაგეკეთებინა, შენ ხომ მთელი მსოფლიოს გული მოინადირე „ქართულ ხმებთან“ ერთად. მოინადირე ისე, რომ ერთმა ხულოელმა გლეხმა, შენი სიმღერის მოსმენის შემდეგ, მოვარდნილი სიმღერის მეფე გიწოდა. ყური არ გათხოვე, ისე დავიწყეთ მე და შენმა მეგობარმა, მარადი ანასაშვილმა, შენდამი მიძღვნილი წიგნისთვის მასალების შეგროვება, როცა ჯერი შენზე მიდგა და მარადის შენი მოგონებები უნდა ჩაეწერა, საავადმყოფოში მოგაკითხეთ, შენ კი შენთვის ჩვეული იუმორით გვითხარი: **„ვკვდები ხომ და გინდათ, მოასწროთ ჩემი გახარება, თქვენს ჯინზე კარგად გავხვდები და ჩემს მემუარებს მე თვითონ დავწერო“.** შემდეგ მოიწყინე და გვითხარი: **„ეჰ, სულიერ საუფლოში მალე გადავალო“.** ვაი, რომ მართალი აღმოჩნდი.

არაორდინალურსა და ბოჰემური ბუნების კაცს ყოველთვის უჭირს და, რა თქმა უნდა, დალხენილად არც გურამი ცხოვრობდა, **„სადაც მიწა მყარს მივენდე, სულ ფეხქვეშ გამომეცალაო“,** — ბოლოს ესეც ათქმევინა ღმერთმა.

უფლის ნებაა ისიც, რაც ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვების გასაოცარ ქმნილებებშია ჩადებული. ჭეშმარიტად ბედნიერებაა, რომ, როგორც ქართველი ამ სიმდიდრის, საოცრების პატრონი ხარ, ხომ ორგზის ბედნიერია ის ქართველი, ვინც მისი უდიდებულესობის — ქართული სიმღერის ერთგულ სამსახურში იხარჯება და დაიხარჯა — მღერის, ცეკვავს, აღადგენს, რანდავს, მსოფლიოს აცნობს, ატკბობს, მომავალ თაობებს უნახავს საუკუნეთა სიღრმიდან გამოტარებულ ქართველთა სულის კონსტიტუციის, ქართული გენის, საკრალურ და ხელთუქმნელ ძეგლს — ეროვნულ ხალხურ მრავალხმიან სიმღერას. ამით შენ ნამდვილად ბედნიერი წახვედი ამ ქვეყნიდან.

**„როცა ქართულ სიმღერას ვისმენ, ჩემი სუნთქვა მესმის, როდესაც ქართულ ცეკვას ვუყურებ, საკუთარ თავს ვხედავ და როდესაც ამას მე თვითონ ვაკეთებ, ვმღერი და ვცეკვავ, არასოდეს მტოვებს განცდა აღმოჩენისა, რომ საქართველო არავის ეკუთვნის და არც შეიძლება ის, გარდა ზეცისა და კოსმოსისა, ვინმეს ეკუთვნოდეს. ეს რიტმია, ჰარმონიაა, იდუმალებაა, თითქოს მისტიურობაა, სიხარულია, მწუხარებაა, იმედია, ფიქრია, ენერგიაა. ეს მარტო აღფრთოვანება არ არის, არც მარტო სიამოვნება და აღმაფრენა, ეს ჩემი ჯიში, ჩემი სისხლია; ჩემი ჯიშის, ჩემი სისხლის ძახილია“,** — ამბობდა გურამი.

კი არ მოკვდა, გარდაიცვალაო, — ვამბობთ ჩვენ, ქართველები; ესე იგი სიცოცხლემ იცვალა სახე, როგორც ხორბლის მარცვალმა, მიწაში ჩაფლულმა და დამარხულმა... მჯერა, სიკვდილის შემდეგ იწყება მთავარი სიცოცხლე, მჯერა, გურამ თამაზაშვილის სახელი ყოველი ქართველის გულში დარჩება, რადგან მან შეძლო და თავისი სულიერი მოწოდების სიმაღლეზე შედგა ფეხი, მაშინ, როცა მატერიალური მისთვის არაფერს ნიშნავდა მღვრიე წუთისოფელში. გურამი მაღალი ღირსების გრძნობით, მთელი შეგნებით შეეგება სიკვდილს. მაყურებელს ახსოვს მისი ღიმილით გაბადრული სახე, ასეთი სახით წავიდა გურამი, ღირსეულად შეეგება სიკვდილს, ისე, როგორ ღირსეულადაც სცენაზე იდგა...

მზია ხეთაგურის ერთი სტროფი მახსენდება უნებლიეთ:

**„ნუ აარიდებ თავს
ბედისწერას,
როცა სიცოცხლის
დღეებს გითვლიან,
თუ ფეხის შედგმა
შეჰბედე მწვერვალს,
მაშინ სიკვდილიც
დროებითია“.**

მარადიული ნათელი დაგადგეს, გურამ!

**მარინა ხანთაძე**

## მოკლედ

### ბიუჯეტის შევსების ახალი გზა

**პარტიის „ჩვენ თვითონ“ ინფორმაციით, „ხელისუფლებამ ბიუჯეტის შევსების ახალ ფორმას მიაგნო და საგადასახადო სამსახურებმა მორიგ სამიზნედ ეგრეთ წოდებული რეპეტიტორები ამოიღეს“.** თუ აქამდე უპრობლემოდ გაუზიარებდი საკუთარ ცოდნას მეგობრის ან მეზობლის ბავშვს, ახლა ამისთვის ფული სახელმწიფოს უნდა უხადო. პარტიაში აცხადებენ, რომ დღის წესრიგში პედაგოგების ინდმეწარმეებად დარეგისტრირებისა და მათთვის საშემოსავლო გადასახადის დაკისრების საკითხი დგას. „პედაგოგებს, რომელთაც აქამდე მცირე ხელფასის გამო ოჯახების სარჩენად დამატებითი შემოსავლის წყაროზე ფიქრი უწევდათ, ახლა კიდევ ერთი პრობლემა შეექმნათ: მათ საკუთარი, ისედაც მცირე შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტს უნდა გაუყონ“, — ნათქვამია განცხადებაში.

### ავღანელ ჯარისკაცებს ქართველები გაწვრთნიან

**საქართველომ ალიანსს ავღანელი სამხედროების გასაწვრთნელად ავღანეთში 20 ინსტრუქტორის გაგზავნა შესთავაზა.** ეს განცხადება პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ლისაბონის სამიტის ფარგლებში ISAF-ის პროგრამაში ჩართული ქვეყნების ლიდერების შეხვედრაზე გააკეთა. სააკაშვილმა კოლეგებს ავღანეთში მიმდინარე ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და აღნიშნა, რომ საქართველო ავღანეთში სამხედრო კონტინგენტის რაოდენობას კიდევ გაზრდის. „ეს ახლა ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანი წამოწყებაა, რომელიც გულისხმობს ავღანეთში შეიარაღებული ძალების გადამზადებას, ავღანური არმიის გაწვრთნას“, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ.

### შაშკინი გაურკვევლობების ლაბირინთში

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა მაგიდაზე მუშტი დააბრახუნა და წამოიყვირა: „არ მჭირდება გაურკვეველი არასამთავრობო ორგანიზაციები შუამავლებად, რათა კონტაქტი დავამყარო მოსწავლეებთან“.** არ დაუკონკრეტებია, რომელ ორგანიზაციაში ვერ გაერკვა, მაგრამ გარკვევით ის იცის, რომ ყოველდღე დადის თბილისის საჯარო სკოლებში და ეცნობა მე-12 კლასელების პრობლემებს. პრობლემებს, გაცნობის შემდეგ, რას უხერხებს, არც ამის ახსნით შეუწუხებია თავი, სამაგიეროდ პოლიტპარტიებს გადასწვდა და „შეახსენა“, რომ „სკოლა არის აპოლიტიკური დაწესებულება“ და თქვენი მიზნებისთვის ნუ იყენებთო. შაშკინს სულ დაავიწყდა, რომ მე-12 კლასელებს, შეიძლება საკუთარი აზრიც ჰქონდეთ.

### პარლამენტარებს ხვევნა-კოცნა აუკრძალეს

**საქართველოს პარლამენტში საბჭოურ გადმონაშთებს ცეცხლითა და მახვილით ებრძვიან. პირველმა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა, დეპუტატები „ბრეჟნევის დროინდელი ხვევნა-კოცნისთვის“ გააკრიტიკა.** ბიუჯეტის პროექტის განხილვისას, როდესაც სხდომას სწორედ მაჭავარიანი უძღვებოდა, „ხვევნა-კოცნისთვის“ სასტიკი საყვედური გამოეცხადათ დეპუტატებს აკაკი მინაშვილსა და ნუგზარ წიკლაურს. ბრეჟნევისეული ხვევნა-კოცნის რიტუალი პარლამენტში მაშინ გაცოცხლდა, როდესაც ეს ორი მონატრებული დეპუტატი ერთმანეთს გადაეხვია. არ იცოდნენ, რომ მაჭავარიანი იმ დღეს უგუნებოდ ბრძანდებოდა და დეპუტატებს დილიდან ტუქსავდა და გაიძახოდა, „რა უნდა ადამიანს პარლამენტში, თუ ბიუჯეტი არ აინტერესებს“.

# აფეთქების გენია

**„მეორე მსოფლიო ომის სპეცნაზი“ — ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი საბჭოთა სპეცსამსახურების შესახებ ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით რეჟისორმა ალექსეი ბისტრიცკიმ 2010 წელს გადაიღო. წამყვანი მარინა ჩუბკინა ისტორიკოსებთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად დივერსიული ოპერაციების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე მოუთხრობს მაყურებელს. სწორედ ამ სტრატეგიამ და ტაქტიკამ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.**




მას რუსული სპეცრაზმის მამას უწოდებენ. იგი დივერსიული მოქმედებების უდიდესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იყო. ფრანკომ და ჰიტლერმა პირადად გასცეს მისი განადგურების ბრძანებები, მაგრამ ისინი არ შესრულებულა. მან 100 წლამდე იცოცხლა. მისი სახელი რამდენიმე ნაღმსა და ლომის თანავარსკვლავედის ერთ-ერთ ვარსკვლავს უწოდეს. მის გამოცდილებას იყენებენ სპეცდანიშნულების ჯგუფი „ალფა“, პალესტინელი ბოევიკები და ისრაელის კომანდოსები.
მაშ, ვინ არის იგი — ადამიანი თუ მითი?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №42




**ალექსი პოპოვი, ისტორიკოსი:**

ჩემი აზრით, ძალიან გონივრულად მოიქცა: მოაგროვა ყველა მონაცემი იმის თაობაზე, თუ ვინ იყო, საიდან იყო და ასე შემდეგ. თანამემამულეებმა წერილებით დაუდასტურეს ვინაობა. ცხადია, ვოროშილოვთან პირადმა ნაცნობობამაც იქონია სათანადო გავლენა. შედეგად, სტარინოვს თავი დაანებეს და ნორმალური მუშაობის საშუალება მისცეს.

არა მხოლოდ თავი დაანებეს, არამედ სამხედრო ხელმძღვანელებთან შესახვედრად მოსკოვშიც მიიწვიეს. **სწორედ მაშინ თქვა ხალხთა ბელადმა თავისი ერთ-ერთი ცნობილი ფრაზა იმის შესახებ, რომ ყველაფერს კადრები წყვეტს. როგორ შეიძლება, არ დაეთანხმო ესოდენ ზუსტ განსაზღვრებას?** სტარინოვი საერთო აღფრთოვანების ექსტაზში იყო და აპლოდისმენტებს არ იშურებდა. არადა, სულ რაღაც ორი წლის შემდეგ ამ მოწოდებისთვის ტაშის დამკვრელი ადამიანების უმრავლესობა ცოცხალი აღარ იქნება.



**„ესპანეთის თავზე უღრუბლო ცაა“, — ეს უვნებელი ამინდის პროგნოზი ფრანკოს შეთქმულებისთვის სიგნალის ფუნქციას ასრულებდა. ესპანეთში სამწლიანი სამოქალაქო ომი დაიწყო და მსოფლიო ნელ-ნელა ჩაიძირა ხანგრძლივ და ღრუბლიან საომარ კოშმარში.** ფრანკისტების დასახმარებლად იტალიისა და გერმანიის ჯარებმა გამოიდეს თავი. მათ მხარეს იყო ესპანეთის თითქმის მთელი რეგულარული არმიაც. რესპუბლიკური ხელისუფლების მხარეს კი მხოლოდ საბჭოთა კავშირი და სხვადასხვა ქვეყნის მრავალრიცხოვანი მოხალისე ინტერნაციონალისტი აღმოჩნდა. **ფორმალურად საბჭოთა კავშირი ამ ომის მიმართ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, ამიტომ საბჭოთა სამხედრო სპეციალისტები ესპანეთში არალეგალურად ჩადიოდნენ.**

**ილია სტარინოვის ახალი სახელი რუდოლფო ვოლფი გახდა.** სწორედ ამ სახელით გადალახა მან ექვსი საზღვარი, რომ საერთაშორისო მატარებლით ესპანელი რესპუბლიკელების დასახმარებლად ჩასულიყო.




**ალექსანდრე დიუკოვი, ისტორიკოსი, ილია სტარინოვის შვილთაშვილი:**

ესპანეთში დაზვერვის სამმართველოსა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხაზით საკმაოდ ბევრი საბჭოთა დივერსანტი მოქმედებდა. საერთო პრინციპი შემდეგნაირი იყო: იქმნებოდა გარკვეული მომცრო ზომის დივერსიული ჯგუფი და მას მრჩევლის რანგში ენიშნებოდა საბჭოთა სპეციალისტი. შემდგომ, ვინაიდან საბჭოთა სპეციალისტმა გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე ნომინალურმა მეთაურმა, სწორედ საბჭოთა მრჩეველი ხდებოდა ჯგუფის მეთაურიც.



რესპუბლიკურ არმიას ერთიანი ხელმძღვანელობა არ ჰყავდა. კომუნისტები ანარქისტებთან და სოციალისტებთან ვერ რიგდებოდნენ. სტარინოვი ანარქისტი დომინგო უნგრიას დაქვემდებარებაში მოხვდა და ეს უკანასკნელი დიდად არ ენდობოდა რუსი გამომგონებლის ეშმაკურ მიგნებებს. **ტელეგრაფის ანძებისა და გზების ღამის აფეთქებები ფრანკისტებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მისაყენებლად საკმარისი არ იყო. რესპუბლიკური შეტევა მუხრუჭდებოდა. სტარინოვს, რადაც უნდა დასჯდომოდა, ნაღმებით ომის ეფექტურობა უნდა დაემტკიცებინა, თანაც არა მხოლოდ ესპანელი ამხანაგების, არამედ საკუთარი თავისთვისაც.**

მიუხედავად გაცხარებული ომისა, მატარებლები ესპანეთში ისევე თავისუფლად მოძრაობდნენ, როგორც მშვიდობიანი პერიოდისას. სტარინოვმა სარკინიგზო შეტყობინებების გაწყვეტის იდეა წამოაყენა. საჭირო იყო ერთი კილომეტრი სიგრძის იმ გვირაბის აფეთქება,



რომელიც მოწინააღმდეგის ერთ-ერთი უმთავრესი საკომუნიკაციო მაგისტრალი იყო. **ასაფეთქებელი შემადგენლობით დატვირთული მატარებელი გვირაბის ცენტრში შევიდა. მასზე დამონტაჟებული მძლავრი ნაღმის აფეთქების დამაყრუებელ ხმას ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ვაგონების დეტონაცია მოჰყვა. გვირაბში აფეთქებები მიყოლებით ხუთი დღის განმავლობაში გრძელდებოდა.**



პროცესის შეჩერების ყველა მცდელობა მხოლოდ აძლიერებდა ხანძარს. რემონტსა და გზის აღდგენა-განახლებაზე საუბარიც ზედმეტი იყო. ეს შემთხვევა გახდა ერთ-ერთი იმ წარმატებული ღონისძიებათაგან, რომლებიც დომინგო უნგრიას რაზმმა განახორციელა.

**დროის მოკლე მონაკვეთში ილია სტარინოვის ჯგუფმა ორასზე მეტი დივერსია განახორციელა. ამ დივერსიების შედეგად მოწინააღმდეგის ორი ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი განადგურდა.**

თავად სტარინოვის რაზმში კი დანაკარგები მინიმალური იყო — სულ რამდენიმე ადამიანი დაიღუპა.

სტარინოვი ცნობილ ადამიანად იქცა. მასზე და მის მეგობრებზე ილია ერინბურგი, კონსტანტინე სიმონოვი, მიხეილ კოლცოვი და ერნესტ ჰემინგუეი წერდნენ. მისმა სახელმა თავად ფრანკოს ყურამდეც კი მიაღწია. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სწორედ სტარინოვის სამხედრო გამოცდილება ასახა ჰემინგუეიმ ამფეთქებლის პერსონაჟის შექმნისას რომანში „ვისთვის რეკს ზარი“.

**ალექსანდრე დიუკოვი, ისტორიკოსი, ილია სტარინოვის შვილთაშვილი:**

რაღაც ჭორები ყველა იმ მსხვილ საბჭოთა სპეციალისტზე ისმოდა, ვისაც იმ პერიოდში ესპანეთში მოუწია მუშაობა. სინამდვილეში ჰემინგუეი, როგორც ჟურნალისტი, მართლაც მივიდა დომინგო უნგრიას ქვედანაყოფში, მაგრამ, როგორც ილია სტარინოვი შემდეგ იხსენებდა, იგი საგულდაგულოდ ემალებოდა სტუმარს სავსებით გასაგები მიზეზის გამო — ჟურნალისტთან ურთიერთობა, მით უფრო უცხოელ ჟურნალისტებთან, კარგი საქმე არ იყო. ესპანეთში ჩასულ საბჭოთა ჟურნალისტებს იგი ეკონტაქტებოდა, მაგრამ არა — ჰემინგუეის.




1937 წელი იდგა. სტარინოვის მივლინება დასასრულს უახლოვდებოდა, რუსეთიდან კი შემაშფოთებელი ხმები მისდიოდა — ტუხაჩევსკი და ბლუხერი დახვრიტეს, საუკეთესო საბჭოთა სამხედრო მეთაურები ხალხის მტრებად გამოაცხადეს. **პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ტყვიისგან სტარინოვი მხოლოდ იმან იხსნა, რომ ევროპის ყველაზე სახიფათო ადგილას იმყოფებოდა.**

სამშობლოში დაბრუნებისთანავე სტარინოვმა მეგობრებთან და კოლეგებთან რეკვა დაიწყო, მაგრამ ერთ მათგანსაც ვერ მიაგნო — ზარებს ან საერთოდ არავინ პასუხობდა, ან ყურმილიდან აბსოლუტურად უცნობი ადამიანები ელაპარაკებოდნენ.



**მეგობართაგან ერთადერთმა, რომელსაც ბოლოს და ბოლოს ცოცხალს მიაკვლია, სახლში არ შეუშვა. „არ გეწყინოს, შენ მივლინებით საზღვარგარეთ იყავი, თავადაც იცი, რა დროა“, — დაამშვიდეს სტარინოვი, რომელსაც უკვე გული სწყდებოდა, რომ ესპანეთში ტყვიას გადაურჩა და თავისი მეგობრებივით არ შეეწირა იმ ომს.**

როგორც დახვრეტილთა უშუალო ქვეშევრდომი და დივერსიული ჯგუფების აქტიური ორგანიზატორი, სტარინოვი რეპრესირების უდავო კანდიდატი გახლდათ. **ეჟოვის ინკვიზიტორები ირწმუნებოდნენ, რომ დახვრეტილი ტუხაჩევსკი და ეკირი დივერსანტებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ზურგში ბრძოლისთვის ამზადებდნენ.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში სტარინოვს გამომძიებელმა შესთავაზა, გულახდილად მოეთხრო ყველაფერი ანტისაბჭოთა დივერსიული რაზმების შექმნის თაობაზე.

**ალექსანდრე დიუკოვი, ისტორიკოსი, ილია სტარინოვის შვილთაშვილი:**

მაუსოროვი და სპროგისი ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ ლამის რეპრესიებში მოყვნენ. დარტყმის ქვეშ მრავალი ადამიანი მოექცა და, უპირველესად, ისინი, ვინც სამოქალაქო ომში მონაწილეობდა, თანაც საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა.



სტარინოვი ვოროშილოვთან მიღებაზე ჩაეწერა და პირველმა წითელმა ოფიცერმა მისი თანდასწრებით დაურეკა ეჟოვს თხოვნით, ამ ადამიანისთვის თავი დაენებებინა. ამ საუბრიდან სულ ცოტა ხანში სტარინოვს პოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს და ეს წოდება მას სიცოცხლის ბოლომდე შერჩა. ამის შემდეგ კი ფინეთთან სისხლისმღვრელი და ნაკლებად ცნობილი ომი დაიწყო.

**კორეაში პოლკოვნიკმა სტარინოვმა საკუთარი თვალით ნახა და დარწმუნდა იმ თავდაცვითი სისტემის ეფექტურობაში, რომელიც საბჭოთა კავშირში 20-30-იან წლებში იქმნებოდა და 40-იანი წლების დასაწყისისთვის სრულიად განადგურდა.** ეფექტური ფინური ნაღმები საბჭოთა ჯარისკაცებს ლამის ყოველ ნაბიჯზე — გზებზე, ტყეებში, მიტოვებულ სახლებში და თვით დახოცილი ფინელების გვამების ქვეშაც ელოდნენ. ტყეები გადავსებული იყო ასაფეთქებელი ნივთიერებებით და ირგვლივ ყოველი მხრიდან ისმოდა ფინელი სნაიპერების სროლის ხმა. წითელი არმია წინ სასწაულებრივი დანაკარგებით მიიწევდა.




**მაქსიმ ტოკარევი, ისტორიკოსი:**

ადგილობრივი რაზმები თავისებურად იყვნენ მომზადებულნი; მათ მომზადების საკუთარი სისტემა ჰქონდათ და ძალიან დიდ დანაკარგებს იწვევდნენ წითელ არმიაში მოთხილამურე მსროლელებისა და სნაიპერების საშუალებით.

ერთხელ დანაღმული ნაკვეთის დათვალიერებისას პოლკოვნიკმა სტარინოვმა მოულოდნელად იგრძნო, რომ ხელზე თითქოს ვიღაცამ რკინის ჯოხით დაარტყა. ეს ფინელი სნაიპერი იყო, ოღონდ რკინის ჯოხის ნაცვლად სტარინოვს ხელში ორი ტყვია მოხვდა. ჰოსპიტალში მიყვანისას ლამის დაცლილი იყო სისხლისგან. სიკვდილს გადაარჩინეს, მაგრამ ხელი აბსოლუტურად უსიცოცხლოდ ეკიდა სხეულზე. **პოლკოვნიკმა გადაწყვიტა, რომ ავადმყოფობის დრო არ იყო და ინვალიდობა როგორც თავის ნათესავებს, ასევე ხელმძღვანელებსაც დაუმალა.**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# რამზი აჰმად იუსეფი — «ბოროტების მოციქული»



**ვიდრე 1995 წელს ისლამაბადის სასტუმრო სახლში დააკავებდნენ, 1993 წელს მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აფეთქების საქმეში ერთ-ერთმა უმთავრესმა დამნაშავემ რამზი აჰმად იუსეფმა უამრავი ბოროტების ჩადენა მოასწრო. დაკავების ოპერაციაში პაკისტანის უწყებათაშორისი დაზვერვის სამსახური და ამერიკის დიპლომატიური კორპუსის უშიშროების სამსახურები მონაწილეობდნენ. დამნაშავე ამერიკის შეერთებულ შტატებს გადასცეს. ნიუ იორკში გამართულ სასამართლო პროცესზე რამზი აჰმად იუსეფმა განაცხადა:**
**„დიახ, მე ტერორისტი ვარ და ვამაყობ ამით, თუ ეს აშშ-ის ხელისუფლებისა და ისრაელის წინააღმდეგ იქნება მიმართული, იმიტომ, რომ თქვენ ტერორისტებზე უარესები ხართ; თქვენ ხართ ისინი, ვინც ტერორიზმი გამოიგონა და ყოველდღე იყენებს მას, მეხორცეები, მატყუარები და ორპირები“.**





**ბომბი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ჩრდილოეთ კოშკის მიწისქვეშა ავტოფარეხში აფეთქდა და 5 მიწისქვეშა სართული 30 მეტრის დიამეტრზე გაარღვია. „B1“ და „B2“ დონეებს მათი არსებობის ისტორიაში უდიდესი ზარალი მიადგა, „B3“ დონეზე კი დანაკარგები მნიშვნელოვნად შეფასდა.**

რამზი აჰმად იუსეფი 1967 წლის 20 მაისს ქუვეითში დაიბადა. მისი ოჯახი წარმოშობით პაკისტანის ბელუჯისტანიდან იყო და მიუხედავად იმისა, რომ მისი ყველა წევრი 1980-იანი წლების შუა პერიოდში სამშობლოში დაბრუნდა, თავად იუსეფი სწავლის გასაგრძელებლად ინგლისში გააგზავნეს.

**1986 წელს რამზი აჰმადმა უელსში სუონსის ინსტიტუტში ჩააბარა და ელექტროტექნოლოგიების შესწავლა დაიწყო. იმისთვის, რომ ინგლისურის ცოდნა გაეღრმავებინა, მან ოქსფორდის კოლეჯშიც ისწავლა.**

**სუონსის დასრულების შემდეგ იუსეფი უკვე ავღანეთში იყო და ალ-ქაიდას ბოევიკების მოსამზადებელ ბანაკებში ბომბების დამზადების მთავარ ექსპერტად ითვლებოდა. იმ დროიდანვე დაიწყო ფიქრი და მზადება მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ასაფეთქებლად.**

1992 წლის 1 სექტემბერს იუსეფი ერაყის მოქალაქის ყალბი პასპორტით ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა. მისი მეგობრისა და თანამგზავრის ახმედ აჯაჯის ბარგში ამერიკელმა საიმიგრაციო ინსპექტორებმა ბომბების განლაგების სქემები, თვითმკვლელი ტერორისტების შესახებ ვიდეოჩანაწერები და რამდენიმე უხეშად გაყალბებული საიმიგრაციო დოკუმენტი აღმოაჩინეს და საეჭვო პირი ადგილზევე დააკავეს. **ამ ამბავში თავად იუსეფიც გაება და არაერთხელ დაკითხეს კიდეც, მაგრამ იგი ჯიუტად ირწმუნებოდა, რომ აშშ-ში პოლიტიკური თავშესაფრის სათხოვნელად ჩავიდა. 72-საათიანი „გამოძიების“ შემდეგ საქმის განხილვა 9 სექტემბრისთვის დაინიშნა. ჯერსი-სითის პოლიციას პაკისტანში დაბადებულ და ქუვეითში გაზრდილ აბდულ ბასიტ მაჰმუდ აბდულ კარიმად გაეცნო და 1992 წლის 31 დეკემბერს ნიუ იორკში პაკისტანის საკონსულომ ამ აბდულ ბასიტ მაჰმუდ აბდულ კარიმის სახელზე დროებითი პასპორტი გასცა. იუსეფიც უპრობლემოდ მოგზაურობდა აშშ-ში, თან თავისი მთავარი მისიის შესასრულებლად ემზადებოდა.**

ქალაქ ჯერსიში მდებარე საკუთარ სახლში იუსეფმა 1500 ფუნტი (680 კილოგრამი) კარბამიდის ნიტრატი მოაგროვა, ამისთვის კი 1992-1993 წლებში სამჯერ მოხვდა საავადმყოფოში მეგობრების დახმარებით იმიტირებული ავიაკატასტროფების შედეგად. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, **თავდაპირველად იუსეფი ნიუ იორკის ებრაული კვარტლების აფეთქებას აპირებდა, მაგრამ მოგვიანებით სამიზნე შეცვალა.**

**შედეგად, 1993 წლის 26 თებერვალს, 12 საათსა და 17 წუთზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ტერიტორიაზე სწორედ რამზი იუსეფის 680-კილოგრამიანი ბომბიანი საბარგო მანქანა შევიდა. მუყაოს ოთხ ყუთში საგულდაგულოდ იყო შეფუთული ქაღალდის ტომრები, გაზეთები, კარბამიდი, აზოტის მჟავა და შეკუმშული წყალბადის ცილინდრები. ნიტროგლიცერინის ოთხი დიდი კონტეინერი ამ ყველაფრის შუაში იყო მოთავსებული.**

**მანქანის საჭესთან თავად იუსეფი იჯდა. ბომბი ჩრდილოეთ კოშკის მიწისქვეშა ავტოფარეხში აფეთქდა და 5 მიწისქვეშა სართული 30 მეტრის დიამეტრზე გაარღვია. „B1“ და „B2“ დონეებს მათი არსებობის ისტორიაში უდიდესი ზარალი მიადგა, „B3“ დონეზე კი დანაკარგები მნიშვნელოვნად შეფასდა.**

აფეთქების შედეგად, ექვსი ადამიანი დაიღუპა, 1042 — დაიჭრა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის 50 ათასამდე თანამშრომელი და სტუმარი 110 სართულის მთელ ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, უჟანგბადოდ დარჩა. ჩრდილოეთ კოშკიდან ადამიანები ბნელი კიბით ეშვებოდნენ დაბლა, მაგრამ მათ უმეტესობას შენობიდან გამოსასვლელად ორ საათზე მეტი დრო დასჭირდათ. **როგორც მოგვიანებით სასამართლომ დაადგინა, შეთქმულების მიზანი, პირველ რიგში, ჩრდილოეთ კოშკის, შემდეგ კი სამხრეთის სრული განადგურება იყო — მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია სრულად უნდა აღგვილიყო პირისაგან მიწისა.**

აფეთქების შედეგად სწორედ ის სართულები დაზიანდა, რომელთაც სტრუქტურული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა და შენობის საყრდენის როლს ასრულებდა. თხევადი ცემენტის კედელი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან ჟანგბადით უზრუნველყოფის სისტემა, შეტყობინებებისა და სახანძრო სისტემები. **ყოველივე ამის აღდგენის შემდეგ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში 1993 წლის 26 თებერვლის ტერაქტის შედეგად დაღუპულთა მემორიალი აღიმართა, მაგრამ ეს მემორიალი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა უამრავი ადამიანის სიცოცხლესთან ერთად შეიწირა.**

მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აფეთქების შემდეგ თავად რამზი იუსეფმა „New York Times“-ს წერილი გაუგზავნა და განხორციელებული ტერაქტის მოტივები განუმარტა: **„ჩვენ საკუთარ თავზე ვიღებთ აღნიშნული შენობის აფეთქებაზე პასუხისმგებლობას. ეს იყო პასუხი ამერიკის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ქმედებებზე“,** — ეწერა წერილში. **ცოტა ხანში რამზიმ განაცხადა, რომ 250 ათასი ამერიკელის მოკვლას იმედოვნებდა, რათა ამერიკისთვის იმ ტკივილის საკუთარ თავზე გამოცდის საშუალება მიეცა, რომელიც ამ ქვეყანამ იაპონიას მიაყენა ხიროსიმისა და ნაგასაკის დაბომბვებით.**

ამერიკა ამ სასტიკ გეგმას გადაურჩა, მის ავტორს კი, ცხადია, აშშ-ში აღარ დაედგომებოდა და 1993 წლის თებერვალშივე პაკისტანს შეაფარა თავი. სისხლისმღვრელი იდეების ნაკლებობას კი არც იქ განიცდიდა. **იმავე 1993 წელს იუსეფი პაკისტანის პრემიერ-მინისტრ ბენაზირ ბხუტოზე თავდასხმას აპირებდა, მაგრამ ოპერაცია პოლიციამ ჩაშალა. იუსეფმა გამოძიებისგან თავის დაძვრენა მოახერხა.**

ამის შემდეგ კიდევ ერთი „ოპერაცია“ — ბანკოგში ისრაელის საელჩოს აფეთქება — ჩაეშალა და ხელმოცარული კვლავ პაკისტანში დაბრუნდა. **როგორც სუნიტი მუსლიმანი, ღრმა სიძულვილით იყო განმსჭვალული შიიტი მუსლიმანების მიმართ და ვინაიდან შიიტები ირანის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს წარმოადგენენ, სწორედ იქით მიმართა ყურადღება.**

1994 წლის 20 ივნისს ირანში, შიიტების წმიდა ქალაქ მეშხედში, მის მიერ განხორციელებულ აფეთქებას 26 ადამიანი ემსხვერპლა, 200-ზე მეტი დაიჭრა. ამ ტერაქტისთვის საგულდაგულოდ შეირჩა არა მხოლოდ ქალაქი, არამედ ყველაზე ხალხმრავალი მეჩეთი და შიიტების დღესასწაული. ამ დროისთვის იუსეფის ჯგუფს მისი ღვიძლი ძმა და მამა შეუერთდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იუსეფი ძირითადად უსამა ბენ ლადენის მითითებებით მოქმედებდა, ამ უკანასკნელს იმხანად მეშხედში აფეთქება არ სურდა, ვინაიდან ირანულ ჰეზბოლასთან თანამშრომლობას ავითარებდა.

პაკისტანში დაბრუნებულმა იუსეფმა კი იქ ბხუტოზე წარუმატებელი თავდასხმისთვის შურისძიება მოინდომა და „ბოჟინკას“ ოპერაციის დაგეგმვას შეუდგა. **ოპერაციისას უნდა აფეთქებულიყო აზიიდან ამერიკის შეერთებული შტატების მიმართულებით მფრინავი 12 თვითმფრინავი, რასაც 4000 ადამიანის სიცოცხლე უნდა შეეწირა. ჩვეულებრივი მოკვდავების გარდა, გეგმა რომის პაპის იოან პავლე II-ის მკვლელობასაც მოიცავდა მისი ფილიპინებში ვიზიტისას.**

1994 წლის 11 დეკემბერს იუსეფი მანილა-სებუ-ტოკიოს რეისზე ავიდა. მოგვიანებით ეკიპაჟმა გამოძიებას უამბო, რომ მან რამდენიმე ადგილი შეიცვალა, ბოლოს კი საპირფარეშოდან გამოსვლის შემდეგ მოეწყო. **როგორც გაირკვა, სწორედ საპირფარეშოშიააწყო ბომბი, დააყენა ტაიმერი ოთხსაათიან შუალედზე და მოწყობილობა ერთ-ერთი სავარძლის ჯიბეში ჩადო. თავად სებუში დარჩა. თვითმფრინავი სებუდან ტოკიომდე უნდა აფეთქებულიყო. 256 მგზავრიდან უმეტესობა იაპონელი იყო. აეროპორტების გადატვირთულობის გამო რეისი 38 წუთით სებუში დაყოვნდა. ბომბი ტოკიოში ჩაფრენამდე ორი საათით ადრე აფეთქდა. თვითმფრინავი 9400 მეტრის სიმაღლეზე ავტოპილოტით იმართებოდა. 24 წლის იაპონელი ბიზნესმენის ხარული იკეგამის სხეული აფეთქებამ ორად გაგლიჯა. მის წინ და უკან მსხდომი ცხრა მგზავრი დაიჭრა. ეკიპაჟმა სამხრეთ იაპონიის ტერიტორიაზე, ოკინავას აეროპორტში თვითმფრინავის ავარიული დასმა მოახერხა.**

იუსეფმა ეს დიდ წარმატებად ჩათვალა და მანილაში დაბრუნების შემდეგ სულ მცირე ათი მსგავსი ოპერაციის დაგეგმვას შეუდგა. ოღონდ, მომდევნო შემთხვევებში აფეთქება გაცილებით ძლიერი უნდა ყოფილიყო. **ღვთის წყალობით, ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე იუსეფის სახლში ხანძარი გაჩნდა და პოლიციამ რაღაც საეჭვო იყნოსა. მალე ოპერაციის გეგმა სამართალდამცავებმა გამოააშკარავეს და ტელეკომპანიების საშუალებით უკლებლივ ყველა ავიაკომპანიას განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდეს. გეგმაში ცსს-ს ოფისზე თავდასხმაც ფიგურირებდა.**

1993 წლის ტერაქტის შემდეგ იუსეფი გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მსოფლიოს ყველაზე ძებნილი ტერორისტების სიაში შეიყვანა, მაგრამ 1995 წლის 7 თებერვლამდე მისი დაკავება ვერ მოხერხდა. **იუსეფი ვინმე პატრიკმა დაასმინა და ამ სამსახურისთვის ჯილდოდ 2 მილიონი დოლარიც მიიღო ამერიკის ხელისუფლებისგან. ნიუ იორკის საოლქო სასამართლომ რამზი აჰმად იუსეფს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. მოსამართლე კევინ დაფიმ განსასჯელს „ბოროტების მოციქული“ უწოდა.**

მსჯავრდებული სასჯელს კოლორადოს შტატის განსაკუთრებულად უსაფრთხო ციხეში იხდის. **ხელბორკილები, რომლებიც რამზი აჰმად იუსეფს დაკავებისას დაადეს, ვაშინგტონში, გამოძიების ფედერალური ბიუროს მუზეუმში ინახება.** როგორც ციხის მომსახურე პერსონალი ამბობს, პატიმრობის დასაწყისში იუსეფი კატეგორიულ უარს აცხადებდა დასასვენებელ ოთახში გასვლასა და გასეირნებაზე, მაგრამ ახლა რიგით, არაფრით გამორჩეულ, პატიმრად იქცა. **ციხის თანამშრომლები იმასაც ამბობენ, რომ რამზიმ ღორის ხორცის ჭამა დაიწყო და ამბობს, რომ ქრისტიანად აპირებს მონათვლას.**

თუმცა განაჩენი მისთვის რაიმე ცვლილებებს არ ითვალისწინებს, მისი გარდასახვისა კი არავის სჯერა.

გვერდები მოამზადა **მაია სვიანაძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მური — სვანეთის კარი

## ქვემო სვანეთი

**ის-ის იყო ისტორიულ დბანისხევში მოგზაურობიდან დავბრუნდი, რომ ტელეფონი აწკრიალდა. ჯოყოლა ჩეგიანის ხმა მესმის:**
**— ჩემს მამულში, ლენტეხის რაიონში მივდივარ და ხომ არ დამემგზავრებოდი? ჩვენთან ერთად ეთნოლოგი როზეტა გუჯეჯიანი იქნება, დიდი სამუშაოს წინ დაზვერვაზე მოდის. 4-5 დღე დავრჩებით და ბევრ ეკლესიას მოვივლით. მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად არც პროფესიონალი ვიდეოოპერატორი (სოზარ გულბანი) მეყოლება გვერდით და, საერთოდ, არც ვიდეოკამერა მექნება, მომენტის ხელიდან გაშვება არ იქნება. მართალია, ფილმს ვერ გადავიღებ, მაგრამ ციფრული ფოტოაპარატითაც ბევრ საინტერესო რამეს დავაფიქსირებ. თანაც ვიცი, რომ ქვემო სვანეთის ეკლესიების ნაწილი დეტალურად გადაღებული არ არის.**





ლენტეხის კოშკი

ივნისის ბოლო დეკადაა. თბილისში, გორში, ხაშურში, ქუთაისში, წყალტუბოში ბუღი ტრიალებს. გავცდით ზუბის ციხეს, კვედრეშის ციხეს... ცაგერისა და ლენტეხის რაიონების საზღვარზე, მდინარე ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე, მაღალ მთაზე დღემდეა შემორჩენილი მურის ციხის ნაშთები, რომლის აღმოსავლეთ საყარაულო კოშკს „მაგრა დახვდი“ ერქვა, ხოლო მთავარ ციტადელს — „არ გაუშვა“. სწორედ ამ ციხესთან არის დაკავშირებული VII საუკუნის სახელგანთქმული ღვთისმეტყველის წმ. მაქსიმე აღმსარებლის სიცოცხლის ბოლო დღეები. იგი აქ გადმოასახლეს მწვალებლებმა და აქვე აღესრულა. უძველესი უცხოური ცნობები მისი მოწამებრივი გარდაცვალებისა და ექსორია-პატიმრობის ადგილად ლაზიკის ციხე-სიმაგრე **ცხიმარს** ასახელებენ, ქართული წყაროები კი სწორედ **მურს.** კორნელი კეკელიძე ფიქრობდა, რომ **ცხიმარი და მური ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო.** პ. კარბელაშვილს მოაქვს საბუთი, რომ **„ქართლ-კახეთის სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმის XI საუკუნის ტყავზედ ხელნაწერ სვინაქსარში (№97), აგვისტოს 13 რიცხვის ქვეშ წერია: „წმ. მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებლისაი“ და იქვე, 529-541 გვერდებზე, მოთავსებულია წმ. მაქსიმეს ცხოვრება და ტანჯვა. 540-ე გვერდის აშიაზე სწერია — მაქსიმე კონსტანტინეპოლიდან ექსორია პატიმარ ჰყვეს 631-639 წ. ქვეყანასა მეგრელთასა და იქვე აღსრულდა — სუანთა სოფლისა ციხესა, რომელ არს მური“... აღმსარებელი მიიცვალა 662 წელს, შაბათს დღეს, 13 აგვისტოს“** (გაზ. „ივერია“ 1903 წ. №163). თავის მხრივ კორნელი კეკელიძესაც საბუთად მოაქვს მაშინდელი თბილისის საეკლესიო მუზეუმში შენახული XII საუკუნის ხელნაწერის (№222, გვ. 440) აშიაზე იმავე საუკუნის მინაწერი: **„წმ. მაქსიმეს წმიდა ნეშტი განისვენებს (მურის ციხეში) ცაგერის მახლობლად“.**

აღარაფერს ვამბობ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაზე, რომელიც, ასევე, ციხე მურს მიუთითებს.

ბოლო დროს ცაიშ-ლენტეხელ ეპისკოპოს სტეფანესაგან გამოითქვა მოსაზრება, რომ **მაქსიმეს თანამედროვეთა მიერ დასახელებული „ცხიმარი“ შეიძლება იყოს მდინარე ხელედურის სათავეში არსებული ალაგი „სკიმერი“,** რომელიც შესცქერის მწვერვალ „ლაილას“ — ანუ იმ მთას, დედამიწაზე ყველაზე მაღალი რომ ეგონათ წმ. მაქსიმეს მონანახულებლად წამოსულ თეოდოს და თეოდორე ბერებს. როგორც ეპისკოპოსი სტეფანე ამბობს, ხელედურის ხეობის მეზობელ ადგილს, რომელიც სკიმერიდან შორს არაა, ადგილობრივები სწორედაც რომ „მაქსიმეს ახოს“ უწოდებენ. ეს ახო თუ კალო სხვა გადმოცემებშიც გვხვდება. **იმ დროს, თურმე, სოფელ დეხვირში (სოფელი ცაგერთან ახლოს) ცხოვრობდა ერთი მეზობელთმოძულე კაცი (ჭაბუკიანი თუ ქარეიშვილი), რომელიც ყველას ავიწროებდა და სახნავს აჭრიდა. წმიდა მაქსიმე, თურმე, ხშირად არიგებდა ჭკუას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ამიტომ, ერთხელაც რომ მივიდა ჭკუის სასწავლებლად ამ უკმეხი კაცის კალოზე, წვიმაც თან მიიყოლა და ხელი შეუშალა. ასე გაგრძელდა რამდენჯერმე. ბოლოს აღშფოთებულ ქარეიშვილს წმიდა მაქსიმე მოუკლეს და იქვე დაუმარხავს ჩუმად. დილით რომ მოსულა, მაქსიმეს ცხედარი საფლავის ზემოთ უნახავს, ახლა სხვაგან დაუმარხავს, მაგრამ მეორე დილით იგივე სურათი დახვედრია, ბოლოს ურემზე დაუსვენებია და მურის ეკლესიაში დაუკრძალავს.** სწორედ ამის გამოძახილია, რომ დღესაც, წვიმებით გაბეზრებული დეხვირელები, ქედზე წნელისგან შეკრულ უღელს დაიდებენ ხოლმე და იმ ეკლესიისაკენ, რომლისკენაც კამეჩებმა წმ. მაქსიმე წაასვენეს, ლოცვა-გალობით გაეშურებიან ფეხშიშველნი: **„წმიდაო მაქსიმე დარი გვიბოძე“**-ო. საპირისპირო ამბავს გვიამბობს პ. კარბელაშვილი: **„სოფელ მურში გვიჩვენეს წმ. მაქსიმეს საყდარი ქვითკირისა. უწინ, როცა გვალვა შეაწუხებდა ხოლმე აქაურობას, მეზობელი სოფლების მცხოვრებნი შეიკრიბებოდნენ და შემოსილი მღვდლით, ლიტანიით, წავიდოდნენ გალობით და ლოცვა-ვედრებით: „წმიდაო მაქსიმე, გვიშველეო“. თხოვა ყოველთვის უსრულდებოდათ, თურმე“** (გაზ. „ივერია“ 1903 წ. №169).


მურის ციხე

...მაქსიმე აღმსარებლის მოწამებრივი ცხოვრების დეტალებზე საუბარში ვართ, რომ ჩვენი მანქანა მურის ციხეს და საერთოდ ცაგერის რაიონს ცილდება და ქვემო სვანეთში შედის.

ქვემო სვანეთს ერთ დროს სადადიანო სვანეთსაც უწოდებდნენ, მაგრამ ეს მთლად სწორი გამოთქმა არაა, რადგან დადიანების ძალაუფლება ლაშხეთამდე ვერ აღწევდა. ლაშხეთი დღევანდელი ქვემო სვანეთის აღმოსავლეთის თემია, მის გარდა კი ცხენისწყლის სათავეებში კიდევ ორი სვანური თემია, დასავლეთით — ლენტეხისა და ცენტრში — ჩოლურისა. ამ სამ თემში უამრავი გვარის ხალხი სახლობს, მაგრამ მათ შორის უმეტესობას **ონიანები** (ძირითადად ლაშხეთის თემი), **ზურაბიანები, მუკბანიანები, ხაბულიანები** (ძირითადად ჩოლურის თემი), **ლიპარტელიანები, გაზდელიანები და ჩარქსელიანები** (ძირითადად ლენტეხის თემი) წარმოადგენენ.

XVIII საუკუნის ბოლოს ერეკლე II-ის ბრძანებით იოანე ბატონიშვილს თავისებური აღწერა ჩაუტარებია. ამ დავთარში ასეთი რიცხვებია ჩაწერილი: **ლენტეხის თემში ცხოვრობდა 361 კომლი, ლაშხეთის თემში — 525, ჩოლურში — მხოლოდ 58.** თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე პერიოდში ზემო სვანეთის მხოლოდ ორ თემში — ეცერსა და ბეჩოში (ანუ სადადეშქელიანოში) 4223 კომლი ირიცხებოდა, ხოლო თავისუფალ სვანეთში — სულ მცირე ერთი ამდენი, მაშინ ქვემო სვანეთის და განსაკუთრებით ჩოლურის თემის მცირერიცხოვნობა აუცილებლად გაგვაკვირვებს. ხომ არ იყო ეს დადიანთა და გელოვანთა გაუსაძლისი ბატონობის შედეგი, რის გამოც ქვემო სვანეთიდან თავისუფალ სვანეთში გადადიოდა ხალხი ლატფარისა და ზაგაროს უღელტეხილებით?

ლენტეხში მხოლოდ რამდენიმე წუთით ვჩერდებით, სადაც დადიანების კოშკს ვიღებთ. აქ ცხენისწყალს ერთდროულად ორი დიდი შენაკადი ერთვის — ხელედულა და ლასკადურა. პ. კარბელაშვილი წერდა: **„ხელედულას და ლაშქადურას შერთულთან მდებარეობს მომაღლო კლდეზედ აშენებული უძველეს დროში ფრიად მაგარი ლარაშის ციხე. აქ ჯვარედინად ოთხი ხეობა გადებულა ბუნებრივ და ამ ციხეში მყოფი ოთხსავე ხეობაში შემომსვლელს და გამსვლელს ღვთის რისხვას სცემს თავზედ. ამ ციხეს ძველად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა: ჯერ მეფენი, შემდეგ დადიანები, ანუ ლეჩხუმის გამგებლები ხელთ რომ იგდებდნენ გამოჩენილ ქვეყნის მტერს კაცსა, აქ, ლარაშის ციხეში დაამწყვდევდნენ ხოლმე... ლაშქადურის მარცხნივ მდებარეობენ სოფლები კახურა, მესირა და სხვა“** (გაზ. „ივერია“ 1903 წ. №193).

...გზა რთულია, მაგრამ ორხიდიანი მანქანისათვის იოლად დასაძლევი. სოფელ ფაყამდე, კილომეტრნახევრით აქეთ, მეორე პატარა სოფელი ლიხვდარიშია, სადაც მრავალმხრივი ხელგარჯილობის ახალგაზრდა კაცი დემურ ლიპარტელიანი გავიცანით.

ფაყის ღვთისმშობლის ეკლესია (19,5X7.1) ძველ სასაფლაოზეა და განვითარებულ შუასაუკუნეებს განეკუთვნება. სასაფლაოს ქვების წარწერებიდან ვგებულობთ, რომ აქ უმეტესად გაზდელიანები, ჩანქსელიანები (ასე გამოითქმებოდა ეს გვარი ადრე) და გვიდიანები ცხოვრობდნენ. ექვთიმე თაყაიშვილის აქ მოგზაურობის დროს ფაყში, თურმე, 22 კომლი მოსახლე იყო, ახლა კი მხოლოდ 5 კომლია.

თავად ტაძარი ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით დიდი ვერაფერი ძეგლია, გარედანაც და შიგნიდანაც ახალი შეთეთრებულია. გარდა ამისა, ბზარების გამო, ორმაგ რკინის სალტეშია ჩასმული, ხოლო ახლებური სახურავი დასავლეთით ისეა დაგრძელებული, იფიქრებთ, რომ ტაძრის წინ საცხოვრებელი ბინის მსგავსი ვერანდა მოუწყიათ. საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია XIX საუკუნის ბოლოს გაკეთებული ხის კანეკელით, რომელსაც კარედის ფორმა აქვს. მარი ბროსეს აქ ყოფნის დროს კანკელი თავდაპირველი, ქვისა ყოფილა. ამჟამინდელი კანკელის ცენტრში, ღსავლის კარის აქეთ-იქით, მაცხოვრის, ღვთისმშობლის, მთავარანგელოზისა და წმინდა გიორგის სრული გამოსახულებაა, ზედა ნაწილი და კარედის ფრთები კი რამდენადმე უკეთესი ფერწერული ხატებითაა შემკული. მხატვრობა რუსული სკოლისაა. საყდარს ორი კარი აქვს: დასავლეთისა და სამხრეთის. დასავლეთის კარი გარედან არქიტრავულია, შიგნიდან — თაღოვანი, სამხრეთის კარი — ორივე მხრიდან თაღოვანი. კამარა, თავისი წყვილი თაღით, ერთსაფეხურიანი პილასტრების მარტივ კაპიტელებს ეყრდნობა. საკურთხევლის აფსიდში 3 მცირე ნიშია.

ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადთან, ჩანს, დიდად პატივსაცემი და ამ საყდრის მოამაგე ცოლ-ქმარია დაკრძალული. გვარ-სახელები საფლავის ქვას არ აქვს, იგი ვერტიკალურია და ცოლ-ქმრის გორელიეფური ქანდაკებითაა შემკული.

ფაყიდან ჩრდილოეთით, 8 კილომეტრში, მაღალ მთაზე, ადამიანს დიდებული სანახაობა ელის, მაგრამ ამის შესახებ გაზეთის მომდევნო ნომერში ვისაუბროთ.

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**


ზუბის ციხე


ფაყის „ღვთისმშობელი“

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რუსეთ-ოსმალეთის ომი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №41-42

**1828 წლის 10 აგვისტოს, დილით, რუსული ჯარები ახალციხესთან იდგნენ. უაზრო სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, პასკევიჩმა იმავე დღეს მუთა ბეგის პირით თურქ ფაშებს შესთავაზა, უბრძოლველად დანებებოდნენ, მაგრამ ახალციხის მამაცმა დამცველებმა ეს წინადადება უარყვეს და ბრძოლისთვის მზაობა განაცხადეს. ამდენად, ომი გარდაუვალი იყო. რუსულ ჯარებს არა მარტო მამაც მოწინააღმდეგესთან შეტაკება უხდებოდათ, არამედ იქაურ არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებთან გამკლავების ჟამი უდგებოდათ. იმ იარაღით, რომელიც პასკევიჩს ჰქონდა, ახალციხის აღება ნამდვილად გაჭირდებოდა.**



## ახალციხის ალყა

ქალაქი, რომელიც გაშენებული იყო მდინარე ახალციხეჩაის მარცხენა სანაპიროზე, ვიწრო ხეობაში, მტრისთვის მიუდგომელი და ძნელად ასაღები იქნებოდა. ამასთან, ქალაქი კარგად იყო გამაგრებული და დაცული მის მცხოვრებთა მიერ. ამ ქალაქს სამ საუკუნეზე მეტხანს უცხო დამპყრობლები არ უნახავს.

საკუთრივ ახალციხის ციხესიმაგრე ორი განყოფილებისგან შედგებოდა: შიშველი კლდე ქვის კედლით ციტადელს წარმოადგენდა, უფრო ქვევით მას ებმოდა ე. წ. ზედა ციხესიმაგრე, აშენებული მაღალ სანაპირო კლდეზე და კოშკებიანი ორმაგი კედლებით გარშემოვლებული. ორმოცი ქვემეხი იცავდა ამ კედლებს. მის წინააღმდეგ უძლური იყო ველის არტილერია. **ციხესიმაგრეში განთავსებული იყო ყველა სახელმწიფო შენობა, ფაშას სახლი და ახალციხის მთავარი მეჩეთი, რომელთანაც მუსლიმანური აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ბიბლიოთეკა არსებობდა. უნდა ითქვას, რომ ციხესიმაგრეში ცხოვრების უფლება მხოლოდ მუჰამედის მიმდევრებს ჰქონდათ. ამიტომ ის უცხო მოსახლეობის ღალატისგან გარანტირებულად დაცული იყო.**

დიდ ქალაქს სამი მხრიდან ესაზღვრება ციხესიმაგრე. თითქმის მდინარემდეა გაშლილი. **ახალციხის მთავარ ძალას ციხესიმაგრე კი არა, ოცდახუთიათასიანი მოსახლეობა წარმოადგენდა.** გარედან მას იცავდა ოთხი ბასტიონი, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებული იყო ფიჭვის მსხვილი შვიდი არშინი სიმაღლის მესერით. იგი ისეთი მტკიცე იყო, რომ მისი დაზიანება ძნელად თუ შეიძლებოდა. თანაც მისი დაპატრონება სულაც არ ნიშნავდა ქალაქის დაპყრობას. შეტევაზე გადმოსულს აქ კიდევ მრავალი წინააღმდეგობა ელოდებოდა როგორც მოსახლეობის, ისე ბუნების მხრიდან. ორი ღრმა ხრამი ქალაქს სამ არათანაბარ ნაწილად ყოფდა. ერთი მათგანი ჩრდილოეთიდან სწორად მიდიოდა და შემდეგ დასავლეთისკენ მკვეთრად უხვევდა; მეორე დიაგონალებად ყოფდა ქალაქს ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ და თითქმის მდინარეში ეშვებოდა. ამ სანგრებს შორის, ფართო სამკუთხედში ცხოვრობდა ახალციხის ძირძველი მუსულმანი მოსახლეობა. ქალაქის სხვა ნაწილებში — ხრამს გაღმა და ჩრდილოეთ შემოგარენში ცხოვრობდნენ ებრაელები და კათოლიკე სომხები. ხრამს გაღმა კვარტლის დაპყრობა, უეჭველია, ბევრ მსხვერპლს მოითხოვდა, მაგრამ არანაირ შედეგს არ მისცემდა რუსებს. ჯარებს გზად უნდა გაევლოთ მუსულმანურ ქალაქზე (5 ათასი სახლით); იქ არც მოედნები იყო, არც ქუჩები და საცხოვრებლები ძლივს ემიჯნებოდნენ ერთმანეთს პატარა გასასვლელებით.

**სომხური კათოლიკური ეკლესია ყველა ამ შენობასა და სახლზე მაღალი იყო და გამოირჩეოდა თავისი არქიტექტურითა და სიძველით.**

**ამგვარად, ახალციხის თავდაცვა სამი იარუსიდან ცეცხლის გახსნით შეიძლებოდა: პირველი — ქალაქის პალისადი, მეორე — ციხესიმაგრის კედლები, ყველაზე მაღალი — ციტადელი. ადვილიც არ იყო ამ სამი საფეხურის გავლა და თურქული დროშის ჩამოხსნა. ეს მშვენივრად იცოდნენ თვითონ თურქებმაც.**

ჯერ კიდევ 9 აგვისტოს პასკევიჩმა, დაღლილობის მიუხედავად, სანგრების გათხრა დაიწყო. იგი ქალაქზე დარტყმის განხორციელებას ჩრდილოეთიდან (სადაც კათოლიკური ეკლესია იყო) აპირებდა. აქედან უფრო ადვილი იქნებოდა ქალაქის ცენტრში შეღწევა. და აი, 10-11 აგვისტოს, ერთ ღამეში, ჩრდილოეთის სიმაღლეებზე ლუნეტის ადგილას წარმოიშვა №6 სასანგრე ბატარეა. რუსებმა აქ თავი მოუყარეს მნიშვნელოვან საბრძოლო იარაღს. **11 აგვისტოს დილით პასკევიჩი მივიდა ბატარეასთან. მის ნიშანზე 46 საბრძოლო იარაღმა გახსნა ცეცხლი. ინგრეოდა ქალაქის ნაგებობები. ნანგრევებში იღუპებოდნენ მცხოვრებნიც და მეომრებიც. მალე ჩრდილოეთ კვარტალზე გამოფინეს თეთრი დროშა და პასკევიჩთან გამოცხადდა დეპუტაცია.** მათ განაცხადეს, რომ მმართველ ფაშებთანაც გაგზავნეს ხალხი რუსებთან მოლაპარაკებაზე წამოსასვლელად. ლოდინში გავიდა ორი საათი. ახალციხის ძირძველი მოსახლეობის ნაწილი იარაღის დაყრას არ აპირებდა. ამის ინიციატორად რუსები მიიჩნევდნენ კიოს მუჰამედ-ფაშას, რომელიც აქ ფიქრობდა თავისი შელახული სამხედრო რეპუტაციის აღდგენას. კანონადა განახლდა. მოწინააღმდეგე ერთი გასროლითაც არ პასუხობდა.

ამ დროს სასანგრე სამუშაოები რუსული პოზიციების სხვა პუნქტებშიც მიმდინარეობდა. ჩრდილოეთი ნაწილი თურქებმა დატოვეს, რადგან დასაცავი იქ აღარაფერი ჰქონდათ. გრაფმა სიმონიჩმა ქართულ გრენადერთა პოლკთან ერთად ჯერ კიდევ 9 აგვისტოს ღამით დაიკავა ეს ტერიტორია. 11 რიცხვში ღამით კი აქ №7 ბატარეა დადგა.

**13 აგვისტოს ღამით პასკევიჩის ბრძანებით ქალაქის მესრის ჩრდილო-აღმოსავლეთით 130 საჟენის მანძილზე გაითხარა №10 რედუტი (სანგარი). ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თურქებს და ცეცხლი გაუხსნეს მოწინააღმდეგეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამთენიისას რედუტი მზად იყო. პირველივე გასროლაზე კაია-დაგის კოშკის მწვერვალი დაინგრა. თურქები იძულებულნი გახდნენ, საბრძოლო იარაღი იქიდან მოედანზე ჩამოეტანათ.** უფრო დამანგრეველი იყო შეტევა ჩრდილოეთ ბასტიონის კედლებზე. ქალაქის მდგომარეობა დღითიდღე უიმედო ხდებოდა. **რუსები იმედოვნებდნენ, რომ ახალციხის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი — ქრისტიანი მოსახლეობა მხარს დაუჭერდა მათ და ეს გააიოლებდა ქალაქის ალყაში მოქცევას.** ცნობილი გახდა, რომ კიოს ფაშამ განაიარაღა ქალაქში მყოფი ყველა ქართველი და სომეხი. ისინი, ვინც როგორმე მაინც ახერხებდა რუსებთან გადმოსვლას, ამბავი მოჰქონდათ, რომ თურქები ბოლომდე აპირებდნენ ბრძოლას. საჭირო იყო სწრაფი მოქმედება. პასკევიჩმა გადაწყვიტა, ქალაქი შტურმით აეღო. შეტევა 15 აგვისტოს ნაშუადღევს უნდა განხორციელებულიყო. გამოცდილებიდან გამომდინარე, დილით ბრძოლის დაწყებას ასე სჯობდა, რადგან ღამღამობით თურქები სანგრებში იკრიბებოდნენ, დილით კი სახლებში მიდიოდნენ, ქალაქის კედლებთან მხოლოდ რამდენიმე დარაჯი რჩებოდა. ეს გათვალა პასკევიჩმა. და კიდევ, საღამოს ბინდი საშუალებას არ მისცემდა მტერს, რუსთა მცირერიცხოვნობა შეემჩნია. 14 აგვისტოს, საღამოს, პასკევიჩმა კიდევ ერთი ხერხი იხმარა — ქართულ პოლკს ადგილი მოუნაცვლა აღმოსავლეთისკენ. თურქებმა ეს შეამჩნიეს და ცეცხლი გახსნეს.

მათ მთელი ღამე აღმოსავლეთის ჭიშკართან გაატარეს. გადაიტანეს რა თურქების ყურადღება სხვა მხარეს, რუსებმა ჩრდილოეთის სიმაღლეზე ახალი ბატარეა (ოთხი 12-ფუტიანი ქვემეხი) განალაგეს. ისინი შეტევისთვის ემზადებოდნენ.

პირველი დარტყმის პატივი პოლკოვნიკ ბოროდინს და მის შირვანის პოლკს ხვდა წილად.

## ახალციხის შტურმი

**გათენდა 15 აგვისტოს დილა. შუადღისას, სამი საათისთვის, ყველა მეთაური მთავარსარდალთან გამოცხადდა. პასკევიჩმა ერთხელ კიდევ შემოიარა ჯარები და გაემართა ჩრდილოეთის სიმაღლისკენ, საიდანაც უკეთ შეძლებდა ბრძოლისთვის თვალყურის დევნებას.**

გავიდა საათ-ნახევარი და შირვანის პოლკის ორი ბატალიონი დროშების ფრიალითა და მუსიკის თანხლებით გამოვიდა რედუტიდან და დაიძრა ბატარეისკენ. თურქები ამას მშვიდად უყურებდნენ და ვერ წარმოედგინათ, რომ ეს მოძრაობა უბრალო გადაადგილება კი არა, მრისხანე შტურმის დასაწყისი იყო. უნდა ითქვას, რომ **ღამით რუსული ბანაკიდან ორი ფელდფებელი ხერსონის პოლკიდან გაიქცა თურქებთან და მოსალოდნელ საშიშროებაზე აცნობა, მაგრამ, საბედნიეროდ, მათ არ დაუჯერეს.** მთელი ღამე სანგრებში ჯდომით დაღლილი თურქები დილით სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. რუსების მიერ მიზანში ამოღებულ ბატარეასთან კი მხოლოდ სამოცი კაცი დარჩა. მაგრამ ამ სამოცმა მამაცმა მეომარმა, როგორც შემდგომ დავინახავთ, შეძლო გამაგრება.

წინ მიდიოდა ორასი კაცი (მონადირეები) — საუკეთესონი პოლკიდან, მათ მაიორი როდზევსკი მიუძღოდათ. შეუერთდნენ მოხალისეები პრეობრაჟენსკის (პორუჩიკ დიკის მეთაურობით), ბელოგოროდსკის ულანთა (პორუჩიკ ანენკოვის) და სერპუხოვის (აბრამოვიჩის) პოლკებიდან.

**ვასილი პოტო**
**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



## გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეთორმეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# პეტერმანი — აისბერგების საწარმო





**დედამიწაზე ყველაზე დიდი მცურავი მყინვარი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, ჩრდილო-დასავლეთ გრენლანდიაშია. ტეპერმანი არის მყინვარი, რომელიც აისბერგებით „ამარაგებს“ მსოფლიო ოკეანეს.**

მას სხვაგვარად ცისფერ მდინარესაც უწოდებენ. მყინვარი გრენლანდიის ყინულოვან საფარს ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანესთან აკავშირებს. ყინულის მცურავი მდინარე 15 კილომეტრი სიგანისა და 70 კილომეტრამდე სიგრძისაა. ყინულის სისქე ძირითად ნაწილში 600 მეტრს აღწევს, კიდეებზე კი 30-80 მეტრამდე თხელდება.

სავარაუდოდ, მყინვარის დაახლოებით 80% ნადნობი წყლისგან შედგება. როგორც ერთ-ერთმა ბოლოდროინდელმა ექსპედიციამ დაადგინა, უახლოეს მომავალში მყინვარს 100 კვადრატულ კილომეტრამდე ყინული მოწყდება. ამ რაოდენობის წყალი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ 4,3-მილიონიანი მოსახლეობის ქალაქი, მაგალითად სიდნეი, 10 წლის განმავლობაში წყლით მომარაგდეს.

# მონეტების დივანი „Butterfly Coin Chair“



**ავეჯის ახალგაზრდა დიზაინერმა ჯონი სვინგმა უკვე არაერთი უცნაური ნივთი შექმნა, მაგრამ მონეტების დივანი მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. უჩვეულო ავეჯის შესაქმნელად ავტორს რამდენიმე ათასი 50-ცენტიანი მონეტა დასჭირდა. ამიტომ დივანი არა მხოლოდ ძალზე მოსახერხებელი, ლამაზი და ორიგინალური, არამედ საკმაოდ ძვირადღირებულიც გამოვიდა.**

დიზაინერის აღნიშნული პროექტი შეიძლება საკმაოდ სარისკოდაც ჩაითვალოს — მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ფულის თვითნებურად განადგურება კანონით ისჯება.

ვინაიდან დივანს პეპლის ფორმა აქვს, სახელიც შესაბამისი ეწოდა, ათასობით მონეტისგან სასურველი ფორმის კონსტრუქციის მისაღებად კი ავტორს შვიდი ათასამდე შედუღების ხელით განხორციელება მოუხდა. რაც შეეხება წონას, ხელოვნების ეს ნიმუში 26 კილოგრამზე მეტს იწონის და, როგორც ზოგიერთი წყარო იტყობინება, ავტორი მის გაყიდვას 29 ათას დოლარად აპირებს.



# მიწისქვეშა ოფისი

**შვედები მსოფლიოს კვლავ აოცებენ ორიგინალური და უცნაური იდეებით. ამჯერად ადგილობრივმა ინტერნეტ-პროვაიდერმა „Bahnhof Office“-მ საოფისე ფართად სტოკჰოლმის თავშესაფარი აირჩია.**

ბომბებისგან თავის დასაცავი ბუნკერი მიწაში 30 მეტრის სიღრმეზეა განთავსებული. პროექტის ავტორი არქიტექტურული სტუდია „Albert France-Lanord Architects“-ია. პროექტმა ნამდვილად გაამართლა, სტოკჰოლმის „Vita Berg Park“-ის ქვეშ მდებარე გრანიტის გამოქვაბულებში პროვაიდერის ოფისები და სერვერები არა მხოლოდ დაცულ, არამედ კომფორტულ გარემოშიც არის განლაგებული.





# მაცივრების სასახლე

**გერმანელმა მხატვარმა რალფ შმერბერგმა ჰამბურგის ცენტრში სასახლე მაცივრებისგან ააშენა. ნაგებობა სიმაღლეში 5,6 მეტრს აღწევს, დიამეტრით კი 11 მეტრია. ნაგებობის შესაქმნელად სულ 322 ძველი მაცივარი და 1718 მეტრი სადენი დაიხარჯა.**



მხატვარს იდეა შემთხვევით არ მოსვლია და მის განსახორციელებლად ჰამბურგის ცენტრიც შემთხვევით არ შეურჩევია. მაცივრების სასახლით მას ელექტროენერგიის უკონტროლოდ ხარჯვის გაპროტესტება სურდა. ამიტომ მაცივრების ნაგებობის გვერდით მან უზარმაზარი ელექტრომრიცხველი დაამონტაჟა და ყველას აჩვენა, რამდენ ელექტროენერგიას ანადგურებს 322 ძველი მაცივარი.





# ყველაზე ხანდაზმული დედა





**მიუხედავად იმისა, რომ ელიზა ახლა უკვე ხუთი წლისაა, 72 წლის ადრიანა ილიესკუ ამ დრომდე ითვლება მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულ დედად. რუმინელმა ადრიანამ ელიზა 66 წლის ასაკში გააჩინა და მას შემდეგ მსოფლიოში მსგავსი შემთხვევა ჯერ არ დაფიქსირებულა.** ქალი 24 წლის იყო, როდესაც ქმარს გაეყარა და ამ დრომდეც მარტო ცხოვრობს. იგი რუმინული ლიტერატურის მასწავლებელი და რამდენიმე წიგნის ავტორია. 66 წლის ასაკში ქალმა გადაწყვიტა, ხელოვნური განაყოფიერების გზით შვილი გაეჩინა და ასეც მოიქცა. ახლა ადრიანა თავს უბედნიერეს ქალად და დედად მიიჩნევს და ასაკი ამ ბედნიერების განცდაში ოდნავაც არ უშლის ხელს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე გრძელი მეტრო მსოფლიოში

**ერთი წლის წინათ, უფრო ზუსტად კი 09.09.09-ს, დუბაიში ექსპლოატაციაში გაიშვა მეტროს პირველი განშტოება, რომელიც ამ დრომდე მსოფლიოში ყველაზე გრძელ ავტომატიზირებულ სალიანდაგო სისტემად რჩება. გარდა ამისა, ეს მეტროპოლიტენი მთელს სპარსეთის ყურეში პირველია.**



მშენებლობა 2005 წლის ბოლოს დაიწყო, რამდენიმე მიმართულების მშენებლობა ამ დრომდეც გრძელდება. დღეისთვის უკვე მუშაობს 26 სადგური, გზის სიგრძე კი 52 კილომეტრს აღემატება.

პროექტი სულ ოთხ განშტოებას მოიცავს, მათგან ორი თითქმის დასრულებულია. ოთხივე განშტოების საერთო სიგრძე 172 კილომეტრს შეადგენს.

მშენებლობის დასრულების შემდეგ პროექტზე საერთო ჯამში 8 მილიარდამდე დოლარი დაიხარჯა.

სადგურების დიზაინი პროექტის კონცეფციას შეესაბამება. ეს კონცეფცია კი მთლიანად აგებულია ოთხი სტიქიის — მიწის, წყლის, ცეცხლისა და ჰაერის თემატიკაზე.

მეტროს ჩვეულებრივი სადგური, როგორც წესი, 2-3-სართულიან ნაგებობას წარმოადგენს. მასში სართულების მიხედვითაა განლაგებული შესასვლელი, ვესტიბიული სალაროებით და პლატფორმები.

აღსანიშნავია, რომ სარკინიგზო ხაზი მეტროს პლატფორმებზე დახურულია და შიგნით შესვლა მხოლოდ იმ კარის საშუალებითაა შესაძლებელი, რომლებიც მატარებლის ჩამოდგომის შემდეგ მის კარებთან ერთად სინქრონულად იღება და იკეტება. ამით დუბაიში ლიანდაგებზე ჩავარდნისგან აბსოლუტურად დაცულნი არიან როგორც ადამიანები, ასევე ცხოველები. გამორიცხულია ლიანდაგებზე ნაგვის ჩაყრაც.

უკლებლივ ყველა სადგურსა და მატარებელში დაცულია ჰაერის მუდმივი ტემპერატურა, რომელიც +20 გრადუსს არასდროს სცილდება.

მატარებლები ავტომატურად მოძრაობენ და დისტანციური აპარატურით იმართებიან. ამიტომ, დუბაის მეტროში ყველა მგზავრის უსაყვარლესი ადგილი მატარებლის წინა საქარე მინასთან მდგომი სავარძლებია, საიდანაც ქალაქის არაჩვეულებრივი ხედებით ტკბობაა შესაძლებელი.







# მკურნალობის ყველაზე სულელური მეთოდები

### ცხელ ქვიშაში ჩამარხვა და მორწყვა

**მსოფლიოს უამრავი ქვეყნის სამედიცინო გამოცდილების შესწავლის შედეგად, მედიცინის ყველაზე სულელური მიღწევების კატეგორიაში საპატიო ადგილი უძველესმა შუამდინარეთმა დაიკავა. იქ ყველაფერს ერთადერთი საშუალებით — ადამიანის ცხელ ქვიშაში ყელამდე ჩამარხვით მკურნალობდნენ.** ამგვარად დამარხულ ავადმყოფს ცხვირის წვერზე წყალს ასხამდნენ, მაგრამ რატომ მაინც და მაინც ცხვირზე, არც მაშინ იცოდა ვინმემ და არც ახლაა ცნობილი. სავარაუდოდ, შუამდინარეთში სხეულის უმთავრეს წერტილად სწორედ ცხვირის წვერს მიიჩნევდნენ. ახლა იმის თქმაც ძნელია, თუ რამდენად ეფექტური იყო მკურნალობის აღნიშნული მეთოდი, მაგრამ ყველა დაავადებისთვის რომ ვერ გამოდგებოდა, ცხადია.

### თავდაყირა დაკიდება

**მკურნალობის ამ უნიკალური მეთოდის მიხედვით, ავადმყოფი ყვავილოვან ლიანებზე თავდაყირა უნდა დაკიდულიყო, ოღონდ „წამალი" მხოლოდ იმ შემთხვევაში რგებდა, თუ ჰორიზონტზე ახალი მთვარის ამოსვლა იწყებოდა. ამიტომ ინდოეთში საბრალო ავადმყოფები ახალმთვარეობამდე „უწამლოდ" იტანჯებოდა.** მათ კი, ვისაც მაინც გაუმართლებდა და თავდაყირა დაკიდებამდე იცოცხლებდა, პროცედურისას სპეციალურ ლექსებს უკითხავდნენ და კრიალოსანს უჩხრიალებდნენ. როგორც ამბობენ, ეს მეთოდი წარმოუდგენელ ეფექტს ახდენს ხერხემლის დაავადებების დროს, მაგრამ აბსოლუტურად გაუგებარია, როგორ უნდა აძვრეს ლიანაზე ასეთი ავადმყოფი და როგორ უნდა მოახერხოს თავდაყირა დაკიდებაა.

### გაუნძრევლად წოლა

**ტაიტში ორთოდოქსული სკოლის მკურნალები ირწმუნებოდნენ, რომ, თუ ადამიანს რაიმე აწუხებს, 48 საათის განმავლობაში აბსოლუტურად გაუნძრევლად უნდა იწვეს და მკერდზე წყლით სავსე ჭიქა ედგას.** მზის მეორედ ამოსვლის შემდეგ უკლებლივ ყველა ავადმყოფობა, მათ შორის გონების დაბინდვებიც, ამ წყალს გადაეცემა და პაციენტი აბსოლუტურად განკურნებული წამოფრინდება 48-საათიანი სამარიდან.

### ყვავი, აბლაბუდა და გუდასტვირი

**ცუდ მწერებთან მებრძოლი ექიმები აბსოლუტურად განცალკევებული სპეციალობის წარმომადგენლები იყვნენ.** მათი რეცეპტის შესაბამისად, თუ რომელიმე მწერი თავს დაგესხათ, დაუყოვნებლივ დაიჭირეთ ყვავი, დასვით თავცეცხლას ფოთლებთან, გარშემო მოიქსოვეთ აბლაბუდა ისე, რომ ყველა მიმართულებით 3-3 თოკი იყოს გადაჭიმული და სასწრაფოდ დაუძახეთ ვინმეს, ვინც გუდასტვირზე დაკვრა იცის. ამ უებარი მეთოდით ავადმყოფებს ძველი შოტლანდიელები მკურნალობდნენ.

### მაიმუნების ქეიფანა

**როდეზიაში ავადმყოფებს 20 მაიმუნთან ერთად სამი დღით აბსოლუტურ სიბნელეში გამოკეტავდნენ** და ერთადერთი, რის უფლებასაც აძლევდნენ, დღეში სამი ცალი შაქრის ლერწმის მირთმევითა და ერთი ჭიქა წყლის დალევით შემოიფარგლებოდა. ცხადია, ბევრი არ დაიჯერებს, მაგრამ **ეს მეთოდი თურმე ყველანაირ დაავადებას სამუდამოდ აქრობს.**



### გამწარებული ფუტკრის ნაკბენი

**ჩინეთში ნებისმიერ დაავადებულს ექიმი ორი კვირის მანძილზე გაუნძრევლად ჯდომასა და ლოცვების კითხვას ურჩევდა. ავსტრალიელი აბორიგენები გაუნძრევლად იდგნენ ხოლმე ხის ვარჯთან, რომელზეც ფუტკრების სკა იყო. მაგრამ ყველაზე ცნობილი მაინც კლეოპატრას თაფლის თერაპია გახდა.** ამ მეთოდის მიხედვით, ავადმყოფი ჯერ საფუძვლიანად უნდა დაეკბინათ ფუტკრებს, რისთვისაც მათ სპეციალურად აბრაზებდნენ. შემდეგ ავადმყოფს ნაკბენებზე თაფლს წაუსვამდნენ. მართალია, ამ მეთოდის მოქმედების მექანიზმი ცოტა ბუნდოვნად გამოიყურება, მაგრამ ცნობილია, რომ კლეოპატრა ავად სერიოზულად არასდროს გამხდარა.

### არწივის ბრჭყალი და კუს ბაკანი

**ნავაჰოს ინდიელების უძველესი სამკურნალო მეთოდი კბილისა და მუცლის ტკივილის, ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემების, დამწვრობებისა და სერიოზული ჭრილობების სამკურნალოდ გამოიყენებოდა.** მეთოდი შემდეგნაირია: შუაღამისას, როდესაც მთვარე არ ჩანს, ავადმყოფი უნდა ავიდეს მთაზე და დადგეს პირით აღმოსავლეთისკენ. ჯერ საკუთარ ცხვირზე უნდა მოიკიდოს ხელი, შემდეგ — მარჯვენა და მარცხენა ყურზე. მთავარი ამის შემდეგ იწყებოდა — არწივის ბრჭყალის, კუს ბაკნისა და ასწლოვანი ფიჭვის ქერქის ფხვნილებისგან დამზადებული ნაყენი უნდა დაელია. თუ ამის შემდეგ ავადმყოფი მოზვერივით არ დაიწყებდა ხტუნვას, ე. ი. კუ მთლად ახალი არ იყო და ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო.

### შხამიანი სოკოს ნაყენი

ეს იმდენად ეფექტურ სამკურნალო საშუალებად არ ითვლებოდა, რამდენადაც პროფილაქტიკის დანიშნულება ჰქონდა. **იმისთვის, რომ რაიმე სერიოზული სნეულება არ დამართოდა, ჯერ კიდევ ჯანმრთელ ადამიანებს შხამიანი კენკრისა და სოკოსაგან დამზადებულ ნაყენს ასმევდნენ.** როდესაც თანამედროვე ექიმებმა ამ ნაყენის რეცეპტი გაიგეს, თავზარი დაეცათ. დღეს ამგვარი ნივთიერებების ამგვარი ნაზავის ამგვარი დოზით მიღება სასიკვდილო განაჩენის ტოლფასია.

# მინიატურული «ვიქტორია»

**უკანასკნელი 17 წლის მანძილზე ინგლისელი მოქანდაკე იან ბრენანი მთლიანი მორისგან ლეგენდარული იალქნიანი გემის — „ვიქტორიას" მინიატურული ასლის გამოკვეთით იყო დაკავებული. თავის საყვარელ ნაშრომს საერთო ჯამში ხელოვანმა 5 ათასი საათი დაუთმო. სამაგიეროდ, მინიატურული ასლი ორიგინალს უწვრილეს დეტალებამდე იმეორებს.**

შეგახსენებთ, „ვიქტორია" 1765 წელს ააგეს და ის ადმირალ ნელსონის ფლაგმანი იყო ტრაფალგარის ბრძოლაში. სამგემბანიან იალქნიან გემებს შორის ის ყველაზე სახელგანთქმულია და, რაც მთავარია, უცვლელი სახით მოაღწია დღემდე.







გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## გამორთეთ მობილურები



**ინდონეზიის პოლიციას დიდი თავსატეხი გაუჩნდა. პაპუას პროვინციაში მასშტაბური არეულობის შემდეგ წესრიგის დამყარება ვერა და ვერ მოხერხდა. არეულობის მიზეზი კი, არც მეტი, არც ნაკლები, მობილური ტელეფონის ზარი გახდა.**

საქმე ისაა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევები პაპუასების ერთ-ერთი ტომისთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. ტომთა შორის არეულობის პროვოცირების ბრალდებით პოლიციამ უკვე სამი ადამიანი დააკავა. მათ ბრალი დასდეს იმ მელოდიის შექმნისათვის, რომელმაც მთელი ეს ალიაქოთი გამოიწვია.

გამოძიების მონაცემებით, ტომებს შორის კონფლიქტი შეიარაღებულ თვდასხმამდე მივიდა. ერთი ჯგუფის წევრის მობილურის ზარმა მეორე ჯგუფის წარმომადგენლები შეურაცხყო; თანაც შეურაცხყოფამ ზებუნებრივი ძალით იმოქმედა — ტომელებმა არც აციეს, არც აცხელეს, ცივი იარაღი და მშვილდ-ისრები მოიმარჯვეს და პაპუას დედაქალაქ ჯაიაპურს თავს დაესხნენ.

მეამბოხეებმა 23 სახლი და 12 ავტომობილი დაწვეს, 56 ნაგებობას კი სერიოზული ზიანი მიაყენეს. საბედნიეროდ, პოლიცია დროზე ჩაერთო საქმეში და კონფლიქტის შედეგად სერიოზულად არავინ დაზარალებულა.

## მაგნიტური საცვლები



**თეთრეულის მწარმოებელმა ფრანგულმა ფირმამ „Lingerie Demen“-მა საზოგადოებას მაგნიტიანი ქალის თეთრეული წარუდგინა.**

ფრანგი დიზაინერების მიერ დამზადებულ ქალის თეთრეულს პატარა, მაგრამ ძლიერი, მაგნიტები აქვს, რომელთა გახსნაც სირთულეს არ წარმოადგენს. ასეთი „ტექნოლოგიური თეთრეულისთვის“ მყიდველებს მინიმუმ 200 დოლარის გადახდა მოუწევთ. სამაგიეროდ, საჭირო აღარ იქნება ბიუსტჰალტერების ურთულეს შესაკრავებთან გამკლავების ინსტრუქციები. სტილისტი სემ საბური მიიჩნევს, რომ შეყვარებული მამაკაცებისთვის ამგვარი საცვლების ყიდვა მეორე ნახევრისთვის სასარგებლო კაპიტალდაბანდება იქნება.

## ყველაზე ძვირადღირებული ღვინის ბოთლი



**Christie-ს სახლმა ჟენევაში ღვინის აუქციონი გამართა. აუქციონის ტოპ-ლოტი ღვინის ექვსლიტრიანი ბოთლი (Chateau Cheval-Blanc) იყო.** ანონიმმა კოლექციონერმა ლოტი 304375 დოლარად შეიძინა. 1947 წლის მოსავლის ღვინის საწყისი ფასი 250 ათასი დოლარი იყო. აუქციონის ორგანიზატორთა თქმით, ეს ყველაზე ძვირადღირებული ღვინის ბოთლია, რაც კი ოდესმე აუციონზე გაყიდულა.

მათივე განცხადებით, ლოტი „იმპერიალის“ ფორმატში ჩამოსხმული ერთადერთი 6-ლიტრიანი ბორდო იყო. სომელიემ, რომელმაც Chateau Cheval-Blanc-ი გასინჯა, აღნიშნა, რომ ეს საუკეთესო ღვინოა, რომელსაც ბორდოს მეღვინეები აწარმოებენ.

# მსოფლიო ტერორიზმის ებრაულ-ქართული ფესვები

**სულ ცოტა ხნის წინათ თურქეთი ისრაელის ერთ-ერთ უახლოეს მოკავშირედ და პარტნიორად ითვლებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ ახლო აღმოსავლეთის საზღვრების მიწევ-მოწევის შესახებ ისრაელ-ამერიკის გეგმების თაობაზე შეიტყო, ყველაფერი შეიცვალა. ამ გეგმების თანახმად, დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნა ერაყის, თურქეთისა და ირანის ტერიტორიებზე უნდა განხორციელებულიყო.**



ანკარის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები შეიცვალა. თურქეთმა უფრო აქტიური თანამშრომლობა დაიწყო რუსეთთან. მაგრამ მთავარია, რომ ახლებური ურთიერთობების აწყობა დაიწყო მუსლიმან მეზობლებთან, უპირველეს ყოვლისა კი, ძველ მეტოქესთან რეგიონალური ლიდერობის საკითხში, ირანთან. **ახლა ანკარა თეირანს გახსნილად სთავაზობს, ერთად დაიცვან ახლო აღმოსავლეთში ისლამური სამყაროს ინტერესები. არავინ ელოდა, რომ თურქეთის ხელმძღვანელობის ანტისიონისტური რიტორიკის ფონზე ეს ქმედებები თელ-ავივის მხრიდან უპასუხოდ დარჩებოდა. საპასუხო ნაბიჯებსაც არ დაუგვიანია.**

გასულ ზაფხულს თურქეთის ჯარმა ქურთი ტერორისტების წინააღმდეგ სპეცოპერაცია განახორციელა და, სხვადასხვა მონაცემებით, 13-დან 25-მდე ბოევიკი გაანადგურა. **თურქი სამხედროები ამგვარ ქმედებებს რეგულარულად ახორციელებენ და ამაში ახალი არაფერია, მაგრამ აღნიშნული ოპერაციისას მომხდარზე მსოფლიო მასმედია ალაპარაკდა. საქმე ისაა, რომ თითქმის ყველა მოკლულ ქურთ ბოევიკს ისრაელის წარმოებული იარაღი აღმოაჩნდა.**

თურქეთის სპეცსამსახურების ოპერატიული წყაროები ადასტურებდნენ, რომ ქურთი ტერორისტების დაჯგუფებებმა ისრაელისგან იარაღის დიდი პარტიები მიიღეს და ანკარაში ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს თელ-ავივის მიერ სანქცირებული მიწოდება იყო. **უფრო მეტიც, ისრაელის სამსახურების მიზანი მხოლოდ ტერორისტთა შეიარაღება რომ ყოფილიყო, „შავ“ ბაზარზე მათთვის ჩინურ, ეგვიპტურ, რუმინულ ან გერმანულ იარაღს იყიდდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ისრაელს სურდა, თურქებისთვის მათი ახალი ახლოაღმოსავლური პოლიტიკის შედეგები დაენახვებინა.**

რაც შეეხება იარაღის მიწოდების მარშრუტებს, იმავე ოპერატიული მონაცემებით, ეს ამიერკავკასიიდან ხდებოდა. ამიერკავკასიიდან, სადაც სომხეთი მთელი ძალით ცდილობს, სამხრეთელ მეზობელთან ურთიერთობები მოაგვაროს და ყველაზე ნაკლებადაა დაინტერესებული რეგიონში კონფლიქტით. აზერბაიჯანი კიდევ უფრო ნაკლებსავარაუდო არხია, და არა მხოლოდ თურქებთან ეთნიკური ნათესაობის გამო. ამ ქვეყანაში თურქეთის გავლენა იმდენად დიდია, რომ მასმედიამ უკვე ანტისიონისტური მასალების პუბლიკაცია დაიწყო.

**ცხადია, იარაღი საქართველოდან მოდიოდა. იქ ისრაელელები ამერიკელებზე არანაკლებ ბატონობენ. საქართველოს სპეცსამსახურები მთლიანად ისრაელის გავლენის ქვეშაა, ქართველ სამხედროებს ისრაელელი ინსტრუქტორები ასწავლიან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მას შემდეგ, რაც ანკარა საქართველოზე, როგორც არშემდგარ სახელმწიფოზე ალაპარაკდა და რუსეთთან მისი გავლენის სფეროებად გაყოფაზე მზადყოფა გამოაცხადა, საქართველოს, მსუბუქად რომ ვთქვათ, თურქები გულზე აღარ ეხატება. მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, თელ-ავივიდან „უფროსი ამხანაგების“ ბრძანებებს იქ ნებისმიერ შემთხვევაში ასრულებენ.**

ამრიგად, საქართველო არა მხოლოდ ჩრდილოკავკასიელ, არამედ ქურთ ტერორისტებსაც ეხმარება და, შესაბამისად, საერთაშორისო ტერორიზმის იმ ნამდვილ ბაზად იქცა, რომელიც რეგიონში უსაფრთხოებისთვის საშიშროებას წარმოადგენს.

*segodnia.ru*

# ევროზონა — დასასრულის დასაწყისი




**ევროკავშირის წევრები ღრმა მწუხარებაში ჩაიძირნენ. ევროკავშირის პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი არც კი მალავს, რომ გაერთიანება დაშლის პირასაა, ვინაიდან ზოგიერთი სახელმწიფო სავალე კრიზისის დაძლევის უუნარობის გამო ევროზონის დატოვებას აპირებს. ერთიანი ევროპული ვალუტის დასამარება კი მთელი ევროკავშირის აღსასრულის ტოლფასი იქნება.**



*„ჩვენ ყველამ უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ ევროზონა გადარჩეს, ვინაიდან, თუ ევროზონა დაიშლება, დაიშლება მთელი ევროკავშირიც,* — განაცხადა ევროკავშირის მეთაურმა ბრიუსელში ევროპის ქვეყნების ფინანსთა მინისტრების შეხვედრის წინ და დასძინა, — დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამას გადავიტანთ“.

**ორიოდე დღით ადრე პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლუიშ ამადეუმ განაცხადა, რომ ლისაბონმა, შესაძლოა, ევროზონა დატოვოს და ეროვნულ ვალუტას დაუბრუნდეს. მიზეზი ქვეყნის ეკონომიკური და შიდა პოლიტიკური კრიზისია, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს სერიოზული საპარლამენტო კრიზისი.**

ევროპის სტრატეგიული სააგენტოს მონაცემებით, პორტუგალიის ბიუჯეტის დეფიციტი საერთო შიდა პროდუქტის 9,3%-ს, სახელმწიფო ვალი კი — 76%-ს შეადგენს. რაც შეეხება შიდა პოლიტიკურ კრიზისს, სახელმწიფოს მთავარი პრობლემა ისაა, რომ ხელისუფლება ოპოზიციასთან იმ ბიუჯეტის შეთანხმებას ვერ ახერხებს, რომელშიც, ევროკავშირის მოთხოვნის თანახმად, სახელმწიფოს დანახარჯები მკვეთრად უნდა შემცირდეს.

თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, პორტუგალიას ევროზონის დატოვება მოუწევს. მართალია, მთავრობის მეთაური ჟოზე სოკრატეში საზოგადოების დამშვიდებას შეეცადა და ამგვარი პესიმისტური პროგნოზები ოპოზიციას მიაწერა, მაგრამ ოპოზიცია არაფერ შუაშია.

**როგორც ექსპერტები ამბობენ, ევროკავშირიდან ვერც ერთი ქვეყანა ვერ გავა, ოღონდ სულ სხვა მიზეზით — ამგვარი ქმედების მექანიზმი ცნობილი არაა. ასევე არაა ცნობილი, როგორ გადაცვლიან ყოფილი ევროზონის ქვეყნები ნაციონალურ ვალუტას ევროზე. გასვლა არც გასვლის კანდიდატებს აწყობთ და არც თავად ევროკავშირს, რომელიც ყველანაირად შეეცდება, თავისი სუსტი რგოლი განსაცდელისგან იხსნას.**

ამიტომ ევროკავშირის ქვეყნების ფინანსთა მინისტრების შეხვედრაზე მთავარი თემა სწორედ ეკონომიკურად არასასურველი მდგომარეობიდან გამოსავლის ძიება იყო. **პორტუგალიის გარდა, დახმარებას ირლანდიაც ითხოვს. როგორც ანალიტიკოსები ამბობენ, დახმარების მოცულობა, სავარაუდოდ, 45-80 მილიარდი ევრო იქნება.**

რაც შეეხება საბერძნეთს, რომელმაც 110 მილიარდი ევრო ჩაიგდო ხელთ, ათენში, უკვე რა ხანია, აცხადებენ, რომ შესაძლოა, კრედიტები დროულად ვერ დაიფაროს.

**მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ქვეყნების მხარდასაჭერად 440-მილიარდიანი ფონდი შეიქმნა, პრაქტიკა ადასტურებს, რომ იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ და უდიდეს ეკონომიკურ კრიზისს განიცდიან, მხოლოდ იზრდება. საბერძნეთის, პორტუგალიისა და ირლანდიის შემდეგ რიგში იტალია და ესპანეთი დგანან.**

ამ აუტსაიდერების გარდა, ევროზონას 2011 წლის პირველი იანვრიდან ახალი თავის ტკივილი დაემატება — მას შეუერთდება ესტონეთი, რომელიც ეკონომიკური წარმატებებით, კარგა ხანია, ველარ ბრწყინავს.

*segodnia.ru*

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ამერიკელი ფსიქიატრები ადამიანებს ასახიჩრებენ

**იმის თაობაზე, რომ აშშ ფსიქიატრიული ავადმყოფების რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზეა, არაერთხელ დაწერილა. ეს სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სოციოკულტურულ ბაზისს, რომელსაც ამერიკული კულტურის საფუძვლები ეყრდნობა. მაგრამ ფსიქიური გადახრების მქონე ადამიანების რაოდენობის ზრდაში არც თუ მცირე წვლილი შემოსავალს გამოდევნებულმა თავად ამერიკულმა ფსიქიატრიამაც შეიტანა.**



ზოგიერთი ფსიქიატრი ირწმუნება, რომ მსოფლიოში 1 მილიარდ ადამიანს ფსიქიური გადახრები აქვს და შესაბამისად, სპეციალისტის დახმარებას საჭიროებს. ამ მილიარდის არც თუ მცირე ნაწილი თავად აშშ-ში ცხოვრობს. **მხოლოდ ამერიკელი მოსწავლეებიდან 17 მილიონი მოზარდი რეგულარულად სვამს ანტიდეპრესანტებს.**

დეპრესია ამერიკის ცხოვრების წესის აუცილებელი ატრიბუტია და ფსიქიატრებსაც ჯიბის გასქელების მშვენიერი შანსი აქვთ.

გახმაურებული წიგნის „სიგიჟე ამერიკაში" ავტორი რობერტ უიტაკერი წერს, ხშირად ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ჯანმრთელი ადამიანები არიან გამოკეტილნი და ამის მიზეზი ფსიქიატრების მიერ მეტი გასამრჯელოს მიღების სურვილიაო. **უკანასკნელი 40 წლის მანძილზე ამერიკის ფსიქიატრიულ დაწესებულებებში უფრო მეტი ამერიკელი მოკვდა, ვიდრე 1776 წლიდან მოყოლებულ ყველა იმ ომში ერთად, რომლებშიც აშშ მონაწილეობდა.**

ფსიქიატრია, როგორც მეცნიერება, ინგლისში წარმოიშვა და იქვე გაჩნდა ციხის მსგავსი პირველი საავადმყოფო ბედლამიც. ახლა ეს უკვე ზოგადი სახელია ამგვარი დაწესებულებებისთვის. **ბედლამი ექიმების მიერ გიჟად მიჩნეულების ნამდვილ საწყობად იქცა. და ვინაიდან იმხანად მეცნიერებას ცოდნისა და გამოცდილების დიდი მარაგი არ გააჩნდა, გიჟად ძალიან ხშირად აბსოლუტურად ნორმალურ ადამიანებსაც აცხადებდნენ. ბედლამში პაციენტებისადმი მოპყრობა გულისხმიერებით ცალსახად არ გამოირჩეოდა — მათ სცემდნენ, ყინულიან წყალში აყურყუმალავებდნენ, სკამზე აბამდნენ და ზომიერ ფასად საზოგადოებას მათი ნახვის საშუალებასაც აძლევდნენ.**

ჩვენი თანამედროვე, ექიმი ტაი კობერტი ირწმუნება, რომ ფსიქოდაავადებების ბიოლოგიურ ხასიათზე მხოლოდ ფულის მიღების გამო ალაპარაკდნენ.

**1812 წელს ჯეიმს რაში, ამერიკული ფსიქიატრიის მამა, თავის საბრალო ავადმყოფებზე მიღებულ გამოცდილებას აღწერდა. მან ეს ავადმყოფები განკურნების ნაცვლად სამუდამოდ დაასახიჩრა.**

მედიცინის ისტორიის ცენტრის დირექტორის მოადგილის ჯოზეფ მელინგას განცხადებით, **„1860-1870 წლებში ფსიქიატრების ხელში მოხვედრილი თეთრკანიანების განკურნების შემთხვევა არ დაფიქსირებულა"** და როგორც ევროპაში, ასევე ჩრდილოეთ ამერიკაში ფსიქიატრიისადმი პესიმისტურმა დამოკიდებულებამ იმძლავრა.

ამ დროს მედიცინის სცენაზე ჰენრი კოტონი გამოჩნდა და „ფსიქიატრიულ სასწაულზე" კვლავ ალაპარაკდნენ. მაგრამ **კოტონის „სასწაული" გესტაპოს მეთოდებისგან არაფრით განსხვავდებოდა. მან ფსიქიატრიული გადახრების მკურნალობის მთავარ მეთოდად ამპუტაცია გამოაცხადა და პაციენტებს აჭრიდა ყველაფერს, რისი მოჭრა და ამოჭრაც აზრად მოსდიოდა.** ამის გამო პროფესორი ტომას საში წიგნში „მითი გონებრივ დაავადებებზე" აცხადებს, რომ „ფსიქიატრიის ისტორია პაციენტისთვის ზიანის მიყენების ისტორიაა".

**ამერიკული ფსიქიატრია მჭიდრო კავშირშია ნაცისტების მიერ პოპულარიზებულ რასისტულ მეცნიერება ევგენიკასთან. ევგენიკის მიღწევები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ადოლფ ჰიტლერზე, რომელმაც თავის ბიბლიად ამერიკელი ევგენიკელის, მედისონ გრანტის შრომა „დიდებული რასის წასვლა" გამოაცხადა.**

გერმანელმა ევგენიკელებმა დიდად გაიხარეს ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლით და 1933 წელს ესესელთა ჯარებში უკვე გერმანელ ფსიქიატრთა 40% მსახურობდა. **როდესაც 1946 წელს ისინი პასუხისგებაში მისცეს ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეებზე ცდების ჩატარების გამო, მათ ამერიკელი ფსიქიატრები გადაეფარნენ!**

ამგვარი გამოსარჩლებით სასამართლოს გადარჩენილი უამრავი ევგენიკოსი ამერიკაში გადასახლდა და ამა თუ იმ რასის სრულყოფილების დასადგენად ექსპერიმენტებიც იქ გაგრძელდა. **ამერიკისთვის ეს აბსოლუტურად შესაფერისი კვლევები იყო: ჯერ კიდევ 1830-იანი წლებიდან ხომ თავად ამერიკელი ფსიქიატრები ცდილობდნენ შავკანიანი მოსახლეობის გონებრივი არასრულფასოვნების დამტკიცებას.** მაშინ ჯეიმს რაშმა „ზანგობა" სამედიცინო ტერმინად აქცია და ყველა ზანგი მემკვიდრეობით არასრულფასოვნად ჩაითვალა. მან შავკანიანობა კეთრს გაუთანაბრა და მათი სეგრეგაცია სამედიცინო აუცილებლობით გაამართლა. **იმავე პერიოდში სემუელ კარტრაიტმა, ლუიზიანის სამედიცინო ასოციაციის წევრმა, კიდევ ერთი ტერმინი — დრაპეტომანია დაამკვიდრა. ეს სიტყვა ნიშნავდა, რომ, თუ შავკანიანი მონა ბატონს გაექცა, ის შეურაცხადია. ამ „ავადმყოფებისთვის" მკურნალობად გაროზგვა და ფეხის თითების დაჭრა ითვლებოდა.**

**ძალადობის ცენტრის ხელმძღვანელი, ფსიქიატრი უესტი აფრო და ლათინოამერიკელი მამაკაცების ტვინში ელექტროდების ჩადგმის იდეამ შეიპყრო** და ირწმუნებოდა, რომ მათი აგრესიული ქმედება პირდაპირ ტვინზე დენის დარტყმით თავიდან იქნებოდა აცილებული. **თუ ეს არ უშველიდა, უესტს ქიმიური კასტრაციის გეგმაც მზად ჰქონდა.**

მადლობა ღმერთს, საზოგადოება ამ მხეცურმა გეგმებმა იმდენად აღაშფოთა, რომ უესტს მათ განხორციელებაზე უარის თქმა მოუხდა.

ფსიქიატრიის „განვითარებაში" თავიანთი წვლილი შეიტანეს მეცნიერმა-ბიჰევიორისტებმაც. მათი კრედო გამოიხატებოდა ფორმულით, რომლის თანახმადაც ფსიქოლოგიის საგანი ქცევაა და არა ცნობიერება. **ვილჰელმ ვუნდტმა, იმხანად ცნობილმა ბიჰევიორისტმა ადამიანი პასიურ ცხოველად, აზროვნება კი — ტვინის ქიმიურ რეაქციად გამოაცხადა. იმავე მიმდინარეობის თაყვანისმცემელმა ფსიქიატრმა სკინერმა შექმნა „სკინერის ყუთი", რომელშიც ტემპერატურიდან განათებამდე ყველაფერი რეგულირდებოდა. ერთ წელზე მეტ ხანს სკინერს ამ ყუთში საკუთარი ქალიშვილი ჰყავდა გამომწყვდეული და, როგორც საცდელ ცხოველს, გარეგან სტიმულებზე რეაგირებას აიძულებდა.**

1948 წლიდან ამერიკულმა ფსიქიატრიამ ბიუჯეტიდან 19 მილიარდი დოლარი მიიღო, ახლა მას ყოველწლიურად 40 მილიონი აქვს, მაგრამ ჯეიმს რაშისა და ბედლანის მეთოდები ამ დრომდეც ძალაში რჩება. **მაგალითად, სამართალდამრღვევთა სკოლა-ინტერნატებში მიმდინარე „ავარსიული თერაპია" სხვა არაფერი იყო, თუ არა ფიზიკური ზემოქმედების ექსპერიმენტები. სხეულზე მიმაგრებული სადენებით ახალგაზრდა დამნაშავეებს 270-ვოლტიან დარტყმებს აყენებდნენ, ვინც სადენების მოშორებას შეეცდებოდა, დამატებით კიდევ ერთი დარტყმით ისჯებოდა.**

ამავე სასჯელს იმსახურებდა ყველა, ვინც დარტყმის მოლოდინში წინასწარ ყვიროდა.

**ფრიმენი, რომელიც ლობოტომიის მეთოდის გამოგონებითაა ცნობილი, ირწმუნება, რომ ამით ფსიქიურ დაავადებებს კურნავს. თუ ფრიმენამდე ლობოტომია თავის ქალაში ნახვრეტების გაკეთებას ნიშნავდა, ახალი მეთოდით პაციენტებს გახვრეტის გარეშე, პირდაპირ წარბქვეშ ურჭობდნენ სადგისს, რომლითაც ფრიმენი მის ტვინში დაძვრებოდა.**

როდესაც ერთ-ერთი პაციენტის გარდაცვალების გამო ფრიმენს ექიმის ლიცენზია ჩამოართვეს, მას 3500-ზე მეტი ამგვარი ოპერაცია ჰქონდა ჩატარებული. მისივე აღიარებით, ამ 3500-დან მეოთხედმა ადამიანის სახე დაკარგა.

კაპიტალიზმის მთავარი დევიზი ყველაფრისგან ფულის კეთებაა. ვაშინგტონი ფულს მედიცინითაც აკეთებს და ხშირად — სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეების ხარჯზე, მაგრამ არც თუ იშვიათად მსხვერპლნი თავად ამერიკელებიც ხდებიან.

*segodnia.ru*

## როკფელერების ხოჭოები




**მილიარდერები არა მხოლოდ იახტებით, დოლის ცხენებით, ანტიკვარული ნივთებითა და ძვირადღირებული ავტომობილებით ინტერესდებიან, არამედ ზოგჯერ მათი ჰობი მეტად უცნაურია.**

როკფელერების კლანის ცნობილი წარმომადგენელი დევიდი ხოჭოების კოლექციონერი ყოფილა. როდესაც სამოგზაუროდ მიდის, მწერის გადასატანი კონტეინერი ყოველთვის თან აქვს. მის კოლექციაში ხოჭო-ბომბარდირის უნიკალურ სახეობასაც შეხვდებით, რომელსაც ეგვიპტის ფარაონები აღმერთებდნენ.

ხოჭოების შეგროვება დევიდმა 7 წლის ასაკში დაიწყო და დღემდე ამითაა გატაცებული. როკფელერის მწერების კოლექციას მომავალში ჰარვარდის უნივერსიტეტის ზოოლოგიური მუზეუმი ჩაიბარებს.

## პერუში უცნობი ტომი აღმოაჩინეს



**პერუელმა მეცნიერებმა ამაზონის რთულად მისადგომ მიდამოებში ინდიელების უცნობი და ცივილიზაციისგან აბსოლუტურად იზოლირებული საზოგადოება აღმოაჩინეს.**

ხელისუფლება ტომის ადგილმდებარეობას არ ამჟღავნებს. მათ ტომის წევრების ცნობისმოყვარე ტურისტებისა და თავგადასავლების მაძიებლებისგან დაცვა სურთ. მკვლევარები აბორიგენებთან კონტაქტში შევიდნენ და მათ რამდენიმე ინსტრუმენტი აჩუქეს. საპასუხოდ კი აბორიგენებისგან იარაღები — ჰარპუნები და შუბები მიიღეს.

აღმოჩენის წყალობით, მეცნიერები შეძლებენ გამოიკვლიონ ევოლუციის პროცესის მონაკვეთი, რომელიც მათ ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაეხმარება.

## უმაღლესში პონისთან ერთად



**ამერიკელი სტუდენტი, მუსლიმანი მონა რამუნი ჯერ კიდევ ახალშობილი იყო, როდესაც დაბრმავდა. სარწმუნოების გამო, მას სხვა უსინათლო ადამიანების მსგავსად, მეგზურად ძაღლის აყვანა არ შეეძლო — მუსლიმანებს ძაღლი უწმინდურ ცხოველად მიაჩნიათ. ქალმა ორიგინალური გამოსავალი მოძებნა და შედეგად მისი პონი მსოფლიოში პირველ მეგზურად იქცა უსინათლო ადამიანისთვის.**

ახლა იგი ყველგან პონისთან, მეტსახელად კალისთან, ერთად დადის. მონა რამუნის უნივერსიტეტის ლექტორები კი ხუმრობენ, რომ კალი პირველი ცხენია, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში „სწავლობს".

კალი სამაგალითოდ იქცევა, ლექციების დასრულებამდე წყნარად დგას თავისი პატრონის გვერდით და სასწავლო პროცესს აბსოლუტურად არ უშლის ხელს, დასვენებებზე კი მეორე უსინათლო სტუდენტის მეგზურ ძაღლთან მეგობრობს.

# «ფიცის კაცები»







**ჩემი ყურადღება ერთი პატარა წიგნის ორმა რადიკალურად განსხვავებულმა სათაურმა მიიპყრო: „ბედნიერია, ვისაც სამშობლოსთვის უძგერს გული“ და „ქართველთა ბუნება ორგულ არს?!“ სატიტულო ფურცელზე ავტორმა წამიწერა: „განაჩენივით ველოდები თქვენეულ შეფასებას“. ალეკო მიქაბერიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლკოვნიკი გახლავთ.**

ძვირფასო მკითხველო! ვფიქრობ, საინტერესოა ასეთი ავტორის შემოქმედება, წინაპართა ფესვები და, რა თქმა უნდა, მისი ვინაობა. მან დაამშვენა და გაალამაზა თავისი გვარი თუ გვარმა გაალამაზა მისი ცხოვრება?

საიდუმლო არაა, რომ არიან ადამიანები გვარის შემარცხვენელნი და არიან გვარის დამამშვენებლები. ისტორიულად ცნობილია სამშობლოს მოღალატეთა გვარები, რომელთა ჩამოთვლაც ამ პუბლიკაციისთვის შეუფერებლად მიმაჩნია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ, როგორც წვეთი ჯერ კიდევ არ არის წყალი, ისე ცალკე ადამიანიც, საზოგადოების გარეშე, მხოლოდ სახელი და გვარია — არც რამის მთქმელი და არცა აღმთქმელი! ზოგჯერ კიდევ კარგად ვერ შეუგნია, რისთვის გაჩნდა მიწის ამ უზარმაზარ ბურთზე და, სანამ დიდ სოფელში წავა, საწუთისოფლო რა უნდა აკეთოს.

„ადამიანისა და სოციალური სინამდვილის ურთიერთობა მძიმე და სასტიკი ბრძოლაა, მაგრამ პიროვნების მოვალეობაა, დაიცვას საკუთარი ზნეობრივი ღირსება და არ გახდეს სათამაშო ტიკინა გარემოების ხელში. ამისთვის სჭირდება ადამიანს სულიერი სიმტკიცე. ადამიანს ყოველგვარ პირობებში შეუძლია იყოს კეთილი, მოწყალე, ღვთისნიერი და კაცთმოყვარე. შეუძლია ებრძოლოს ბოროტს“.

ეს სიტყვები აკაკი ბაქრაძის მიერ რომ არ ყოფილიყო დაწერილი, ალბათ, მე დავწერდი, ამ პატარა, ორსათაურიანი წიგნის ავტორის — ალეკო მიქაბერიძის გაცნობის შემდეგ. სწორედ იმ კაცურკაცთან გვაქვს შეხვედრა, ვინც ორმაგად წელგამართული და ამაღლებულია, როგორც გვარიშვილობით, ასევე პირადი ცხოვრებითა და საზოგადო საქმიანობით.

„მოგონებების ერთ-ერთ თავში ჩემს თავს ხუმრობით მწერალს ვუწოდებ და ვწერ: „სოფელში ერთი საოცარი ღელეა, რომელიც ბუნების კანონს „არღვევს“ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიემართება. ამიტომაც მას ხალხმა „თავუკუღმა ღელე“ უწოდა. როგორც ჩანს, ყველაფერი უკუღმართი, რაც მჭირს, ამ ღელესთან გავლა-გამოვლით მჭირს, თორემ, რაღა დროს ჩემი მწერლობა იყო“, — კვლავ მოკრძალებულია ავტორი.

ავტორი უშორეს წარსულს უკავშირებს მისი გვარის წარმომავლობას. დავით აღმაშენებლის მეფობის დასაწყისში, ერთ-ერთ ფიცხელ ომში, მეფეს თავგანწირვით მებრძოლი ვაჟკაცი შეუმჩნევია და უკითხავს, ვინ არისო. მოუხსენებიათ: ბერიძე გახლავთ, მეფეო. „მიქია ბერიძეო“, — უბრძანებია დავითს. და, მისთვის ტახტის აზნაურობა და მამულები მიბოძებიაო. ასე დაირწა მიქაბერიძეების აკვანი.

ავტორი ცდილობს, პირველ მიქაბერიძეს მიბაძოს. „ვცდილობ, ამგვარი წარმოვიდგინო ჩემი უცნობი წინაპარი და გული მეკუმშება: მე და ყველა მისმა შთამომავალმა, სისხლმა სისხლთაგანმა და ხორცმა ხორცთაგანმა სახელიც კი არ ვიცით მისი...“ — გულდაწყვეტილი ამბობს ცხრა საუკუნის შემდეგ დაბადებული მიქაბერიძე.

ავტორს სამშობლოს სიყვარული უხსოვარი დროიდან აქვს გათავისებული. მეფისა და სამშობლოს ერთგული „ფიცის კაცები“ მისი უახლოესი ნათესავები არიან. „ფიცის კაცთა“ საბრძოლო დროშა, რომელიც როსტომ ლორთქიფანიძის ოჯახში ინახებოდა, მან მოიძია და განაახლა, დღის სინათლეზე გამოიტანა.

ბატონ ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლებიდან“ ამონარიდით კიდევ ერთხელ შეახსენა მკითხველს ამ დიდებული ადამიანების გვარები.

„ფიცის კაცებში“ თორმეტი გვარი შედიოდა თავისი ყმითა და მამულით:

ლორთქიფანიძე — ახალბედისეულიდან; მესხი — დედალაურიდან; ავალიანი — ცხუნკურიდან; იოსელიანი — გვიშტიბიდან; ღოღობერიძე — ჩუნეშიდან; მიქაბერიძე — წყალტუბოდან; ყიფიანი — ქვილიშორიდან; ქორქაშვილი — გუმათიდან; იაშვილი — ჯიმასტაროდან; უგრეხელიძე — ოფურჩხეთიდან; გრიგოლაშვილი — ნამოხვანიდან; ჭაბუკიანი — რიონიდან.

ალეკო მიქაბერიძე დღევანდელი დავით კლდიაშვილია. იგი მზადაა, დუელში გამოიწვიოს ქართველი ერის მოღალატეები, საკუთარ თავში დაკარგულნი, პირადი კეთილდღეობით დაკავებულნი, მამულის ხარჯვით გამძღარნი. ეს ის კაცია, ვისაც სიცოცხლეზე მეტად უყვარს თავისი სამშობლო და მართალი სიტყვა, ვიდრე პირადი კეთილდღეობა.

ორიოდე სიტყვა მისი ავტობიოგრაფიიდან: დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიული და იურიდიული ფაკულტეტები. საქართველოში ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის აქტიური მონაწილეა. იბრძოდა აფხაზეთში და სამაჩაბლოში. მრავალი საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა. იყო ქვემო ქართლისა და სამეგრელოს კომენდანტი. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

მისი შემართება უფლებას მაძლევს ვთქვა: დიდგორის ბრძოლაში დავით აღმაშენებელი ალეკო მიქაბერიძესაც შეამჩნევდა, როგორც ვაჟკაცსა და სამშობლოსთვის თავდადებულ რაინდს. ამის ნათელი დადასტურებაა სასიქადულო ქართველი პოეტის, დიდი პატრიოტის — მურმან ლებანიძის წერილი:

**„ჩემო ალეკო მიქაბერიძე! ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს, როცა შენისთანა ღირსეულ ადამიანს შევხვდები ხოლმე. დღეს მთელი დღე კარგ ხასიათზე შემიძლია ვიყო! ათას სიკეთეს გისურვებ — ნუ დავკარგავთ ერთმანეთს!**

**შენი მურმან ლებანიძე,**
**22.VII.99“**

მე ისღა დამრჩენია, რომ ამ პატარა წიგნის დიდ ავტორს წარმატებები ვუსურვო და წიგნის სატიტულო ფურცელზე მისეულ წარწერას პასუხი ასე გავცე: **ჩემო ალეკო! განაჩენივით ველოდები შემდეგ წიგნებს!**

**ჟანი სიხარულიძე**




## უნივერსალური წყალი „ისიდა“

## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.**
**890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**



**საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო**
საქინფორმი
www.saqinform.ge



## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



საქართველო
**ესტუმრეთ ჩვენს საიტს**
**http://www.geworld.net**



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net